კვირის პალიტრა

გზა

N48 (286) 1/XII.-6/XII.2005.

ფასი 60 თ.

1168
2005

დავით კეზერაშვილი უტევს...

მარნეულები ვინ იქნება შეედეგი?

რის გამო მოხვდა საქართველოს ხელისუფლება გინესის რეკორდების წიგნში

ეკა კვალიაშვილი კვლავ გათხოვებას აპირებს? — „დაბლები, მსუქნები, მელოტები, უფულოები და ბოიმები არ გამომეხმაურონ...“

„ცბიერი ოთამაშე“ — „...იქ თანდათან არაჯანსაღი სიტუაცია ყალიბდება“

რა უნდა ვიცოდეთ საშობაო მარხვის შესახებ





სხვადასხვა სახის
ძველის კალენდრები
„კვირის პალიტრის“ საგამოცემლო სახლისგან



კალენდრების ბითუმად შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 899 10 66 54

კვირის პალიტრა
№48 (286)
1 – 7 დეკემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
შაბათობა ხომ არ მოგვეწყო ანუ „ყველა ვმუშაობთ და მაინც არ არის მგზად“... 3
ინფორმაცია 4
საფრთხე
„სანამ ვირუსი ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა, ეპიდემია გამორიცხულია“ 5
რეიდი
ვინ იქნება შემდეგი? – მარწუხები ბიზნესმენებისათვის 6
რეალითი-შოუ
„ცბიერი მოთამაშე“ – „იქ თანდათან არაჯანსაღი სიტუაცია ყალიბდება“ 9
კონტაქტები
ველოსიპედით იბერიიდან იბერიამდე 12
კრიმინალი
- „ცოლმა თავად გამომიცხადა, გღალატობო“ 14
- 25 წლის ახალგაზრდამ მეგობარი ბორდიურში ჩააბეტონა 16

ჩემი თაობა
ა-ლა-ფურშეტი თუ ყანწის „თავში ჩამხობა“?.. 17
გზავნილები
ჩემი შვილის მასწავლებელი შემიყვარდა ანუ ნუ „ეწებები“ ცოლს 19
ცხოვრება
ოსტატი „მეფე“ ანუ ვის მიენდობი, საკუთარი ხელების ბარდა... 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
პროფესია
საით „მიდიან“ მკვდრები... ექსპერტები, ვარაუდები და რისი ეშინიათ მორგის თანამშრომლებს 24
რეკორდები
ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები... 27
ტანდემი
ჩვენ და-ძმა ვართ, სხვებს კი ენაგზე ალერგია სჭირთ... 29
ჯვრისწერა
დროის მიერ გამოცდილი, ნახევარსაუკუნოვანი სიყვარულის დღესასწაული 31

საქართველოს ხელისუფლება გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა

„გინესის მსოფლიო რეკორდები-2006“ – ჩვეულებისამებრ, უამრავი საინტერესო ფაქტია აღნუსხული. ბუნებრივია, ჩვენ იმით დავინტერესდით, თუ რის გამო მოხვდა მის ფურცლებზე საქართველო. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქვეყანა ამ წიგნში ორჯერაა დასახელებული: ერთხელ, ინფორმაციაში სახელწოდებით – „ყველაზე მეგი საარჩევნო კამპანია ერთ წელიწადში“, ეს მეორედ...

27

ვინ არიან ეს რგბილ-ლ-იანები

ამ ბოლო დროს, ეკა კვალიაშვილისა და დათო ძიძიგურის ურთიერთობამ საზოგადოება აალაპარაკა. ერთ-ერთი კონცერტის დროს, როცა ისინი სიმღერას დუეტში ასრულებდნენ, ერთ-ერთმა მსმენელმა საკმაოდ ხმამაღლა თქვა: ეკა, ალას პონტშია, აი, დათო კი, მგონი, კირკოროვობას აპირებსო...

29

ა-ლა-ფურშეტი თუ ყანწის „თავში ჩამხობა“?..



კაბუ თავს იკავებს იმისგან, რომ რაიმე ურჩიოს მომდევნო თაობას. ღვინოში „ჩახრჩობის“ მომხრე არ გახლავთ, თუმცა, ქართული სუფრა უყვარს, მიაჩნია, რომ ტრადიციები დაკარგული არ არის, ამავე დროს, ხაზგასმით ამბობს – ჩვენ ჩოხები არ გვაცვიაო...

17

სერჟანტი პრინცისგან შვილს ელოდება!

ლუქსემბურგის სამთავროში დიდი სკანდალია აგეხილი. სახელმწიფოს მმართველის 19 წლის ვაჟი, რომელმაც სულ ახლახან დაამთავრა სკოლა, სულ მალე მამა გახდება. თანაც, როგორც ჩანს, ის სულაც არ აპირებს საგრფოზე დაქორწინებას!

54

ჯანმრთელობა
- ლოგონევროზი – ენაბორძიკობა 32
- ისევ ნერვები 33

ტაძარი
როგორ აიგო ქვაშვეთის ტაძარი 34

დღესასწაული
რითია მნიშვნელოვანი ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა მარიამისა 35

მარხვა
რა უნდა ვიცოდეთ საშობაო მარხვის შესახებ 35

შეჩერებული წამი
იმერეთის სამეფოს უკანასკნელი მარგალიტი 36

უკვდავი ხელოვნება
რა ეწერა გიგო გაბაშვილის ანდერძში 37

ემიგრანტები
შინაგანი ხმა ანუ ქალი და მამაკაცი წვიმიან ღამეში 38

თარიღი
ნონა–ნანა – დაუვიწყარი მატჩი 40

რომანი
რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 43

ვარსკვლავები
სანდრა ბალოკი: „ნაბიჯი, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრება უარვყოფდი...“ 47

ასპარეზი
როგორ აგზავნიდა ვასილ სტალინი ოთარ ქორქიას ციმბირში 49

ავტო 53

გვირგვინოსნები
სერქანტი პრინცისგან შვილს ელოდება! 54

ბიზნესდინასტია
საბედისწერო ფული – ვანდერბილტის ქონებრივი იმპერიის აღმოცენება და დაცემა 55

ოჯახი
ნუ წაეჩხუბებით მეუღლეებს მშობლების გულის მოსაგებად 59

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი
როგორია კარიერის შექმნის თქვენეული გზა? 63

...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ცხიმრი მოთამაშე“ – „იქ თანდათან არაჯანსაღი სიტუაცია ქალიზდება“

„იქ ისეთი სიტუაცია დავგოვე, რომ არ ვნანობ წამოსვლას. ასეთ სიტუაციაში იქ ყოფნა ნამდვილად არ მინდოდა. ძალიან დაიძაბა სიტუაცია. თამაში წეწვა-გლეჯით მიდის, მე კი ისეთი ადამიანი არ ვარ, რომ ფულის გამო ყველაფერი გავწირო. ფულის გამო ბევრი რამის გაწირვა გიწევს, სამინელებაა“...

9

შინაგანი ხმა ანუ ქალი და მამაკაცი ამერიკის წვიმიან ღამეში

ბოლო ხანს, სამწუხაროდ, აღარავის უკვირს ქართველის უცხოელზე დაქორწინების ამბავი. როდესაც გავიგე, რომ ჩემმა მეგობარმაც, რომელიც უკვე ორი წელია, რაც ამერიკაშია, ცხოვრების თანამგზავრად უცხოელი, 38 წლის ბრიუს ნეგალი აირჩია, არ გამკვირვებია, მაგრამ ცოგა არ იყოს, გული დამწყდა...

38

„ნაბიჯი, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრება უარვყოფდი...“

თავდაჯერებულმა მარგოხელა ქალბატონმა, სანდრა ბალოკმა, გათხოვებიდან 4 თვის შემდეგ, თავის საიდუმლოს ფარდა ახადა და გაამხილა, რაგომ დაარღვია დაუქორწინებლობის აღთქმა.

47

თქეში

– ყველა გიჟი მე როგორ უნდა ამეკიდოს!..

– რა იყო? – ჰკითხა შვილიშვილს შეშფოთებულმა ქეთომ. – სამსახურში ხომ არაფერი გაგიფუჭდა?

– რა იყო და მგონი, ჩემმა უფროსმა საბოლოოდ გაუბერა, – უპასუხა ლანამ, – ბებიაშენის ნახვა და მასთან დალაპარაკება მინდაო...

43

შაბათობა ხომ არ მოგვეწყო

ანუ „ყველა ვმუშაობთ და მაინც არ არის მზად"...

ისევე როგორც ყველაზე ძლიერ ქვეყნებში, ჩვენთანაც არსებობს მოგვარებული და მოსაგვარებელი საქმეები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩვენც შევდივართ ძლიერი ქვეყნების სიაში. განსხვავება მხოლოდ რაოდენობაშია: თუ იქ მოგვარებული საქმე ბევრია და მოსაგვარებელი — ცოტა, აქ — პირიქით, მოსაგვარებელი საქმეების რაოდენობა სჭარბობს მოგვარებულს. მოსაგვარებელი საქმე კი, თავის მხრივ, ორნაირია: საქმე, რომლის მოგვარებაც ჯერ არ დაგვიწყია და საქმე, რომელსაც ვაგვარებთ, ვაგვარებთ და... სწორედ ასეთ საქმედ შეიძლება ჩავთვალოთ გზა, რომელზეც „ვმუშაობთ, ვმუშაობთ და მაინც არ არის მზად"...

მოგეხსენებათ, დღეს გზების მდგომარეობა ლატარიას ჰგავს ანუ შემხვედრი ორმოსათვის გვერდის ავლით თუ გაგიმართლა, მოიგებ იმას, რომ არ დაკარგავ მანქანას; თუ არა და, შეიძლება, იმ ორმოზე იმდენად ღრმა ორმო შეგხვდეს, რომ მძღოლს „რული" შეგრჩეს ხელში... ვდგებით მერე ამ ორმოსთან და ვლანძღავთ მთავრობას...

არადა, რა ქნას მთავრობამ?! ტექნიკა ჩამოიყვანა და შეუდგა გზების დაგებას. მერე ამ გზების შემმოწმებელი აპარატი ჩამოიტანა და იმანაც, რა თქმა უნდა, დაგვიწუნა ნაშრომ-ნაღვაწი. ქართველი კაცი რას არ მოიფიქრებს: დაწუნებას მე გაჩვენებო — და ამ აპარატს გლდანის გზებზე უკრა თავი. იმის მერე გზა აღარ დაუწუნია იმ საცოდავ აპარატს...

ეს ჩვენი თბილისიც იმხელაა, ერთი ბოლოდან რომ დაიწყებ გზების დაგებას, სანამ მეორე ბოლოში გახვალ, ის პირველი ასფალტი გაპარტახებული და აყრილია უკვე... არ ვუვლით, არ ვუფრთხილდებით და იმიტომაა აყრილი. სახლში რომ მივალთ, ხომ არავის გვავიწყდება ფაფუკი ფაჩუჩების ჩაცმა, მოლაქული პარკეტი რომ არ გავაფუჭოთ?! გზებზე კი დავკაკუნებთ ნალებიანი და „შპილკაქუსლიანი" ფეხსაცმელებით და გაფუჭდება, აბა, რა იქნება?! აბა, ვიაროთ ჩუსტებით, თუ რამე დაემართება?!. რასაც ფეხსაცმელებით ვერ ვაკლებთ, მანქანებით ვუღებთ ბოლოს. მაინც, ამ ჯიპებს რამხელა „პრატექტორები" აქვს, რა უხეში — ტანკმა გაიარა თუ მანქანამ, ვერ გაიგებ!..

შემოვიღოთ კანონი, გადავაკრათ საბურავებს ეროვნული წარმოების ქეჩა, თექა, ბატიკა, ან მატყლი და ისე ვიაროთ ქალაქში... ან საერთოდ არ ვიაროთ; ვისხდეთ სახლებში და ცხვირი არ გამოვყოთ გარეთ; რა გინდა გარეთ, რას გაიგებ კარგს და სასიხარულოს?! მერე ვნახოთ, თუ არ გვექნება კარგი გზები... თუმცა, როგორ ვნახავთ, თუ შინიდან არ გავალთ? არ ვნახავთ და ნუ ვნახავთ; თუ სახლში უნდა დავსხდეთ, ნურც იმ ასფალტს დაახარჯავენ ამდენ ფულს და იყოს ისეთი, როგორიცაა... ხედავთ, რა მარტივად გადავჭერი ამოდენა პრობლემა?! მაგრამ მარტო ერთმა პროვოკატორმა რა უნდა ვქნა, როცა ხალხი არ მიჯერებს და მაინც პრეზიდენტს ეძახის ჩაუსუნთქავად, გზები არ ვარგაო... რა ქნას პრეზიდენტმა?! პრეზიდენტი იმისთვისაა, რომ „მერსედესით" იაროს, აბა, „კატოკზე" ხომ არ დაჯდება თვითონ (ვითომ ჯერ არ მჯდარა) და ხომ არ დააგებს გზას?! თუ არც სახლში ჯდომა გვინდა და არც ცუდი გზა, თვითონ უნდა ვიაქტიუროთ: ხომ იყო ადრე მუშურ-გლეხური შაბათობები? აღვადგინოთ ეს ტრადიცია, მარტო კვირადღეს დავისვენოთ და პრეზიდენტის პატივსაცემად მოვაწყოთ „მიშურ-გლეხური" შაბათობა; ქუდზე კაცი გამოვიდეთ გზების დასაგებად.

ხომ ვხედავთ, რომ ვერ ერევა ის ხალხი და მივეხმაროთ: დააგეს — დაინგრა, დააგეს — დაინგრა. ასე რომ დაეყარათ ფარ-ხმალი ჩვენს წინაპრებს, სურამის ციხეც ინგრეოდა ყოველი აშენების შემდეგ, მაგრამ იპოვეს გამოსავალი. ასე უნდა მოვიქცეთ ახლაც და გზაც გვექნება და...

***P.S.** გზის შემკეთებლები:*

ინჟინერი — აბა, ბიჭებო, ცხელი ასფალტი მოვიდა, გადაიღეთ, არ გააცივოთ.

— გადაიღე, შვილო, ახალი ხარ და ნუ გერიდება. თუ გინდა „„ლაფატკას" გამოგიცვლი...

— იყოს არ მინდა; ამბობენ, „ლაფატკის" გამოცვლამ, მთავრობის გამოცვლა იცისო...

პროვოკატორი

სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა ევროსასამართლოდან წერილი მიიღეს

როგორც ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განაცხადა, დაცვის მხარემ 10 ნოემბერს ევროპის ადამიანის უფლებათა (სტრასბურგის) სასამართლოს გაუგზავნა ინფორმაცია კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის შედეგების შესახებ. *„სასამართლოდან მიღებული წერილის თანახმად, კოლეგიამ მიიღო ჩვენი დოკუმენტი და ამ ეტაპზე, დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სახელმწიფოს პოზიცია აინტერესებს. შემდეგ, მოსამართლეები მოლაშვილის წინასწარი პატიმრობის კანონიერების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ“,* — განაცხადა **სოსო ბარათაშვილმა**. მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად, პარიტეტული წესით ჩამოყალიბდა სამედიცინო კომისია, რომელშიც ადვოკატებისა და სახელმწიფოს მხრიდან შერჩეული 8 წევრი შევიდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მოლაშვილის ადვოკატებმა აცნობეს, აღნიშნული კომისიის დასკვნა არ ასახავს სტრასბურგის სასამართლოს მოთხოვნას, რადგან მოლაშვილისთვის C ჰეპატიტზე გამოსაკვლევად სისხლი არ აუღიათ. ადვოკატების თქმით, განსასჯელი მოითხოვდა, რომ მისი სისხლი, ლიმბახის სახ. გერმანული კლინიკის წარმომადგენლებს შეემოწმებინათ, რაზეც სახელმწიფოს წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს.

„ისინი აცხადებდნენ, რომ სისხლის გამოკვლევა მხოლოდ მათ მიერ დასახელებულ კლინიკაში მოხდებოდა და დაცვის მიერ წარმოდგენილ სპეციალისტებს მონაწილეობის მიღება მხოლოდ ამ ანალიზის შეფასებაში შეეძლებოდათ“, — განაცხადა **ზალვა ზავგულიძემ**. ადვოკატები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ექიმებზე ხორციელდება ზეწოლა, რათა *„დაკავებულის ავადმყოფობა არ დადასტურდეს და წინასწარი პატიმრობიდან მისი გათავისუფლება არ მოხდეს“.* იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სულხან მოლაშვილს 5 ნოემბერს სხვადასხვა გამოკვლევა ჩაუტარდა თოდუას სახელობის კლინიკაში. ■

ფრაქცია „ლეიბორისტი“ ქალაქის ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს

ფრაქციის წევრები დედაქალაქის ხელმძღვანელობას მომავალი წლის საქალაქო ბიუჯეტში დასახულებული პრიორიტეტების გამო აკრიტიკებენ და „ახალი მემარჯვენეების“ მსგავსად აცხადებენ, რომ პროექტი თბილისის ინტერესებს არ ასახავს. *„2006 წლის თბილისის ბიუჯეტი მთლიანად აწყობილია ზეიმებზე, კონცერტებზე, მოედნების მოწყობასა და ფასადების მოწესრიგებაზე“,* — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ **გიორგი გუგავამ**, ფრაქციისა და ქალაქის პრემიერის შეხვედრის შემდეგ. „ლეიბორისტები“ განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იმ გარემოების გამო გამოთქვამენ, რომ ქალაქის მთავრობამ მიწისძვრით დაზიანებული და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, კოოპერატიული ბინათმშენებლობების საკითხის გადაჭრა, მასწავლებელთა ხელფასებისა და სოციალური სფეროს დაფინანსების გაზრდა არც 2006 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა. ფრაქციის წევრები იმასაც ამტკიცებენ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი, წინა წლების ბიუჯეტების მსგავსად, „კორუფციულია“. ამის მაგალითად ისინი ბიუჯეტის იმ ნოვაციას ასახელებენ, რომლის მიხედვითაც, ქალაქის მთავრობა სოციალურად დაუცველი ფენების სამედიცინო დაზღვევას საკუთარ თავზე იღებს. როგორც გუგავა აცხადებს, ბიუჯეტში ერთი ადამიანის დასაზღვევად 55-60 ლარია გათვალისწინებული, რაც, მისი შეფასებით, არარეალური თანხაა. ლეიბორისტები 2 დეკემბრის საკრებულოს სხდომაზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი თემა, სწორედ 2006 წლის ბიუჯეტი იქნება, აპირებენ, დაასახელონ მერიის ის ჩინოვნიკები, რომელთაც, მათი აზრით, კორუფციული ინტერესები აქვთ. ■

მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირის საფასური ზამთარში არ გაიზრდება

როგორც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, ნიკა გილაურმა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, „გაზპრომის“ გადაწყვეტილება საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის 110 დოლარამდე გაზრდის შესახებ, მიმდინარე ზამთრის სეზონში მოსახლეობას არ შეეხება. *„მთავრობა სუბსიდირებას განახორციელებს და ზამთრის განმავლობაში მოსახლეობისათვის გაზრდილი საფასურის კომპენსირებას მოახდენს“,* — განაცხადა **ნიკა გილაურმა**. ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ ბუნებრივი აირის საფასურის 110 დოლარამდე გაძვირება საქართველოში გაზის სამომხმარებლო ფასს 32%-ით გაზრდის. თბილისში 1 კუბ/მ ბუნებრივი აირი — 33 თეთრი, ხოლო ქუთაისში, 35 თეთრი ეღირება. გაზი გაძვირდება საქართველოს სხვა ქალაქებშიც. საქართველოსთვის მოწოდებული 1000 კუბ/მ ბუნებრივი აირის საფასური 63 დოლარიდან 110 დოლარამდე 2006 წლის 1-ელი იანვრიდან უნდა გაიზარდოს. ■

ნოდარ გრიგალაშვილი განათლების სამინისტროს დაუპირისპირდა

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ სისულელე უწოდა, განათლების სამინისტროს იმ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, 2006 წელს, სახელმწიფო გრანტს მხოლოდ ის აბიტურიენტები მოიპოვებენ, რომლებიც ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტებში მიიღებენ მაღალ ქულებს. გრიგალაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს, გავრცელებული ინფორმაცია არასწორი იყოს. თუმცა, როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განათლების მინისტრის მოადგილემ, ბელა წიფურიამ განმარტა, სამინისტრო მართლაც გეგმავს, 2006 წლიდან სახელმწიფო გრანტი მხოლოდ იმ სტუდენტებს მიენიჭოს, რომლებიც საუკეთესო შედეგს ზოგადი უნარ-ჩვევების გამოცდაში უჩვენებენ. *„მხოლოდ უნარ-ჩვევების მიხედვით სახელმწიფო გრანტის გაცემა, სისულელეა. არა მგონია, რომ ეს ასე იყოს და თუ ასეა, გონებიდან ამოვუშლით ამ აზრს. უნარების მიხედვით ისაზღვრება აბიტურიენტის აზროვნება. თუმცა, გრანტის მისაღებად აუცილებელია, სხვა შედეგების გათვალისწინებაც“,* — აღნიშნა **ნოდარ გრიგალაშვილმა**. ■

რუბრიკა მომზადებულია საგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით

ვირუსი, საკმაოდ უწყინარი სახელით — ქათმის გრიპი — მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა თავსატეხი გახდა, ხოლო ჩვეულებრივ ადამიანებში შიში და პანიკა წარმოშვა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არსებობს ვაქცინა, რომელიც ფრინველის გრიპისგან დაცვის საშუალება იქნებოდა, ამიტომ კვლავ აქტუალურია კითხვა — როგორ ვებრძოლოთ მას. ამ ეტაპზე, დანამდვილებით ის არის ცნობილი, რომ ქათმის გრიპი, უმთავრესად, ინფიცირებული ფრინველების ფეკალიებისა და ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისას გადადის. მიჩნეულია, რომ ინფიცირების ყველაზე დიდი რისკის მატარებელი, გარეული, წყლის ფრინველები არიან. ადვილად ავადდებიან ამ ვირუსით მტრედები, ყვავები, შოშიები, შავი შოშიები და მერცხლები. ჩვენ გავარკვიეთ, რომ საქართველოს ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტრომ, ქათმის გრიპთან ბრძოლის სპეციალური გეგმა შეიმუშავა. მაგრამ არასასიამოვნო მოულოდნელობა იყო იმის შეტყობა, რომ კავკასიის რეგიონში ქათმის გრიპის გავრცელების ალბათობა საკმაოდ მაღალია...

„სანამ ვირუსი ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა, ეპიდემია გამორიცხულია“

ემა ტუხიაშვილი

ნინო მოროშკინა, *მინისტრის მოადგილე:*

— დაახლოებით 2 თვის წინ, თავად ქვეყნის პრეზიდენტი და მთლიანად მინისტრთა კაბინეტი დაინტერესდნენ პრობლემით, რომელსაც ქათმის გრიპი ჰქვია. ამის მიზეზი ისიც გახლდათ, რომ მთლიანად კავკასიის რეგიონი, სხვადასხვა ფაქტორის გამო, ქათმის გრიპის გავრცელების რისკის ქვეშ მყოფ რეგიონად ითვლება. ამის გათვალისწინებით, ქვეყანაში შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ გაეცნო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მოგვიწონა კიდეც. დღეისათვის უკვე დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქათმის გრიპის შემთხვევა საქართველოში დაფიქსირდა, გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების განსახორციელებლად, დაახლოებით 70 მილიონი ლარი იქნება საჭირო. მაგრამ აქედან გარკვეული ხარჯები გადანაწილდება სხვა სამინისტროებზეც: მაგალითად, აუცილებელი იქნება შინაური ფრინველის გაწყვეტა, მეფრინველეთათვის საკომპენსაციო პაკეტების დარიგება, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალება. ჯანდაცვის სამინისტროს განკარგულებაში არსებული თანხის დიდი ნაწილი დაიხარჯება იმ პრეპარატის შესაძენად, რომელიც დღეს ერთადერთი საშუალება გახლავთ ქათმის გრიპისგან განსაკურნებლად. ამ პრეპარტს ოცელტამივირი — იგივე ტამიფლუ ჰქვია, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი ფარმაცევტული კომპანია „როში“ აწარმოებს და ჩვენმა სამინისტრომ უკვე დაუკვეთა, 100 ათასი დოზის ოდენობით.

ქათმის გრიპის პრობლემაზე ბევრი მეცნიერი და ექსპერტი მუშაობს, მაგრამ ბევრი კითხვა ჯერ კიდევ უპასუხოდ რჩება

— გამოჩნდება თუ არა ეს პრეპარატი ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე?

— გასულ კვირას, საქმიანი ვიზიტით ვიმყოფებოდი ჟენევაში, სადაც ქათმის გრიპთან დაკავშირებით გაიმართა პოლიტიკური შეხვედრა, რომელსაც გაეროს წარმომადგენლები უძღვებოდნენ. შეხვედრის შემდეგ, შესაძლებლობა მქონდა, პირადად ჩავსულიყავი ფარმაცევტული კომპანია „როშის“ სათავო ოფისში, რომელიც ჟენევასთან ახლოს, ქალაქ ბაზელში მდებარეობს და უშუალოდ მეწარმოებინა მათთან მოლაპარაკება. ახლა უკვე შემიძლია გითხრათ, რომ ტამიფლუ საქართველოს სააფთიაქო ქსელში მომავალი წლის თებერვალში გამოჩნდება, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ეს პრეპარატი საკმაოდ ძვირად ღირებულია. მაგალითად, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ამ პრეპარატის ფასი 35 ევროდან იწყება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ტამიფლუს ფასი 35-40 ევრო იქნება. მაგრამ როგორც გითხარით, სახელმწიფომ შეისყიდა 100 ათასი დოზა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქათმის გრიპის გავრცელების შემთხვევაში, 100 ათასი ადამიანის უფასოდ მკურნალობას უზრუნველვყოფთ. მართალია, ქათმის გრიპის პრობლემაზე ბევრი მეცნიერი და ექსპერტი მუშაობს, მაგრამ ბევრი კითხვა ჯერ კიდევ უპასუხოდ რჩება. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ პრეპარატ ტამიფლუს მოქმედების შედეგად, პაციენტის მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდება.

— თქვენ თქვით, რომ კავკასიის რეგიონი ქათმის გრიპის გავრცელების რისკის ზონადაა მიჩნეული. რა არის ამის მიზეზი?

— ეს არის განპირობებული მეტწილად გარეული ფრინველების მიგრაციით, ჩვენი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში და — პირიქით. ამიტომაა გაზრდილი შინაური ფრინველების დასნებოვნების საშიშროება. ამ ეტაპზე, ყველა წამყვანი ექსპერტის დასკვნა გვიჩვენებს, რომ ამ ვირუსს ჯერ არ შეუძენია თვისება, რომლითაც ის ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა. თუკი ასეთი რამ მოხდება, პანდემია *(საყოველთაო ეპიდემიური დასნებოვნება. — ავტ.)* გარდაუვალი იქნება. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და რამდენიმე რჩევა მივცე ჩვენს მოსახლეობას. პირველ რიგში, უნდა შეგვეძლოს თავად პრობლემის იდენტიფიცირება — ანუ ერთი მკვდარი ჩიტის პოვნა არ ნიშნავს იმას, რომ ფრინველის გრიპთან გვაქვს საქმე. ცოტა ხნის წინ, სწორედ ასეთი ფაქტების გამო, ხალხი ძალზე შეშინდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ქათმის გრიპის შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში დიდძალი ფრინველი იხოცება. მხოლოდ ასეთი ფაქტის დაფიქსირებისას უნდა შემოვკრათ განგაშის ზარები. აღნიშნული ვირუსისგან თავის დასაცავად, საუკეთესო საშუალებაა, ფრინველის ხორცის თერმული დამუშავება: 70 გრადუსზე, ვირუსი უმოკლეს დროში კვდება, ხოლო სიცივესა და ყინვაში, ქათმის გრიპის ვირუსი საკმაოდ კარგად გრძნობს თავს.

— ზამთრის პერიოდში, როდესაც ადამიანის გრიპის რამდენიმე სახეობა მძვინვარებს, რეალურია თუ არა იმის ალბათობა, რომ ქათმის გრიპმა რომელიმე მათგანთან შერწყმით, მუტაცია განიცადოს და შესაბამისად, სხვა თვისებებიც შეიძინოს?

— ვირუსის მუტაციისგან არასოდეს არავინაა დაზღვეული, ეს ბუნების ჩვეულებრივი კანონზომიერებაა, მაგრამ ზამთრის სეზონი არ შეიძლება იყოს ამ პროცესის მაპროვოცირებელი, რადგან ვირუსის მუტაცია წელიწადის ნებისმიერ დროს ხდება და მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ბევრი ფაქტორი — მაგალითად, რადიაციული ფონი.

— მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდი გეგმას, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ ქათმის გრიპთან საბრძოლველად შეიმუშავა. მაგრამ შემაშფოთა იმ სავარაუდო მონაცემებმა, რომლებიც შესაძლოა, ეპიდემიის გავრცელების შემთხვევაში მივიღოთ...

— ეს ყველაფერი გეგმის ნაწილია და ჩვენი მონაცემებით, პანდემიის შემთხვევაში, დასნებოვნდება მოსახლეობის 20-25% — ანუ მილიონ-ნახევარი ადამიანი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ასეთი საშიშროება არ გველის, რადგან ვირუსის შესაძლო შემოჭრას მომზადებულები შევხვდებით. გეგმის კიდევ ერთი ნაწილი გახლავთ საავადმყოფოებში სპეციალური, ბოქსირებული პალატების მოწყობა, რომლებიც აღჭურვილი იქნება ხელოვნური სუნთქვის აპარატებით. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ქათმის გრიპს ახასიათებს ისეთივე ბანალური სიმპტომები, როგორიც ჩვეულებრივ გრიპს: ქათმის გრიპით დასნებოვნებულ ადამიანს თავდაპირველად, აღენიშნება ყელის ტკივილი, სიცხე, ხოლო დაავადების გართულებას თან ახლავს პნევმონია და ფილტვების მწვავე შეშუპება. რამდენიმე ბოქსირებული პალატა უკვე გვაქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ გახლავთ, ამიტომ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს დონორ ორგანიზაციებთან, რათა მოხდეს ხელოვნური სუნთქვის აპარატების დროული შესყიდვა და ჩამოტანა. კარგად მესმის, რომ მოსახლეობაში გეგმა ჩვეულებრივ, მხოლოდ ქაღალდზე ჩამოწერილ რიგ ღონისძიებებთან ასოცირდება, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ შემთხვევაში, ეს არის მიზნობრივად გაწერილი, ქმედითი სამუშაოების ჩამონათვალი. მაგალითისთვის, შემიძლია გითხრათ, რომ თუნდაც ქათმის გრიპის სამკურნალო პრეპარატის შესყიდვის სურვილი, კავკასიის რეგიონის ქვეყნებიდან ჯერჯერობით, მხოლოდ საქართველომ გამოთქვა. აქვე გეტყვით, რომ უკვე წლის ბოლოსთვის, ქვეყანაში გვექნება ამ ვირუსის აღმოჩენის რეალური საშუალება — კარგად აღჭურვილი ლაბორატორია. ამგვარად, მხოლოდ სიმპტომებზე დაყრდნობით აღარ ვაწარმოებთ დიაგნოსტიკას ■

პარნასები ბიზნესმენებისათვის

ვინ იქნება შემდეგი?

ემა ტუხიაშვილი
თემო კაციაშვილი

ფინანსურმა პოლიციამ, რომელსაც საზოგადოებისათვის სკანდალურად ცნობილი ჩინოსანი დავით კეზერაშვილი ხელმძღვანელობს, ამჯერად იერიში დედაქალაქის მსხვილ რესტორნებზე მიიტანა. რეიდის პირველ დღეს, 13-მდე ასეთი ობიექტი დაილუქა, მათ შორის, რესტორნები: „თეთრი სახლი“, „უშბა“, „აფხაზეთი“, „თაბორი“, „დედა ზოია“, „მეიდანი“, „რიყე“, „მელომანი“ და სხვები. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, დალუქულ რესტორნებში ჯერჯერობით მხოლოდ საგადასახადო შემოწმება ტარდება, საგამოძიებო მოქმედებები კი მას შემდეგ დაიწყება, როდესაც კონკრეტული დარღვევები იქნება გამოვლენილი. ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელთა ვარაუდით, რესტორნების მეპატრონეები შემოსავლებს მალავენ, რითიც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ. ამას აპროტესტებენ რესტორნების მეპატრონეები და აღნიშნავენ, რომ საგადასახადო სამსახურები, მათგან თვეში ასიათასლარიანი ბრუნვის დაფიქსირებას ითხოვდნენ, რაც რესტორნებისთვის წარმოუდგენლად დიდი თანხა აღმოჩნდა. მართალია, ბიზნესმენები პრესის წარმომადგენლებთან ღიად საუბარს ერიდებიან, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცადეთ, რამდენიმე დალუქულ ობიექტში შექმნილ მდგომარეობას გავცნობოდით. ერთადერთი რესტორანი — რომლის კარს შესაბამისი ფინანსური ლუქი „ამშვენებდა“ — „მეიდანი“ აღმოჩნდა. „მოსკოვსა“ და „თეთრ სახლში“ კარი შიგნიდან ჰქონდათ ჩაკეტილი და ყველა დასმულ კითხვას უპასუხოდ ტოვებდნენ. თუმცა ინკოგნიტოდ დარჩენის გარანტიის მიღებისას, გულახდილად აღნიშნავდნენ, რომ მსხვილი ბიზნესის „გაპარსვის“ შემდეგ, ხელისუფლებამ ახლა საშუალო ბიზნესისთვის მოიცალა, ხოლო ობიექტის უვადოდ გაჩერება, საუკეთესო მეთოდია „გემრიელი ლუკმის“ — ანუ წილის მოსაპოვებლად...

მაინც რა მიზნებს ისახავს ეს ფართომასშტაბიანი ღონისძიება? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, ფინანსურ პოლიციას მივმართეთ.

ლევან მხეიძე, *საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი:*

— აღნიშნული ღონისძიებები, არ იყო მხოლოდ ფინანსური პოლიციის მიერ დაგეგმილი. ეს გახლდათ ჩვენი უწყებისა და საგადასახადო დეპარტამენტის ერთობლივი რეიდი. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ თბილისში არსებული რესტორნების 99% სოლიდურ ზარალს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს: მათი შენატანი ბიუჯეტში არის მიზერული. დაახლოებით ათჯერ ამცირებენ ბრუნვის რეალურ მაჩვენებლებს, არ იხდიან ქონების გადასახადს და მათი ქონება ფაქტობრივად, არც არის აღრიცხული. რესტორნების მეპატრონეები არც სოციალური გადასახადის დაფარვის მხრივ არიან პირნათელნი. უმეტესობას, მხოლოდ იმის გამო, რომ აღარ გადაიხადონ ეს გადასახადი, 5-6 დაქირავებული ადამიანი ჰყავს ოფიციალურად ნაჩვენები. სწორედ ამგვარმა ვითარებამ გვიბიძგა, დაგვეწყო ფინანსური რეიდები, რათა ამ სფეროში დამყარდეს წესრიგი. სხვათა შორის, ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებულმა მსგავმა რეიდმა ერთ-ერთ რესტორანში უკვე გამოიღო შედეგი. მაგალითად, თუ რამდენიმე თვის წინ, მისი თვიური ბრუნვის მაჩვენებელი ოცდახუთიათასლარიან ნიშნულს არ აღემატებოდა, რეიდის შემდეგ, მისი ყოველთვიური ბრუნვა უკვე 230 ათას ლარს აღწევს. ამიტომ, ვიდრე სრულ წესრიგს დავამყარებთ რესტორნების ბიზნესში, მსგავსი ღონისძიებების ჩატარება აუცილებლად დაგვჭირდება.

— რამდენად იყო აუცილებელი ფინანსური შემოწმების განსახორციელებლად რესტორნების სრული პარალიზება და ხომ არ სცილდება ეს მეთოდი საკანონმდებლო ჩარჩოებს?

— ეს მეთოდი აბსოლუტურად მოდის შესაბამისობაში არსებულ კანონთან. კიდევ ერთხელ განგიმარტავთ, რომ რესტორნები ფინანსურ პოლიციას არ დაულუქავს, ისინი დალუქა საგადასახადო დეპარტამენტმა, რათა აწარმოოს მათი სრული ინვენტარიზაცია, სრული აღრიცხვა, რეალურად დაფიქსირდეს ქონების საბალანსო ღირებულება. რომ ნახოთ იმ რესტორნების საფინანსო დოკუმენტაცია, გაგეცინებათ, ისეთ მიზერულ ფასში აქვთ დაფიქსირებული ამ შენობა-ნაგებობების ღირებულება, საიდანაც იხდიან ქონების გადასახადს.

— რესტორნებში რეიდის მოსაწყობად ალბათ დაგჭირდათ შესაბამისი ნებართვა სასამართლოდან. ასე არ არის?

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს ნებართვა საგადასახადო დეპარტამენტმა მოიპოვა...

— რამდენი რესტორანია დალუქული ამ ეტაპზე და თუ გაიზრდება მათი რაოდენობა?

რომ ნახოთ იმ რესტორნების საფინანსო დოკუმენტაცია, გაგეცინებათ

— დღევანდელი მონაცემებით, დახურულია 13 რესტორანი და ახლო მომავალში, კიდევ 30-მდე რესტორნის დალუქვა იგეგმება.

— **რესტორნის მეპატრონეები პირად საუბრებში აღნიშნავენ, რომ ფინანსური ინსტიტუტები მათ ფაქტობრივად, აიძულებდნენ, თვეში სულ მცირე ასათასლარიანი ბრუნვა დაეფიქსირებინათ...**

— იძულებას ნამდვილად არ ჰქონია ადგილი, უბრალოდ, საგადასახადო დეპარტამენტიდან იყო მოთხოვნა, რომ მათ რეალური ბრუნვა ეჩვენებინათ, რაც კანონიერი მოთხოვნაა. თუ ამ რესტორნების მეპატრონეებს აქვთ სურვილი, ისე აკეთონ ბიზნესი, რომ სახელმწიფოს კუთვნილი თანხები არ მისცენ, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არ გაუვათ და ტყუილად ცდილობენ გარკვეული შანტაჟის ენაზე სახელმწიფოსთან საუბარს. ყველა უნდა შეეგუოს იმას, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

— **რამდენად რეალურია ის, რომ აღნიშნული ღონისძიების შემდეგ, რესტორნებმა საერთოდ შეწყვიტონ მუშაობა?**

— შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გამოვლინდება სრული რევიზიის შედეგად. თუ საგადასახადო დეპარტამენტი გამოავლენს სისხლის სამართლის დარღვევებს, რა თქმა უნდა, ამას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

— **არ ფიქრობთ, რომ ამგვარი ქმედებები ძალიან ჰგავს ხელისუფლების მხრიდან საშუალო ბიზნესზე ზეწოლას?**

— არავითარ შემთხვევაში... მიბრძანდით ნებისმიერ რესტორანში, ისადილეთ და შემდეგ მიჩვენეთ, რა თანხა დაგიჯდებათ იქ გემრიელად სადილობა; მე, ჩემი მხრივ, ამ რესტორნის საბუღალტრო სამსახურის მიერ ნაჩვენებ ყოველთვიურ ბრუნვას გიჩვენებთ; გამოვთვალოთ, ყოველდღიურად რამდენი თქვენნაირი ადამიანი სტუმრობს ამ კონკრეტულ რესტორანს და ამის შემდეგ შევადაროთ მათი და სავარაუდო რეალური მონაცემები. დარწმუნებული ვარ, უამრავი კითხვა გაგიჩნდებათ რესტორნების მფლობელთა მიმართ.

— **მომხმარებლებზე თუ იფიქრეთ? გაირკვა, რომ ბევრ ადამიანს, ახლა უკვე დალუქულ რესტორნებში, ღონისძიებები ჰქონდა დაგეგმილი...**

— რა თქმა უნდა, ყველა საქმეს მოსდევს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. მიუხედავად ამისა, რომ ვეცადეთ, არ შეგვეშალა ხელი ბევრ რესტორანში დაგეგმილი საზეიმო ღონისძიებისთვის, ზოგან ეს გამოვიდა, ზოგან კი, სამწუხაროდ, არა.

როგორც აღვნიშნეთ, რესტორნების მეპატრონეები (ალბათ, დამატებითი პრობლემების თავიდან ასაცილებლად) პრესისთვის კომენტარს თავს არიდებენ. მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც არ ეპუება ხელისუფლების იერიშს და თავის პოზიციასაც დაუფარავად ამზეურებს.

ქეთი ლელა, *რესტორან „დედა ზოიას“ დირექტორი:*

— 28 ნოემბრის საღამოს, როდესაც ჩვენი რესტორანი დახურეს, ადგილზე არ გახლდით. მოგვიანებით, ტელევიზიით შევიტყვე, რომ ფინანსურ პოლიციას რესტორნები, ნაკლები ბრუნვის დაფიქსირებისა და გადასახადების დამალვის მოტივით დაულუქავს. კონკრეტულად ჩემთვის არავის უთქვამს, ყოველთვიური ბრუნვა 100 ათასი ლარი გვაჩვენეთო, მაგრამ ბუღალტერმა გადმომცა მათი დანაბარები — ნავაჭრი ნაკლები გაქვთ და გაზარდეთო. რას ნიშნავს ასეთი მითითება, ჩემთვის გაუგებარია. ჩვენი რესტორანი დიდი არ არის და თბილისის სხვა რესტორნებთან შედარებით, ბევრად დაბალი ფასები გვაქვს. ყოველდღიური ნავაჭრი დაახლოებით 500 ლარს შეადგენს და რა პრინციპით უნდა გავზარდოთ ეს თანხა 100 ათასამდე, ეს არც მე ვიცი და არც თვითონ უთქვამთ. არ ვიცი, ფინანსური პოლიცია რამდენად სამართლიანად ითხოვს რესტორნების ქსელიდან ყოველთვიურ 100-ათასლარიან ბრუნვას და აღიარებს თუ არა ამას ოფიციალურად, მაგრამ ტელევიზიით მართლაც გაჟღერდა ასეთი მოთხოვნა. საერთოდ კი, დედაქალაქში იშვიათად მეგულება ასეთი რესტორანი, რომელსაც ყოველთვიური სავაჭრო ბრუნვა 100 ათასი ლარი ექნება.

— **რამდენ ხანს გასტანს ობიექტის ფინანსური შემოწმება?**

— როგორც გადმომცეს, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში. როდის მოგვცემენ რესტორნის გახსნის უფლებას ან ვინ აანაზღაურებს ობიექტის გაჩერებით გამოწვეულ ფინანსურ ზარალს, ეს არ უთქვამთ. წინასწარ არავის გავუფრთხილებივართ, რომ რესტორნის შემოწმებას აპირებდნენ. ფინანსურ პოლიციას არ გააჩნდა მოსამართლის ბრძანება ობიექტში შესვლის თაობაზე. ეს დოკუმენტი 48 საათის განმავლობაში უნდა წარმოგვიდგინონ და ჯერ კიდევ ველოდებით *(ინტერვიუ ჩაწერილია 29 ნოემბერს, საღამოს. — ავტ.)*. ჩვენი რესტორანი ფინანსური შემოწმების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ხომ შეიძლება ფინანსურმა პოლიციამ შედარებით ცივილიზებული მეთოდებით იმოქმედოს?! თუნდაც რამდენიმე საათით ადრე რომ დაერეკათ და გავეფრთხილებინეთ, თქვენს შემოწმებას ვაპირებთო, წინააღმდეგობას არავინ გაუწევდა. მათი შემოვარდნითა და გაუთლელი ქმედებებით კი უამრავი სტუმარი, რომელთაც იმ საღამოს ჩვენს რესტორანში ჰქონდათ მაგიდა შეკვეთილი, გარეთ დარჩა. ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც ჩვენს რესტორანში აღნიშნავდა იუბილეს, უამრავ სტუმართან ერთად ქუჩაში დარჩა. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, ასე უპასუხისმგებლოდ არ უნდა იქცეოდეს თავმოყვარე სახელმწიფო დაწესებულება. არ მესმის, როგორ უნდა დავმალო გადასახადი, როდესაც თითოეულ სტუმარს ჩეკს ვატანთ. თუ მათ იციან სათანადო მეთოდი, კარგი იქნება, ჩვენც გვასწავლონ. რესტორნების ბიზნესი მოსკოვშიც მაქვს და იქ ანალოგიური პრობლემა არასოდეს მქონია. ალბათ „შავ სიაშიც“ იმიტომ მოვხვდი, რომ ე.წ. „კრიშა“ არ მყავს. როგორც გავიგე, „თავდაცვის“ ასეთი ფორმა საქართველოში აუცილებელი პირობაა ბიზნესის არსებობისთვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ფინანსური შემოწმების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თუ აქ საუბარია ე.წ. „წილებში ჩაჯდომაზე“, ჩვენი მხრიდან რაიმე გარიგებაზე წასვლა გამორიცხულია.

— **აბა, რას აპირებთ?**

— კარგი კითხვაა!.. მითხარით, რას უნდა ვაპირებდე, ან ვის მოვთხოვო ამ ქვეყანაში პასუხი?! 30 წელია, რუსეთში ვცხოვრობ, ქართველი ვარ, მაგრამ ჩემთვის მაინც უცხოა აქაური გარემო. საქართველოში იმიტომ გადავწყვიტე ბიზნესის დაწყება, რომ მინდოდა, ჩემს ქვეყანას დავბრუნებოდი და ბავშვები ქართულ ტრადიციებზე აღმეზარდა. როგორც ჩანს, ჩემი იმედი ფუჭი აღმოჩნდა. ალბათ მე ვარ ჩემი ქვეყნისთვის უცხო

გამოწვეულ ფინანსურ ზარალს, ეს არ უთქვამთ. წინასწარ არავის გავუფრთხილებივართ, რომ რესტორნის შემოწმებას აპირებდნენ. ფინანსურ პოლიციას არ გააჩნდა მოსამართლის ბრძანება ობიექტში შესვლის თაობაზე. ეს დოკუმენტი 48 საათის განმავლობაში უნდა წარმოგვიდგინონ და ჯერ კიდევ ველოდებით *(ინტერვიუ ჩაწერილია 29 ნოემბერს, საღამოს. — ავტ.)*. ჩვენი რესტორანი ფინანსური შემოწმების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ხომ შეიძლება ფინანსურმა პოლიციამ შედარებით ცივილიზებული მეთოდებით იმოქმედოს?! თუნდაც რამდენიმე საათით ადრე რომ დაერეკათ და გავეფრთხილებინეთ, თქვენს შემოწმებას ვაპირებთო, წინააღმდეგობას არავინ გაუწევდა. მათი შემოვარდნითა და გაუთლელი ქმედებებით კი უამრავი სტუმარი, რომელთაც იმ საღამოს ჩვენს რესტორანში ჰქონდათ მაგიდა შეკვეთილი, გარეთ დარჩა. ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც ჩვენს რესტორანში აღნიშნავდა იუბილეს, უამრავ სტუმართან ერთად ქუჩაში დარჩა. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, ასე უპასუხისმგებლოდ არ უნდა იქცეოდეს თავმოყვარე სახელმწიფო დაწესებულება. არ მესმის, როგორ უნდა დავმალო გადასახადი, როდესაც თითოეულ სტუმარს ჩეკს ვატანთ. თუ მათ იციან სათანადო მეთოდი, კარგი იქნება, ჩვენც გვასწავლონ. რესტორნების ბიზნესი მოსკოვშიც მაქვს და იქ ანალოგიური პრობლემა არასოდეს მქონია. ალბათ „შავ სიაშიც“ იმიტომ მოვხვდი, რომ ე.წ. „კრიშა“ არ მყავს. როგორც გავიგე, „თავდაცვის“ ასეთი ფორმა საქართველოში აუცილებელი პირობაა ბიზნესის არსებობისთვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ფინანსური შემოწმების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თუ აქ საუბარია ე.წ. „წილებში ჩაჯდომაზე“, ჩვენი მხრიდან რაიმე გარიგებაზე წასვლა გამორიცხულია.

— აბა, რას აპირებთ?

— კარგი კითხვაა!.. მითხარით, რას უნდა ვაპირებდე, ან ვის მოვთხოვო ამ ქვეყანაში პასუხი?! 30 წელია, რუსეთში ვცხოვრობ, ქართველი ვარ, მაგრამ ჩემთვის მაინც უცხოა აქაური გარემო. საქართველოში იმიტომ გადავწყვიტე ბიზნესის დაწყება, რომ მინდოდა, ჩემს ქვეყანას დავბრუნებოდი და ბავშვები ქართულ ტრადიციებზე აღმეზარდა. როგორც ჩანს, ჩემი იმედი ფუჭი აღმოჩნდა. ალბათ მე ვარ ჩემი ქვეყნისთვის უცხო და ზედმეტი. დავბრუნდები მოსკოვში და ძველებურად გავაგრძელებ ცხოვრებას.

ეჭვი თუ გაქვს, ამ ფორმით კი არ უნდა შევარდე, სადაც გაგიხარდება — პირველ რიგში, ეს ეჭვი უნდა დაასაბუთო. სწორედ ამისთვის არსებობს საკონტროლო შესყიდვები და სხვა ცივილიზებული ფორმები

ძალიან მტკივა გული, ამ სიტყვებს რომ ვამბობ, მაგრამ ალბათ, არ მაქვს სხვა გამოსავალი...

ახლა კი, ერთ-ერთი მოქალაქის პოზიციასაც გაგაცნობთ, რომელმაც, როგორც კლიენტმა, იზარალა ერთ-ერთი რესტორნის დალუქვის გამო.

მარინა ჩხეიძე:

— 28 ნოემბერს ჩემი უმცროსი გოგონას დაბადების დღეა. ნინიკო 10 წლის გახდა, ამიტომ მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, წვეულება რესტორანში გადაგვეხადა. წინადღეს, მაგიდა შევუკვეთეთ. ნინიკოს თანაკლასელები შუადღისთვის გვყავდა დაპატიჟებული, ხოლო საღამოს, ოჯახის მეგობრები და ნათესავები ვიკრიბებოდით. მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, მივედით რესტორანში. სუფრა უკვე გამზადებული იყო და ნინიკოს რამდენიმე მეგობარსღა ველოდებოდით, როდესაც ფინანსური პოლიცია მოვიდა. თავიდან, ვერავინ გავერკვიეთ, თუ რა ხდებოდა. ცოტა ხანში კი გამოგვიცხადეს, რომ ყველას უნდა დაგვეტოვებინა შენობა. რესტორნის ადმინისტრაცია იმდენად დაბნეული იყო, ვერაფრით აგვიხსნა, თუ რატომ გვიშვებდნენ გარეთ და ჩვენც ისე დავიბენით, იმწუთას აზრად არ მოგვსვლია, ფულის უკან დაბრუნება მოგვეთხოვა. ყველას დელიკატურად მოვგიბოდიშეს და სტუმრებთან ერთად, გამოგვაძევეს. დიახ, სწორედაც რომ გამოგვაძევეს, რადგან მოქცევის ამ ფორმას სხვას ვერაფერს ვუწოდებ. იმწუთას საშინლად შეურაცხყოფილი ვიყავი, ცალ-ცალკე ყველას ვუკავშირდებოდი და დაბნეული ვუხსნიდი, რომ რაღაც გაუგებრობის გამო, წვეულება ჩაიშალა. არ მესმის, ნუთუ არ შეეძლო ფინანსურ პოლიციას, წინასწარ გაეფრთხილებინა რესტორნის ადმინისტრაცია, რომ ობიექტში რეიდის ჩატარებას აპირებდა?! ასეთ შემთხვევაში ხომ არანაირი გაუგებრობა აღარ მოხდებოდა.

დაბოლოს, — ეკონომიკური ექსპერტის კომენტარი, რომელსაც ვფიქრობთ, ყური უნდა მიუგდონ ეკონომიკური პოლიტიკის „კანონმდებლებმა“...

ნიკო ორველაშვილი:

— ფინანსური პოლიციის ქმედების ეს ფორმა, გაცილებით უკეთესია, ვიდრე ის, რომელიც კაფე „ნიკალას“ რეიდისას გამოიყენეს, მაგრამ ვერც იმას დავიკვეხნით, რომ მსგავსი ქმედებებით სასურველი შედეგი იქნება მიღწეული. ეჭვი თუ გაქვს, ამ ფორმით კი არ უნდა შევარდე, სადაც გაგიხარდება — პირველ რიგში, ეს ეჭვი უნდა დაასაბუთო. სწორედ ამისთვის არსებობს საკონტროლო შესყიდვები და სხვა ცივილიზებული ფორმები, რომლის უფლებაც მინიჭებული აქვთ საგადასახადო ორგანოებს. ჩვენი ხელისუფლება წამით მაინც უნდა დაფიქრდეს, ამგვარი „კუნთების თამაში“ რა ასოციაციას გამოიწვევს ნებისმიერ ბიზნესმენში თუ პოტენციურ ინვესტორში.

— საზოგადოებაში სულ უფრო ხშირად ისმის ხმები — ხელისუფლების პირველი სამიზნე, მსხვილი ბიზნესმენები იყვნენ, ახლა საშუალო ბიზნესის რიგი დადგაო. როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება შემდეგი?..

— ძნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, მით უმეტეს, რომ ეს კითხვა ბევრს დაებადება — ვინ იქნება შემდეგი?.. თქვენ როგორ ფიქრობთ?..

— ალბათ წვრილი ბიზნესი?

— წვრილი ბიზნესის „შანტაჟი“ უკვე დაწყებულია, რადგან იმათაც კი, ვინც ცენტრალურ საავტომობილო ტრასაზე საკუთარი ჭირნახულით ვაჭრობს, საგადასახადოს თანამშრომლებმა ჩამოურიგეს სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები, რომლის თანახმადაც, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისთვის 400 ლარით დაჯარიმდებიან. ამიტომ მიჭირს თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა. პენსიონერებს ხომ არ უპირებენ ამის შემდეგ რამის წართმევას?.. ან იქნებ, მიცვალებულს გაძარცვავენ საფლავში?.. ამიტომ, რჩება მხოლოდ ერთი საშუალება: ან მეორე წრეზე უნდა დაიწყონ სიარული, ან ჯაჭვი გაწყდება და შემდეგი მოპასუხე შესაძლოა, თავად ხელისუფლება გახდეს.

„ეს სურათი ძალიან მიესადაგება ამ ვითარებას...“

— როგორც ეკონომიკურ ექსპერტს, რას გაგონებთ ხელისუფლების მარწუხებში მოქცეული ბიზნესი?

— ერთი სურათი მაქვს, რომელიც ძალიან მიესადაგება ამ ვითარებას: მასზე აღბეჭდილია ყანჩა, რომელიც ბაყაყს ყლაპავს; თავი უკვე მოქცეული აქვს ნისკარტში, მაგრამ ბაყაყს უკანასკნელ წამს მოუსწრია და ყანჩისთვის ყელში წაუჭერია თათი...

„ცბიერი მოთამაშე“: „იქ თანდათან ვრჩებოდი სიცოცხლის ყლიბლიბზე“

„ჯეობარი“ დასასრულს უახლოვდება და სიტუაცია თანდათან იძაბება. გასულ კვირას, მარი ნაკანი ყველასთვის მოულოდნელად ისევ პროექტში დააბრუნეს, მაგრამ იქ დიდხანს ვეღარ გაძლო. მარისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, მასავით შებერტყილმა ქმარმა და თვითონ გადაწყვიტეს, რომ ისევ ერთად იყვნენ, 5.000-ლარიანი ჯარიმის გადახდასაც არ შეუშინდნენ და 3 დღის დაბრუნებულმა მარიმ პროექტი კვლავ დატოვა. ვიდრე ის ბარში დაბრუნდებოდა, წინადღეს ყველასთვის საინტერესო „ლაივ-შოუ“ გაიმართა. აუტსაიდერის სკამებზე განუყრელი მეგობრები, რუხ კარდინალებად წოდებული გიორგი და ტატო აღმოჩნდნენ. გიორგისგან განსხვავებით, ტატო იქ ჯდომას ძალზე განიცდიდა, მაგრამ საბოლოოდ, პროექტი გიორგი ფოჩხუამ დატოვა, რომელიც დღეს ჩვენი რესპონდენტია.

ნათია ქივიძე
ლიკა ქაჯაია

— გიო, თავს როგორ გრძნობ, რაც პროექტი დატოვე?

— თავს კარგად ვგრძნობ, დეპრესიაში არ ვარ, თუმცა, გული ნამდვილად მწყდება, რადგან ძალზე შევეჩვიე იქაურობას. ბოლო 3 კვირის განმავლობაში, როგორც საკუთარ სახლში, უკვე ისე ვიყავი. დამავიწყდა კიდეც, რომ რეალითი-შოუში ვიყავი და ვთამაშობდი; ისე თავისუფლად ვიყავი, რომ მეგონა, იქიდან არასოდეს მომიწევდა გამოსვლა. შინ რომ დავბრუნდი, უცებ ვერ შევეგუე საკუთარ სახლს, თან იქ უამრავი ხალხი დამხვდა — მეგობრები, ნათესავები, ოჯახის წევრები... შუაში ჩამისვეს და ჩემი გამოკითხვა დაიწყეს. მთელი ღამე არ გვიძინია...

— რის გამო დაგწყდა გული — ბარი რომ დატოვე თუ ფული რომ ვერ მოიგე?

— იქ ისეთი სიტუაცია დავტოვე, რომ არ ვნანობ წამოსვლას. ასეთ სიტუაციაში იქ ყოფნა ნამდვილად არ მინდოდა. ძალიან დაიძაბა სიტუაცია. თამაში წეწვა-გლეჯით მიდის, მე კი ისეთი ადამიანი არ ვარ, რომ ფულის გამო ყველაფერი გავწირო. ფულის გამო ბევრი რამის გაწირვა გიწევს, საშინელებაა...

— ე.ი. არ ხარ რუხი კარდინალი, ცბიერი მოთამაშე...

— ნამდვილად არ ვარ და ვერც ვხვდები, რატომ შემარქვეს ასე. რასაც ვამბობდი, გულწრფელად ვამბობდი.

— ე.ი. იმ 35.000-თვის არ იბრძოდი?

— ბრძოლა ნამდვილად იყო. თამაშითაც, ყველა ვთამაშობდით, რადგან სხვანაირად ვერ გაქაჩავდი. მაგრამ ბოლოს, უკვე თამაშის სურვილიც აღარ მქონდა. იქ თანდათან არაჯანსაღი სიტუაცია ყალიბდება. თუმცა, ამ ყველაფრით კარგი გამოცდილება მივიღე. რა თქმა უნდა, ეს თანხა მინდოდა და ჩვენი ყველას მიზანი, მისი მოგება იყო, მაგრამ სხვა მიზნებიც არსებობს — თუნდაც, უბრალო ინტერესი...

— რაში ცდიდი შენს თავს — როგორც მსახიობს, თუ ისე, უბრალოდ, რამდენად შეეგუებოდი უცხო გარემოს?

— პირველ რიგში, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, თუ როგორ შევეგუებოდი უცხო გარემოს, რადგან პირველი 2 კვირა ძალიან ცუდად ვიყავი. ბევრი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ყველაფერს შევგუებოდი: კამერებს, ხალხს... მთელი საქართველო მიყურებდა და ყველაზე უნდა მეფიქრა — თუ როგორ შემაფასებდნენ. თუმცა, მეგობრებიც და ყველა ახლობელიც მიცნობს, როგორც უკომპლექსო, კომუნიკაბელურ და ძალიან თავისუფალ ადამიანს. იქ შებოჭილი ვიყავი და მეგობრები ბარში რომ ამოდიოდნენ, მეჩხუბებოდნენ — რას ჰგავხარ, რას აკეთებო?!. მერე ნელ-ნელა მომეხსნა დაძაბულობა და გავაქტიურდი.

— ამდენი ხნით თეატრალურ ინსტიტუტს რომ აცდენ, პრობლემები არ გექნება?

— არა, რადგან ვიდრე ბარში შევიდოდი, „რუსთავი 2“-მა ჩემს რექტორს განცხადებით მიმართა, შემდეგ კი, ჩემს რეჟისორს შეუთანხმდნენ, რომ 3 თვის განმავლობაში გავეთავისუფლებინე. ისინი შევიდნენ ჩემს მდგომარეობაში და გამიშვეს. ხვალიდან ინსტიტუტს დავუბრუნდები და კალაპოტში ჩავდგები.

— ყოველდღე ახალ-ახალ გმირებს რატომ იგონებდი?

— მეგობრებთან ერთად რაიმე სუფრა თუ „გაიჩითებოდა“ და „გრადუსში შევიდოდით“, მაშინვე გარეთ გავდიოდი და სხვა ფორმით ვბრუნდებოდი. გიჟდებოდნენ — ამწუთას ჩვენ გვერდით იჯექი და ასე უცებ საიდან მოიტანე ასეთი რამეო?!. უხაროდათ, რადგან ბევრს ვმხიარულობდით. ამ ყველაფერს მათ გასართობად ვაკეთებდი. საჭმელი რომ შემომქონდა, კარშივე მიჩნდებოდა ეს იდეები და იქვე ვახორციელებდი. აუტსაიდერის სკამზე რომ ვიჯექი, იქაც ვფიქრობდი — თუ პროექტს არ დავტოვებ, აუცილებლად კიდევ ბევრ რამეს გავაკეთებ-მეთქი. მართლაც, ბევრი იდეა მქონდა, მაგრამ არა უშავს. რადგან იქ მათი განხორციელება ვეღარ მოვასწარი, ცხოვრებაში აუცილებლად განვახორციელებ, უფრო დავხვეწ და ჩემს პროფესიაში გამოვიყენებ.

— რას ნიშნავდა შენთვის, როცა მამასახლისად გამოგაცხადეს?

— შემოვიდა წამყვანი, ნინო ხოშტარია და თქვა, რომ მამასახლისი უნდა ვყოფილიყავი, ე.ი. მე უნდა გამეკონტროლებინა სიტუაცია. პირველი დღე ძალიან კარგი იყო, რადგან ყველა მოთამაშე მომყვებოდა: ზოგმა ცოცხი აიღო ხელში, ზოგმა — ჩვარი; ბესომ სააბაზანო დაასუფთავა, რასაც დიტოს გამოხმაურება და აგრესია მოჰყვა... მოკლედ, ყველაფერი დაწკრიალდა. წინადღეს, ერთმანეთი „გავპასტეთ“ და სახლი საშინელ დღეში იყო, ნამდვილად სჭირდებოდა დასუფთავება. მიხაროდა, რომ ყველა მხარში ამომიდგა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ეზარებოდათ საქმის კეთება. ბევრჯერ დამივალებია გოგოებისთვის რაღაც, მაგრამ არ გაუკეთებიათ და იძულებული ვიყავი, მე გამეკეთებინა. არ ვიყავი მკაცრი, რადგან არ მიყვარდა სკანდალი და ინტრიგები, მით უმეტეს, ჭურჭლის რეცხვის გამო ვერ ავტეხდი ერთ ამბავს. თვითონ უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ რაღაცის გაკეთება აუცილებელი იყო. რაც შეეხება საჭმელს, ყოველთვის მე მომქონდა. ერთადერთი, კვირადღეს გვიჭირდა, რადგან თანხა არ გვყოფნიდა. თუმცა დარღვევები არ ყოფილა — როგორც ბესო აცხადებდა ხოლმე. 35 თეთრს მისდევდა, რატომღაც, ძალიან დაწვრილმანდა. მე ასეთი არ ვარ. რასაც ჩამომიწერდნენ, ყველაფერს ვყიდულობდი. რაც იმ სუპერმარკეტში არ იყო, რა მექნა, სად ვიყიდდი? მხოლოდ იქ შესვლის უფლება მქონდა.

— ალბათ უკვე იცი, რომ შენი ადგილი ბესომ დაიკავა. შენი აზრით, როგორ გაუძღვება ამ საქმეს?

— სახლი რომ დავტოვე, ინტერვიუს დროს მკითხეს — ვინ გინდა, შენი პოსტი დაიკავოსო? ნატა დავასახელე, რადგან ყველაზე მეტი პრეტენზია ნატას ჰქონდა. საჭმელთან დაკავშირებით ძალზე პრეტენზიული იყო და ვერ ვხვდებოდი, რატომ, რადგან ყველაფერი ხარისხიანი მომქონდა. ასევე, ითხოვდა კოსმეტიკას. მინდოდა, რომ ნატა ყოფილიყო დიასახლისი, რათა მიმხვდარიყო — ყველაფერი მხოლოდ ჩემზე რომ არ იყო დამოკიდებული. თუმცა, ინტერვიუშიც

აღვნიშნე — კი მინდოდა, ჩემი თანამდებობა ნატას დაეკავებინა, მაგრამ უეჭველად ბესოს დანიშნავენ-მეთქი. ჩემი ნათქვამი გამართლდა და მომავალშიც აუცილებლად გამართლდება. ბესო გახდება „ჯეობარი-2005“ — ასეთი წინათგრძნობა მაქვს. თანაც, ბესო თინეიჯერებს მოსწონთ... არც ერთ მათგანს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მათ უმრავლესობას მარტივი რალაცები მოსწონს და რთულ რამეს ვერ უღრმავდება...

— გინდა თქვა, რომ ბესო მარტივი ადამიანია?

— რა თქმა უნდა, ბესო მარტივი ადამიანია. ამიტომ დავუტოვე მას საჩუქრად გალაკტიონის წიგნი — იქნებ, ცოტა რამ გაიგოს. მას მართლა სჭირდება წიგნი, მხოლოდ ფული და ქალები არ არის საკმარისი ამ ცხოვრებაში. კი, ბატონო, ორივე ძალიან კარგია, მაგრამ განათლება აუცილებელია.

— ალბათ, ამ პროექტამდე, ტატოს არ იცნობდი. რატომ დაუმეგობრდი მაინცდამაინც მას?

— რა თქმა უნდა, არ ვიცნობდი. 3-4 დღე ტატოსთან განსაკუთრებული ურთიერთობა ნამდვილად არ მქონია, ყველასთან თანაბრად ვიყავი, მაგრამ მერე დავმეგობრდით, რადგან ტატო მართალი ადამიანია, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს, თან — მეგრელია, ჩემი „ზემლიაკი“ და კარგად გავუგეთ ერთმანეთს. მივხვდი, რომ ის ერთადერთი ადამიანი იყო პროექტში, რომლის ნდობაც შემეძლო. ჩვენ მაინც მოგვიწევდა ერთმანეთისთვის მინუსებისა და პლუსების დაწერა, რადგან ეს თამაშია. მაგრამ როცა იქიდან გამოვა, ისევ ვიმეგობრებთ. აქ არაფერ შუაში იყო კარდინალობა. გულწრფელად ვიტყვი, რომ ადრე, ერთ მინუსსა და პლუსზე გვქონდა შეთანხმება, მაგრამ კარდინალები ნამდვილად არ ვართ.

— ელოდი, რომ შენ აღმოჩნდებოდი ამ სკამზე?

— ველოდი. სამშაბათს ნატას პლუსი რომ დავუწერე, მაშინვე მივხვდი, რომ აუტსაიდერის სკამზე აღმოვჩნდებოდი. მე რომ მისთვის პლუსი არ დამეწერა, მაინც პლუს-კანდიდატი იქნებოდა, რადგან მას ბესომ და ქეთიმ დაუწერეს პლუსი. ისინი ნატასთან ახლოს არიან და შესაძლოა, ერთგვარი მოლაპარაკებაც ჰქონდათ. მერე, მარიც მოვიდა და მივხვდი, რომ ისიც ნატასა და ბესოს მხარეზე იქნებოდა. შემოვიდა თუ არა, მისი პირველივე სიტყვები იყო — შენ და ტატო კარდინალები ხართ და არ შეიძლება, სხვისი გაწირვაო. ვის ვწირავდით?.. ეს ხომ თამაშია! თამაშში ვიღაცა უნდა გაწირო და ვიღაცა — არა. არასწორი შეფასება გააკეთა. დიდ პატივს ვცემ მარის, ცუდი ადამიანი ნამდვილად არ არის, მაგრამ ასე არ უნდა ეთქვა. მისი შენიშვნის ფორმა ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ მოთამაშეზე არ ემოქმედა. თუმცა, მარის შემოსვლამდეც ვიცოდი, რომ იმ სკამზე მე დავჯდებოდი. ალბათ, მარიც ელაპარაკა ნატას და ყველამ ერთხმად გადაწყვიტეს ეს.

— ნატაზე ნაწყენი თუ ხარ?

— არა. მაგრამ ასე არ უნდა მოქცეულიყო. არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. ისე, ნაწყენი არავისზე არ ვარ: ეს ხომ რეალითი-შოუა.

— საინტერესოა, ხელშეკრულების გაფორმებისას თუ იცოდით, რომ შესაძლებელი იყო, გავარდნილი მოთამაშე დაბრუნებულიყო?

— ხელშეკრულებაში იყო მითითებული, რომ თამაშის დროს, შესაძლებელი იყო ცვლილებები. ესეც ერთ-ერთი ცვლილებაა. თამაშის ბოლოს, სახლში მხოლოდ ერთი ადამიანი უნდა დარჩეს. ამიტომ შემოიყვანეს კიდევ ერთი მოთამაშე, რომ ბოლოს, ორი დარჩენილიყო და მაყურებელს ამ ორიდან ერთ-ერთი აერჩია.

— ბესომ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ შენ ნატა მოგწონდა...

— არავითარ შემთხვევაში. მე ნატას მიმართ არანაირი გრძნობა არ მაქვს.

— აბა, ფურცელზე რატომ დაუწერე — ნატ, ძალიან მიყვარხარო? ეს კამერებმა დააფიქსირეს.

— არ ვიცი, რომელ ფურცელზე მელაპარაკები, ასეთი რამ არ მახსოვს. ნატას მიმართ სიყვარული ნამდვილად არ მქონია. რომ მყვარებოდა, ვიტყოდი, რა მაქვს დასამალი?! არ მაქვს ამის კომპლექსი. სიურპრიზსაც ბევრს მოვუწყობდი.

— ახლა ალბათ ტატოს გულშემატკივრობ, ხომ?

— არა, ყველას ვგულშემატკივრობ. არ ვარ შურიანი და ბოღმა.

— როცა აუტსაიდერის სკამზე ოჯექი, რა გრძნობა გქონდა?

— ძალიან კარგი გრძნობაა.

— მართლა? ეი. ბესო სამჯერ რომ ოჯდა მაგ სკამზე, კარგად უგრძნია თავი...

— არა, იმას ეტყობოდა, რომ არც ისე კარგად იყო. ძალიან ნერვიულობდა. მხოლოდ ფაფახი ჩანდა, ბესო — არა. მე არ ვღელავდი ისე და ეს ყველამ აღნიშნა. 7000 ხმა მივიღე და ეს ძალიან სასაცილოა, რადგან, რაც გარეთ გამოვედი, იმდენი უცნობი ადამიანი მხვდება და მეუბნება, რომ მე მგულშემატკივრობდა, რომ საიდან უნდა მოგროვილიყო ამდენი ხმა, არ ვიცი... ამას წინათ, სამმა მანქანამ გამიჩერა, მინა ჩასწიეს

მერე დავმეგობრდით, რადგან ტატო მართალი ადამიანია, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს, თან — მეგრელია

დიდ პატივს ვცემ მარის, ცუდი ადამიანი ნამდვილად არ არის, მაგრამ ასე არ უნდა ეთქვა

და დამიძახეს, გიო, მაგარი ჯიგარი ხარ, შენს მხარეზე ვიყავითო!.. ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, რომ იქიდან გამოსულს, ხალხისგან უარყოფითი დამოკიდებულება არ მეგრძნო, მაგრამ პირიქით არის — ყველა დადებითად მხვდება.

— როგორც ვიცი, აუტსაიდერის სკამზე შეიტყვე, რომ უფროსი და გაგიბედნიერდა...

— დიახ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მე დამასახელებდნენ. როცა ტატო აუტსაიდერის სკამზე დაჯდა, მინდოდა, მეც მაშინვე იმ სკამზე დავმჯდარიყავი, მაგრამ მაინც თავი შევიკავე, რადგან წესი — წესია. როგორც კი სკამზე დავჯექი, მაშინვე ჩემებს გადავხედე, რომლებმაც ხელით მანიშნეს — ანა წავიდაო. ძალიან გამიხარდა, მაშინვე მინდოდა იმ სკამიდან ადგომა და სახლში წასვლა... ჩემი დის გათხოვებამ ჩემი ბარიდან გამოსვლა გაანეიტრალა. ზუსტად შაბათს, „ლაივ-შოუს“ დღეს გაიპარა.

— შენი აზრით, ამ შაბათს ვინ დაჯდება აუტსაიდერის სკამზე?

— ჩემი ვარაუდით, მინუს-კანდიდატი, ქეთი გახდება. პლუს-კანდიდატი ვინ იქნება, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ აუტსაიდერის სკამეზზე რომ დიტო და ქეთი დასხდებიან, ეს ნამდვილად ვიცი. თამაშს ალბათ ქეთი დატოვებს...

მართალია, გიორგის საკმაოდ ვრცლად ვესაუბრეთ, მაგრამ პროექტში მის მონაწილეობასთან დაკავშირებულ გარემოებებზე სალაპარაკოდ, მის დას, ***ელენესაც*** *შევხვდით.*

— ეს პროექტი ძალიან მომწონს. ყველაფერი ხარისხიანად და კარგადაა გაკეთებული. მაგრამ ასეთი შოუსთვის მაყურებელი მზად არ არის...

— ამ პროექტში გიორგი როგორ აღმოჩნდა?

— თავიდან, ოჯახის წევრებმა მხოლოდ ის ვიცოდით, რომ გიორგიმ საბუთები სადღაც შეიტანა და კასტინგებზე დადიოდა.

— შენ თვითონ მიიღებდი „ჯეობარში“ მონაწილეობას?

— ამაზე არ მიფიქრია. ალბათ — არა. მე უფრო მომღერალი ვარ *(იცინის).*

— მომღერლის პროფესია ხელს რაში შეგიშლიდა?

— ჩემი საქმეებით ისე ვარ დაკავებული, რომ ვფიქრობ: ის დრო დამეკარგებოდა, რომლის განმავლობაშიც იქ ყოფნა მომიწევდა.

— ანუ ფიქრობ, რომ ამ პროექტში გატარებული დღეები დროის უქმად ფლანგვაა?

— ამაზე პასუხს ვერ გაგცემ *(იცინის)*.

— და მაინც, „ჯეობარში“ მონაწილეობის სურვილი რომ გამოგეთქვა, გიორგი დაგთანხმდებოდა?

— არ ვიცი, მაგრამ ასეთი სურვილი არ გამიჩნდებოდა. მე ვერ შევეგუებოდი ამდენი ადამიანის ხასიათს, ფსიქიკას. მათნაირად ვერ ვითამაშებდი. ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

— პროექტის ხელშეკრულების თანახმად, თავიდან ოჯახის წევრებს „ჯეობარის“ მონაწილის მონახულება და მასთან საუბარი შეეძლოთ, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, ეს შეიცვალა.

— ეს ხელშეკრულება თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ბოლო დროს რაღაცები შეცვალეს... თავიდანვე, გიორგი დიდ დროს ვერ გვითმობდა, თავისი საქმით იყო დაკავებული. ბარში ისეთი სიტუაცია იყო, რომ ერთმანეთს მხოლოდ ვესალმებოდით. მეგობრებთან ერთად მისული, შორიდან ვაკვირდებოდი ჩემს ძმას.

— ამ დაკვირვების შედეგად, მასში ხომ არ აღმოაჩინე ისეთი რამ, რაც ადრე არ შეგიმჩნევია?

— არა, ის ისეთივე გიორგი იყო, როგორიც ცხოვრებაში. სულ მხიარულ გუნებაზეა, იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობა აქვს.

— როგორ ფიქრობ — ამ შოუში „ბინძური“ თამაში უნდა შეგეძლოს?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია — საკმაოდ მაცდური უნდა იყო იმისათვის, რომ თამაშის ბოლომდე მიაღწიო, ყველაფერი უნდა გათვალო. სხვათა შორის, გიორგიზეც ამბობდნენ: მაცდურიაო *(იცინის)*. არ მინდა ძმის ქებაში ჩამითვალოთ, მაგრამ ის, როგორც გიო თამაშობდა, ძალიან მომწონდა. მგონი, ყველაზე კეთილი მოთამაშე იყო. სხვას ვერაფერს ვიტყვი.

— ბოროტ მოთამაშედ ვის თვლი?

— არავის დავასახელებ. ამას ხალხი ისედაც დაინახავს, მიხვდება და მერე მის განსჯასაც დაიწყებენ. მე კი ვთვლი, რომ არც სხვისი დაბეზღების და არც განსჯის უფლება არ მაქვს.

— ამბობენ: გიორგის და ნატას ერთმანეთი შეუყვარდათო...

— რა სისულელეა?! არანაირი სიყვარული არ ყოფილა. გიოს პროექტის დატოვების შემდეგაც ვკითხე: მართალია-მეთქი? — ხომ არ გაგიჟდიო?! — მიპასუხა.

— ეკ. ნატა არ მოგწონს?

— მომწონს. რა?.. კარგი გოგოა, ლამაზი, მიმზიდველი. სხვას ვერაფერს გეტყვი, რადგან ამ ადამიანს არ ვიცნობ.

— როგორ ფიქრობ — შენს მშობლებს მოეწონებოდათ ნატასნაირი სარძლო?

— რა გითხრა?.. როცა ნატა და გიორგი ჩინურ რესტორანში წავიდნენ, დედას დავურეკე და ვუთხარი — ხედავ, შენი შვილი რა დღეშია-მეთქი?! მიპასუხა: რა ვქნა, ეს ხომ თამაშია, თან ჩემი შვილი ბიჭია და მე სანერვიულო რა მაქვსო?!. ბებიაჩემს კი ამაზე საშინელი რეაქცია ჰქონდა: აიტ, ეს რა ხდებაო! — კიოდა... გიოს მეორე დღესვე ვკითხე: ეს რა სცენები იყო-მეთქი? იქ ისეთი არაფერი მომხდარა, ყველაფერი დამონტაჟებული იყოო, — მიპასუხა.



მაგრამ ასე არ უნდა მოქცეულიყო

— „ჯეობარის“ მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ ე.წ. რუხ კარდინალებს (გიორგი და ტატო) შორის რაღაც შეთქმულება იყო. ამაზე რას იტყვი?

— როცა გიორგის „ლაივ-შოუზე“ ვაკითხავდი და ვეკითხებოდი ხოლმე — რა ხდება-მეთქი? მეუბნებოდა — გუნდი ერთიანი არ არისო. ერთხელ ვუთხარი: შენ და ტატოს რუხ კარდინალებს გიწოდებენ-მეთქი. რეაქცია არ ჰქონია: რას გვეძახიან, არ მაინტერესებს, ჩვენ უბრალოდ, ძალიან გვინდა, ბარი მაგრად ავამუშაოთ, კარგი „ფართები“ მოვაწყოთ, მაგრამ ამის საშუალებას თვითონ მონაწილეები არ გვაძლევენ, ვერაფერსაც ვერ ვაკეთებთო... ჯგუფი ამ ორ ადამიანს ვერ აჰყვა, ამიტომაც უწოდეს მათ რუხი კარდინალები და შეთქმულები.

— გიორგი ამ პროექტში თანხის გამო მივიდა?

— გიორგის ისეთი ასაკი და პროფესია აქვს, რომ მისთვის მთავარი ის იყო, პოპულარული გამხდარიყო. თუმცა, თანხასაც ჰქონდა მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, ყველა მონაწილე ფიქრობდა იმაზე, თუ რაში დახარჯავდა ფულს.

— როგორც ვიცი, იმ დღეს, როცა გიორგიმ პროექტი დატოვა, შენ მის გვერდით არ იყავი.

— მშობლებთან, ქალაქ ზუგდიდში ვიყავი წასული. პროექტს თვალს ტელეეკრანიდან ვადევნებდი, სიტუაციას ვაკვირდებოდი. ძალიან ვინერვიულე, ლამის ცუდად გავხდი, მაგრამ გიომ შეძლო პროექტიდან ღირსეულად წამოსულიყო.

— რას გულისხმობ?

— გიორგიმ ამ შოუში თავისი ნამდვილი სახე — ადამიანობა აჩვენა ყველას. მეამაყება, რომ ბინძურად არ უთამაშია, ცუდი არაფერი ჩაუდენია. ის ვიღაც-ვიღაცებმა ვერ შეაცდინეს და სიბინძურეში ვერ ჩაითრიეს. გიო პროექტის დატოვების შემდეგ, მეორე დღესვე ზუგდიდში ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა „გალა-2005“-ს (კონცერტი, რომელიც ქალაქ ზუგდიდში ყოველ წელს იმართება) დაემთხვა. კონცერტში მონაწილეობა მიიღო. პრიზიც აიღო ერთ-ერთ ნომინაციაში და ხალხის ოვაციებმა, სითბომ საერთოდ დაავიწყა ის, რომ წინაღამეს „ჯეობარი“ დატოვა.

— ეკ. გიორგი მღერის კიდეც?

— ერთი სიმღერა ჩაწერილიც აქვს. გუშინწინ გამოგვიცხადა: სერიოზული სიმღერა უნდა ჩავწეროო. პროექტიდან გიოს წამოსვლას, ჩემი დის გათხოვებაც დაემთხვა!..

— „ჯეობარის“ ყურებას გააგრძელებ თუ არა და ვის უგულშემატკივრებ?

— კი, რადგან მაინტერესებს — რა კრიტერიუმით ფასდება ადამიანი, როგორმა ადამიანმა უნდა გაიმარჯვოს ამ პროექტში... რაც შეეხება გულშემატკივრობას — ადრე „ვბალელშიკობდი“ თეოს (ბარსა), ტატოს, თეო-თეოს. ამ უკანასკნელს იმიტომ, რომ მართლაც ისეთი ქალი იყო, როგორიც უნდა იყოს ქართველი მანდილოსანი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბარიდან ღირსეულად წამოვიდა... ბევრი ამბობს: დიტო, რაღაც „ვერ არისო“. მე ის არანაირად არ მაღიზიანებს, პირიქით — მაგის გამოხდომებზე მაგრად ვხალისობ, ვერთობი. დღესდღეობით ამ პროექტში ერთადერთი ადამიანია ტატო, ვისაც მთელი სულით და გულით ვგულშემატკივრობ. ■

ამბავი, რომლის შესახებაც წინამდებარე სტატიაში გამცნობთ, ზოგიერთმა შეიძლება, უბრალო ადმიანურ ახირებასთან გააიგივოს, ვიღაცას შეიძლება შეშურდეს კიდეც ჩვენი რესპონდენტის — ეს რა კარგი იდეა მოსვლია აზრად, როგორ დამასწროო?! ვიღაცამ შეიძლება ყურადღებაც არ მიაქციოს საქართველოში „ესპანეთის სახლის“ თავმჯდომარის, გიორგი გოგეჩიას გადაწყვეტილებას. ის კი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რას იფიქრებს, საქართველოდან ესპანეთში ჩასვლას ველოსიპედით აპირებს. თუმცა, ეს არ არის სპორტული რეკორდის დამყარების მცდელობა. გიორგი ფიქრობს, რომ ასე შეძლებს დაეხმაროს სამშობლოს, ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანასთან პოლიტიკური ურთიერთობების განმტკიცებაში. იგი თვითონ გვიამბობს იმის შესახებ, თუ რამ გადააწყვეტინა აღნიშნული აქციის მოწყობა და რა აქვს მიზნად. ამჯერად გიორგი ცნობილ მოგზაურთან და რეკორდსმენთან, ჯუმბერ ლეჟავასთან ვარჯიშობს და ველოსიპედის მართვის ხელოვნებას ეუფლება.

ველოსიპედით ესპანეთიდან ესპანეთამდე

„უფლისწულის საფლავს ქართულ მიწას დავაყრი და ღვინოსაც ქართული წესით წავუქცევ“

ეკა ლომიძე

— ესპანეთში ველოსიპედით ჩასვლის იდეა გამიჩნდა 2003 წლის ნოემბერში, რევოლუციის დღეებში. დიდხანს ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა, საქართველო-ესპანეთის ურთიერთობების გაუმჯობესებაში წვლილი შემეტანა. მართალია, პოლიტიკური ურთიერთობები არსებობს ამ ორ ქვეყანას შორის, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის, რადგან ყველაფერი ოფიციალური ხელშეკრულებებითა და კონტრაქტებით შემოიფარგლება და არაფერი კეთდება ადამიანების ერთმანეთთან დასაახლოებლად. სხვათა შორის, ესპანეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო. მიუხედავად ამისა, ესპანელებმა თითქმის არაფერი იციან ქართველების შესახებ, რა გვაკავშირებს ერთმანეთთან და საიდან მოდის ეს კავშირები... წელს უნდა განმეხორციელებინა ჩემი აქცია, მაგრამ ფინანსური საკითხების მოუგვარებლობის გამო, მოგზაურობა მომავალი წლისთვის გადავდე. 2006 წლის 7 აპრილს, ხარების დღესასწაულზე, წმინდა სამების ტაძრის ეზოდან გავალ და უკან დავბრუნდები 3 ოქტომბერს. ბოლო გაჩერება სამების ტაძრის კართან იქნება.

— დარწმუნებული ხარ, რომ ასეთ მოკლე დროში ჩაეტევი? ისე ხომ არ გამოგივა, რომ ჩასვლისთანავე, უკან გამობრუნებამ მოგიწიოს?

— ზუსტად ჩავეტევი დროში. შედგენილი მაქვს რუკა და ვიცი, რომელი გზა უნდა გავიარო და როგორ, სად უნდა შევჩერდე. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ შემთხვევაში, სუპერმოგზაური მყავს კონსულტანტად. ბატონი ჯუმბერი რომ არა, ძალიან გამიჭირდებოდა. 15 წლის ვიყავი, ბოლოს, ველოსიპედზე რომ ვიჯექი და სანამ ესპანეთში მოგზაურობის იდეა გამიჩნდებოდა, აზრად არ მომსვლია ველოსიპედით გასეირნება. შეიძლება, ვიღაცისთვის ეს სისულელე და ახირებაა, მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ ამ ნაბიჯით ორი ქვეყნის ხალხს შორის მეგობრობის ხიდის გადებას ჩაეყრება საფუძველი. თან, ჩვენ ხომ ბევრი რამ გვაქვს საერთო. ესპანეთი ხომ წინათ, იბერიის სახელით იყო ცნობილი. ჩემი ოცნებაა, ორი იბერიის დამაკავშირებელი ყველა საიდუმლო გაცხადდეს. ვფიქრობ, თუ ესპანელები და ქართველები ერთმანეთს ძალზე დაუახლოვდებიან, შეძლებენ საერთო ფესვის მიგნებას. ერთ დროს, ქართველებსა და ესპანელებს შორის ურთიერთობები ძალიან მჭიდრო იყო.

— ველოსიპედი გყავს?

— დიახ. შევიძინე ცოტა ხნის წინ, ზუსტად ისეთი, როგორიც ამ საქმეს სჭირდება. ამასთან, ჯუმბერ ლეჟავას მითითებით, ჯერ ფიზიკური მომზადება დავიწყე ტრენაჟორებზე. თავიდან მეგონა, რომ ველოსიპედით ერთ მეტრსაც ვერ გავივლიდი, მაგრამ უკვე კარგი შედეგი მაქვს. ვარჯიშის დაწყების შემდეგ, დიდი სიამოვნება მივიღე, თუნდაც იმიტომ, რომ დავრწმუნდი ჩემს ძალებში. ფიზიკური ვარჯიშის გარდა, სულიერადაც ვემზადები. წინანდელთან შედარებით, უფრო ხშირად დავდივარ ეკლესიაში. სპეციალურ ლოცვებს ვკითხულობ, ქართველი ერისთვის. მინდა, საბერძნეთში გავლისას, ათონის მთაზე ავიდე და ერთი დღე მთლიანდ ქართველი ხალხისთვის ლოცვაში გავატარო, რათა საქართველო მალე დადგეს ფეხზე, გაერთიანდეს და მყარად დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიოში.

— რატომ მაინცდამაინც ველოსიპედი აირჩიე და არ მიდიხარ ფეხით ან ცხენით?

— მართალია, ფეხით უფრო ადვილია მანძილის დაფარვა, ვიდრე ველოსიპედით, მაგრამ ფეხით სიარული ბევრ დროსაც მოითხოვს. რაც შეეხება ცხენს, ეს ძვირი სიამოვნებაა. წარმოიდგინეთ, ჩემი საკვების გარდა, ცხენის საკვებზეც უნდა ვიზრუნო. ველოსიპედი კი, გარდა იმისა, რომ იაფი გადაადგილების საშუალებაა, ურთიერთობების დამყარებასაც აიოლებს. ისე, ვერ წარმომედგინა, თუ ოდესმე ველოსიპედით ვიმოგზაურებდი და თანაც, ამხელა მანძილზე. ჯუმბერ ლეჟავა რომ წავიდა სამოგზაუროდ, ძალიან მიკვირდა, ვფიქრობდი — ნეტავ, რა რჯიდა-მეთქი?.. ეს არის შესანიშნავი ადამიანი, რომელსაც ნებისმიერ ქვეყანაში თან გადაჰყვებოდნენ, მის მიერ დამყარებული რეკორდის გამო, აქ კი, ერთი წიგნის დასაბეჭდადაც არ მისცეს მიზერული თანხა. რაც მან ჩაიწერა, ეს ხომ ისტორიაა, რომელსაც ერთ დღეს, ქართველის და საქართველოს სახელით გამოიყენებს ვიღაც. არ მესმის, რატომ ვუშვებთ ასეთ შანსებს ხელიდან. ცნობილი მოგზაურების — მაგელანის და კოლუმბის მარშრუტებიც კი ვერ შეედრება ლეჟავას მოგზაურობას.

— ესპანეთში თუ იციან, ჩასვლას რომ აპირებ?

— ამის შესახებ იცის ესპანეთის ელჩმა რუსეთში. მოგეხსენებათ, საქართველოში ესპანეთის საელჩო არ არის. ელჩმა მოსკოვში მიმიწვია, ძალიან სურს ჩემთან შეხვედრა, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ მივდივარ. იმ ქვეყნების ვიზები მაქვს გასაფორმებელი, რომლებშიც გავლა მომიწევს.

— ალბათ ელჩი მიხვდა, ველოსიპედით უბრალოდ, რეკორდის დამყარებას რომ არ აპირებ.

— როგორც ჩანს, მიხვდა და ამანაც განაპირობა მისი დიდი დაინტერესება. ველოსიპედს მართლაც, უფრო ყურადღების მისაქცევად ვიყენებ: ხალხი მოგზაურს, თანაც ველოსიპედიანს, ყველგან ყურადღებას აქცევს. ესპანეთის 52-ვე პროვინციას დავივლი და იქაურებს ჩვენი ხალხის შესახებ ვუამბობ. მათ მართლაც, არაფერი იციან იმის შესახებ, რომ სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი არსებობის ისტორია გვაქვს და დმანისის გათხრების თანახმად, ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ. ვუამბობ მათ, თუ როგორი კულტურა შევქმენით ჩვენი არსებობის მანძილზე.

— ესპანეთში შენი მოგზაურობა ერთგვარი პასუხიც ხომ არ იქნება? ვგულისხმობ, ცნობილ ესპანელ მწერალ და მოგზაურ ქალს, კარლა სერენას, რომელმაც XIX საუკუნეში ორჯერ იმოგზაურა საქართველოში.

— სერენამ ცხენით იმოგზაურა... ეს ნამდვილად არ არის პასუხი, მაგრამ სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ამ ქალბატონმა დიდი საქმე გააკეთა მაშინ. საქართველოში კარლა სერენას მოგზაურობას გაზეთი „დროება“ გამოხმაურებია: „ამ დღეებში ჩვენ გვესტუმრა გამოჩენილი მოგზაური ქალი კარლა სერენა, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის წინათაც იყო ჩვენში კავკასიის გასაცნობად და ასაწერად. როგორც თვითონ გვიამბო, მიზეზი ახლანდელი მოგზაურობისა არის შემდეგი — გამოჩენილმა პარიზის მბეჭდავმა ჰაშეტმა იკისრაო გამოცემა სურათების ჩემი კავკასიაში მოგზაურობისა, რომელიც ადრე ჟურნალ „ტურ დე მონდ“-ში იყო დაბეჭდილი. ზოგიერთ პირებს ვთხოვე კახეთისა და აფხაზეთის სურათები და ტიპები გამოეგზავნათ, მაგრამ რადგან არავინ შემისრულა ეს თხოვნა, მე თვითონ შევისწავლე ვენაში ფოტოგრაფიის ხელობა. მინდა, ხელმეორედ გავიარო ეს მხარე და ადგილის, მცხოვრებლების, მონასტრისა და სხვა სურათები გადავიღოო. ამის გამო ქალი კარლა სერენა ამ დღეებში აფხაზეთისაკენ აპირებს გამგზავრებას და იქიდან დაბრუნების შემდეგ კახეთში წავა. რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი სტუმართმოყვარე ხალხი ამ მხნე ქალს,

რომელიც ასე თამამად მოგზაურობს მარტოდმარტო ჩვენს ქვეყანაში, ყოველ შემწეობას აღმოუჩენს და ამით თავის ქვეყანასაც სარგებლობას მოუტანს, რადგან ყოველს შემთხვევაში კარგია, რომ ჩვენი ქვეყანა და ხალხი ევროპამ გაიცნოს“, — ვკითხულობთ „დროებაში“. სერენას მიერ მოპოვებულმა ისტორიულმა და ეთნოგრაფიულმა მასალებმა ძალზე დაინტერესა მსოფლიო. პირველად მადრიდში წაიკითხა ლექცია საქართველოსა და კავკასიის თემაზე. შემდეგ, როგორც ცნობილია, ევროპის ყველა ქვეყანა იწვევდა, რათა მისი საშუალებით გაეგოთ ევრაზიის იმ ნაწილის მდგომარეობის შესახებ, სადაც რუსეთი დამპყრობლურ პოლიტიკას ახორციელებდა და ევროპელები ომების გამო მოგზაურობას ერიდებოდნენ. სერენას მასალებით განსაკუთრებით დაინტერესებულა ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოება. პირველი ჩამოსვლისას, ესპანელ ქალბატონს იმდენად მოსწონებია საქართველო, რომ ვენაში საგანგებოდ შეუსწავლია ფოტოგრაფია და მეორედ ჩამოსულს, უამრავი საინტერესო ფოტო გადაუღია. უნიკალური ალბომიც შეუქმნია საქართველოს თემაზე. სამწუხაროდ, ქართულად ნათარგმნი არ არის სერენას მიერ მის სიცოცხლეშივე წიგნად გამოცემული მასალები საქართველოს შესახებ, სახელწოდებით „კავკასია.“ არც ის სტატიებია ცნობილი, რომლებიც წიგნის გამოცემამდე დაიბეჭდა ესპანურ და ფრანგულ პრესაში. „ესპანური სახლის“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ისიც არის, რომ ეს ყველაფერი ქართველი ხალხისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ. აფხაზებმა უკვე თავიანთი სურვილისამებრ გამოიყენეს სერენას შთაბეჭდილებები: ახლახან მათ გამოსცეს წიგნი, რომელშიც მოყვანილია ფრაგმენტები ესპანელი ქალის მოგზაურობიდან. აფხაზებმა სერენას შთაბეჭდილებებსაც მათ-



სამწუხაროდ, საქართველოში ყველა ეროვნულ საქმეს „კაპიკები“ ხმარდებოდა და დღესაც ასეა...

თვის სასურველი ინტერპრეტაცია მისცეს...

— თუ გეხმარება ვინმე ფინანსურად ჩანაფიქრის განხორციელებაში?

— სამწუხაროდ, ბიზნესმენთა ამით დაინტერესება ძნელად ხერხდება. ბევრს ეცინება, ჩემს იდეას რომ მოისმენს. მე კიდევ, მათზე მეცინება, რადგან ისინი დროის მხოლოდ ვიწრო მონაკვეთით საზღვრავენ ადამიანის მოქმედების მნიშვნელობას, ვერ წარმოუდგენიათ, დღეს რა აზრი აქვს საზოგადოებისთვის, თუნდაც საუკუნეების წინ საქართველოში მყოფ მოგზაურთა ჩანაწერებს... მათი საშუალებით, ერები ისტორიას აცოცხლებენ, ისეთ რაღაცებს იგებენ საკუთარი არსებობის, ხასიათისა და კიდევ ბევრი სხვა რამის შესახებ, რაზეც თვითონ არასდროს გაუმახვილებიათ ყურადღება. სამწუხაროდ, საქართველოში ყველა ეროვნულ საქმეს „კაპიკები“ ხმარდებოდა და დღესაც ასეა...

— რამდენი კილომეტრის გავლა მოგიწევს?

— დაახლოებით 18 ათასის. ევროპაში ძალზე პოპულარულია ველოსიპედით მოგზაურობა, მაგრამ ევროპელ მოგზაურთათვის, ჩემ მიერ გასავლელი მანძილის ნახევრის დაფარვაც კი წარმოუდგენელია.

— როგორც ვიცი, ამ მოგზაურობას, იოანე მთაწმინდელსაც უძღვნი.

— დიახ, ვუძღვნი ამ წმინდანის დაბადებიდან 1000 წლისთავს. იოანე მთაწმინდელისთვის ცნობილი იყო ესპანეთის იბერიის შესახებ და ამიტომაც, მას განზრახული ჰქონია, „ესპანელი ქართველების“ მონახულება, მათი ყოფის შესწავლა. ამისათვის ის მომზადებულა კიდეც, მაგრამ მოულოდნელად ავად გამხდარა და მალე გარდაცვლილა. ასე რომ, იდეა განუხორციელებელი დარჩა. მე ფაქტობრივად, მისი ოცნების განხორციელებას ვაპირებ. ათონის მთაზე იმიტომაც ავდივარ, რომ იქ ქართული სალოცავების დამაარსებელი სწორედ იოანე მთაწმინდელი იყო. მის მიერ დაარსებული ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში ქალკედონის ნახევარკუნძულზე წარმოადგენდა ყველაზე დიდ საგანმანათლებლო კერას. მონასტერი 980-983 წლებშია აშენებული. ამ მოგზაურობას ასევე ვუძღვნი საქართველოს დამოუკიდებლობის 15 წლისთავს და ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, მოგზაურობა აფხაზეთიდან რომ დამეწყო... ესპანეთში მიმაქვს ქართული მიწა, რომელიც მინდა, საქართველოს მეფეთა პირდაპირი შთამომავლისა და ტახტის მემკვიდრის, ირაკლი ბაგრატიონის საფლავს დავაყარო. ამასთან, მინდა, ქართული წესით, საფლავზე ღვინოც წავუქციო... მადრიდში 26 მაისისთვის უნდა ჩავიდე, ასე მაქვს დაგეგმილი. ცოტა გამიჭირდება ასე სწრაფად სიარული, მაგრამ ძალიან მინდა, მადრიდში დანიშნულ დროზე ჩასვლა და დამხვდურთაგან მოლოცვების მიღება.

— როგორც აფხაზეთიდან დევნილი, როგორ ფიქრობ — საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება შეძლებს აფხაზეთის დაბრუნებას?

— აფხაზეთის საკითხი სამწუხაროდ, არ არის დამოკიდებული მხოლოდ ხელისუფლებაზე. იგი რაღაც კანონზომიერებას დაქვემდებარებული გახდა. საქართველოში და კერძოდ, აფხაზეთში იმდენი ქვეყნისა და ძალის ინტერესი იკვეთება, რომ უნდა დადგეს დრო, როდესაც ყველა შეძლებს შეთანხმებას იმაზე, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებში შედის. ეს კი შესაძლებელია ქართველების აქტიური მოქმედებით. შევნატრი იმ დღეს, როდესაც არ გამიჩნდება სურვილი გავიმეორო დიდი ილიას სიტყვები: „ოჰ, ღმერთო ჩემო სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება...“

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
822-009-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

„ცოლმა თავად გამომიცხადა, გლალატობო“

„ის დედას განზრახ თოფს არ ესროდა“

ჭიათურის რაიონის მკვიდრი, 78 წლის მოხუცი, სასამართლოს წინაშე ცოლის განზრახ მკვლელობის ბრალდებით წარდგა. პროკურატურის განცხადებით, დანაშაული მან ეჭვიანობის გამო ჩაიდინა. რევაზ გეგეშიძემ მეუღლეს, რომელთანაც ერთ ჭერქვეშ 53 წელი გაატარა, მოულოდნელად სანადირო თოფი დაუმიზნა და ორჯერ გასროლით ადგილზევე მოკლა. გამოძიების მასალების მიხედვით, დანაშაულს მათი უფროსი ქალიშვილი შეესწრო. ის მკვლელობის ერთადერთი თვითმხილველია. განსასჯელმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და სასამართლოზე დანაშაულის სულ სხვა ვერსია დააფიქსირა.

2004 წლის 3 აგვისტოს ნათელა გეგეშიძე მეუღლის — რევაზ გეგეშიძის დაუკითხავად, შვილებმა სამკურნალოდ ქალაქ წყალტუბოში გაგზავნეს. ნათელა გეგეშიძე იქიდან 28 აგვისტოს დაბრუნდა. ამ ფაქტმა მისი ქმარი გააღიზიანა, თუმცა შინ მისულ ცოლს მაშინვე არ უსაყვედურა. მხოლოდ მეორე დილით ჰკითხა განაწყენებულმა, თუ რატომ დააგვიანა ჩამოსვლა. ცოლ-ქმარი შელაპარაკდა. ამ დროს (პროკურატურის საბრალდებო დასკვნისა და სასამართლოს განაჩენის მიხედვით), რევაზ გეგეშიძემ, შურისძიების მოტივით, ეჭვიანობის ნიადაგზე, თავისი ორლულიანი სანადირო თოფი აიღო და ცოლს დაუმიზნა. იარაღიდან მან ორჯერ, ზედიზედ ისროლა. ნათელა გეგეშიძე ადგილზევე გარდაიცვალა.

რევაზ გეგეშიძე პოლიციამ იმავე დღეს დააკავა. აღსანიშნავია, რომ ის მაშინ 76 წლის გახლდათ, მისი აწ გარდაცვლილი მეუღლე კი — 74-ის. დაკავებულს პროკურატურამ ბრალი 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენა. ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ ბრალდება დადასტურებლად მიიჩნია, განსასაჯელი დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ამჟამად მსჯავრდებული აღნიშნულ განაჩენს აპროტესტებს. თავდაპირველად, მან თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატას მიმართა საჩივრით; პალატამ განაჩენი ძალაში დატოვა. ამის შემდეგ, მსჯავრდებულმა საჩივარი საკასაციო პალატაში შეიტანა. საბოლოო გადაწყვეტილება იმ კვირაში გახდება ცნობილი. მანამდე კი, დანაშაულის შესახებ პროკურატურისა და მსჯავრდებული მხარის ვერსიებს გაგაცნობთ.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ცოლ-ქმარს შორის შელაპარაკება 29 აგვისტოს, დღის 12 საათზე მოხდა. გამოძიების ინფორმაციით, რევაზ გეგეშიძე ბუნებით ეჭვიანი იყო და ამის გამო, ცოლთან კონფლიქტი ხშირად მოსდიოდა. მის დაუკითხავად ცოლის წყალტუბოში გამგზავრებამ, მისი უკმაყოფილება ამიტომაც გამოიწვია. განაწყენებული ქმარი ამჯერად, მხოლოდ საყვედურს არ დასჯერდა, ხელში იარაღი აიღო და ცოლი სასიკვდილოდ გაიმეტა. დანაშაულის იარაღი — ორლულიანი სანადირო თოფი, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, მასზე ოფიციალურად იყო რეგისტრირებული. ნათელა გეგეშიძეს ცეცხლსასროლი დაზიანებები მარჯვენა წინა მხრისა და მარცხენა მხრის ზედაპირზე აღენიშნებოდა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მას დაუზიანდა ფილტვი და გულის მარცხენა პარკუჭი. სიკვდილის მიზეზად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა ზოგადი სისხლნაკლებობა დაადგინეს.

დაკავებულმა პოლიციელებს გამოუცხადა, რომ საკუთარი ნებით აპირებდა განყოფილებაში მისვლას. დანაშაულის ერთადერთი მოწმე, მისი ქალიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მკვლელობის შემდეგ, მამამისი იმავე სანადირო თოფით თავის მოკვლასაც ცდილობდა, მაგრამ მან ამის საშუალება არ მისცა. ეჭვმიტანილად დაკითხვისას **რევაზ გეგეშიძემ** სამართალდამცველებს ასეთი ჩვენება მისცა:

„ნათელა გაბაიძე ცოლად 1955 წელს შევირთე. შეგვეძინა სამი შვილი — ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი. შვილები დაოჯახებულები არ არიან და ერთად ვცხოვრობდით. 2004 წლის გაზაფხულზე გავიგე, რომ ჩემი მეუღლე მღალატობდა. ეს ამბავი ძალინ განვიცადე, ისე ვინერვიულე, რომ ქალაქის საავადმყოფოში მკურნალობა დამჭირდა. 20 დღის შემდეგ, საავადმყოფოდან გამოვეწერე და მკურნალობა სახლის პირობებში გავაგრძელე. 2004 წლის 3 აგვისტოს ჩემი მეუღლე დასასვენებლად წყალტუბოში წავიდა და 28 აგვისტომდე არ დაბრუნებულა. ერთმანეთს ჩვეულებრივად შევხვდით, მაშინ მისთვის არაფერი მითქვამს. მეორე დღეს ავდექი, ვიბანავე და წვერის გაპარსვას ვაპირებდა, როცა ცოლმა მითხრა, ქალაქში მივდივარო. ამაზე ვუპასუხე — არ წახვიდე, თუ ჩემთან ცხოვრება არ გინდა, საერთოდ წადი ჩემგან და ვისთანაც გინდა, იცხოვრე-მეთქი. ასე შევყევით ერთმანეთს ჩხუბში. ის არ მითმობდა. უსაფუძვლოდ ეჭვიანობ ჩემზეო, მეუბნებოდა და თან მწყევლიდა. ამაზე ძალიან ავნერვიულდი. მოულოდნელად შევნიშნე იქვე დადებული თოფი. იარაღში ტყვიები იდო. სასლლტს ხელი გამოვკარი. როგორც მახსოვს, ორივე ტყვია ერთად გავარდა. მეუღლე კარში დაეცა.

თოფის ხმაზე ჩემი უფროსი ქალიშვილი — მერი მოვარდა. მაშინვე გამომტაცა თოფი ხელიდან. ამის შემდეგ, პირდაპირ პოლიციისკენ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ თანამშრომლებმა მომისწრეს და განყოფილებაში მათ გავყევი“.

ამავე ჩვენებაში რევაზ გეგეშიძე აღნიშნავს, რომ იარაღში ტყვიები მან დიდი ხნის წინ ჩადო. თოფს სეიფში არ ინახავდა. მისივე თქმით, შემთხვევის დროს, მისი ვაჟიშვილი სამსახურში, უმცროსი ქალიშვილი კი — მონასტერში იყო წასული. იმ დროს, ცოლ-ქმრის გარდა, შინ მხოლოდ მერი გეგეშიძე იმყოფებოდა. რევაზ გეგეშიძის თქმით, ჩხუბის გაგონება მის ქალიშვილს შეეძლო. *„იმ პიროვნების დასახელება, ვისზეც ვეჭვიანობდი, არ შემიძლია. ვიცი, რომ შვილის ტოლია. ღალატის შესახებ თავად მეუღლისგან შევიტყვე, სხვას ჩემთვის არაფერი უთქვამს. ცოლმა თავად გამომიცხადა, გღალატობო. თურმე დიდი ხანია, მღალატობდა და მე მხოლოდ ახლახან შევიტყვე“.*

მამის ჩვენებას კატეგორიულად უარყოფენ და უპირისპირდებიან შვილები. ისინი აცხადებენ, რომ მშობლებს შორის ეჭვიანობის სცენას ცხოვრებაში არასდროს შესწრებიან და დანაშაულის მიზეზი ეს არ იქნებოდა. მათი თქმით, დედ-მამას თანაცხოვრების პერიოდში სერიოზული კონფლიქტი არ ჰქონია და მით უმეტეს, განზრახ მკვლელობის საბაბი არ არსებობდა არც შემთხვევის დღეს.

მერი გეგეშიძის ჩვენებიდან:

„დილით, დაახლოებით 9 საათი იქნებოდა, როცა ოჯახის წევრებმა ჩვეულებრივად, ვისაუზმეთ. შემდეგ, ჩემი უმცროსი და მონასტერში წავიდა, ძმა კი ქალაქში — სამსახურში. ოჯახში მშობლებთან ერთად მხოლოდ მე დავრჩი. სახლის დალაგება დავიწყე, საწოლი გარეთ გამქონდა და დედაჩემიც მეხმარებოდა. ამ მომენტში მამაჩემი აივანზე იჯდა. ლეიბი რომ გარეთ გავიტანე და მისი გაფენა დავიწყე, მოულოდნელად თოფიდან სროლის ხმა მომესმა. მაშინვე შევბრუნდი და დავინახე, რომ დედა საკუჭნაოსა და მისაღებ ოთახს შორის წაქცეულიყო. მამა სად იდგა, არ მახსოვს. მგონი, იქვე იდგა და კანკალებდა. კივილი ავტეხე, მეზობლებს ვუხმობდი. ამსობაში, პოლიციის თანამშრომლებიც მოვიდნენ...

დედას მივვარდი და მაშინვე დავინახე, რომ მარჯვენა ხელი მოტეხილი ჰქონდა და იქიდან სისხლი სდიოდა. სხვა დაზიანება არ შემინიშნავს... იმ დილით დედა და მამა შეკამათდნენ. დაობდნენ იმის გამო, რომ დედა წყალტუბოში ისვენებდა. გავიგონე, მამამ რომ ჰკითხა, ჩამოსვლა რატომ დააგვიანეო? ეს იყო და ეს, სხვა ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი. მამას სანადირო თოფი ახალგაზრდობიდან მოყოლებული ჰქონდა,

რადგან ძალიან უყვარდა ნადირობა. რაც მოხუცდა, მას შემდეგ არ უნადირია. ბოლო დროს მხოლოდ ვირთხების დასახოცად თუ გამოიტანდა იარაღს“.

ამის შემდეგ, რევაზ გეგეშიძემ და მისმა ადვოკატმა ვირთხები არაერთხელ ახსენეს სამართალდამცველებთან საუბრისას. სასამართლო პროცესზე განსასჯელმა უარყო ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენება და განაცხადა, რომ თოფიდან სრულიად შემთხვევით ისროლა. მისი თქმით, იარაღი მან ხელში ცოლის მოსაკლავად კი არა, ეზოში ვირთხების დასახოცად აიღო.

განსასჯელის ჩვენებიდან:

„წვერის გასაპარსად მივდიოდი, რა დროსაც ეზოში დიდი ვირთხა შევნიშნე. გადავწყვიტე, თოფით მომეკლა და რადგანაც იარაღი ოთახში კარის უკან იდო, სახლისკენ წავედი. თოფი ავიღე და ოთახში შევედი, საიდანაც პირდაპირ მისაღებში უნდა გავსულიყავი. ამ დროს ჩემი მეუღლე საკუჭნაოში იყო. იარაღის ლულა მარცხენა მხარეს მქონდა მიმართული. მარცხენა ხელში სისუსტე ვიგრძენი და ამიტომაც თოფი წამოვწიე. სწორედ მაშინ, იარაღიდან ტყვია მოულოდნელად გავარდა და სრულიად შემთხვევით მოხვდა იმ მომენტში საკუჭნაოდან გამომავალ ჩემს ცოლს. შესაძლებელია, თოფი საბრძოლო მდგომარეობაში იყო მოყვანილი და ტყვია ამიტომაც გავარდა. ცოლის მოკვლის განზრახვა არასდროს მქონია. მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და ეს ყველაფერი გაუფრთხილებლობით მოხდა“.

ომარ გეგეშიძე, შვილი:

„იმ დილით, ჩვეულებრივად, მაღაზიაში წავედი სამუშაოდ. დახლოებით პირველი საათი იქნებოდა, როდესაც მეზობელი — მიშა ჩაფიძე მოვიდა ჩემთან და მითხრა, სასწრაფოდ უნდა წამოხვიდე სახლში, საქმეაო. მაშინვე დავკეტე მაღაზია, ჩავუჯექი მიშას მანქანაში და მასთან ერთად მივედი შინ. სახლში პოლიციის თანამშრომლები დამხვდნენ. იქ მისულმა შევიტყვე, რაც მოხდა. ჩემმა დამ — მერიმ მითხრა, მამამ შემთხვევით მოკლა დედაო. თუ როგორ და რა სიტუაციაში მოხდა გასროლა, პირადად არ დამინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მამაჩემს ეს შემთხვევით დაემართა. ის დედას განზრახ თოფს არ ესროდა. მთელი ცხოვრება სიამტკბილობაში გაატარეს. მამა ავადმყოფი კაცია, ინსულტი აქვს გადატანილი და გულიც აწუხებს. მისი პატიმრობაში ყოფნა არ შეიძლება. ის იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდება. ცელოფანებით ჩამაქვს წამლები ციხეში“.

აღსანიშნავია, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად სწორედ ომარ გეგეშიძეა ცნობილი. ის აცხადებს, რომ, როგორც დაზარალებულს, არანაირი სამოქალაქო სარჩელი არ აქვს და არც მამის დასჯით არის დაინტერესებული. რაც შეეხება მის დას — მერი გეგეშიძეს, სასამართლო პროცესზე ჩვენება მანაც შეცვალა და კატეგორიულად უარყო, რომ შემთხვევის დღეს მის მშობლებს შორის კამათს ჰქონდა ადგილი. მოსამართლეებმა ყურადღება გაამახვილეს აწ გარდაცვლილის ერთ-ერთი ნათესავის ჩვენებაზე, რომელიც ცოლქმარ გეგეშიძეებს შორის წლების მანძილზე არსებულ, დაძაბულ ურთიერთობაზე ლაპარაკობს.

„გარდაცვლილი, ჩემი დეიდაა, ამის გამო ამ ოჯახთან საკმაოდ ახლოს ვარ. სწორედ შემთხვევის დღეს, ჩემმა დეიდაშვილმა — ომარმა დამირეკა და მითხრა, შენ და დედაშენი სასწრაფოდ ამოდით ჩვენთან სახლშიო. იქ რომ მივედით, შემზარავი სურათი დაგვხვდა. მაშინვე დეიდაშვილებს მივუბრუნდი და ვკითხე, რა მოხდა-მეთქი? მაგრამ მათ არაფერი მიპასუხეს. ბიძაჩემი ქედმაღალი, უნდობი და ეჭვიანი პიროვნებაა. დეიდაჩემს ხშირად იგდებდა აბუჩად. მიმაჩნია, რომ ცოლი მან განზრახ მოკლა. ზუსტად იმ პერიოდში, როცა დეიდაჩემი წყალტუბოში სამკურნალოდ გახლდათ წასული, დედაჩემმა მასთან სახლში დარეკა, რათა დის ამბავი გაეგო. ტელეფონზე საუბრისას, რევაზ გეგეშიძემ გაღიზიანებულმა უთხრა — ნათელა დასასვენებლად კი არა, საბოზაოდ არის წასულიო“, — განაცხადა მოკლულის დისშვილმა პროცესზე. ეს ჩვენება მოკლულის დამაც დაადასტურა. რაც შეეხება მეზობლებს, ისინი აღნიშნავენ, რომ ჩხუბის ან ყვირილის ხმა შემთხვევის დღეს არ გაუგონიათ.

გოგიტა გიუნაშვილი, მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„ჭიათურის რაიონული, ისევე, როგორც საოლქო სასამართლოს განაჩენი, უკანონო და დაუსაბუთებელია. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ გეგეშიძის ჩვენების გაზიარება არ შეიძლება, რადგან ის მან პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით მოიგონა. განსასჯელმა გარკვევით და სავსებით დამაჯერებლად ახსნა, რომ თოფში ტყვიები მან დიდი ხნით ადრე ჩადო, იარაღი არ გამოუყენებია და ამის გამო საბრძოლო მდგომარეობაში მომყვანი „კნოპკა“ ჩაუანგული იყო. ის აამოძრავა, რათა აემუშავებინა. ამის შემდეგ აიღო იარაღი ხელში და წავიდა „ზალისკენ“. ვინაიდან მარცხენა ხელი პარალიზებული აქვს, მარჯვენა ხელის ორივე თითი სასხლეტს გამოსდო, რათა არ გასჭირვებოდა შემდეგ თოფის მომართვა. შესასვლელ ოთახში შესვლისას, მარცხენა ხელი მიახმარა, ამ დროს აიწია იარაღი და მოხდა თანმიმდევრული გასროლა ორივე ლულიდან. ხელი რომ მართლაც აქვს დაზიანებული, ეს საქმეში არსებული სამედიცინო დასკვნებითაც დასტურდება.

არც რაიონულმა და არც საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა მოწმის — მერი გეგეშიძის ჩვენება, სადაც ის მიუთითებს, რომ მშობლებს არასდროს უკამათიათ, არც მკვლელობის დღეს. ამავე მოწმემ ისიც თქვა, რომ თოფის გასროლის ხმა მან ერთ ხმად აღიქვა და არ გაუგონია, ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სროლა. მოსამართლეებმა რატომღაც მხოლოდ წინასწარი გამოძიების პერიოდში მიცემული ჩვენება გაიზიარეს. ამ ჩვენებაში მერი გეგეშიძე ადასტურებს დედ-მამას შორის კამათის ფაქტს. თუმცა, სასამართლო პროცესზე დაკითხვისას მან გარკვევით აღნიშნა, რომ ჩვენების მიცემის დროს, ის გამომძიებელს მომხდარის შესახებ უამბობდა და შეკითხვებს პასუხობდა, გამომძიებელი კი მის სიტყვებს ფურცელზე აფიქსირებდა. ჩვენება გეგეშიძეს არ წაუკითხავს, ისე მოაწერა ხელი. ეს ჩვენება მან უარყო და აღნიშნა, რომ ის რეალობას არ შეესაბამებოდა. მოსამართლეებმა მხოლოდ იმ მოწმეების ჩვენებები გაიზიარეს (აწ გარდაცვლილის დისა და დისშვილის), რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ განსასჯელის დასჯით. რაც შეეხება გასროლის ფაქტს, ამ მხრივ საგულისხმოა ექსპერტ-კრიმინალისტის ჩვენებაც. თავის დასკვნაში ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ თუ ადამიანს თოფი აქვს მოზიდული ან საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი, ხელის გამოკვრით სავსებით შესაძლებელია, მოხდეს გასროლა“.

საქმის წინასწარი გამოძიების პერიოდში, ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევის საკითხიც დადგა. ამ მიზნით დაინიშნა კიდეც სასამართლო-ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. გამოკვლევის შემდეგ, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ რევაზ გეგეშიძე ამ მხრივ სრულიად ჯანმრთელია. მათი თქმით, რაიმე ფსიქიკური აშლილობა ან ჭკუასუსტობა მას არც დანაშაულის ჩადენის დროს აღენიშნებოდა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გეგეშიძეს შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედებების ფაქტობრივი ხასიათი, მართლწინააღმდეგობა და კონტროლი გაეწია მათთვის. ასევე აღნიშნეს, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში, ის არ იმყოფებოდა აფექტურ მდგომარეობაში.

მსჯავრდებულის ადვოკატებმა საკასაციო პალატას მუხლის გადაკვალიფიცირების მოთხოვნით მიმართეს. *„საქმე გვაქვს გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობასთან, რასაც სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი შეესაბამება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯანმრთელობის მხრივ მსჯავრდებული ძალზე მძიმე მდგომარეობაშია და სასამართლოს ვთხოვთ, მისი ასაკის გათვალისწინებით, მას ისეთი სასჯელი შეუფარდოს, რაც დაკავშირებული არ იქნება თავისუფლების აღკვეთასთან“,* — აცხადებს ადვოკატი.

წინა სასამართლოებმა დამცველის პოზიცია არ გაიზიარეს, არც გეგეშიძის ასაკი გაითვალისწინეს. დადასტურებულად მიიჩნიეს ის ფაქტი, რომ 76 წლის მოხუცმა იარაღი ვირთხების დასახოცად კი არა, ცოლის მოსაკლავად მოიმარჯვა.

ვითარება არც ამჯერად შეიცვალა. 29 ნოემბრის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატამ აღნიშნულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა. მუხლის კვალიფიკაცია არ შეცვალეს. გეგეშიძე კვლავ განზრახ მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ, თუმცა სასჯელი მას 5 წლამდე შეუმცირეს.

■

სადისტური მკვლელობა გარდაბანში

25 წლის ახალგაზრდამ მეგობარი ბორდიურში ჩააბეტონა

შემზარავი დანაშაული გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისში მოხდა. სადისტური მკვლელობის დეტალები სამართალდამცველებს თავად მკვლელმა გაუმხილა. იმ დროისთვის ყვარლის მკვიდრის — ვასილ ხარებაშვილის გაუჩინარებიდან თითქმის ორი თვე იყო გასული. მის ადგილსამყოფელს, ალბათ, ვერც დაადგენდნენ და უგზოუკვლოდ დაკარგულის ამბავი სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ არა სინდისის ქენჯნა, რომელმაც, როგორც ჩანს, დამნაშავე შეაწუხა. თუმცა, პროკურორის აზრით, მას სხვა გზა არ დარჩენოდა. — „ყველა დააეჭვა იმ ფაქტმა, რომ ხარებაშვილთან ერთად, ისიც გაუჩინარდა. არადა, ბოლოს, ისინი ერთად შენიშნეს. მომხდარის შემდეგ, ის რაიონში აღარ ჩნდებოდა. გამოძიება აშკარად დაადგა მის კვალს. ამას თავადაც მიხვდა, წასასვლელიც არსად ჰქონდა. დიდხანს პოლიციას ვერ დაემალებოდა, რადგან, მიმალვას და ადგილსამყოფლის ხშირ ცვლას ფული სჭირდება, ამის საშუალება კი მას არ გააჩნდა“, — აღნიშნა პროკურორმა.

როგორც საქმის მასალებში წერია, 1979 წელს დაბადებული ივანე ჟამუტაშვილი თბილისის შს მთავარ სამმართველოში საკუთარი ნებით გამოცხადდა და ჩადენილი დანაშაული აღიარა. ნასვამმა ჟამუტაშვილმა ქეიფის შემდეგ, ასევე ნასვამი ხარებაშვილი შურისძიების მოტივით მოკლა, გვამი კი, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ჩააბეტონა. ჟამუტაშვილმა ჩვენებაში მკვლელობის შემზარავი დეტალებიც აღწერა...

აღიარების შემდეგ, სამართალდამცველები გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისში ჩავიდნენ და ბრალდებულის მიერ მითითებული ადგილზე ბეტონი აყარეს. ვასილ ხარებაშვილის გვამი იქ მართლაც აღმოჩნდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის სხეულზე, კერძოდ, თავის არეში მიყენებული მრავალი დაზიანება დააფიქსირეს.

გამოძიების მასალებისა და სასამართლოს განაჩენის მიხედვით, დანაშაული 2004 წლის 15 მარტს მოხდა. შემთხვევამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, ივანე ჟამუტაშვილმა მუშაობა დაიწყო წავკისში მდებარე, მოქალაქე ლევან ერისთავის სააგარაკო სახლის მშენებლობაზე. ჟამუტაშვილი იქ მუშად მუშაობდა. იმავე წლის შემოდგომიდან, აღნიშნული სახლის მშენებლობაზე სამუშაოდ მოეწყო ვასილ ხარებაშვილიც. საქმის მასალებში არსებულ მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ჟამუტაშვილსა და ხარებაშვილს ერთმანეთთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

შემთხვევის დღეს, ისინი გია ნადარეიშვილსა და მიხეილ ყოჩიშვილთან ერთად, სამშენებლო ობიექტზე იმყოფებოდნენ. მუშაობას რომ მორჩნენ, სავახშმოდ დასხდნენ. ვახშმობისას დაახლოებით ორი ლიტრი არაყიც დალიეს. როცა დაღამდა, ნადარეიშვილი სახლში წავიდა, ჟამუტაშვილი, ხარებაშვილი და ყოჩიშვილი კი იქვე დარჩნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი იმავე მშენებარე ობიექტზე ცხოვრობდნენ, დროებით. ჟამუტაშვილმა და ხარებაშვილმა არყის სმა განაგრძეს. ნასვამები ეზოში გავიდნენ და შელაპარაკდნენ იმის გამო, რომ ხარებაშვილმა ჟამუტაშვილის მიზეზით ფეხი იტკინა. კამათი მალე სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა. ხარებაშვილი დაემუქრა — სამაგიეროს გადაგიხდიო და ჟამუტაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა — ხელი გაარტყა სახეში. ამით განაწყენებულმა ჟამუტაშვილმა გინება დაუწყო და უცენზურო სიტყვებით მიმართა მას. ხარებაშვილმა, გამოძიებით დაუდგენელი სისტემის, რეზინის ტყვიით დატენილი, საფანტის პისტოლეტი გამოიტანა და ჟამუტაშვილს დაუმიზნა, თან მისი მისამართით გინებას განაგრძობდა. ჟამუტაშვილი მივარდა მას და ხელიდან გააგდებინა პისტოლეტი, რომელიც თავად აიღო, თავის არეში დაუმიზნა და ესროლა. ხარებაშვილი მაშინვე წაიქცა. წაქცეულს ჟამუტაშვილმა იარაღი თავში ძლიერად ჩაარტყა, შემდეგ, სახლის მეორე სართულზე აირბინა და საძინებლიდან თავისი, თვითნაკეთი ბასრწვერიანი დანა გამოიტანა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მან გონებადაკარგულ ხარებაშვილს დანა რამდენჯერმე დაარტყა, მაგრამ სხეულზე ჭრილობები ვერ მიაყენა და მხოლოდ ტანსაცმელი დაუზიანა.

ამის შემდეგ, კვლავ უგონო მდგომარეობაში მყოფი ხარებაშვილი მან მშენებარე აგარაკის ეზოში, ბორდიურის ჩასაბეტონებლად ამოთხრილ ორმოსთან მიათრია, პირქვე ჩააგდო შიგ და ამჯერად, ეროთი დაუწყო დაზიანებების მიყენება. ურო თავში რამდენჯერმე ძლიერად ჩაარტყა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის სხეულზე მრავალი დაჟეჟილობა და თავის ქალის ძვლების მოტეხილობები დააფიქსირეს. ექსპერტების თქმით, აღნიშნული დაზიანებები სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხს მიეკუთვნება.

როცა ჟამუტაშვილი ხარებაშვილის სიკვდილში დარწმუნდა, დანაშაულის კვალის დაფარვას შეუდგა. ამ მიზნით, ორმოში ჩაგდებულ გვამს მან ჯერ ხრეში დააყარა, შემდეგ კი, ბეტონის ხსნარი დაასხა...

რაიონულმა სასამართლომ ივანე ჟამუტაშვილი განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. განაჩენი თბილისის საოლქო სასამართლომაც ძალაში დატოვა. მსჯავრდებული აცხადებდა, რომ მას დანაშაული განზრახ არ ჩაუდენია და განაჩენის გაუქმებას მოითხოვდა. მისი თქმით, ყველაფერი გაუცნობიერებლად გააკეთა. *„ხარებაშვილი, რახან მასზე უმცროსი ვიყავი, გამუდმებით მჩაგრავდა და აბუჩად მიგდებდა. სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდა და აგრესიას იჩენდა ჩემ მიმართ. ამას ბოლო დროს სისტემატური ხასიათი მიეცა. იგივე გამეორდა შემთხვევის დღესაც. პირველად, თვითონ განახორციელა ჩემზე თავდასხმა და ამ მიზნით, სახლიდან პისტოლეტი გამოიტანა კიდეც. უნდოდა, ჩემთვის ესროლა, მაგრამ მე იარაღი ხელიდან გავაგდებინე. ამის შემდეგ, რა მოვიმოქმედე, აღარ მახსოვს. საკუთარ ქმედებებს ვერ ვაკონტროლებდი და ვერ ვაცნობიერებდი“*, — განაცხადა მსჯავრდებულმა. მისი მოთხოვნით, აფექტური მდგომარეობის დასადგენად, სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზაც ჩატარდა, თუმცა ექსპერტებმა აფექტი არ დაადასტურეს. თავის საკასაციო საჩივარში ჟამუტაშვილმა იგივე გაიმეორა, თუმცა სასამართლოს სხდომაზე პოზიცია შეცვალა და მუხლის გადაკვალიფიცირების ნაცვლად, სასჯელის შემსუბუქება მოითხოვა. საკასაციო პალატის მოსამართლეებმა მსჯავრდებულის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. მიიჩნიეს, რომ წინა სასამართლოებმა სავსებით კანონიერად განუსაზღვრეს მას სასჯელი და ამ მოტივით, განაჩენი უცვლელი დატოვეს. თუმცა, სახელმწიფო ბრალმდებლის აზრით, მოსამართლეებმა სადისტური მკვლელობის ჩამდენის მიმართ ზედმეტი ლოიალურობა გამოიჩინეს. *„ამ დანაშაულისთვის ის გაცილებით მკაცრ სასჯელს იმსახურებდა“*, — აღნიშნა პროკურორმა. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

მსახიობი კახა აბუაშვილი (კაბუ) თავს იკავებს იმისგან, რომ რაიმე ურჩიოს მომდევნო თაობას. ღვინოში „ჩახრჩობის“ მომხრე არ გახლავთ, თუმცა, ქართული სუფრა უყვარს, მიაჩნია, რომ ტრადიციები დაკარგული არ არის, ამავე დროს, ხაზგასმით ამბობს — ჩვენ ჩოხები არ გვაცვიაო...

ა-ლა-ფურშეტი თუ ყანწის „თავში ჩამხობა“?..



სოფო ჭონიშვილი

— ჩემი თაობის ადამიანებმა ძალიან ბევრი რამ გადაიტანეს. ისეთი არა, როგორიც ჩვენმა ბაბუებმა XX საუკუნის 1941-42 წლებში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არანაკლები: იარაღი, ტყვია, შიმშილი და უბედურება გვაქვს ნანახი. მიუხედავად ამისა, ეს რთული პერიოდი ასე თუ ისე, გადავიტანეთ. ბევრი დაიღუპა, ბევრი, ცოცხალი გადავრჩით, ბევრს კიდევ, დღესაც ამჩნევია დაღი იმ ცუდი, წარსული წლების. დღევანდელი თაობა იმითაა ბედნიერი, რომ ცოტა დაწყნარებულ ქვეყანაში მაინც ცხოვრობს. დიდი იმედი მაქვს, რომ მათი ჭკუა და გონება, გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას... დიდ განსხვავებას ჩემსა და უფრო ახალგაზრდა თაობას შორის ვერ ვხედავ. თაობებს შორის ყოველთვის არის უთანხმოება, უფროსი თაობა ვერასოდეს უგებს უმცროსს ან კიდევ — პირიქით.

— უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან ვინ არის შენთვის მისაბაძი ადამიანი?

— ჩემთვის მისაბაძი ადამიანი ძალიან ბევრია, მაგრამ გამოვყოფდი რამაზ ჩხიკვაძეს, კახი კავსაძეს და ზურა ყიფშიძეს.

— რა შეგიძლია გვითხრა შენი თაობის უარყოფით თვისებებზე?

— ცუდი და კარგი თვისება ყველა თაობაშია. კონკრეტულად თქმა არ შემიძლია. ვისთვის რა არის ცუდი და ვისთვის რა კარგი, ეს ცალკე თემაა...

— შენი სტუდენტობის პერიოდში უფრო პოპულარული იყო კინო და თეატრი, თუ დღეს?

— ჩემი სტუდენტობის პერიოდში, კინოსა და თეატრზე არავინ ფიქრობდა — ფიქრობდნენ იმაზე, რა ეჭამათ, ლოცულობდნენ იმაზე, რომ სახლიდან გამოსული, შინ მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ, მეტროში შუქი არ გათიშულიყო და ტროლეიბუსში ასულთ, ადგილი შეხვედროდათ. ასეთ სიტუაციაში, კინოსა და თეატრზე ზედმეტი იყო ლაპარაკი. ჩემი სტუდენტობის პერიოდში, არაფერი საინტერესო არ ხდებოდა. ახლა კინოც არის, თეატრიც და ქუჩაში გამოსვლისაც აღარავის ეშინია.

— როგორ ფიქრობ — დღეს უფრო იოლია პოპულარობის მიღწევა და რაღაცის გაკეთება თუ მაშინ, როცა შენი თაობა გამოდიოდა ასპარეზზე?

— რაღაცის მიღწევა დღეს უფრო შესაძლებელია. მაშინ, მხოლოდ ერთი რამის მიღწევა შეიძლებოდა: თუ გექნებოდა იარაღი, ბევრი ტყვია, მაშინ იქნებოდი ძალიან პოპულარული... დღეს იარაღი არ გჭირდება, პოპულარული რომ გახდე.

— რა შეგიძლია გვითხრა ძველ ქართულ ტრადიციებზე?

— მინდა გითხრათ, რომ ძველი ქართული ტრადიციები არ არის დავიწყებული, მაგრამ ძველი თაობის წარმომადგენლებს შევახსენებ, რომ ჩვენ ჩოხა აღარ გვაცვია. ეს ყველაფერი წარსულში დარჩა, არ დაგვიწყებია, რომ ჩვენს წინაპრებს ჩოხები ეცვათ, მაგრამ ერთ ადგილზე ხომ არ გავიყინებით! რაღაც უნდა შეიცვალოს, წინ წავიდეთ და განვვითარდეთ. თუმცა, დავიწყება არ შეიძლება. „ეს როგორ დადიან!“ — ამბობენ ძველი თაობის წარმომადგენლები. ეგრე დადიან, რა! მათ ესე მოსწონთ და ეგრე უნდათ!..

„ეს როგორ დადიან!“ — ამბობენ ძველი თაობის წარმომადგენლები. ეგრე დადიან, რა! მათ ესე მოსწონთ და ეგრე უნდათ!..

— თუ შეგიძლია გვითხრა — შენს თაობაში როგორი მეგობრობა იცით და დღევანდელ თაობასთან თუ გაავლებდით პარალელს?

— ქართველმა ხალხმა მეგობრობა იცის. ისე კი, გააჩნია საძმაკაცოს და სამეგობროს, მოღალატე ადამიანები მაშინაც იყვნენ და დღესაც არიან.

— კაბუ, ქართული სუფრის ტრადიციები თუ მოგწონს?

— ქართული სუფრა რა იყო?.. ყანწის „თავში ჩამხობა“ და მერე მთელი ორი დღე გულის რევები!..

— შენთვის ა-ლა-ფურშეტი უფრო მისაღებია?

— ა-ლა-ფურშეტი — არა. მისაღებია ისეთი რაღაც, სადაც არ გაძალებენ და თუ არ გინდა, არ დალევ. ძალიან მიყვარს ქართული სუფრა, მაგრამ ყოველდღე ქართული სუფრა — ჩემს მტერს და ავს!.. დღეს სუფრაზე კი არა, სხვა რაღაცებზეც უნდა ვიფიქროთ — მაგალითად, როგორ გადავარჩინოთ ეს ქვეყანა. მარტო ქართული სუფრა კი არა, ბევრი რამ დაივიწყეს, ძალიან ბევრი რამ უკვე ქართული აღარ არის...

— ასეთი სიტუაციიდან გამოსავალს რაში ხედავ?

— ერთი კარგი, ჭკვიანი ადამიანი გვჭირდება, ბევრი კარგი და ჭკვიანი ადამიანითურთ. ის, რომ ავტობუსში ქალს არ ვუთმობთ ადგილს — ცუდია, ორსულს — მით უმეტეს... არ შეიძლება, მარტო ხანში შესული ადამიანები შეიკრიბონ და მათ მიიღონ გადაწყვეტილებები ან კიდევ, პირიქით — „მალალეტკებმა“ მიგვითითონ პარლამენტიდან რაღაცრაღაცები. სხვა ხერხია მოსაძებნი. მე რომ ვიცოდე ეს ხერხი, პარლამენტში ვიქნებოდი და ჩემი ბიზნესიც მექნებოდა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ დღევანდელი თაობის იმედი მაქვს, ნაკითხი, განათლებული და ბევრ რამეში გათვითცნობიერებული ახალგაზრდები არიან. ჩვენი თაობა ხომ დაღუპული თაობაა...

— რა შეგიძლია, ურჩიო ახალ თაობას?

— რჩევით ვერაფერს ვურჩევ, ნეტავ, აქეთ მირჩიონ რაღაცები, მაგრამ ვუსურვებდი ჯანმრთელობას და იმას, რომ ნარკოტიკებისგან შორს დაიჭირონ თავი... ■

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ!

„მე ერთი მოგზაურობაზე თავგადაკლული კაცი ვარ...“ — ამ სიტყვებით დაამახსოვრა თავი წიგნის ავტორმა ჟურნალ „გზის“ მკითხველს. თანაც, ამ სიტყვებს დროდადრო არა მხოლოდ ეფექტის მოსახდენად იმეორებდა, არამედ მართლაც ასე იყო...

აკაკი გეგენავა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერებით დატვირთული მოვიდა რედაქციაში. ასე გაჩნდა რუბრიკა „მოგზაურის დღიურები“, რომელიც იმთავითვე მოუვიდა თვალში მკითხველს. მეტიც, პუბლიკაციათა ბეჭდვა „დაგეგმილი“ ხანმოკლე ციკლის ნაცვლად, მთელი ოთხი წელიწადი გაგრძელდა. მის თითოეულ გამოშვებას მოუთმენლად ელოდნენ სათავგადასავლო ჟანრის მოყვარულნი, ხოლო როცა რუბრიკის „დასკვნითი“ ნაწილი გამოქვეყნდა, გვისაყვედურეს, ასე მალე(!) რატომ დაამთავრეთო.

ახლაც გვწერენ და გვირეკავენ, რუბრიკის განახლებას გვთხოვენ. აკაკის კი დღესაც აჩერებენ ქუჩაში მადლობის გადასახდელად, იმ ფოტოებით ცნობენ, მის „მძაფრსიუჟეტიან“ ჩანაწერებს რომ ახლდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მოგზაური-პუბლიცისტი ამავდროულად ჟურნალ „გზის“ პოპულარულ სახედაც იქცა.

2002 წლის თებერვლიდან მოყოლებული, აკაკი გეგენავამ მკითხველს ახალი თვალით (თანაც ძალზე ორიგინალურად) დაანახვა არგენტინა თუ ბრაზილია, ჰოლანდია თუ საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ირანი... და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები. გასაოცარი კომუნიკაბელობის, ინტუიციისა და მოგზაურისთვის დამახასიათებელი ხედვის წყალობით აკაკი უამრავ მეგობარს იძენს ყველგან, სადაც კი ფეხი დაუდგამს. შტატებში, რუსული სასტუმროს მეპატრონე ქალიდან დაწყებული, პრესტიჟული უნივერსიტეტის პროფესორით და ოლბანის ციხის „მეთვალყურით“ დამთავრებული. დიახ, ჩვენი გმირი ამერიკულ ციხეშიც მოხვდა სრულიად უდანაშაულო და...

თუმცა, უმჯობესია, ყველაფერ ამის შესახებ თავად წაიკითხოთ. ჟურნალ „გზის“ მკითხველები კი ალბათ კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაავლებენ თვალს ნაცნობი მოგზაურის ერთად თავმოყრილ ჩანაწერებს. აკი, სწორედ ისინი გვთხოვდნენ, წიგნად გამოეცით აკაკი გეგენავას „მოგზაურის დღიურებიო“...

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ

სასწაული, რომელიც ჩემს ცხოვრებაში მოხდა

ჩემი შვილის მასწავლებელი შემიყვარდა ანუ ნუ „ეწებები“ ცოლს

ჰოოოდა, ამასაც მოვესწარიიით! ის ბლანჟეიანი ტიპი როა... უჰ, სახელი დამავიწყდა... აი, ისა, მაგარი ოხუნჯი რომ არის... ჰო, დათო... თვით დათო გოგიჩაიშვილიც კი „გზავნილების“ მკითხველი გამხდარა. ამას წინათ, ერთ-ერთი მკითხველის მესიჯი „ჰედლაინებშიც“ კი გამოიყენა, რომელსაც ყოველგვარი შესავლის გარეშე კითხულობს ხოლმე (რა გახდა ერთი კარგი შესავლის გაკეთება, არ ვიცი). მკითხველი გვწერდა, ინგლისურის მასწავლებელი შემიყვარდაო. რა არის აქ სასაცილო?.. ის კიდევ გაიძახოდა, პირველ რიგში, მშობლიური ენა უნდა გიყვარდესო... ბიჭო, დათო, აბა, დაფიქრდი, იქნებ, მშობლიურ ენას მამაკაცი ასწავლიდა ან ბებიამისის პარალელურკლასელი?.. ისე, ეჭვი მაქვს, ეს მესიჯი თვითონ დათომ გამოგზავნა, რომ მერე, გადაცემაში გამოეყენებინა. ეჰ, ისევ მე თუ მოვამარაგებ ხუმრობებით, თორემ, თავისი დიდი ხანია, გამოელია და ალბათ, ვერც სესხად შოულობს სადმე... ახლა კი, დღევანდელი თემისა და იმ სასწაულის შესახებ, რომელიც ჩემს მობილურზე მოვიდა... ჯერ მესიჯს გაგაცნობთ:

მარი ჯაფარიძე

„ამ წერილს ციხის საკნიდან გწერთ და ვგრძნობ, რომ კარგს არაფერს უნდა ველოდე. არადა, იყო დრო, როდესაც სიცოცხლეს ვემშვიდობებოდი... იყო უდიდესი ტკივილი, ფსიქიკური და ფიზიკური ზეწოლა, მაგრამ შევძელი, რომ ჩემი თავი ხელში ამეყვანა. მჯერა, რომ ნამდვილმა მამაკაცმა, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავს და გული უცემს, სიცოცხლის სურვილი არასოდეს უნდა დაკარგოს და უნდა იბრძოლოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ახლა კი ვზივარ ციხის საკანში და ველოდები სასამართლოს განაჩენს. იმ განაჩენს, რომელიც თავისუფლებას სამუდამოდ დამაკარგვინებს. გული მხოლოდ დედაჩემზე მწყდება, რომელსაც სიცოცხლე გავუმწარე და მოხუცებულობის ჟამს, მარტოდმარტო დავტოვე. ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა ადამიანის ფიზიკური განადგურება, რის გამოც, ციხეში აღმოვჩნდი, მაგრამ ჩემი აზრით, ის ადამიანი, რომლის ტერაქტის გამოც დამაპატიმრეს, ბოროტების სიმბოლოა და უამრავი ადამიანის სისხლით აქვს ხელები გასვრილი. სწორედ ამიტომ მსურდა მისი განადგურება. მიუხედავად ყველაფრისა, მე არაფერს ვნანობ, რადგან ეს ადამიანი კიდევ ბევრ ბოროტებას ჩაიდენს: გააჩაღებს ომებს მთელ მსოფლიოში, თავისი კაპრიზების ასასრულებლად. მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია და აუცილებლად გაანადგურებენ. ამაში დარწმუნებული ვარ. ვიდრე დამიჭერდნენ, არ მიფიქრია ოჯახის შექმნაზე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ბრძოლაში დავიღუპებოდი... მაგრამ გადავრჩი და სინანულის გრძნობაც გამიჩნდა, რომ იმ მძიმე წუთებში გვერდით არ მყავდა საყვარელი ადამიანი, გოგონა, მამაცი გულით. ახლა მსურს, რომ ჩემ გვერდით იყოს საყვარელი არსება, რომელსაც არ შეაშინებს ჩემი წარსული ანუ ის, რომ „ტერორისტი“ და „მკვლელი“ ვარ, არ დაიჯერებს იმ ტყუილებს, რომელსაც ავრცელებენ მაღალჩინოსნები და არ დაემსგავსება იმ უსიტყვო უმრავლესობას, რომლითაც ასე წარმატებით მანიპულირებს ხელისუფლება. იმედი მაქვს, რომ საქართველოში გამოიძებნება ისეთი გოგონა, რომელიც ყურადღებით წაიკითხავს ჩემს წერილს, გაითავისებს და გამომეხმაურება. მარი, წინასწარ გიხდი დიდ მადლობას. პატივისცემით, ვლადიმერ, ვოვა ა.“

დარწმუნებული ვარ, თქვენც იგივე აზრი გაგიჩნდათ, რაც მე: ამ მესიჯის გამომგზავნი სხვა ვინ უნდა იყოს, თუ არა ამერიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში ეჭვმიტანილი, ვოვა არუთუნიანი? თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც მის მესიჯებს ვკითხულობდი... შემდეგ, დასაზუსტებლად ვკითხე, მართლა შენ ხარ-მეთქი? პასუხად კი მხოლოდ ეს მივიღე: მარი, ამაზე მეტს ამჯერად, ვერაფერს გეტყვი, შედეგს დაველოდოთ და შემდეგ ვილაპარაკოთო... შესაშური ოპტიმიზმი ჰქონია ამ ადამიანს: სამუდამო პატიმრობა ემუქრება, ის კი ოჯახის შექმნასა და ცხოვრების თანამგზავრზე ფიქრობს...

მინდა, კიდევ ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელსაც ჩვენი მკითხველი სასწაულს უწოდებს. „გზავნილების“ არსებობის მანძილზე, მუდმივად მიმესიჯებდა ერთი ახალგაზრდა გოგონა — ელისო. ამ რამდენიმე თვის წინ კი შემატყობინა, რომ საცხოვრებლად თბილისში გადმოსულა და სამსახურს ეძებდა... გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა და დამიმესიჯა, რომ მუშაობა დაუწყია სილამაზის სალონში და მესიჯს სალონის მისამართი და მიწვევაც დაურთო. აღმოჩნდა, რომ მას სწორედ იმ სალონში დაუწყია საქმიანობა, სადაც მე უკვე 5 წელია, სტილისტ მიშასთან თმას ვიწესრიგებ ხოლმე. მე და ელისომ ერთმანეთი გავიცანით. ამ კვირაში კი, მისგან ასეთი მესიჯი მივიღე: „უკანასკნელი პატარა სასწაული ახლა მოხდა. დეპოზიტი შემივსო სიძე, თორემ, ხომ „გავმაზავდი“ სასწაულების თემას!.. მარი, ჩემი და შენი შეხვედრაც ჩემს ცხოვრებაში მომხდარი სასწაული იყო. გახსოვს, მიშა რომ გეუბნებოდა — ეს ისე ოცნებობდა შენს გაცნობაზე, როგორც მე — უიტნი ჰიუსტონის ნაცნობობაზეო? აბა, მიშამ რა იცოდა, რომ მე მთელი 2 წელი გეკონტაქტებოდი ტელეფონით და ჩემ შესახებ ყველაფერს გიყვებოდი? ახლა კი, ეს ლექსი ამომიტივტივდა გონებაში და მინდა, რომ გამომიქვეყნო: სასწაულები არ ხდება, მაგრამ, ხომ შეიძლება, დეკემბრის ღამეს, გამომაღვიძოს შენმა ჩურჩულმა, თოვლი მოსულა, გამოდი გარეთ... ამასთან ერთად, მინდა, ვუჩივლო ჩემს საყვარელ მინისტრს — ირაკლი ოქრუაშვილს. ჩემი ძვირფასი შეყვარებული 2 კვირაა, თვალით არ მინახავს. ჯარშია, ბატონო, შავნაბადას ბატალიონში და მეუბნება — არ გვიშვებენ, ახალი წესებიაო. არადა, ძლივს მოვესწარი მაგის ჩამოსვლას ერაყიდან... იქნებ, სოსო იტყუება? თუ ირაკლი გამკაცრდა?.. ძლივს მოვესწარი რაცხა სიყვარულობანას, მაგრამ ვინ გაცლის?! ე.ლ“.

კომპიუტერი მაგარი გამოგონებაა, ინტერნეტი ხომ საერთოდ, შეუდარებელი რამ

გახლავთ: ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ. მაგრამ დაილოცოს წინა ეპოქის „გადმონაშთი“ ბიბლიოთეკა. გარდა იმისა, რომ იქ უამრავი წიგნი ინახება, რომელიც უკვე აღარავის სჭირდება, თურმე შესაძლებელია, ძველ წიგნებში ქექვამ, გაგამდიდროს კიდეც.

დაგვიანებული ანდერძი

„მართლა საოცარი სასწაულის შესახებ უნდა გიამბოთ. ერთ მშვენიერ დღეს, მთელი ოჯახი შინ ვიყავით, როდესაც კარზე სრულიად უცხო ადამიანმა დაკაკუნა. ახალგაზრდა გოგონა იყო. ბუნებრივია, შინ შემოვიპატიჟეთ. რამდენიმეწუთიანი ფორმალური ფრაზების შემდეგ, მან ჩანთიდან რაღაც გაყვითლებული კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დადო. ყველანი ინტერესით დავაცქერდით. კონვერტი გახსნილი გახლდათ. შიგ რვეულის 2 ფურცელი იდო, რომელიც ხელნაწერით იყო აჭრელებული. წაიკითხეთ, წაიკითხეთო, — გაგვამხნევა უცნობმა სტუმარმა. მამაჩემმა ითავა ეს საქმე და ხმამაღლა კითხვას შეუდგა. „გამარჯობა, ავთანდილ! — სწორედ მას მიმართავდა ვიღაც. — მე ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ, შენ კი, სულ 12 წლის ხარ, მაგრამ არავინ იცის, ეშმაკი სად არის ჩასაფრებული. მამად ვერ ვივარგე და ჩემი შვილი, მამაშენი, კაცად ვერ გავზარდე. ნუ მიწყენ, შვილო, თუ მშობელ მამაზე ასე გეტყვი, რადგან ყველაზე დიდი გასაჭირის დროს უღალატა სამშობლოს და როცა მისი მეგობრები ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდნენ, ეგ, უნამუსოდ, ტყეში იმალებოდა და შიშისგან ცახცახებდა. ომი რომ დამთავრდა, ქალაქში დაბრუნდა, ულვაშები დაიწკიპა და ვალმოხდილი კაცივით, წელში გამართული დადიოდა. დედაშენი მისმა უნამუსობამ, ღალატმა და ტვინის სიმსუბუქემ შეიწირა. ახლა 1953 წელია. მე 57 წლის ვარ, მამაშენის შემხედვარემ, შესაძლოა, დიდხანს ვერც მე გავატანო. ამიტომ, მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გითხრა...“ — და ამას მოჰყვებოდა იმ ადგილის აღწერა, სადაც წერილის ავტორს ფული და ოქრო შეუნახავს... ერთმანეთს გაოცებული შევყურებდით და პასუხს წერილის მომტანისგან ველოდით, მაგრამ ვაი, რომ არც მან იცოდა რამე. მხოლოდ ის გვითხრა, რომ ბიბლიოთეკაში წიგნებს ქექავდა და ერთ-ერთ წიგნში, რომელიც ისეთ თაროზე იყო შემოდებული, ალბათ, იშვიათად თუ ვინმე მიეკარებოდა, სწორედ ეს წერილი იდო. კონვერტზე ჩვენი მისამართი ეწერა. ჩვენ კი კვლავ ძველ ბინაში ვცხოვრობდით. ქუჩის სახელი შეცვლილი გახლდათ, მაგრამ სტუმარს არც ის გასჭირვებია, რომ დაედგინა, რა ქუჩა იყო ძველად. დღემდე საიდუმლოდ დარჩა, თუ როგორ მოხვდა ეს წერილი იმ წიგნში და ის წიგნი — ბიბლიოთეკაში... რა თქმა უნდა, გაინტერესებთ, ვიპოვეთ თუ არა განძი. სამწუხაროდ, მამაჩემის ბაბუას ცუდ ადგილზე ჩაუფლავს სიმდიდრე. იქ ახალი სახლი იყო აშენებული და ან მუშებმა იპოვეს, ან დარჩა სამუდამოდ დამარხული. სამაგიეროდ, ჩვენი სტუმარი ჩემს ძმას მოეწონა და დღეს, მშვენიერი ოჯახი აქვთ და 5 შვილიც ჰყავთ. ეს ამბავი გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდა. ხომ არის სასწაული?!“

ფილოლოგებმა ბევრი იფიქრეს, მაგრამ ვერ დაადგინეს, საიდან წარმოიშვა სიტყვა „ფლირტი“. პესიმისტებს მიაჩნიათ, რომ — ინგლისური „ფლირტ“-იდან, რაც გადაგდებას, დაცინვას ნიშნავს, ხოლო ოპტიმისტები ფიქრობენ, რომ — ფრანგული „ფლეურეტე“-დან, რაც ყვავილს ნიშნავს. ბევრი რამ შეიცვალა ფლირტის „ტექნოლოგიაში“. თუ ჩვენს წინაპრებს ბევრი ჩალიჩი სჭირდებოდათ, რომ ქალი შეებათ, ახლა მთავარია, მისი ყურადღება მოადუნოთ და თქვენი მზერით მონუსხოთ. მაგალითად, ნორვეგიაში, ნებისმიერ მარტოხელა მოქალაქეს შეუძლია, სახლმმართველობაში გააკეთოს განცხადება, რომ ფლირტი ესაჭიროება და სპეციალური სამსახური მზად არის, შესაბამისი განცხადება განათავსოს სარეკლამო გაზეთში. ხოლო საფრანგეთში სუპერმარკეტები აწყობენ სპეციალურ „ხუთშაბათობებს“. ამ დღეს შეგიძლია, მაღაზიაში იარო სპეციალური, გულებით მორთული ურიკით, რაც იმას ნიშნავს, რომ თანახმა ხარ, გაიცნო ვინმე და მასთან ფლირტი გააჩაღო. თავიდან ეგონათ, რომ ეს იდეა არ გაამართლებდა, მაგრამ როდესაც მსურველთა რიცხვმა სასიყვარულო ურიკების რაოდენობას გადააჭარბა, ქვეყნის ყველა სუპერმარკეტმა აიტაცა ეს იდეა... იაპონიაში, როგორც სხვა ყველაფერი, ესეც კომპიუტერიზებულია: გამოიგონეს სპეციალური კულონი, სადაც პატრონს შეჰყავს, როგორც თავისი, ასევე იმ ადამიანის მონაცემები, ვისაც სიამოვნებით დუუკავშირებდა იგი ბედს; თუ მის სიახლოვეს ასეთი მონაცემების მქონე ადამიანი აღმოჩნდება (მასაც ისეთივე კულონი უნდა ეკეთოს), „მინიმაჭანკალი“ მაშინვე წრიპინს დაიწყებს... აი, ასე გაიოლდა ჩვენს დროში საპირისპირო სქესთან ნაცნობობის გაბმა, მაგრამ ჩვენ შემდეგ რესპონდენტს მაინც გასაჭირი დასდგომია.

რა იცი, ვის ეცემი?

„უკვე 40 წელს გადავცილდი, მაგრამ გული მაინც 16 წლის ბიჭივით მერჩის. ხომ იცით, ახლანდელ დროში კომპიუტერის გარეშე იოლას ვერ გახვალ. ამიტომ, მეც ფეხი ავუწყვე დღევანდელობას და შევისწავლე ესოდენ რთული საქმე. თანაც, სამსახურში პერსონალური, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერიც დამიდგეს და სხვაგვარად მაინც ვერ მოვიქცეოდი. ცოტა ხანში, მაგრად დავამუღამე და უკვე ნამდვილ პროფესიონალად ვიქეცი. ჩემი ცოლი გაოცებული იყო და არ სჯეროდა, რომ ასე იოლად გავართვი თავი ამ ამოცანას. როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, მეც ჩავერთე ინტერნეტნაცნობობის ქსელში და საკმაოდ ბევრ დროსაც ვუთმობდი ხოლმე სასიყვარულო წერილების წერას. 30 ქალს ერთად ვეკონტაქტებოდი, მშვენივრად ვერთობოდი და დროც შეუმჩნევლად მიქროდა. ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა კი, ძალზე დამაინტერესა. თითქმის მთელი წელი ვურთიერთობდით ინტერნეტით. ბოლოს, როგორც იქნა, შეხვედრაც დავთქვით. ძალზე საფუძვლიანად მოვემზადე, სიმართლე რომ გითხრათ, ვნერვიულობდი კიდეც. ერთ-ერთ რესტორანში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. მე შედარებით ადრე მივედი, როგორც ჯენტლმენს შეეფერება. სასწაული წინ მელოდა: რესტორანში ჩემი კარის მეზობელი შემოვიდა და დარბაზი მოათვალიერა. ორივენი გავშრით... უკან დახევა გვიანი იყო. ასეთი მომხიბვლელი მეზობელი თუ მყავდა, ნამდვილად არ მეგონა. ამ ქალს თითქმის 15 წელია, ვიცნობდი და ახლა სულ სხვა თვალით შევხედე... ჩვენი საუბრის ბოლოს კი შევთანხმდით, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი შეხვედრა და ორივე დავივიწყებდით ამ ამბავს. იმ საღამოსვე მივხვდი, რომ ეს შეუძლებელი იყო. მე ეს ქალი მიყვარდა და ძალიან გამიჭირდებოდა მის გარეშე. ერთი კვირა ვითმინე, შემდეგ ისევ ინტერნეტით დავეკონტაქტე. კარგა ხანს ვწერდი წერილებს და მისგან პასუხს ვერ ვეღირსე. ის საღამოობით ძველებურად შემოდიოდა ჩვენთან ყავის დასალევად. მე კი ვცდილობდი, ამ დროს სახლში ვყოფილიყავი... ერთ დღესაც „გატყდა“ და როგორც იქნა, მიპასუხა. მიყვარხარო, — მწერდა. იმ დღის მერე, მთელი წელი გავიდა. მეუბნება — მიყვარხარო, მაგრამ ფიზიკურ კონტაქტზე ვერ დავითანხმე. არ მალავს, რომ მიზეზი, ჩვენი მეზობლობაა. ახლა ვყიდი ბინას და გადავდივარ სხვა უბანში. მერე რას იტყვის?.. მერეც ხომ მეზობლები აღარ ვიქნებით! სასწაული კი ის იქნება, ისევ რაიმე მიზეზი რომ მოიგონოს და კვლავ ვირტუალურ შეყვარებულებად დავრჩეთ. ისე, მეც კარგი ტიპი ვარ, ამდენ ქალში რაღა კარის მეზობელს ვეცი!..“

მეზობელი რომ თვალის სინათლეა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენმა რესპონდენტმა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ წინა მესიჯის ავტორი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე მომდევნო. კარგად დააკვირდით თქვენს მეზობელს. გარდა იმისა, რომ უყვარს ჭორაობა, ღალატობს ქმარს და მეზობლის შინაურ ამბებს კედელზე ყურმიდებული ისმენს, კიდევ რამე უცნაურობას ხომ არ ამჩნევთ?.. თუ რაიმე შენიშნეთ, მაშინვე შეგვატყობინეთ, როგორც ეს ბატონმა მალხაზმა გააკეთა. საინტერესო ამბისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის?!

ბიჭო, მადონა!..

„თბილისში დავიბადე და გავიზარდე. უკვე 36 წლის ვარ და ბევრი რამის ნახვა მოვასწარი ამქვეყნად. გამოვიარე სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომები, სამოქალაქო ომი, დავკარგე უახლოესი ადამიანები. იმდენი გაჭირვება გადავიტანე, რომ თუ კიდევ რამე გამაკვირვებდა, არ მეგონა. ცოლი არ მყავს. ვცხოვრობ მარტო იმ ბინაში, რომელიც სახელმწიფომ გმირობისთვის მომცა. უკვე 10 წელია, ამ კორპუსში ვცხოვრობ. აღმოჩნდა, რომ ჩემს სადარბაზოში პირველ სართულზე უცხოვრია ჩემს ბავშვობის მეგობარ გოგოს, მშობლებთან ერთად. რა თქმა უნდა, გამიხარდა. ყველა მეზობელი გავიცანი, მაგრამ ყველაზე ახლოს სწორედ მათთან ვიყავი. მადონა და მე ერთ ეზოში გავიზარდეთ და ერთი პერიოდი, მასზე შეყვარებულიც ვიყავი. ნამდვილი ქალაბიჭა იყო. როცა გაიგო, რომ მიყვარდა, მეჩხუბა და ერთი მაგრად მცემა კიდეც... ახლაც, ხშირად ვიხსენებდით ძველ ამბებს. ვეუბნებოდი ხოლმე — მაშინ დაგ-

ინდე იმის გამო, რომ გოგო იყავი, თანაც მიყვარდი, თორემ, შენ ვერ მომერეოდიმეთქი. ამას რომ ვეუბნებოდი, სწყინდა... მასთან სტუმრად ხშირად მოდიოდა 2 ბიჭი. მეგობრები არიანო, — მეუბნებოდა, მაგრამ არ მჯეროდა, რადგან ძალზე ხშირად მოდიოდნენ და დიდი ხნითაც რჩებოდნენ. მადონა არასოდეს ყოფილა წინააღმდეგი, რომ ამ დროს მეც იქ ვყოფილიყავი. ბოლოს და ბოლოს, დავრწმუნდი, რომ მართლა მეგობრობდნენ და სხვა არაფერი აკავშირებდათ ერთმანეთთან. ამასობაში, ძველმა გრძნობამ იჩინა თავი. მადონას სიყვარულში გამოვუტყდი და შევთავაზე, ცოლად გამომყოლოდა. ძალზე შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. მე კი, არა და არ ვეშვებოდი... ეს ამბავი 5 წლის წინ ხდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, მადონამ გამოაცხადა — მოსკოვში მივდივარო. არ მინდოდა გაშვება, მაგრამ მე ვინ მკითხა?.. მთელი წელიწადი იყო დაკარგული. მხოლოდ ტელეფონით რეკავდა. შემდეგ, მისმა მშობლებმა ბინა გაყიდეს და სხვა უბანში გადავიდნენ საცხოვრებლად. იქაც ხშირად მივდიოდი... როგორც იქნა, მადონამ შეატყობინა მშობლებს, რომ ჩამოსვლას აპირებდა, თუმცა, ზუსტი თარიღი არ უთქვამს. მის მშობლებთან ბოლო სტუმრობის შემდეგ, ორი კვირა იყო გასული, როდესაც კვლავ გადავწყვიტე მათი მონახულება. კარი ახალგაზრდა, სიმპათიურმა ბიჭმა გამიღო. გულმა რეჩხი მიყო, ალბათ მადონა ჩამოვიდა, ეს კი მისი ქმარია-მეთქი, — ვიფიქრე, მაგრამ თურმე, უარესი, საშინელი ამბავი მელოდა: როგორც აღმოჩნდა, ეს ბიჭი მადონას ქმარი კი არა... თვითონ მადონა ყოფილა. მოსკოვში სწორედ ოპერაციის გასაკეთებლად ყოფილა წასული. მადონა მამაკაცად გადაკეთდა და ამიერიდან, სხვა სახელი ერქვა (სამწუხაროდ, ვერ დავასახელებ). ამაზე დიდი სასწაული რა გინდათ?! ქალი, რომელიც ცხოვრებაში ორჯერ შემიყვარდა, ახლა ჩემი ძმაკაცია და ქალებში ერთად დავდივართ. თუ მისი გაბრაზება მინდა, ვეტყვი ხოლმე: ეჰ, მე რომ ჭკუა მქონოდა, მაშინ უნდა გამეუპატიურებინემეთქი. ისეთი შეურაცხყოფილი რჩება, რომ გაოცდებით... აი, ის სასწაული, რომელიც თქვენთვის უნდა მომეყოლა. მარი, შენი ერთგული მკითხველი ვარ და იმედია, დამიბეჭდავ ამ მესიჯს. პატივისცემით, მახო“.

ბატონი მალხაზი შევიპირე, რომ ყოფილ მადონასთან ინტერვიუს „ჩამინყობს“ და ვფიქრობ, „გზის“ უახლოეს ნომერში უფრო დაწვრილებით მოგიყვებით ამ გამბედავი და უცნაური ადამიანის შესახებ.

...რისთვის სჭირდება ადამიანს გული? ამბობენ, რომ უგულო ადამიანები საზოგადოებას არ უყვარს; თურმე, გულში შეიძლება საყვარელი ადამიანის სიყვარული შეინახოთ ან ლამაზი გოგონას დანახვისას, ბაგაბუგი ატეხოს და სწორედ ამ ორგანითი იგრძნოთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რაღაც უნდა შეიცვალოს; სწორედ გულის ხმას უნდა მიენდოთ და მასაც გააგონოთ თქვენი გულისცემა... მაგრამ არ გირჩევთ, ახალგაცნობილ ადამიანთან ისეთი ვულგარული (სხვა სიტყვა რომ არ ვიხმაროთ) საქციელი ჩაიდინოთ, როგორიც მომდევნო მესიჯის მოქმედმა პირმა.

რა აქვს შარვალში უცხო მამაკაცს?

„არ ვიცი, შეიძლება თუ არა სასწაულად ჩაითვალოს ის, რაც უნდა მოგიყვეთ, მაგრამ მსგავსი რამ ალბათ, ბევრს არ გადახდენია თავს. უნივერსიტეტი დავამთავრე და იმ იშვიათი კატეგორიის ადამიანებს მივეკუთვნები, რომლებმაც სამსახური სპეციალობის მიხედვით იშოვეს. უკვე 25 წლის ვარ, მაქვს სოლიდური ხელფასი და ვარ დამოუკიდებელი ადამიანი. მიყვარს ღამღამობით ქალაქში წოწიალი და ღამის კლუბებში სიარული. მშობლებს ჩემს საქმეში არ ვრევ. ასე და ამგვარად, ქალაქის თითქმის ყველა კლუბში მცნობენ და პატივსაც მცემენ, რადგან ჯერ ერთი, ყოველი მისვლისას საკმაოდ სოლიდურ თანხას ვხარჯავ, მეორეც — ყველამ იცის, რომ უზნეო ადამიანი არ ვარ, მამაკაცებს კისერზე არ ვეკიდები, უცხო ადამიანებთან კონტაქტში არ შევდივარ და არც სადმე მივყვები. ერთი სიტყვით, იქ საღლაბუცოდ და კაცების გასაცნობად კი არა, საცეკვაოდ და გასართობად დავდივარ... ერთ საღამოს, ახალგაზრდა მამაკაცი მომიახლოვდა და გამომელაპარაკა. უხალისოდ ავყევი საუბარში. გარეგნობით კარგი ტიპი იყო, მაგრამ მასში რაღაც არ მომწონდა. რაღაცნაირი, უცნაური გამოხედვა და ქცევა ჰქონდა. კომპლიმენტების კორიანტელი დააყენა. მეუბნებოდა — რომ გიყურებ, გული ისე მიცემს, რომ ლამის მკერდიდან ამომიხტესო და თან, ჩემს მკერდს არ აცილებდა თვალს. ვერა და ვერ მოვიციელე აბეზარი თაყვანისმცემელი. ყურადღებას რომ არ ვაქცევდი, ბრაზობდა. ბოლოს, მაჯაში ხელი მტაცა და მაისურის შიგნით შემაყოფინა. ეს ისე სწრაფად გააკეთა, რომ აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი. ჩემი ხელი მკერდზე მიიჭირა და მეუბნებოდა — ნახე, ნახე, რა დღეშია ჩემი გულიო!.. მისი გული კი მართლაც ძლიერად ცემდა. სასწრაფოდ გამოვტაცე ხელი და კბილებში გამოვცერი — ახლა თავს თუ არ დამანებებ, იცოდე, განანებ-მეთქი! უცნაურად გაიღიმა და უბეზე დაიხედა. ძალაუნებურად მეც გამექცა თვალი და რას ვხედავ? შარვლის უბე ისე აქვს გამობერილი, რომ ლამის ღილები ასწყდეს, თანაც, თვალსა და ხელს შუა იბერება და იბერება... უეცრად აფეთქების ხმასავით გაისმა, ბუჰ! — დაიძახა და შარვალი ძველ, ჩვეულებრივ ფორმას დაუბრუნდა. შარვლის პატრონმა კი ხმამაღლა გადაიხარხარა. ამ სიტუაციას თითქმის ყველა იქ მყოფი ადევნებდა თვალს და ისეთი დუმილი ჩამოწვა, რომ გაგიკვირდებოდათ. იმ ტიპმა კი აინუნშიაც არავინ ჩააგდო... მისკენ დაცვის თანამშრომლები გამოემართნენ და ვიდრე მიუახლოვდებოდნენ, შარვლის გახსნა მოასწრო და იქიდან ჩვეულებრივი, გრძელი ფორმის, გახეთქილი ბუშტი ამოიღო. დარბაზში ხარხარი ატყდა. მე პატრულის გამოძახება მოვითხოვე. სულ მალე, ეს ადამიანი გაჩხრიკეს და აღმოჩნდა, რომ მას რაღაც ხელის ტუმბო ჰქონია, რომელიც წვრილი მილით ბუშტს უკავშირდებოდა და ასე ბერავდა მას. რისთვის სჭირდებოდა ამ ყველაფრის გათამაშება, წარმოდგენა არ მაქვს. ჯერ ვაპირებდი, სასამართლომდე მიმეყვანა საქმე, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე. აი, ასეთი სასწაულის მოწმე გავხდი. არ ვიცი, ყველა გიჟს მე რატომ უნდა გადავეყარო...“

ახლა კი მოკლე მესიჯებსა და საჩივრის სვეტს გავეცნოთ

დავიღალე ცხენში ჯდომით, სახლში მინდა

„გარიგებით გავთხოვდი. ამიტომ, მინდა გითხრათ, რომ ის აზრი, თითქოს სიყვარული თავისით მოვა, მცდარია. დასავლეთიდან ჩამოვედი თბილისში. 7 მარტი იყო. ბავშვმა რაღაც მთხოვა და ამის გამო სადგურზე გასვლამ მომიწია. ნასვამ მამაკაცს რაღაც ვკითხე. მან კი 8 მარტის დღესასწაული წინასწარ მომილოცა და თაიგულიც მომართვა. ენა ჩამივარდა, რადგან ჩემთვის დაბადების დღის მოლოცვაც კი ავიწყდებოდათ ხოლმე — საჩუქარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... იმ კაცს მამუკა ჰქვია. სახელები და ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ერთმანეთს დავშორდით. თაიგულს დავცქეროდი და ვფიქრობდი — თურმე, ერთი ნახვით შეყვარება მითი არ ყოფილა-მეთქი. მამუკასთან დაკავშირება არ მიცდია. გავიდა დრო... ერთ დღეს ჩემმა ტელეფონმა დარეკა. მამაკაცის სანდომიანი ხმა მკითხულობდა... როცა მითხრა, ის მამუკა ვარ, სადგურზე რომ გაგიცანიო, ლამის სიხარულისგან ვიკივლე. მთელი 8 თვე იყო გასული და აღარ ველოდი, რომ გამოჩნდებოდა. მერე შეხვედრა მთხოვა. აი, ეს იყო ნამდვილი სასწაული. მამუკა მახ-ძე, ეს შენზე ვარ ასეთი შეყვარებული, მიუხედავად იმისა, რომ 14 წელია, გათხოვილი ვარ და უსიყვარულოდ ვცხოვრობ“.

„აი, ჩემი უიღბლო, მაგრამ მაინც სასწაული: 31 დეკემბერს მიმაჩნდა, რომ ყველაზე უბედური ადამიანი ვიყავი, მაგრამ მეორე დღეს გავიცანი ადამიანი, რომელმაც ჩემი გული ერთ კვირაში მოინადირა. 6 თვის შემდეგ კი, ისიც დაიკარგა... ვერ აღგიწერთ, როგორ ვიტანჯები. ახლა ისევ პირველ იანვარს ველი: იქნებ, ისევ გავახსენდე ჩემს სასწაულს და დამირეკოს“.

„ჩემს ცხოვრებაში სასწაული ნამდვილად მოხდა. აბა, რა უნდა ვუწოდო იმას, რომ ერთი ქუჩის ბიჭი ვიყავი, არც ვიცოდი, რისთვის ვცხოვრობდი და არც არაფრის რწმენა მქონდა, გარდა რელიგიისა... ახლა უკვე სტიქაროსანი ვარ. მადლობა ღმერთს, რომ ჩემს ცხოვრებაში ეს სასწული მოხდა! სტიქაროსანი“.

„ჩემი ცხოვრების სასწაული ჩემი სიყვარულია. ამ დროს მე სხვისი ცოლი ვარ. გათხოვილი რომ არ ვყოფილიყავი, ნეტავ, მაინც შევხვდებოდი მას? მას ცოლი არ ჰყავს და არ ვაპირებ, მისი ცხოვრება თავდაყირა დავაყენო. მისთვის თავს არ დავზოგავ, მაგრამ ის საუკეთესოს ღირსია და ვურჩევ, შეეშვას ჩემზე ფიქრს: მე ხომ სხვისი შვილების დედა ვარ. უზომოდ მიყვარხარ და მენატრები, მაგრამ... დამივიწყე! ესმა“.

„მარი, შენი დახმარება მჭირდება. იქნებ,

მოხდეს სასწაული და მაპოვნინო თამუნა ყავლელაშვილი, რომელსაც დიდი ხანია, ვეძებ. ფორვარდი“.

„ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ერთადერთი სასწაული ის იყო, რომ დისშვილი შემეძინა. მაშინ სულ რაღაც 7-8 წლის ვიყავი და კარგად ვერც გავაცნობიერე, რა ხდებოდა. რომ გავიზარდე, თანდათან მივხვდი, რა ბედნიერებაა, როცა პაწია იბადება ოჯახში. კოკა, ვაფრენ შენზე. შენ ყველაზე ლამაზი ბავშვი ხარ მსოფლიოში. დისშვილზე გაგიჟებული დეიდა ხატია“.

„ახლა სახლში თბილად ვზივარ და „გზავნილებს“ ვკითხულობ. მინდა, ერთი მესიჯის ავტორს, ლაშა-1-ს გამოვეხმაურო? ლააშ, შენ მგონი, საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ. საავადმყოფოდანაც არ იშლი დონჟუანობას? რა წესია ეს?! თუმცა, მგონი, კარგად გამოგდის. ჩემს ცხოვრებაში მომხდარი სასწაული კი ის იქნება, თუ მარი ამ მესიჯს გამოაქვეყნებს... გაჩაღდეს ჭორაობა პირდაპირ „გზის“ ფურცლებზე“.

„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი სასწაული ის იყო, რომ ორსულობის დროს ექოსკოპიაზე მისულმა, ეკრანზე ორი პატარა არსება დავინახე. ეს მართლაც, საოცრება იყო. 17 წლის ასაკში უცებ 2 ვაჟკაცი შემეძინა. ისინი ახლა 1 წლის და 1 თვის არიან — საბუნა და ბექუნა. პატივისცემით, თეო“.

„სასწაული?.. თანაც ჩემს ცხოვრებაში?.. არა, მარი, ჩემთან სასწაულები არ ხდება. ცხოვრებამ დამჩაგრა, გული მატკინა და ცხარე ცრემლით მატირა. ერთადერთი სასწაული ჩემი დედიკოა. მხოლოდ ის ახერხებს ჩემთვის სასწაულების მოხდენას. დე, მიყვარხარ! შენი პატარა საკო“.

„ტელეფონით შემთხვევით გავიცანი ერთი ბიჭი. პირადად არ ვიცნობდი, მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტობდით. სასწაული კი ის იყო, რომ ყოველ მეორე დღეს ჩემს დეპოზიტზე 15 ლარს რიცხავდა. შემდეგ პირადადაც გავიცანი და ჩემი ოცნების მამაკაციც გახდა. ქუთაისელო გია კ-ია, მიყვარხარ! მაია, კურორტიდან“.

„მარი, ბოდიშს გიხდი, ასე გვიან რომ გიმესიჯებ. ახლა დავამთავრე „გზავნილების“ კითხვა და კარგადაც ვიხალისე. გაინტერესებს, რატომ ღვიძავს 18 წლის გოგოს ამ დრომდე?.. იმიტომ, რომ ოთახში ჩემი დის დედამთილს სძინავს და მისი ხვრინვა არ მაძინებს. სტუმარი გამიგია, მაგრამ 1-2 დღით. კარგი, რა! გეყოფა ამდენი სტუმრობა და გათენდება თუ არა, მიბრძანდი. სეხნია“.

„მარი, დამიბეჭდე, თორემ, უზენაეს სასამართლოში გიჩივლებ. მარტო რჩები? გწირავს, ყველა? ქარი ბჭე-კარს გინგრევს სტვენით? მჯერა, მჯერა, მჯერა, მჯერა... მე ყოველთვის მჯერა შენი. დათ, თავს არ დაგანებებ, სანამ შენს ეშმაკს კისერს არ მოვუგრეხ და მის მაგივრად მე არ დაგაჯდები მხარზე“.

„ღამით სინათლეს აწვალებს ფიქრი, შენი ალერსის სურვილით ვიწვი, იდუმალება უხდება ლოცვას, გიგზავნი დიდ და უნაზეს კოცნას. თორნიკე, მომენატრე, სად ხარ? გკოცნი, შენი გოგო“.

„ჩემს ცხოვრებაში მომხდარი სასწაული ის არის, რომ ნამდვილი სიყვარული 40 წლის ასაკში მეწვია. უგონოდ შემიყვარდა ჩემი შვილის მასწავლებელი. უკვე 3 წელია, ასე, უიმედოდ გაორებული დავდივარ. ის კი აინუნშიც არ მაგდებს. დათო რ-ძე, მითხარი, რით ვერ მოვიგე შენი გული?.. ნუ „ეწებები“ ასე ცოლს, თორემ, იმდენს ვიზამ, რომ სამუდამოდ დაგაშორებ“.

„მარი, სიმართლე გითხრა, თავიდან მეც მეგონა, რომ ამ ყველაფერს შენ იგონებდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ვინმე შემიყვარდებოდა, თანაც, უნახავად. თვითონაც მეუბნება, მიყვარხარო, მაგრამ არ მჯერა. ვფიქრობ, რომ მისთვის სხვა არაფერი ვარ, თუ არა ერთი ტუტუცი გოგო, რადგან ჩვენ შორის სხვაობა 11 წელია. მირჩევნია, ჩემი გრძნობების შესახებ მას არაფერი ვუთხრა და არც არასოდეს შევხვდე“.

„ჩემს ცხოვრებაში სასწაული მაშინ მოხდა, როცა პირველად ვიყიდე „გზა“ და „გზავნილებს“ მოვკარი თვალი. გოგო, ეს რა გაგვიჩალიჩე? მილიონობით ადამიანი „გზავნილებზე“ „შეგვსვი“. პირადად მე — „გზავნილების“ „ლომკას“ ძველი ნომრების კითხვით ვიქარვებ, მაგრამ არ მშველის... მარი“.

„2 წლის წინ, ფანჯრის წმენდის დროს მეხუთე სართულიდან გადავვარდი და ცოცხალი გადავრჩი. მხოლოდ ხელი და ფეხი მოვიტეხე. მითხარით, ხომ არის ეს ნამდვილი სასწაული?! ნინო“.

„ჩემს ცხოვრებაში ისეთი სასწაული მოხდა, რომ სიზმარში მგონია თავი. 4 შეყვარებული მყავდა, ოთხივეს მაგრად ვიყენებდი და უცებ, სუყველამ ერთ დღეს არ დამანება თავი?!. ახლა ვარ მარტო და ველოდები კიდევ ერთ ასეთ სასწაულს“.

„ჩემი ქმარი მაძალებს თავის საყვარელთან ურთიერთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიტოვებით მემუქრება. სასწაულია, აბა, რა არის? თეა“.

„ამას წინათ, ჩემი მესიჯი დაიბეჭდა, რომელსაც „პატმრის აღსარება“ ერქვა. მარი, უთხარი ხელისუფლებას, რომ გამიშვას, გთხოვ... დავიღალე ციხეში ჯდომით. რა უნდა გავაკეთო, რომ სახლში გამიშვან? ოღონდ კი წავიდე და ვფიცავ, აღარაფერს გავაფუჭებ. „მალიშა“.

„მე მართლა სასწაული გადამხდა თავს. 24 წლის ვიყავი, როცა მობილური ტელეფონის ახალი ნომერი ვიყიდე. ბოლო ციფრი შევცვალე და დავრეკე... ასე გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. 3 თვეში დავქორწინდით და 10 დეკემბერს ერთი წელი გახდება, რაც ცოლ-ქმარი ვართ. მამუკა, უზომოდ მიყვარხარ“.

საჩივრის სვეტი

„ვუჩივი კახა ლომაიას. დავიტანჯე ამდენი სწავლით. მომავალ ექიმებს სამი საგანი რომ დაგვიმატა, რას ფიქრობს? ერთი მენახა, თვითონ როგორ ჩააბარებდა! ქეთი“.

„მარი, ამ მესიჯს თუ არ დამიბეჭდავ, ნამდვილად გადავირევი. მთელი ჩემი არსებით ვუჩივი თელასს. გაგონილა, XX საუკუნეში შუქის გათიშვა? წავლენ-წამოვლენ, კერძო სახლებს დენს გვიქრობენ, ცხვირწინ მდგარი კორპუსები კი გაჩახჩახებულია. ჩვენ გვეუბნებიან, დავალიანება გაქვთო. ვითომ კორპუსის მცხოვრებნი სულ კისრისტეხით მირბიან დავალიანების გადასახდელად. ახლაც სიბნელეში ვზივარ დაბოღმილ-გამწარებული და თელასს „ნაზ“ მოკითხვებს ვუთვლი... უხ, მაგათი!..“

„ვუჩივი ჩემი მშვენიერი და საყვარელი მეგობრის ექსმეუღლეს, რომელსაც უკვე წელიწადნახევარია, შვილები ტელეფონითაც კი არ მოუკითხავს. თავის ქალიშვილებს ქუჩაში რომ შეხვდეს, ალბათ ვეღარც იცნობს. გარდაბნელო ედუარდ ჯ-შვილო, ბავშვები მიხვდნენ, რომ შენ გაგიძნელდება მგზავრობა გარდაბნიდან რუსთავამდე და აღარ გელიან. ვერ ხვდები, ამ სამი ანგელოზის დაკარგვით რამდენს სცოდავ? ახლა კი, გამაგრდი და გაუძელი“.

„ვუჩივით სიღნაღის ელექტროკავშირის უნიათო უფროსს, ჭანუყვაძეს. ვაპირებთ, მოვაწყოთ ჭინჭრების რევოლუცია. არც XX და არც XX საუკუნეში არ გვაღირსა სატელეფონო კაბელის შეცვლა. ვის რაში სჭირდება მისი ახალი ა-ტე-ესი? ატმოსფერული ნალექების ცვალებადობაზეა დამოკიდებული ტელეფონის ხაზები!.. დაუბერავს ქარი და ნახევარ რაიონს ტელეფონი ეთიშება. რა გააწყალეთ გული, ბატონო სერგო, როდის უნდა მოაგვაროთ ეს პრობლემა? სად მიგაქვთ ამდენი სააბონენტო გადასახადი? კატო ბაბო“.

„მარი, იმ აბეზარი, ცილისმწამებელი მკითხველების ტელეფონის ნომრები გამოაქვეყნე, ვისაც არ სჯერა, რომ მესიჯებს ჩვენ გიგზავნით და ვაიიი, მერე მაგათი ბრალი! ისეთ დღეში ჩავაგდებთ, რომ სულ „მჯერა-მჯერას“ გაიძახოდნენ...“

„მინდა, ლაშა-1-ს ვუთხრა: მარისთან ბევრი მესიჯი გამოვგზავნე, მაგრამ არც ერთი არ გამომიქვეყნა. აბა, როგორ არ ვიფიქრო, რომ თვითონ იგონებს? მარი, შენ ბოდიშს გიხდი. იქნებ, მართლა ვცდები?.. თათია“.

მინდა, თათიასა და ყველა მკითხველს შევახსენო, რომ „გზავნილები“ თქვენთვის შეიქმნა და თქვენით არსებობს. ყოველკვირა, ათასამდე მესიჯს ვიღებ და საინტერესოა, რატომღა უნდა ვიჭყლიტო ტვინი მათი გამოგონებით? ნეტავ, ყველა მათგანი დაეტეოდეს ამ 4 გვერდზე, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩეს. თუმცა, ადრე თუ გვიან, ყველა მესიჯი იხილავს დღის სინათლეს. ბევრი თქვენგანი მეკითხება ხოლმე, როგორ მოვახერხოთ, რომ მესიჯი „გზავნილებში“ აუცილებლად მოხვდესო? აქ არავითარი ჩაწყობა და ნაცნობ-მეგობრობა არ არის საჭირო. უბრალოდ, საინტერესო ამბავი უნდა მომიყვეთ. გადაავლეთ თვალი უკვე გამოქვეყნებულ მესიჯებს და მიხვდებით, როგორი ტექსტი უნდა შეადგინოთ. ისეთი მესიჯის დაბეჭდვას, როგორიცაა მაგალითად, „გიო, მიყვარხარ, შენზე ვაფრენ. ნინო“, — აბა, რა აზრი აქვს?! ადრესატი მაინც ვერ მიხვდება, რომ მისთვისაა განკუთვნილი... მოკლედ, კვლავ ველი თქვენს მესიჯებს ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61, ამჯერად, თემაზე — ცუდი საქციელი. გემშვიდობებით, მომავალ ხუთშაბათამდე.

■

ოსტატი „მეფე“ ანუ ვის მიენდობი, საკუთარი ხელების გარდა...

ინგა ჯაყელი

მიშა 58 წლისაა და მას ყველა, როგორც ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის დოცენტს, ისე იცნობს. სტუდენტებსაც ძალიან უყვართ სამართლიანი მასწავლებელი, რომელიც არასდროს კადრულობდა სტუდენტისგან ფულის გამოძალვას, თუმცა კი ნიშანი ზოგჯერ უცოდინარისთვისაც დაუწერია...

— ისეთ დისციპლინას ვასწავლი, რთულია გასაგებად და არც ისაა დიდი უბედურება, თუ ყველა ვერ ჩასწვდება მის არსს, მით უმეტეს, „არასპეციალობის“ სტუდენტები. ზარმაცს და უპასუხისმგებლოს არ ვაპატიებ, თორემ, თუ ოდნავ მაინც უმეცადინია ბავშვს, არ ვაწვალებ. ცხოვრება ჩემზე მეტს მოსთხოვს და ასწავლის, სადარდებელი კი ისედაც ბევრი აქვთ, ზოგჯერ გზის ფულს ვერ აძლევენ მშობლები, ზოგი სულაც რაიონიდანაა და ცხელ სადილსაც ვერავინ ახვედრებს. არ შემიძლია, მკაცრი ვიყო და რა ვქნა?! თანაც უნდა ვაღიარო, რომ შინაგანად არც მეცნიერად ვგრძნობ თავს და არც პედაგოგად!.. ცნობილი ოჯახის შვილი ვარ, სისხლიც და გვარიც უძველესი — თავადური მაქვს. ჩვენს ოჯახში განათლების კულტი იყო ყოველთვის, ჩემს მშობლებს ვერც წარმოედგინათ უსწავლელი კაცის ბედნიერება და მეც ჩემი დაძმებივით მათი გავლენის ქვეშ ვიყავი მოქცეული. არა, სწავლა არ მიჭირდა და ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი ყოველთვის, სტუდენტიც ადვილად გავხდი, თანაც, იმ ფაკულტეტის, ჩემმა მშობლებმა რომ შემირჩიეს, თორემ, მე არაფერი მაინტერესებდა, გარდა ერთი საქმისა...

ძიძა გვყავდა პატარაობისას, რადგან დედაჩემს ჩვენთვის ხშირად არ ეცალა თავისი პროფესიის გამო. ძალიან მიყვარდა სოფო-დადუ, რატომღაც ასე უცნაურად ვეძახდით ქალს, რომელიც საოცრად ქსოვდა და სულ მისი მოქსოვილები გვეცვა ბავშვობაში, ბევრსაც შურდა ჩვენი ორიგინალური სვიტერების, შარფების, ჟილეტების, ქუდების თუ თათმანების. ისეთ საოცარ ორნამენტებს და ნახატებს ქმნიდა სოფო-დადუ, პირდაპირ მღეროდა ძაფი მის ხელებში, მუსიკად იღვრებოდა და მოჯადოებული ვუცქერდი. საათობით შემეძლო მის გვერდით ჯდომა. ერთხელაც ვთხოვე, ჩემთვისაც ესწავლებინა ქსოვა. გაიკვირვა — ქსოვა რა ბიჭის საქმეაო?! — მაგრამ, რომ არ მოვეშვი, სიამოვნებით დამიწყო სწავლება, და-ძმა დამცინოდა და მამაჩემიც ჯავრობდა: დროს კარგავ, ჯობს, წიგნებს მიხედო! — მაგრამ ვერაფერს გახდნენ, თანაც სწავლაში სულაც არ შემშლია ხელი ჩემი გატაცების გამო.

სოფო-დადუ რომ დაგვშორდა, 14 წლის ბიჭი ვიყავი და უკვე დამოუკიდებლადაც ვქსოვდი, ზოგჯერ მაინც მივდიოდი მასთან რჩევის საკითხავად, ღვთის მადლით, შორს არ ნასულა, ჩემს პატარა ბიძაშვილებს ზრდიდა ბიძის ოჯახში...

...სულ ჩემი ნაქსოვი სვიტერებით დავდიოდი. ამხანაგებს ეგონათ, საზღვარგარეთიდან მიგზავნიდნენ იქაური ნათესავები. მეხვეწებოდნენ, ზოგი რამ მათთვის დამეთმო და მართლაც, გავყიდე რამდენიმე სვიტრი სტუდენტობისას, რითაც წიგნებს ვყიდულობდი. არც ჯიბის ფული მაკლდა, ჩემი მშობლები კმაყოფილები იყვნენ, მაგრამ მაინც მირჩევდნენ, არ გამემხილა, თავად რომ ვქსოვდი, რატომღაც ერცხვინებოდათ — ხალხი ალმაცერად დაგიწყებსო ცქერას!..

...ცოლი რომ შევირთე, ისე ვიყავი დაკომპლექსებული შეძახილებით, რომ მამაკაცისთვის უღირსი საქმით ვიყავი გატაცებული, კარგა ხანს ვერც მას ვუმხელდი, მის დასანახავად ვერ ვბედავდი ქსოვას, რასაც ძალიან განვიცდიდი და ცოლს ისიც უფიქრია — რაღაცას მიმალავს, იქნებ, არ ვუყვარვარო... ისიც ცუდ დღეში იყო. ერთხელაც ახსნა-განმარტება მომთხოვა და... გამოვტყდი, რისი სიყვარული და მონატრებაც მტანჯავდა. გაუკვირდა, მაგრამ რომ ნახა, რაც შეეძლო, აღფრთოვანდა: ამას როგორ დაგიშლიო?! — ოღონდ, იმანაც მირჩია, საქვეყნოდ არ გამემხილა ჩემი გატაცების შესახებ: „მეფისტოლა“ კაცისგან არ ჩანს ქსოვით გატაცება ლამაზიო!.. — მითხრა; ჰოდა, ჩემი ნაქსოვებით იწონებდა თავს მეგობრებსა და ახლობლებში, ყველგან გამორჩეულად ჩაცმული დადიოდა...

...ქვეყანა რომ აირია, სწორედ მაშინ დადგა ჩემი დრო. მასწავლებლის ხელფასით თავის რჩენა წარმოუდგენელი რამ იყო და პურის ფულიც რომ საძებარი გაგვიხდა, მაშინ გადავწყვიტე ხელობით მერჩინა ოჯახი, მით უმეტეს, რომ ვაჭრობა იქცა საქართველოს მოსახლეობის ერთადერთ საქმიანობად. ინსტიტუტში მაქსიმალურად ნაკლები დატვირთვა ავიღე, ესეც ისე, შირმად მჭირდებოდა, რადგან დღემდე არ მაძლევს ცოლი თავის გამჟღავნების უფლებას — თავადური კუდაბზიკობა არ აძლევს ამის ნებას... ვქსოვ და ორი გამყიდველი გვყავს ბაზრობაზე, რომლებსაც წინასწარ აქვთ შეკვეთები ორიგინალურ ნივთებზე. გამყიდველებმაც არ იციან, კაცი თუ ქსოვს და ისიც — ხელით, რადგან ნაკეთობებს იმპორტულ იარლიყებსაც ვაკერებთ ჩემი ცოლის დაჟინებული მოთხოვნით: არ იცი ქართველების ამბავი? ოღონდ უცხოური იყოს და ოქროს თიხაში გაცვლიანო!.. ვცხოვრობთ ასე, ბედნიერად და უზრუნველად, თვეში ზოგჯერ ათას ლარსაც ვიმუშავებ და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ხელობა ვიცი. ლექტორის ხელფასით ვერც მე ვიცოცხლებდი და ოჯახიც დამექცეოდა...

ამის შემდეგ, პატრონმა მიშამ ძველი ქართული ზღაპარი გამახსენა, რომლის გავლენითაც საათაური შევურჩიე შემოთავაზებულ მასალას — მეფეს რომ გლეხის ქალი შეუყვარდა და ჭკვიანმა ასულმა პირობა წაუყენა ყოვლისშემძლე მმართველს: ცოლად მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგყვები, თუ ხელობას ისწავლი. ტახტი შეიძლება გამოგაცალონ და აღარც მზამზარეულს მოგართმევს ვინმე, რაღაცით ხომ უნდა ვიცხოვროთო!.. მეფემ ხალიჩების ქსოვა ისწავლა და ერთ-ერთი ბრძოლისას დატყვევებულმა, ხმა სწორედ ნაქსოვში დაშიფრული ტექსტით მიაწვდიან თავისიანებს, როცა უკანასკნელი სურვილის ასრულებას დაჰპირდნენ. ჰოდა, სიკვდილსაც გადაურჩა.

სხვა რაღა დავამატო ზემოთ თქმულს? ჭკვიანი ისედაც მიხვდება, რომ საკუთარ ხელებზე მეტი მოიმედე, არავინ შეიძლება ჰყავდეს კაცს...

არც ბატონი მიშას ხელობაშია რაიმე სამარცხვინო, მაგრამ მაინც შემეხვწა: არ გამამხილო, სინამდვილეში ვინცა ვარო!

უცნაური ხალხი ვართ ქართველები...

■

მიჰყევი შენს გზას და ადამიანებმა რაც ენებოთ, ის ილაპარაკონ.

დანტე ალიგიერი

ფრაზებ
გენიალური

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. დგვიფი — წყალნარევი ღვინოა.
2. ქეთი დოლიძემ კარგად იცის პოლონური ენა.
3. ადამიანის 23-დღიან ჩანასახს გულისცემა ეწყება.
4. ცარიელ ტიკს გაბერილ მდგომარეობაში ინახავენ.
5. დიეგო მარადონა, ფიდელ კასტროს „მშობელ მამას“ ეძახის.
6. თეთრი დათვი ყველაზე დიდი ხორცისმჭამელია დედამიწაზე.
7. „მაი ფინანსი პაიუტ რამანსი“, — წუწუნებს მიხაილ ჟვანეცკი.
8. ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი 12 მილიარდ დოლარს აღემატება.
9. განქორწინების ინიციატორები უმრავლეს შემთხვევაში, ქალები არიან.
10. „ვ ნაშეი სტრანე ბედნიმ ჟიტ სტიდნო, ა ბოგატიმ — სტრაშნო“, — ამბობენ რუსები.
11. „მე შემიძლია, სამუშაო მაგიდასთან მჯდომმა ვმართო იტალია“, — ამბობდა მუსოლინი.
12. საუკეთესო ტანკად დღეს, „ლეოპარდ 2“-ია აღიარებული. ეს ტანკი შვეიცარიას ჰყავს შეიარაღებაზე.
13. ჟოზეფინა 6 წლით უფროსი იყო ნაპოლეონზე. ეს ქალი სისტემატურად ღალატობდა ბონაპარტს.
14. „ამ კაცს თავი ანანასს მიუგავს და ქალივით ფართო თეძოები აქვს“, — ამბობდა რუზველტი, დე გოლის შესახებ.
15. ვიეტნამელებს ძალიან უყვართ ძაღლის ხორცი, მაგრამ ირწმუნებიან, რომ მხოლოდ უჭკუო ძაღლებს ჭამენ.
16. ამერიკელი მოჯირითე ქალი, ადა აიზენსხმეკენი, ალექსანდრე დიუმას უკანასკნელი სიყვარული იყო.
17. „წუთის ხანგრძლივობა იმაზეა დამოკიდებული, აბაზანის კარის რომელ მხარეს იმყოფებით“, — ამბობენ ამერიკელები.
18. იტალიური ოპერა თბილისში 1851 წელს გაიხსნა. ამ ოპერის სცენაზე მღეროდა ჯუზეპე ვერდის მეუღლე, ჯოზეფინა სტრეფონი.
19. ჰუნების მეფის, ატილას იმპერიის დედაქალაქი დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.
20. ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში მიიჩნევენ, რომ მეთევზეთაგან, მათი მოთმინების უნ-

ს

უფერულა თქვენთვის სიკვდილის ცნება?

— არა, აქ მუშაობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიკვდილს იოლად ვუყურებ. იქნებ, გაგიკვირდეთ კიდეც, რომ ჩემი ასაკისა და პროფესიის ადამიანი შესაძლოა გულჩვილი იყოს, მაგრამ ხშირად პატარა ბავშვივით ავტირებულვარ. ჩემმა სამსახურმა ვერ შეცვალა ჩემი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ და ვერ გააიოლა მისი აღქმა.

— თქვენმა პროფესიამ რაიმე სპეციფიკური ჩვევა ხომ არ ჩამოგიყალიბათ?

— არა, ვერ ვიტყოდი, რომ რაიმე შემეცვალა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ გაცილებით მორწმუნე გავხდი. ძალზე ეკლესიური არც ახლა ვარ, მაგრამ წინათ, მთლად ათეისტი ვიყავი.

— გაიხსენეთ, რას შეუძრწუნებიხართ ყველაზე მეტად?

— ძალზე მიჭირს ცალკეული შემთხვევის გახსენება, რადგან ამ ბოლო 15 წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო, ხშირად ვაწყდები მართლაც შემაძრწუნებელ ამბებს. თანამდებობაზე, რომელზეც ახლა ვმუშაობ, დავინიშნე 1988 წლის ბოლოს. სულ რაღაც 6 თვეში კი — მოხდა 9 აპრილის ტრაგედია. ეს საშინელება გახლდათ. ჩვენი სამსახური იყო ყველა ომის საშინელი შედეგების თვითმხილველი. ვერც ერთი ტრაგედია ვერ აუვლის გვერდს ჩვენს სამსახურს. რომელი ერთი გავიხსენო?

— ვალდებული ხართ თუ არა, საიდუმლოდ შეინახოთ ამა თუ იმ საქმეზე გაცემული ექსპერტიზის დასკვნა?

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შავით თეთრზე წერია, რომ ექსპერტი ვალდებულია, არ გაახმაუროს საგამოძიებო საქმის მასალები და არ გახადოს საჯარო ის ინფორმაცია, რომელიც პიროვნებისა თუ ორგანიზაციის ინტერესებს შელახავს, ვიდრე არ გამოქვეყნდება კანონიერ ძალაში შესული საქმის განაჩენი. მანამდე, ჩვენ მიერ მოკვლეული ყველა მასალა საიდუმლო ინფორმაციად ითვლება და მისი გახმაურების შემთხვევაში, გათვალისწინებულია სასჯელი.

— უმეტესწილად, ექსპერტის დასკვნა წყვეტს ეჭვმიტანილის ბედს...

— დიახ, ასეა. დავუშვათ, ნაპოვნია გვამი. გამოძიება და სასამართლო პასუხს ითხოვს ჩვენგან: რა მოხდა? ასევე, როცა საქმე იხილება სხეულის დაზიანების მუხლით, ჩვენ ვახდენთ დანაშაულის კვალიფიკაციას ანუ მძიმეა დაზიანება თუ მსუბუქი. ხშირად ჩვენი დასკვნის საფუძველზე წყდება არა მარტო ის, აღიძრას საქმე თუ არა, არამედ რომელი მუხლით უნდა აღიძრას. სქესობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაულის დროს, ჩვენი ჩარევის გარეშე, გამოძიება პრაქტიკულად ნაბიჯსაც ვერ გადადგამს — გაუპატიურება იქნება ეს, გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი, თუ ორსულობის მოშლა. ასე რომ, ჩვენი სამსახური ხშირად ხდება გადამწყვეტი სიტყვის მთქმელი.

— როგორ ხდება გვამის გამოკვლევა?

— ეს გახლავთ საკმაოდ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც ვახდენთ გვამის, როგორც გარეგნულ, ისე შინაგან დათვალიერებას. შინაგანი დათვალიერებისას ვხსნით მუცლის ღრუსა და თავის ქალას და ვახდენთ შინაგანი ორგანოებისა და ტვინის შესწავლასა და გამოკვლევას. გარდა ამისა, თუ საქმე მოითხოვს, შესაძლოა, სხვა მანიპულაციაც ჩავატაროთ. მაგალითად, გავხსნათ ხერხემლის არხი, კუნთოვანი მასივი ან სისხლძარღვი... რაც ექსპერტს სჭირდება საიმისოდ, რომ გადაჭრას მის წინაშე არსებული საკითხი, მას ამის გაკეთების უფლებაც აქვს და ვალდებულიცაა. აქედან გამომდინარე, ექსპერტი გვამთან კონკრეტული მიზნითა და გეგმით მიდის... თუ ეს გახლავთ ბანალური შემთხვევა, მაშინ კვლევა ხდება კლასიკური სქემის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში კი ატარებს დამატებით კვლევას. შესაძლოა, ამ პროცესს დასჭირდეს 30-40 წუთი, შესაძლოა — 3-4 საათი. ექსპერტი ვალდებულია, გვამისგან „წამოიღოს“ მაქსიმალური ინფორმაცია, რომ ყველა იმ კითხვაზე გასცეს პასუხი, რომელიც გამოძიებასა თუ სასამართლოს გაუჩნდება. ჩვენს ქვეყანაში გვამის გამოკვლევა ერთჯერადად ხდება. ეს ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარეობს. ბევრ ქვეყანაში გამოძიება ჭირისუფალს გვამს არ ატანს 1-2 კვირა და მთელი თვეც, რადგან შესაძლოა, სამძებრო ღონისძიებების დროს წამოიჭრას ახალი საკითხი და საჭირო გახდეს გვამის ხელახალი დათვალიერება. აქ მიცვალებულს დაუმარხავს ერთი თვე ვინ დატოვებს? შეხვედრის ადგილის დათვალიერების ოქმი და გვამის გამოკვლევის საფუძველზე შედგენილი საექსპერტო დასკვნა გახლავთ ის 2 დოკუმენტი, რომელსაც ეყრდნობა ძიება და სასამართლო, როგორც ოპერატიულ-სამძებრო, ისე მტკიცებულების თვალსაზრისით. თუ 20 მოწმე

აქ მუშაობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიკვდილს იოლად ვუყურებ...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

არიდან და მშვიდი ხასიათიდან გამომდინარე, ყველაზე კარგი მზვერავები გამოდიან.

21. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ფრანგული ტანკები, რომლებიც გერმანელებმა უკლებლივ ჩაიგდეს ხელში, ფირმა „რენოს“ მიერ იყო გამოშვებული.

22. დამწყები ქირურგები ხელის გასავარჯიშებლად ხშირად გაუფცქვნელ ბანანს ჭრიან სკალპელით და შემდეგ ცდილობენ, იუველირის სიზუსტით გაკერონ.

23. ფრონტიდან დაბრუნებულ რეჟისორ ლეონიდ გაიდაის ენა ებმოდა. მან დიდხანს იარა ლოგოპედთან და მეტყველება გამოისწორა, მაგრამ საკმარისი იყო, ცოტა დაელია, რომ კვლავ ებმოდა ენა. როცა ცოლს სურდა, გაეგო, ნასვამი იყო თუ არა მისი ქმარი, სიტყვას — „პარალელოგრამი“ ათქმევინებდა და გაიდაი იძულებული ხდებოდა, ეღიარებინა, რომ მეგობრებთან ერთად ცოტა გადაკრა.

24. პიერ კარდენს უამრავ ქალთან აკავშირებდა მეგობრობა, მაგრამ მისი გული მხოლოდ მამაკაცებს ეკუთვნოდა. 1960 წელს, 39 წლის პიერ კარდენმა, რომელსაც მანამდე არასდროს ჰქონია ფიზიკური სიახლოვე ქალთან, ჟანა მორო გაიცნო და თავდავიწყებით შეუყვარდა იგი. მათი რომანი 3 წელი გაგრძელდა და ბოლოს, კრახით დამთავრდა. პიერ კარდენის თქმით, მათი დაშორება მხოლოდ შვილის ყოლას შეეძლო შეეჩერებინა, მაგრამ ჟანა მოროს ცუდი ჯანმრთელობა ჰქონდა და ბავშვის გაჩენა არ შეეძლო.

25. სანქტ-პეტერბურგში ჩასული ნიკოლოზ გოგოლი, პუშკინის სახლში მისვლისას ისე ღელავდა, რომ კარზე დაკაკუნება ვერ გაბედა. ის უკან გამობრუნდა და რომელიღაც საკონდიტროში, მხნეობის მოსამატებლად, ერთი ჭიქა ლიქიორი გადაკრა. შემდეგ, კვლავ უკან მიბრუნდა და კარზე დააკაკუნა. კარი მსახურმა გაუღო. — სახლის პატრონი შინ არის? — იკითხა მოწიწებით გოგოლმა. — ჯერ არ გაუღვიძია, — უპასუხა მსახურმა. — ალბათ მთელი ღამე მუშაობდა?! — კი, როგორ არა, კარტის თამაშში გაათენა!.. — ჩაიცინა მსახურმა. გაოგნებული გოგოლი უკან გაბრუნდა. იგი შოკირებული იყო: მისმა ბავშვურმა იდეალიზაციამ დიდი დარტყმა განიცადა.

ამბობს, რომ გაიგონა ერთი გასროლის ხმა, ხოლო გვამზე აღმოჩენილია სამი ცეცხლნასროლი ჭრილობა, ნათელია, რომ ოცივე მოწმე ტყუის. ან უნდა დაადგინონ, საიდან გაჩნდა დანარჩენი ორი ჭრილობა. ექსპერტის დასკვნა გახლავთ უტყუარი, ობიექტური საბუთი, რომელიც არის, როგორც საქმის გახსნის საფუძველი, ისე მტკიცებულებითი ბაზის შექმნისა და მისი გადამოწმების ყველაზე უტყუარი გზა.

— ბატონო ლევან, ამ რამდენიმე ხნის წინ, ჩემი რესპონდენტები მიმტკიცებდნენ, მორგში გავცოცხლდითო. ეს მითია თუ მართლა შესაძლებელია, რომ ასეთი რამ მოხდეს?

— ეს გახლავთ ამბები ფანტასტიკის სფეროდან. ამდენი წელია, აქ ვმუშაობ და მსგავსი რამ არ მახსოვს. დავუშვათ, ექიმმა ვერ უმკურნალა, მაგრამ კაცი მოკვდა და ისიც ვერ გაიგო? ყველა კლინიკაში არსებობს ასეთი წესი: როდესაც ექიმების მიერ დადგინდება ადამიანის ბიოლოგიური სიკვდილი ანუ შეწყდება სამედიცინო დახმარების გაწევა, ამის შემდეგ, სულ მცირე, 2 საათის მანძილზე, გარდაცვლილი რჩება თავის საწოლზე. ვინც ეს წესი დაადგინა, ალბათ სწორედ იქიდან გამოდიოდა, რომ თუ ათასში ერთხელ ექიმი შეცდება და ჩათვლის, რომ სიკვდილი დამდგარია, მაშინ, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხალია, ეს ორი საათი საკმარისია საიმისოდ, რომ მოხდეს პირველადი გვამური ნიშნების გამოვლენა: საღეჭი კუნთები შეშდება, ნიკაპი აღარ მოძრაობს და გამოისახება გვამური ლაქები სხეულის უკანა ზედაპირზე. თუ ყველაფერი ასეა, უკვე აღარ არის საეჭვო, რომ ადამიანი მოკვდა. ნურავინ იტყვის, რომ ეს ნიშნები ჰქონდა და შემდეგ გაცოცხლდა. სხვა საქმეა, თუ უპასუხისმგებლო ექიმი 3 მეტრის მანძილიდან გადახედავს და იტყვის, ეს კაცი მკვდარიაო, შემდეგ შეიძლება ის „მკვდარი“ გაცოცხლდეს. სხვა შემთხვევაში, ვფიქრობ, გამორიცხულია.

— კიდევ ასეთი ამბავი მსმენია: 8 თვის ორსული ქალი გარდაიცვალა და მიცვალებულის გაკვეთისას აღმოჩნდა, რომ ნაყოფი ცოცხალი იყო.

— ესეც მითია, რადგან ნაყოფის ცხოველმყოფელობა მთლიანად დამოკიდებულია დედაზე. საკვებისა და ჟანგბადის მიღება ხდება დედის ორგანიზმიდან, ჭიპლარის საშუალებით. დავუშვათ, კვების პროცესის შეწყვეტა არ არის მნიშვნელოვანი და რამდენიმე საათის განმავლობაში ნაყოფმა სიცოცხლის შენარჩუნება შეძლო, მაგრამ ჟანგბადის გარეშე როგორ გაძლებს? აქედან გამომდინარე, შეწყვეტს თუ არა დედა სუნთქვას, მაშინვე მოკვდება ნაყოფიც.

მორგი და სასაფლაო — ეს ის ადგილებია, სადაც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მკვეთრი ზღვარი გადის. ორივეგან ადამიანს ძრწოლა იპყრობს...

— ვიცი, რომ ხშირად გიწევთ უკვე დასაფლავებული გვამის ექსჰუმაცია და კვლევა. გარდაცვალებიდან რამდენი ხნის შემდეგ შეიძლება ექსპერტიზის ჩატარება?

— გააჩნია, რა მიზანი აქვს კვლევას. მძიმე მეტალები შესაძლოა, რამდენიმე საუკუნის შემდეგაც იყოს დაფიქსირებული. ასევე, დარიშხანი... თუ ძვალზე განვითარებული პათოლოგია გვაინტერესებს, ამის გამოკვლევაც მანამ შეიძლება, ვიდრე ძვლები იარსებებს. თუ რბილი ქსოვილებისა და შინაგანი ორგანოების დათვალიერება გვინდა, მაშინ ეს გვამის გახრწნამდე უნდა მოვახერხოთ. არ არსებობს არავითარი კანონზომიერება, რომლითაც შეიძლება დაადგინო გვამის გახრწნის ვადები. ჩემს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც თიანეთის რაიონში ამოვთხარეთ 14 თვის წინ დამარხული მიცვალებული და კუბო რომ გავხსენით, გაოცებული დავრჩით: ეს ადამიანი თითქოს, რამდენიმე საათის წინ მომკვდარიყო.

— ამას როგორ ახსნას მოუძებნიდით?

— მხოლოდ ღმერთმა იცის, რატომ მოხდა ასე. ჩვენი ვარაუდით კი, იქ გახლდათ თიხიანი ნიადაგი, რომელიც მჭიდროდ მიეკრო კუბოს, რის გამოც შიგნით ჟანგბადმა ვერ შეაღწია და გვამი არ გაიხრწნა. კუბოს ამოღება ვერ მოვახერხეთ, მთლად დაშლილი იყო და თავი ძლივს მოვხსენით. მიცვალებულს კი შინაგანი ორგანოებიც კი ისეთსავე მდგომარეობაში ჰქონდა, როგორშიც გარდაცვალების მომენტში. ეს გახლავთ იშვიათი და უნიკალური შემთხვევა. გავიხსენებ ამის საპირისპირო შემთხვევას, როდესაც შაბათს გარდაცვლილი გვამი, მუსლიმანური წესით, კვირას დაასაფლავეს, ხოლო შაბათს მოხდა ექსჰუმაცია. გვამი ისეთ მდგომარეობაში იყო, თითქოს 2-3 თვის დამარხული გახლდათ.

— იმისათვის, რომ გვამის გაკვეთა მოახდინოთ, აუცილებელია თუ არა, ჭირისუფლის თანხმობა?

— ამ საკითხს არეგულირებს კანონი, სადაც წერია, რომ გვამის გასაკვეთად აუცილებელია პატრონის თანხმობა. ჩვენთან ამ თანხმობის მიღება ცოტა ჭირს. გვიხდება იმის ახსნა, რომ ექსპერტიზის ჩატარება საჭიროა სიმართლის დასადგენად, რათა აღსრულდეს და მოქმედებაში მოვიდეს კანონი დამნაშავის დასასჯელად. თუ ექსპერტმა არ გასცა ოფიციალური დასკვნა, რომ ესა და ეს ადამიანი მკვდარია, ის იურიდიულად გარდაცვლილად არ ითვლება. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც დამნაშავე დაუსჯელი დარჩა იმის გამო, რომ ჭირისუფალი არ დათანხმდა გვამის გამოკვლევას, ხოლო შემდეგ სამართლიანობის აღდგენის სურვილი გაუჩნდა და გვამის ექსჰუმაცია მოითხოვა...

— მინდა გითხრათ, რომ ძალიან ძნელი სამსახური გაქვთ.

— ნურავინ იტყვის, რომ იოლია ამ ყველაფრის გაძლება. ეს სამსახური ჯანმრთელობისთვისაც კი საზიანოა. წინათ ხელფასზე 25%-იან დანამატსაც ვიღებდით და ერთ ლიტრ რძესაც, მაგრამ ახლა ეს შეღავათები მოგვიხსნეს.

ერთ-ერთმა უცხოურმა სოციოლოგიური კვლევის სამსახურმა ჩაატარა გამოკითხვა 50 ქვეყნის, მორგის 1000 თანამშრომელთან. კითხვებს შორის ერთი ასეთი გახლდათ: — რისი გეშინიათ? — გამოკითხულთაგან 98%-მა უპასუხა — სიკვდილის!

■

ფრაზა გენიალური

ადამიანს ეშინია მხოლოდ
იმისი, რაც არ იცის.
ცოდნა ამარცხებს შიშს.

ვისარიონ ბელინსკი

ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები...

საყოველთაოდ ცნობილი, რეკორდების წიგნის მორიგ გამოშვებაში — „გინესის მსოფლიო რეკორდები-2006“ — ჩვეულებისამებრ, უამრავი საინტერესო ფაქტია აღნუსხული. ბუნებრივია, პირველ რიგში, იმით დავინტერესდით, თუ რის გამო მოხვდა მის ფურცლებზე საქართველო. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქვეყანა ამ წიგნში ორჯერაა დასახელებული: ერთხელ, ინფორმაციაში სახელწოდებით — „ყველაზე მეტი (იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით. — რედ.) საარჩევნო კამპანია ერთ წელიწადში“, სადაც ვკითხულობთ: „2004 წელს, მსოფლიოში 58 საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, მასში 1,1 მლრდ ადამიანი მონაწილეობდა. პირველი — საპრეზიდენტო არჩევნები — 4 იანვარს, საქართველოში გაიმართა, ბოლო კი — 26 დეკემბერს — უკრაინაში ჩატარებული, ასევე საპრეზიდენტო არჩევნების მესამე ტური გასლდათ“.

მეორე საბაბი, რომლის გამოც საქართველო გინესის წიგნში ახსენეს, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალზე არასახარბიელია. „შობათობის“ სახელწოდებით გამოქვეყნებული ცნობა გვამცნობს: „2002 წელს, ლატვიასა და საქართველოში შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა — 8 ახალშობილი მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე. იმ წელს, მსოფლიო მასშტაბით საშუალო მაჩვენებელი 21-ს უდრიდა. რაც შეეხება უმაღლეს შედეგს — 2002 წელს, ყველაზე დიდი შობადობა სომალისა და სიერა-ლეონეში აღინიშნა — იქ ყოველ 1000 კაცზე 50 ახალშობილი მოდიოდა“.

ჩვენდა სასიხარულოდ, ვერ დავიკვეხნით „დიდი მიღწევით“ ქორწინების სიმცირის სფეროში: აქ დომინიკის რესპუბლიკამ დაგვჯაბნა, სადაც 1994 წელს, 1000 მოსახლეზე მხოლოდ 2 ქორწილი იზეიმეს.

ახალ კი, სხვა რეკორდებზე მოგითხრობთ.

მსოფლიოში უხუცეს მეუღლეთა წყვილი იაპონიაში ცხოვრობს. ტადაო ვატანაბე (დაიბადა 1898 წ. 3 სექტემბერს) და მინორუ მიტა (დაიბადა 1907 წ. 14 მაისს) 1926 წლის 18 მაისს შეუღლდნენ. 106 წლის ტადაო და 97 წლის მინორუ ჯამში 203 წლისანი არიან. 2005 წლის 10 მარტს მათ შეუღლებიდან 78 წლისთავი აღნიშნეს.

ყველაზე ნორჩი კომპოზიტორი — ადამ ლიობრიჩი (დაიბადა 1988 წ. პირველ ივნისს) უნგრელია. ავტორი სულ 14 წლისა და 76 დღის იყო, როდესაც ქალაქ შეკეს-ფეხერვარში 2002 წლის 16 აგვისტოს, მისი 92-წუთიანი პიესა — „მეფის ვარსკვლავი“ შესრულდა. ნაწარმოები, რომელიც ადამმა ელვის პრესლის მიუძღვნა, 23 მუსიკალური პარტიისგან შედგება.

მსოფლიოში ყველაზე ტანმორჩილი ქალი — მაჯ ბესტერი (სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა) 65 სმ სიმაღლისაა. ის თანდაყოლილი დაავადების — ძვლების უკმარისობის გამო, სახეიბრო ეტლსაა მიჯაჭვული. საოცარია, მაგრამ დედამისი — ვინიც ლილიპუტია და შვილს მხოლოდ 5 სმ-ით სჯობნის სიმაღლეში.

ძალზე თავისებური რეკორდი აქვს დამყარებული ამერიკელ ბერნი ბარკერს (დაიბადა 1940 წ. 31 ივლისს): მან 60 წლის ასაკში დაიწყო სტრიპტიზის მოცეკვავის კარიერა. ეს მოხდა მაშინ, როცა ბერნი პროსტატის კიბოსგან განიკურნა და ფიზიკური ფორმის აღდგენა განიზრახა. საინტერესოა, რომ მანამდე, ბარკერი უძრავი ქონების ფირმაში მუშაობდა. 2000 წლიდან, ის კლუბ „ლებარის“ სცენაზე გამოდის და სტრიპტიზის მოცეკვავეთა 40 კონკურსშიც გაუმარჯვია.

კბილების პროთეზის ყველაზე ნორჩი მფლობელი, ამერიკელი ალექსანდერ სტოუნი გახლავთ. მას პროთეზი 2001 წლის 7 ივნისს — 4 წლისა და 301 დღის ასაკში დაუმზადეს. ბუნებრივი კბილების დაკარგვის მიზეზი, დენტინოგენეზად ცნობილი დაავადება გახლავთ, რომლის დროსაც კბილები არ ვითარდება.

„ბურჯ-ალ-არაბ“ („არაბული კოშკურა“), რომელიც არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ დუბაის მახლობლად მდებარეობს, მსოფლიოში ყველაზე მაღალი სასტუმროა: მისი სიმაღლე 320,94 მ-ა. ფოტოზე აღბეჭდილია სახურავზე მოწყობილი, შვეულმფრენის დასაჯდომი მოედანი, რომელიც 2005 წელს, დროებით გადააკეთეს კორტად, როჟე ფედერერსა და ანდრე აგასის შორის გასამართავი, არაკომერციული საჩოგბურთო მატჩის ჩასატარებლად.

კატისებრთა უმსხვილესი ჰიბრიდი — ლიგრი, როგორც ძუ ვეფხვისა და ხვადი ლომის ნაშიერს უწოდებენ, ყოველთვის მშობლებზე დიდია — მისი სიმაღლე 3-დან 3,6 მ-მდე მერყეობს. ლიგრები უფრო ხშირად, ზოოპარკებსა და კერძო სამხეცეებში გვხვდება, თუმცა, ველურ ბუნებაშიც გამოერევა ხოლმე.

ყველაზე მეტი კვერცხის ვერტიკალურ მდგომარეობაში გაჩერება მოახერხეს ამერიკის ქალაქ პროვოს (იუტას შტატი) უილკინსონის სტუდენტურ ცენტრში შეკრებილმა, ბრიჰემ-იანგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა: მათი ძალისხმევის შედეგად, 6,5 სთ-ის განმავლობაში 1290 კვერცხიდან არც ერთი არ წაქცეულა.



ყველაზე ტევადი ავტომატური ავტოსადგომი გერმანულ კონცერნს — „ფოლკსვაგენს“ ეკუთვნის. 2 „საავტომობილო კოშკურა“, რომლის სიმაღლე 48 მ-ს აღწევს, ქალაქ ვოლფსბურგში მდებარეობს და 400 მანქანისთვისაა გათვალისწინებული. მომხმარებელი ათვალიერებს მანქანას, რომელიც 2 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი, ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით გამოდის სპეციალური ბოქსიდან.

ამ ბოლო დროს, ეკა კვალიაშვილისა და დათო ძიძიგურის ურთიერთობამ საზოგადოება აალაპარაკა. ერთ-ერთი კონცერტის დროს, როცა ისინი სიმღერას დუეტში ასრულებდნენ, ერთ-ერთმა მსმენელმა საკმაოდ ხმამაღლა თქვა: ეკა, ალას პონტშია, აი, დათო კი, მგონი, კირკოროვობას აპირებსო... რა ურთიერთობა აქვთ სინამდვილეში ეკას და დათოს, როგორ ერთობიან მეგობრები, შესაძლებელია თუ არა, ქალისა და მამაკაცის მეგობრობა და რა რეაქცია აქვთ ჭორებზე? ამ კითხვებზე პასუხს და სახალისო ამბებს ინტერვიუდან შეიტყობთ — თუ, რა თქმა უნდა, წაიკითხავთ, რადგან, როგორც ეკა კვალიაშვილი ამბობს: „სამწუხაროდ, ხდება ისე, რომ ადამიანები ჟურნალში მხოლოდ სურათებს ათვალიერებენ, ინტერვიუებს არ კითხულობენ და ამის გამო მცდარ დასკვნებს აკეთებენ“...

ჩვენ ღა-ძმა ვართ, სხვებს კი ენაზე ალერგია სჭირთ... ვინ არიან ეს რბილ-ლ-იანები, რომლებმაც „ცოცხი შეჭამეს“?

ლიკა ქაჯაია

დათო:

— მეგობრობა ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს...

ეკა:

— ჩემთვის კი, მეგობრობა აუწონავი ოქროა. მე მყავს დროში გამობრძმედილ-გამოცდილი მეგობრები, რომელთა გარეშეც ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. მაგალითად, როცა დათო რამდენიმე კვირით წავიდა საზღვარგარეთ, ყველამ მოვიწყინეთ. ჩამოვიდა და გავხალისდით.

დათო:

— 2 კვირით წავედი. ვერ ვიტყვი, რომ მეგობრების გარეშე ყოფნა არ გამიჭირდა. თუმცა, ესენი მოწყენის საშუალებას არ მაძლევდნენ, ხშირად მირეკავდნენ.

ეკა:

— ჰო, აბა, რა! იცი, რომ მთელი დეპოზიტი შენთან რეკვაში დავხარჯე!

— დიდი ხანია, რაც მეგობრები ხართ?

— ჩვენი მეგობრობა ჩვენი ოჯახებიდან მოდის, რომელთა ურთიერთობაც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა დაბადებულნიც არ ვიყავით. მერე, ნათელ-მირონებიც გავხდით.

— კონკრეტულად?

— მე და დათოს ერთი საერთო ბაქოელი ნათლული გვყავს, მოვნათლეთ ჩვენი უახლოესი დაქალის — მანანას ბიჭიც. თან დათო არის ჩემი მამიდაშვილის შვილის ნათლია. იმედი მაქვს, რომ ჩვენი შვილები ჩვენს მეგობრობას გააგრძელებენ.

— ერთმანეთს ნათესავებად თვლით თუ მეგობრებად?

— ნათესავებიც ვართ. მაგრამ ალბათ, მეგობრებად უფრო მივიჩნევთ ერთმანეთს.

— დათო, როგორი მეგობარია ეკა?

— არაჩვეულებრივი, ერთგული, ყურადღებიანი...

ეკა:

— დიდი მადლობა. მეც ასეთივე თვისებები შემიძლია ჩამოვთვალო, როცა დათოს ვახასიათებ. ჩვენს მეგობრობას იმდენად ღრმად აქვს ფესვები გადგმული, რომ ის ბოლომდე გაგვყვება.

— მეგობრებს შორის კამათი მოდის. თქვენ რაზე კამათობთ ხოლმე?

დათო:

— ჩვენ არასდროს გვიჩხუბია, არც გვიკამათია. ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ ხოლმე.

ეკა:

— ასეთი რამ მართლაც, არ მახსენდება. დათო იმდენად კარგად მიგებს, რომ სიტყვის გარეშე, გამოხედვითაც ვხვდებით, რა გვინდა, რა გვაწუხებს ან რატომ ვიცინით.

— რას ვერ აპატიებთ მეგობარს?

— რა თქმა უნდა, ღალატს. ეს არის ყველაზე დიდი ნაკლი, მინუსი, რომელიც ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას ახასიათებს.

— თქვენთვის უღალატიათ?

— ამ ცხოვრებაში ყველაფრის გამოცდა გიხდება. გამონაკლისი, არც მე ვარ. მყავდა „მეგობრები“, რომლებიც პირში მიცინოდნენ, ზურგს უკან კი... სულ ზეპირად ვიცი, ვინ რა განწყობილებით მეგობრობდა ჩემთან, ვის რა უდევს გულში. ყველაფერს ვგრძნობ, საოცარი ინტუიცია მაქვს. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობას ნელ-ნელა ვწყვეტ — ისე, რომ ისინი ვერაფერს ხვდებიან. მათ დღესაც ღიმილით ვხვდები. იმ წუთში, ეს ღიმილი მართლა გულიდან მოდის, რადგან ცუდს ვერც ასეთ ადამიანებს ვუსურვებ. ღვთის შვილს, რომელიც სხვის ცხოვრებაში ბოროტად ჩაერევა, სხვისი ცხოვრების დანგრევას შეეცდება, სამაგიეროს თვით უფალი გადაუხდის.

დათო:

— მეგობრების შეძენისას ბევრი შეცდომა დამიშვია. ამიტომაც, ბევრი ისეთი ადამიანი დავკარგე, რომელთაც საუკეთესო მეგობრებად მივიჩნევდი. ეკასგან განსხვავებით, მოღალატე ადამიანებთან ურთიერთობის გაგრძელება, მათთვის გაღიმებაც კი არ შემიძლია. ასეთი მეგობარი ჩემი ცხოვრებიდან საერთოდ ქრება.

ეკა:

— მე კი მინდა, ადამიანს მივცე შანსი — იქნებ, მიხვდეს თავის შეცდომას, მაგრამ როცა ამას ვერ ან არ მიხვდება და დანაშაულის გამოსწორებას არ შეეცდება, მაშინ ნახ-ვამ-დის *(იცინის)*...

დათო:

ვთვლი, რომ როცა კარგი მეგობარი ხარ, შეცდომა არ უნდა მოგივიდეს. დღესდღეობით, მყავს ეკა და კიდევ რამდენიმე მეგობარი, რომელთანაც არასდროს მიკამათია.

ეკა:

— ჩვენ ერთად თითქმის ყოველდღე ვიკრიბებით, ერთმანეთს კარგ განწყობილებას ვუქმნით... ადამიანის ცხოვრება ზოგჯერ პრობლემებითაა გადატვირთული. ხშირად ხდება ისე, რომ სახლიდან ცუდი განწყობილებით გამოვდივარ და დათოსთან ან მანანასთან (მეგობარი) მოვდივარ. ამ დროს, აბსოლუტურად განვიტვირთები, ჩემი ხასიათის სიმძიმე იქამდე არ მიმყვება, გზაში იფანტება, რადგან ვიცი, იქ მხიარულება მელის.

— როგორ ერთობით ხოლმე? რა გიქმნით კარგ განწყობილებას?

— კარგი განწყობილების შესაქმნელად ისიც საკმარისია, რომ ერთმანეთის ნახვა გვიხარია. ვურეკავთ მეგობრებს. ვიკრიბებით. ვშლით პატარა სუფრას და იწყება ხუმრობები, სიმღერები, ახალი იდეებიც მოგვდის...

დათო:

— მოკლედ, ძვირფას დროს არც ერთი წუთით არ ვკარგავთ.

— ამბობენ: ქალსა და მამაკაცს შორის ნამდვილი მეგობრობა არ არსებობსო...

ეკა:

— რა სისულელეა! მე მგონი, ძლიერი სქესის წარმომადგენლები საუკეთესო მეგობრები არიან, ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ. ბავშვობაში, ახლანდელი ტრიო „სიმის“ ბიჭებთან, იკა ნასიძესთან (მამა ილია, რომელიც დღეს სვეტიცხოველში მოღვაწეობს) და სხვებთან ვმეგობრობდი. ჩემთვის არც ერთს არ უღალატია. მახსოვს, ერთხელ, ირაკლი მაჭარაშვილს (გია მაჭარაშვილის ძმა) და ზურიკო ცქიტიშვილს დავურეკე, ვუთხარი: ეკა ვარ, რას შვრებით, როგორ ხართ-მეთქი? რატომღაც არ დამიჯერეს: ეკა არ ხარო... ჩემს სიმართლეში რომ ვერ დავარწმუნე, როგორც უცხომ გავუბი ლაპარაკი: ჰო, ეკა არ ვარ-მეთქი, — და დავიწყე ჩემი თავის

ლანძღვა. გაგიჟდნენ: გოგო, ეკაზე რომ ლაპარაკობ, პირში მდუღარე წყალი გამოიცლეო!.. ბოლოს, პაემანი დავუნიშნე: ჩემს დაქალთან ერთად, 102-ე საშუალო სკოლასთან მოვალ-მეთქი. ბიჭებს თურმე, მართლა სხვა ვეგონე და გამოპრანჭულ-გაპარსულები მოვიდნენ „პაემანზე“. რომ დამინახეს, გამოშტერდნენ: მართლა შენ იყავიო?! მაგრად ვიხალისეთ...

დათო:

— არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ დღეს ადამიანებს ნაკლებად ვენდობი.

ეკა:

— მგონი, ეს ძალიან კარგი თვისებაა.

დათო:

— აი, ეკას კი მართლა ვენდობი. მასთან აბსოლუტურად გახსნილი ვარ. ზუსტად ვიცი, რომ ის ნამდვილი მეგობარია.

— მაგრამ თქვენი მეგობრობა ბევრმა ვერ გაიგო...

ეკა:

— ვიცი და ეს იცით, რისი ბრალია?.. სამწუხაროდ, ხდება ისე, რომ ადამიანები ჟურნალში მხოლოდ სურათებს ათვალიერებენ, ინტერვიუებს არ კითხულობენ და ამის გამო მცდარ დასკვნებს აკეთებენ. ერთ-ერთ ჟურნალში, გარეკანზე ჩემი და დათოს სურათი გამოიტანეს. ატყდა რეკვა: ეკა გათხოვდაო!.. შე კაი ადამიანიო, ტელეფონის ნომრის აკრებას, ამდენი შეკითხვის დასმას, ინტერვიუს წაკითხვა არ გირჩევნია?!. ხმამაღლა ვაცხადებ, ყველამ გაიგოს — ჩვენ არა მარტო მეგობრები, არამედ ნათელმირონები, ნათესავები ვართ. ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხდებით, ნურსად დარეკავთ.

დათო:

— ამ ფოტოს გამო კურიოზიც კი შეგვემთხვა...

ეკა:

— იმ პერიოდში, ქმართან ახალი გაყრილი ვიყავი. ეტყობა, იფიქრეს, ისევ გათხოვდაო. და... მოკლედ, სამეგრელოში, ქალაქ ხობში, ერთ-ერთ ოჯახში ჩავედით. სასწრაფოდ გაიშალა სუფრა, მაგრად ვიქეიფეთ. ბოლოს, მასპინძლებმა მე და დათოს საძინებელი ოთახი გვაჩვენეს. ოთახის კარი იცით, როგორ გააღეს?.. ვხედავთ: ოთახში დგას ერთი ორსაწოლიანი საწოლი, მასზე გადაფარებულია ერთი დიდი საბანი და იქვე დევს 2 „კუჭკუჭებიანი“ ბალიში. საწოლის გვერდით კი „ლიულკა“ დგას... ხმა ვერ ამოვიღეთ, ისტერიკული სიცილი აგვიტყდა. თან ვიმეორებთ — ჩვენ არა, არა, არა... გამოშტერდნენ: რა არაო? ბოლოს, როგორც იქნა, ვუთხარით: და-ძმა ვართ, და-ძმა მეთქი!.. უნდა გენახათ, საღამოს როგორ ვხალისობდით, როცა მთელი დღის რეზიუმეს ვაკეთებდით... იქ სხვებიც ჩამოვიდნენ: აჩი ფურცელაძე, ნინი შერმადინი, პიკასო, და ა.შ. ერთ დღეს, დათომ პიკასოს მოჰკიდა ხელი და „ლიულკაში“ ტენიდა *(იცინიან)*... ერთხელ ვიქეიფეთ. მეძინებოდა და ადრე დავწექი. დილის 6 საათზე გამეღვიძა. დათოსკენ გავიხედე და მისი ჭაღარა თმის მაგივრად (სახე არ უჩანდა), შავ, ხუჭუჭა თმას ვხედავ. ეს რა მოსვლია დათოს-მეთქი?.. საბანი ნელ-ნელა გადავუწიე და ნინი არ გამეჩითა!.. მოკლედ, მაგარი დღეები იყო.

— დათო, როცა თქვენსა და ეკაზე ჭორებს იგებთ, არ ბრაზდებით ხოლმე?

— როგორ გითხრა?.. ყოველ შემთხვევაში, ეს სასიამოვნო სულაც არ არის. ზოგი ამბობს: იჭორაონ, ფეხებზე მკიდიაო. მე ამის დაკიდება არ შემიძლია.

ეკა:

— ამიტომაც ჭორაობენ *(იცინის)*. დათო ძალიან განიცდის, ჩვენზე რომ ჭორაობენ... ხანდახან მგონია, რომ თბილისში ყველა, კრიტიკოსი გახდა.

— მარტო თბილისში?

— არა მარტო აქ და წარმოიდგინეთ — ამ ადამიანებს ეტყობა, ენაზე აქვთ ალერგია და მას ხშირად იფხანენ. მათ ერთ რჩევას მივცემ: სხვის გაკრიტიკებას, ჭორაობას (რაც მდაბიური საქციელია), სჯობია, საკუთარი თავის მენტალიტეტზე, განათლებაზე იფიქრონ... არის ერთი ტელეპროგრამა, სადაც ჩემი გათხოვება-არგათხოვების საკითხი რომ არ ახსენონ, ეტყობა, გადაცემა ჩაეშლებათ. რადგან სხვა რაღაცების მოტვინვის და აზროვნების უნარი არ აქვთ. თქვენი ჟურნალის მეშვეობით მინდა მივმართო ამ ლ-იებიან (ძალიან გთხოვთ, „მიახკი ზნაკით“ დაწერეთ) ადამიანებს: ძალიან მაინტერესებს, თბილისში ჩემ გარდა არავინ გათხოვილა ან გაშორებია ქმარს?.. ადამიანს ზომიერების გრძნობა უნდა გქონდეს — ერთხელ გავიცინე, ორჯერ, სამჯერ... ამ ამბავზე მგონი, აღარავის ეცინება. იუმორი მოუძველდათ და იცი, რა გამოსდით?.. შეგიჭამე ცოცხი!.. ჯობია, ჩემს გათხოვება-არგათხოვებას შეეშვან, ინტელექტი გაიღრმავონ, ლ-ები გამოასწორონ.

დათო:

ამ ადამიანების მართლაც მიკვირს. ეკამ სწორად აღნიშნა: ერთხელ, ორჯერ მეც გამეცინა, ვიხალისე, მაგრამ მერე, უკვე ყელში ამომივიდა მათი მაიმუნობა... ეს ხომ პირადულია, ადამიანის ცხოვრებაა...

ეკა:

— ადამიანის ცხოვრებზე კაიფი მგონი, არ შეიძლება. ვფიქრობ, ამ ხალხს იუმორი გამოელია. ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა. შეუძლიათ მობრძანდნენ და ჩვენ ვასწავლით, როგორ კეთდება მაღალი დონის იუმორი... და კიდევ: ვაცხადებ — ჯერ არ გავთხოვილვარ, არც ვაპირებ, თავისუფალი ადამიანი ვარ. დაბლები, მსუქნები, მელოტები, უფულოები, გოიმები არ გამომეხმაურონ...

— ეი. მაღლებს, ფულიანებს შანსი აქვთ?..

— ვნახოთ, ვნახოთ... მე და ჩემი მეგობრები კონკურსს ჩავატარებთ და მაგაზე მერე ვილაპარაკოთ.

— დათო, ამ საკითხთან დაკავშირებით ეკას რჩევებს აძლევთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, ჩვენ ამ თემაზე ხშირად ვმსჯელობთ.

— დაბლებისთვის, გოიმებისთვის ეკას გაიმეტებდით?

— ეგოისტი არ ვარ, მაგრამ ეკას ვერავისთვის ვიმეტებ, რადგან მგონია, რომ მისი რჩეული, არაჩვეულებრივი ადამიანი უნდა იყოს. ეკას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. როცა ისინი მას ეპრანჭებიან, ამ დროს ეგოისტი ვხდები: ვფიქრობ, რომ არც ერთი მათგანი მისი შესაფერისი არ არის...

— ეი. თქვენი ბრალია, ეკა ცალად რომ დადის?..

— რას ამბობ? პირიქით, მე ეკას ბედნიერებისთვის ყოველთვის ვიბრძოლებ.

— როგორ შეფასებას მისცემ-დით ეკას შემოქმედებას?

— ეკას ვერ შევაფასებ, რადგან ჩემი მეგობარია. ვფიქრობ, რომ ის შეფასებულია და მის ნიჭიერებას ყველა აღიარებს.

— ეკა, დათო როგორ მოხვდა სცენაზე?

— დათო სუფრასთან მღეროდა ხოლმე და უცებ მოისურვა სცენაზე სიმღერა. მისი სურვილი ჩემთვის კანონი იყო და დავიწყეთ მუშაობა პირველ სიმღერაზე, რომლის ჩაწერასაც არ დავესწარი იმიტომ, რომ დათოს სტუდიაში ჩემი ყოფნის დროს, კომპლექსი უჩნდებოდა, იქ მეგობრად ველარ აღმიქვამდა, შეშინებულივით მიყურებდა. მარტო დარჩენილმა მშვენივრად შეძლო ნატო გელაშვილის სიმღერის ჩაწერა. საერთოდ, ნიჭიერი მოსწავლეა.

— თუ თქვენი დანახვისას კომპლექსდებოდა, დუეტი როგორლა ჩაწერეთ?

დათო:

— ამიტომ მეუბნებოდნენ, „ნაგლი“ ხარო... ისე, მართლა ოცნებად მქონდა სცენაზე სიმღერა. ერთხელ, ასე ვისხედით, ვსაუბრობდით და ეკას ვუთხარი: შენთან ერთად მინდა სცენაზე ასვლა-მეთქი.

ეკა:

— თქმა და ქმნა ერთი იყო.

დათო:

— დუეტი რომ ჩავწერეთ, მაშინ ტელევიზიაში ვმუშაობდი. სამსახურში რომ მივედი, მითხრეს: ეს ძიძიგური რა „ნაგლიაო“! — რატომ-მეთქი? — ვიკითხე. — პირველად ჩაწერა დუეტი, თან — კვალიაშვილთან და ეგრევე 31 დეკემბერს გალა-კონცერტშიც ჩაჯდა, „ნაგლია“, აბა, რა არისო *(იცინის)*..

— ეკა, დათო თქვენი მეგობარი რომ არ ყოფილიყო, მასთან ერთად იმღერებდით?

— მეგობარი რომ არ ყოფილიყო?

დათო:

— მეგობარი რომ არ ყოფილიყო, არაფერიც არ იქნებოდა.

ეკა:

— არ ვიცი... ალბათ, არ ვიმღერებდი.

დათო:

— ჰო, არა?

ეკა:

— ჰო, რა! მე დუეტში ბევრთან კი არ ვმღერი...

დათო:

— მე ჩემი ადგილი ვიცი, მართლა „ნაგლი“ კი არ ვარ.

ეკა:

— ჰო, კიდევ ჩავწერთ დუეტს. ეს ალბათ, ახალ წლამდე, ამ საუკუნეში, 2000-იან წლებში იქნება...

დათო:

— პირველი დუეტი კი, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჩავწერეთ, რითიც აღფრთოვანებულები ვიყავით *(იცინიან)*.. ■

ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, — უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და 24 ნოემბერს, გიორგობის აღსანიშნავად, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა ხანდაზმულ წყვილთა ჯვრისწერის ცერემონია. „განუმეორებელი“, „ამაღელვებელი“, „ენით გამოუთქმელი“, „ემოციური“ — ამ სიტყვებით გამოხატავდნენ თავიანთ სულიერ მდგომარეობას ხელიხელჩაკიდებული, უკვე ბებიებად და ბაბუებად ქცეული წყვილები. ამ სიტყვების დასტური იყო, სიყვარულისა და ბედნიერებისგან გაბრწყინებული მათი თვალები...

გელაშვილები

დროის მიერ გამოცდილი, ნახევარსაუკუნოვანი სიყვარულის დღესასწაული

თამუნა კვინიკაძე

„მძიმედ სცოდავენ ისინი, ვინც ეკლესიური ქორწინების გარეშე ეწევიან ცოლ-ქმრულ ცხოვრებას“, — გვეუბნება არქიმანდრიტი ლაზარე. დღეს კი, ჯვრისწერის საიდუმლოს შესახებ **მამა დოსითე** *გვესაუბრება:*

— ჯვრისწერა — ეს არის „ძველი აღთქმის“ საიდუმლოება. „ახალ აღთქმაში“ მაცხოვარს, როგორც ახალი საიდუმლოება არ დაუდგენია, რომ ღვთის წინაშე ყველა ადამიანი პირნათელი უნდა იყოს. ჩვენს რეალობაში მომრავლდა წყვილები, რომლებიც წლებია, ერთად ცხოვრობენ და ჯვარს ახლა იწერენ. ოჯახის შექმნა კურთხევით უნდა დაიწყოს. ჯვრისწერა გვიანი არასოდეს არ არის. ეს არის კურთხევა — შვილიერებაზე, ოჯახურ წარმატებაზე, ურთიერთგაფრთხილებაზე, სიხარულისა და გაჭირვების ღვთის იმედით გადატანაზე და საერთოდ, სიყვარულით ცხოვრებაზე.

— ჯვარდაუწერელ ცოლ-ქმარს მოეკითხება თუ არა მრუშობის ცოდვა?

— ადამიანებს, რომლებიც ჯვარდაწერილები არ არიან, მაგრამ იმყოფებიან სამოქალაქო რეგისტრაციაში, ეს ცოდვა არ მოეკითხებათ. უბრალოდ, მათი ოჯახი და ქორწინება ღვთის კურთხევის გარეშეა.

ადერკი კოპლატაძე, *თბილისის პენსიონერთა და ვეტერანთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— დღევანდელი დღე ჩვენი კომიტეტის ინიციატივით მოეწყო. სიურპრიზი მოვუწყვეთ ჩვენს თანამოქალაქეებს და თბილისის ყველა რაიონიდან თითო წყვილი შევარჩიეთ. ასეთი რამ მომავალშიც გამეორდება, გვაქვს უფრო დიდი გეგმებიც. არ ვიცი, როგორ მოვახერხებთ განხორციელებას, მაგრამ დიდი სურვილი გვაქვს, ოქროს ქორწილები გადავუხადოთ წყვილებს, რომლებსაც ქორწინებიდან 50 წელი შეუსრულდებათ.

გვარლიანები

— თავად თქვენ თუ ხართ ჯვარდაწერილი?

— არა. მომავალ წელს, 50 წელი სრულდება ჩემი დაოჯახებიდან და ჯვრისწერისა და ქორწილის გაკეთებას ერთად ვაპირებთ.

რას გრძნობდნენ საკურთხეველთან მისული, ასაკოვანი წყვილები?.. ემოციური თვალსაზრისით, რა განსხვავებას და მსგავსებას ხედავდნენ ქორწინების დღესა და ჯვრისწერის დღეს შორის? როდის უფრო ღელავდნენ — მაშინ თუ ახლა?

გელაშვილები – „ჩვენ ბებრები ვართ, მაგრამ ვართ ძალიან ლამაზები“

სვეტლანა:

— ჩვენ ბებრები ვართ, მაგრამ ვართ ძალიან ლამაზები, განსაკუთრებით ამ დღეს. უკვე 50 წელია, ერთად ვცხოვრობთ. ახალგაზრდობაშიც და ახლაც ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. დღევანდელ დღეს ჩვენმა მეგობრებმა სიურპრიზი მოგვიწყვეს. დიდი მადლობა მათ! დღეს ჩვენი სიყვარულის ზეიმია აქ, ამ დიდებულ ტაძარში.

ვანო:

— ძალიან ამაღლებული გრძნობა მაქვს. საოცარი განცდაა. რა ცუდი იქნებოდა, ამ დღის გარეშე რომ წავსულიყავით ამ ქვეყნიდან...

ჭანტურიები – „10 წელი შეყვარებულები ვიყავით“...

ეთერი:

— მე სახელმწიფო ანსამბლში ვმღეროდი, გიორგი — უკრავდა. ერთმანეთი იქ გავიცანით და 10 წლის განმავლობაში ვიყავით შეყვარებულები.

— ხელს რა გიშლიდათ დაქორწინებაში?

— გიორგი 6 წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა. მამამ გაზარდა. მატერიალურად ძალიან უჭირდათ. მაგრამ მიუხედავად ამ გაჭირვებისა, მაინც კარგი დრო იყო. ერთი კინოთეატრიდან გამოსულები, მეორეში შევდიოდით. ერთმანეთს ხშირად ვნახულობდით, დროს ვატარებდით... მერე, გიორგის მამამ იაქტიურა. მან იცოდა ჩვენი სიყვარულის ამბავი, შვილისთვის უთქვამს — ასე როდემდე უნდა იყოთ?! მოიყვანეო... მაშინ პატარა ქორწილიც გადავიხადეთ.

— თქვენი ქორწინების დღე შეადარეთ დღევანდელ დღეს: როდის უფრო ღელავდით — მაშინ თუ ახლა?

— ჩემთვის დღევანდელი დღე უფრო ემოციურია.

გიორგი:

— ისეთი განწყობილება მაქვს, უკეთესი რომ არ შეიძლება. ძალიან ბედნიერი ვიყავი ქორწილის დღეს, დღეს კი ორმაგად ბედნიერი ვარ.

გვარლიანები – „დღეს სულიერი ღელვა მაქვს“...

ციალა:

— 46 წელია, ერთად ვცხოვრობთ. ეს დღე სხვა დღეებისგან გამორჩეული, განსაკუთრებული და დასამახსოვრებელია. სავსე ვარ ემოციებით, ენით გამოუთქმელია ამ წუთში ჩემი მდგომარეობა.

შალვა:

— რატომღაც, ქორწილის დღეზე მეტად დღეს ვღელავ. თითქოს ღმერთთან ვარ ახლოს, სულიერი ღელვა მაქვს...

P.S. სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით, „გზამ“ შეიტყო, რომ მალე, წმ. სამების ეკლესიაში საქართველოს პრეზიდენტის ბებია-ბაბუაც აპირებს ჯვრისწერას. ■

ჭანტურიები

ლოგონევროზი — ენაბორძიკობა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ლოგონევროზი ენაბორძიკობაა, რომლის დროსაც დარღვეულია მეტყველების მწყობრი და რიტმული მიმდინარეობა. ზოგჯერ ეს ბგერების ან მარცვლების გამეორებით ვლინდება, ზოგჯერ კი მეტყველების უნებლიე შეწყვეტით, რაც სამეტყველო აპარატის კუნთების ხანმოკლე სპაზმს ან ძლიერ, ხანგრძლივ შეკუმშვასაც უკავშირდება. ენაბორძიკობა შეიძლება განვითარდეს ინფექციებით ან რომელიმე სხვა დაავადებით გამოწვეული ინტოქსიკაციის და ორგანიზმის დასუსტების, ფსიქიკური პათოლოგიის, სამეტყველო აპარატის ასაკისთვის შეუფერებელი დატვირთვის, ნევროლოგიური თავისებურებების გამო. გარკვეული მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ წინასწარგანწყობას, ორსულობისას ნაყოფზე სხვადასხვა მავნე ფაქტორის ზემოქმედებას, ადრეულ ასაკში გადატანილ დავადებებს.

ენაბორძიკობა უფრო ხშირია მამაკაცებში. მას არავითარი კავშირი არა აქვს ინტელექტთან. ეს პათოლოგია, უმეტესად, ადრეულ ასაკში იჩენს თავს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პირველი სიმპტომების შემჩნევასა და სათანადო ყურადღებას.

აი, ეს ნიშნები:

- გაგრძელებული ბგერები;
- საუბრის დასაწყისის გაძნელება;
- ფრაზის დასაწყისში პირველი მარცვლის ან მთელი სიტყვის გამეორება;
- ფრაზის, სიტყვის იძულებითი გაწყვეტა;
- ხმის დაძაბვა, სახისა და კისრის კუნთების დაჭიმულობა;
- საუბრის მოულოდნელი შეწყვეტა (რამდენიმე საათის განმავლობაში), რის

შემდეგაც ბავშვი იწყებს ლაპარაკს, მაგრამ უკვე ხარვეზებით.

ზოგჯერ ენაბორძიკობა ხანგრძლივი ფსიქიკური ნევროტიზაციის (მუდმივი უსამართლო, უხეში მოპყობის გარშემო მყოფთა მიერ) და შიშების შედეგად აღმოცენდება.

მგრძნობიარე ბავშვს ზოგჯერ ისეთი რამ აყენებს ტრავმას, რასაც უფროსები მნიშვნელობასაც კი არ ანიჭებენ.

არცთუ იშვიათად, ბავშვს ენაბორძიკობა მეტყველების ადრეული დაწყებისას უვითარდება, როცა მშობლები გამუდმებით სთხოვენ ლექსისა თუ ზღაპრის მოყოლას. განსაკუთრებით — ხალხის წინაშე, ზოგჯერ კი, პირიქით, მეტყველების გვიან (3 წლისთვის) დაწყებისას ჩნდება, მეტყველების სწრაფ და მკვეთრ განვითარებასთან ერთად.

ენაბორძიკობა შეიძლება განუვითარდეთ ბავშვებს, რომელთაც მოტორული სფეროს განვითარების ჩამორჩენა აღენიშნებათ. ასეთი პატარები გამოირჩევიან მოუქნელობით, უჭირთ ასაკისთვის შესაფერისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, დუნედ ღეჭავენ, ცუდად აქვთ განვითარებული ხელის კუნთების მოტორიკა.

მკურნალობა

მთავარი მიდგომა ბავშვისთვის უფრო მწყობრი და ნელი მეტყველების გამომუშავება (ლოგოპედის მეთვალყურეობით) და გარშემო მყოფებთან ურთიერთობის შიშის გადალახვაა (ამისთვის ფსიქოლოგის ან ფსიქოთერაპევტის დახმარებაა აუცილებელი). საკმაოდ ეფექტურია ე.წ. თამაშის თერაპია, როცა სპეციალისტი პატარას ამა თუ იმ ცხოველის გახმოვანებას ასწავლის.

შესაძლებელია მედიკამენტური თერაპიაც გახდეს საჭირო. დამამშვიდებელი პრეპარატების ზემოქმედებით იხსნება აგზნებადობა და მეტყველებაც უფრო მშვიდი ხდება, ზოგჯერ ენაბორძიკობაც კი გაივლის, თუმცა ამ მეთოდის ნაკლი ის არის, რომ პრეპარატის მოხსნის შემდეგ, პრობლემამ შეიძლება კვლავ იჩინოს თავი.

სპეციალისტების მიერ შერჩეული მკურნალობის ტაქტიკა, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა მშობლების მართებული მიდგომის გარეშე ყოველგვარი თერაპია უშედეგო იქნება.

ასე რომ, გაითვალისწინეთ:

- ბავშვთან ურთიერთობისას, ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რას ამბობს ის და არა იმაზე, თუ როგორ ამბობს. ლაპარაკის დროს, ნუ მიაჩერდებით სახეში, მაგრამ ნურც ხაზგასმით გულგრილნი იქნებით.
- ნუ გააწყვეტინებთ ბავშვს სიტყვას და არასოდეს დაასრულოთ ფრაზა მის ნაცვლად, თორემ, მეორედ ის უფრო სწრაფად შეეცდება სათქმელის დასრულებას, დროის უკმარისობა კი საქმეს გაართულებს.
- არასდროს მისცეთ ბავშვს კრიტიკული შენიშვნა მეტყველებასთან დაკავშირებით. ასეთი შენიშვნები, ძალზე თბილად და მშვიდად ნათქვამიც კი, პატარას მხოლოდ აკომპლექსებს.
- ბავშვს ნელა ესაუბრეთ. როცა ის ფრაზას დაამთავრებს, წამით შეყოვნდით და მერელა გაეცით პასუხი. მიეცით პატარას ამოსუნთქვის საშუალება, რათა თუ რამის დამატება მოუნდება, აუჩქარებლად შეძლოს ეს.
- დაუსვით ნაკლები შეკითხვა და რაც შეიძლება ნაკლებად მომთხოვნი ტონით. შეკითხვა ბავშვზე ზეწოლას ახდენს, ისიც პასუხის გაცემას ჩქარობს და დრო არ ჰყოფნის.
- გამოიჩინეთ მაქსიმალური ყურადღება, მზრუნველობა და სითბო. აგრძნობინეთ ბავშვს, რომ მუდამ მის გვერდით იქნებით და მოუსმენთ, როგორც არ უნდა ლაპარაკობდეს იგი.

■

სოფელი მცხეთასთან	1000 მლ	... ნიუმენი	შესახედაობა	ცვარი	დიპლომატიური მიმართვა სხვა ქვეყნებისადმი	ხმლის ტარი	ზადი, ხი
ნიჩავი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
ჭაობის ფრინველი გრძელი ფეხებით	საკონდიტრო სანელებელი	ლიბიის [illegible]	დედაქალაქი	ჯულია რობერტსი ფილმში „[illegible] ბროკოვიჩი“	შეძახილი: ჭეშმარიტად	კანადის დედაქალაქი	მაგიდის სერვირების ატრიბუტი

ისევ ნერვები

ნევროზით დაავადებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ეს ბუნებრივიცაა — ჩვენ ხომ სტრესების საუკუნეში ვცხოვრობთ! მაგრამ ზოგიერთისთვის ნერვული სისტემის პათოლოგიები უცნობია — ასე რომ, მძიმე ნერვულ-ემოციური ფონი ყველას ერთნაირად როდი ვნებს. მის გავლენას ყველაზე იოლად მშფოთვარე, ეჭვიანი, თავდაჯერებას მოკლებული ადამიანები ემორჩილებიან.

ნერვული სისტემის მწყობრიდან გამოსაყვანად ზოგჯერ ერთი აღელვებაც კმარა. ზოგიერთი კი ნივთიერებათა ცვლის თავისებურებათა წყალობით, ნევროზისკენ გენეტიკურადაა მიდრეკილი.

ამ ბოლო დროს სპეციალისტებს ყველაზე ხშირად განგაშის, დეპრესიულ და ისტერიკულ მოშლილობათა გამო მიმართავენ. მათი მიზეზი ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმაა, რომლისგან თავის დაღწევაც ადამიანს დამოუკიდებლად არ შეუძლია. ასეთ დროს პიროვნების ფსიქიკაში თავს იჩენს შინაგანი კონფლიქტი, რომელსაც ის ნევროზამდე მიჰყავს.

განგაშის მოშლილობანი

მისი მსუბუქი ფორმა, ჩვეულებრივ, უმიზეზო განგაშითა და შიშით იწყება. ადამიანი აღელვებულია, ეცვლება გულისცემა, უშრება პირი, სწრაფად ითენთება, აწუხებს თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, შარდვის გახშირება.

განგაშის მოშლილობას ყველაზე მეტად პანიკური შეტევა ახასიათებს. ეს მტანჯველი მდგომარეობაა, რომელიც მოულოდნელად, ძლიერი შიშით, გულისცემის გახშირებით, ციებ-ცხელებით, თავბრუსხვევითა და ღებინებით იწყება. შეტევა რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე გრძელდება, ზოგჯერ კი მთელი საათიც გასტანს. ამის მიზეზი სისხლში ჭარბად გადასროლილი ჰორმონი ადრენალინია, რომელსაც ჯანმრთელობისთვის, მართალია, შესამჩნევი ზიანი არ მოაქვს, მაგრამ ცხოვრების ხარისხს საგრძნობლად აუარესებს. თუ ადამიანმა ერთხელ მაინც განიცადა ასეთი რამ, შეტევის გამეორების დაუძლეველი შიში უჩნდება და ყველაფერს აკეთებს, რათა აღარასოდეს მოხვდეს იმ ადგილას, სადაც პირველი შეტევა დაემართა. ბევრი შინიდანაც აღარ გამოდის. ასეთი შეტევები ზოგჯერ სხვადასხვა სახის ფობიის — დახურული სივრცის, სიმაღლის შიშის — მიზეზადაც კი იქცევა.

დეპრესიული მოშლილობანი

როცა ადამიანი გრძნობს, რომ საკუთარ განცდებს ვეღარ უმკლავდება, გამოსავალს იმაში პოულობს, რომ ემოციურ აპარატს „თიშავს“ — ემოციურად კვდება. ასეთ დროს უარყოფით ემოციებთან ერთად, სამწუხაროდ, დადებითიც ითიშება. შედეგად, ადამიანს აღარაფერი ახარებს. უმრავლესობა ყოველდღიურ საქმიანობას არ წყვეტს: დადის სამსახურში, სასწავლებელში, უვლის ოჯახს, მაგრამ ყველაფერს ძალდატანებით აკეთებს. დეპრესიული მდგომარეობის გამო ნებისმიერი საქმე სრულიად უაზრო, უინტერესო და უსარგებლო ეჩვენება.

დეპრესიის მიზეზად ზოგჯერ რომელიმე შინაგანი ორგანოს ქრონიკული პათოლოგიაც იქცევა. ზოგიერთს დეპრესია შემოდგომა-ზამთრის სინათლის დეფიციტის გამო ეწყება.

ისტერიკული მოშლილობანი

ძლიერი სტრესის გამო ზოგი ხმას კარგავს ან ლეთარგიულ ძილს ეძლევა — რამდენიმე დღის მანძილზე არ იღვიძებს. შესაძლოა, ნაწილობრივი დამბლაც კი დაემართოს. გადაუჭრელი შინაგანი კონფლიქტი სომატურ (ორგანულ) პრობლემებში გადაიზრდება. ბევრმა არც კი იცის, რომ ყოველივე ამაში ნერვული სისტემაა დამნაშავე და უშედეგოდ ცდილობს მხედველობის გაუარესებისა და ხშირი გულის წასვლის მიზეზთა მიკვლევასა და მკურნალობას.

ისტერიკული მოშლილობა ნევროზის ყველაზე მძიმე ფორმაა, თუმცა სპეციალისტის დროული ჩარევის მეოხებით მისგან თავის დახსნა შესაძლებელია.

იკურნება თუ არა

ყველაზე დიდი შეცდომა ის გახლავთ, რომ ნევროზს ბევრი უკურნებელ სენად მიიჩნევს. სინამდვილეში, ასე არ არის. მთავარია, მკურნალობა დროულად დაიწყოთ, რადგან ხანგრძლივი ნერვული დაძაბულობა მთელ ორგანიზმს საგრძნობლად აუძლურებს: თავს იჩენს ე.წ. ფსიქოსომატური დაავადებები, ზიანდება კანი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, გული, შინაგანი ორგანოები.

● თუ უძილობა და თავის ტკივილი დაგჩემდათ, უფრო და უფრო ხშირად უჩივით მეხსიერებას, ამჩნევთ, რომ ყურადღების კონცენტრირების უნარი დაგიქვეითდათ და მეტისმეტად სწრაფად და ძლიერ იღლებით, აუცილებელია, მიმართოთ ექიმს.

● ნერვული მოშლილობისას დიდი



მნიშვნელობა აქვს სტრესებისგან თავის დაცვას. ამისთვის კი რამდენიმე რეკომენდაცია უნდა დაიხსომოთ:

● ერიდეთ ალკოჰოლურ სასმელსა და ნიკოტინს;

● იპოვეთ ისეთი საქმე, რომლის კეთებაც სიამოვნებას მოგანიჭებთ;

● ისწავლეთ გონივრული დასვენება;

● სპორტი შესანიშნავი ანტიდეპრესანტია, ამიტომ გამონახეთ დრო მისთვის კვირაში სამჯერ, 30-45 წთ მაინც. ხშირად ფიზიკური ვარჯიში ქიმიურ პრეპარატებზე უკეთ ახერხებს ფსიქიკის კორექციას;

● ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, უსმინეთ სასიამოვნო მუსიკას, იფიქრეთ თქვენთვის სასიამოვნო სიტუაციებზე — ეცადეთ, მოადუნოთ სხეულიც და ფსიქიკაც.

ნევროზის მკურნალობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემო პირობების შეცვლას. ხოლო თუ გარემოს ვერაფერს უხერხებთ, საკუთარი სამყაროს შეცვლა შეგიძლიათ. ეცადეთ, სხვა თვალით შეხედოთ მოუგვარებელ პრობლემებს და ისინი ვეღარაფერს დაგაკლებთ.

■

| | | |

როგორ აიგო ქვაშვეთის ტაძარი

ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია უძველესი ქრისტიანული ძეგლია. გადმოცემით, ამ ტაძარს ქვაშვეთი წმინდა დავით გარეჯელის მიერ აღსრულებული ერთ-ერთი სასწაულის გამო დაერქვა...

მორენა მერკვილაძე



VI საუკუნეში, საქართველოში 13 ასურელი მამა ჩამოვიდა, ქრისტიანული სჯულის განსამტკიცებლად. მათ შორის იყო მამა დავითი — შემდგომში, გარეჯელად წოდებული. მამა დავითმა სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია, იგი ბერ ლუკიანესთან და თავის სულიერ შვილებთან ერთად, ქალაქის დასავლეთით მდებარე მთის ფერდობზე — გამოქვაბულში დასახლდა. იქვე პატარა სამლოცველოც მოაწყო. ბერები დღეებს ლოცვაში ატარებდნენ, საკვებად კი მთის მცენარეებს იყენებდნენ.

ხუთშაბათობით მამა დავითი ქალაქში ჩადიოდა, რათა მასთან შეხვედრის მსურველები, ქრისტიანული სჯულის ქადაგებით რწმენაში განმტკიცებინა. იმ პერიოდში, თბილისი სპარსელებს ეპავათ, ამიტომ ქალაქში ძირითადად, მოგვები სახლობდნენ. მოგვებმა მალევე შენიშნეს, რომ ჭეშმარიტი სჯულის მქადაგებელი წმინდა მამა დღითი დღე ხალხის სიყვარულსა და ნდობას იხვეჭდა, მისი ქადაგების შედეგად, ბევრი ცეცხლთაყვანისმცემელი ქრისტიანულ სჯულზე მოექცა, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდნენ, მისი სახელი შეებღალათ: მრავალი ცილი დასწამეს, ბოლოს, ერთ მეძავ დედაკაცთან მრუშობაში დასდეს ბრალი, რომელიც ერთ-ერთი მოგვისგან იყო ფეხმძიმედ, მაგრამ ირწმუნებოდა, — ბავშვს მამა დავითისგან ველოდებიო... როდესაც წმინდა მამამ ამ საშინელი ცილისწამების შესახებ შეიტყო, შეკრებილი ხალხის თვალწინ კვერთხი შეახო ფეხმძიმე მეძავს და მუცლადმყოფ ყრმას მიმართა: „ყრმაო, უფლის სახელით გიბრძანებ, გვაუწყო, მე ვარ თუ არა შენი მამა“. მოხდა საოცარი რამ: მუცლადმყოფმა ყრმამ ხმა ამოიდგა და ყველას გასაგონად უპასუხა: „არა, არა, არა“... მეძავი მაინც არ აღიარებდა სიმართლეს, ურცხვად სწამებდა ცილს წმინდა მამას და აცხადებდა, რომ სწორედ ის იყო მისი შვილის მამა. მაშინ მამა დავითმა კვლავ შეახო კვერთხი ქალის მუცელს და წარმოთქვა: „ქვა შვი, შეჩვენებულო ცილისმწამებელო“. ქალს მართლაც, უშვია ქვა და ხალხს ქალი ქვებით ჩაუქოლავს...

ეს ამბავი სწორედ იმ ადგილას მომხდარა, სადაც ამჟამად ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას. აღსრულებული სასწაულის ადგილას, წმინდა გიორგის სახელობის მცირე ზომის ეკლესია აუშენებიათ, რომელსაც აღნიშნული სასწაულის მოსახსენებლად, ქვაშვეთადაც მოიხსენიებდნენ.

XVIII საუკუნემდე, ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის შესახებ ისტორიული წყაროები თითქმის არავითარ ცნობას არ გვაწვდის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ტაძარს პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია, იგი მრავალჯერ დანგრეულა დამპყრობელთა შემოსევების დროს. ცნობილია აგრეთვე, რომ ქვაშვეთის ეკლესიას, დიდებულთა შეწირულობების წყალობით, მამულები და სავენახე მიწები ჰქონია.

XVIII საუკუნეში ეკლესია მთლიანად დაზიანებულა. იგი თავიდან აუგია გივი ამილახვარს (თბილისის იმდროინდელ მოურავს). ტაძრის შესასვლელში დღემდეა შემორჩენილი ქვაზე ამოკვეთილი წარწერა „ჩუენ, ამილახვარმან გივიმან, ძემან ანდუყაფარ ამილახორისამან აღუაშენეთ ეკლესია ესე ღვაწლშემოსილისა მთავარმოწამისა გიორგისა...“

იმ პერიოდში, როდესაც ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის პირველი ტაძარი აიგო, ტაძრის მდებარეობის ადგილი, თბილისის გარეუბანი გახლდათ, როცა საუკუნეების მანძილზე, ქალაქი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ეს ადგილი თბილისის ცენტრად იქცა, გარშემო მრავალი დიდი შენობა აიგო. მათ გვერდით, ამილახვრის მიერ აგებული ეკლესია მოძველებული და პატარა გამოჩნდა. ამიტომ საჭირო გახდა ახალი, შედარებით დიდი ტაძრის აღმართვა. მომავალი ეკლესიის ნიმუშად, სამთავისის ტაძარი გამოიყენეს. ქვაშვეთის ახალი ეკლესიის მშენებლობა 1904 წელს დაიწყო. ჩუქურთმების ორნამენტებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა მართლმადიდებლურ ეკლესიას დაესესხნენ. სამჭედლო და ქვისმთლელთა სამუშაოები თბილისის ცნობილ სახელოსნოებში სრულდებოდა. მშენებლობა 1910 წელს დასრულდა. ტაძარი ძირითადად, მართლმორწმუნე მრევლის შეწირულობებით აიგო.

როგორც ცნობილია, კომუნისტური მმართველობის დროს, საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრების უმტესი ნაწილი დაიხურა, ბევრ მათგანში საერო დაწესებულებები გახსნეს (საავადმყოფოები, ბილიოთეკა თუ კლუბი). მაგრამ ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი კომუნისტური რეჟიმის დროსაც მოქმედებდა. სწორედ ამ ტაძარში პოვებდნენ სულიერ საზრდოს იმ პერიოდში მცირედ შემორჩენილი მორწმუნენი...

1946 წელს, ტაძრის საკურთხეველი გამოჩენილმა მხატვარმა — ლადო გუდიაშვილმა მოხატა. 2000 წელს კი, ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში ახალი სამრეკლო და სატრაპეზო აშენდა. ■

რიტია ძნიშვნელოვანი ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა მარიამისა

მართლმადიდებლური სამყარო 4 დეკემბერს, თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებას ზეიმობს...

როდესაც მართალი მშობლების — იოაკიმესა და ანასგან შობილი წმინდა ქალწული მარიამი 3 წლის გახდა, უფლის წინაშე დადებული აღთქმის თანახმად, მისმა მშობლებმა იგი უფლის ტაძარში შესაწირად მოამზადეს. იოაკიმემ და ანამ გადაწყვიტეს, რომ თავიანთი მხოლოდშობილი ასული — ყოვლადწმინდა დედა მომავალი მესიისა — კაცობრიობის მხსნელისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, საზეიმოდ მიეყვანათ უფლის ტაძარში. ამ სადღესასწაულო დღეს, მათ ოჯახში ისრაელში დიდად პატივცემული მრავალი ადამიანი შეიკრიბა. ყრმა მარიამი მშობლებმა საუკეთესო სამოსით შემოსეს, შემდეგ გვერდით ამოუდგნენ და გაუდგნენ გზას ნაზარეთიდან იერუსალიმისკენ. მათ მგალობელ ქალწულთა გუნდი წინამძღვრობდა, უკან კი, ახლობლები მიჰყვებოდნენ, ანთებული კელაპტრებით ხელში.

იერუსალიმის ტაძრამდე გზა ფსალმუნთა გალობით განვლეს. იერუსალიმის ქუჩებში მათ უამრავი ადამიანი მიეგება. გუნდის გალობას, უფლის ბრძანებით, ზეცით გარდამომხდარი ანგელოზთა კრებულიც შეუერთდა. ისინი გარს შემოერტყნენ ღვთაებრივ ყრმას და ასე მიაცილეს ტაძრამდე.

იერუსალიმის ტაძრიდან წმინდა მარიამს მღვდელმთავარი ზაქარიაც მიეგება, მრავალრიცხოვან სამღვდლო დასთან ერთად. ტაძარში შესასვლელად, თხუთმეტსაფეხურიანი კიბის ავლა იყო საჭირო (რიცხვი 15 მიუთითებდა ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის დაწყების თარიღს: ნისანის — მარტის — 15-ს. თითო საფეხურის ავლისას, მორწმუნენი თითო ლოცვას კითხულობდნენ, რაც სიმბოლურად, ამქვეყნიურობიდან უფალთან მიახლოებას მიანიშნებდა.

ყრმა მარიამმა, ფეხი შედგა თუ არა იერუსალიმის ტაძრის კიბის პირველ საფეხურზე, ყველას დაუხმარებლად, სწრაფად აირბინა თხუთმეტივე საფეხური და მუხლზე შემოეხვია მღვდელმთავარ ზაქარიას. სულიწმიდის კარნახით, მან ღვთაებრივი ყრმა ტაძრის წმიდათაწმიდაში შეიყვანა, სადაც შესვლის უფლება მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა, ისიც — წელიწადში ერთხელ, როდესაც სამსხვერპლო სისხლი შეჰქონდა: „მღვდელმთავარი სულიწმიდის მადლმა მოიცვა, მიხვდა, რომ ეს ყრმა იყო სამკვიდრებელი ღვთის მადლისა და მასზე უფრო ღირსეული... გაახსენდა, რომ სჯულის კიდობანი, კანონთა მიხედვით, წმიდათაწმიდაში უნდა ყოფილიყო დაბრძანებული, მიხვდა, რომ ეს სწორედ მარიამზე იყო ნაწინასწარმეტყველევი, ამიტომაც გაკადნიერდა და წმინდა ქალწული, წინააღმდეგ სჯულისა, წმიდათაწმიდაში შეიყვანა“ (ეკლესიის მამათა ღვთისმეტყველებით, ყოვლადწმინდა მარიამი „ახალი აღთქმის“ კიდობნად იწოდება, რადგან მუცლით ატარებდა ქვეყნიერების გამომხსნელს, მაცხოვარს — იესო ქრისტეს).

ყრმა მარიამის მშობლებმა მადლობა შესწირეს უფალს, შინ დაბრუნდნენ და დიდი ნადიმი გამართეს. მათი კურთხეული ასული კი იერუსალიმის ტაძარში დარჩა და ღვთის სახლში განაგრძო ცხოვრება.

სწორედ ამ უდიდეს მოვლენას — ყოვლადწმინდა მარიამის ტაძრად მიყვანებას აღნიშნავს და მოიხსენიებს სადღესასწაულოდ წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია 4 დეკემბერს. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების მოსახსენიებლად, წმინდა ეკლესიამ უძველესი დროიდანვე დააწესა მისი აღნიშვნა: პირველ ცნობას ამ დღესასწაულის შესახებ, პალესტინელ ქრისტიანთა გადმოცემანი გვაწვდიან. იქვე საუბარია იმის შესახებ, რომ წმინდა ელენე დედოფალმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების მოსახსენიებლად, ამ მოვლენის სახელობის ტაძარიც კი ააგო.

სწორედ უფლის სახლში წმინდა ქალწულის მიყვანის შემდეგ დაიწყო მარიამის, უფლის სულიერ ტაძრად მომზადება, რომელსაც მომავალში, ღვთის უდიდესი საიდუმლო უნდა განეხორციელებინა — მუცლად ეღო და ეშვა განკაცებული უფალი, მხსნელი ცოდვის მონობაში მყოფი კაცობრიობისა — მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ■

რა უნდა ვიცოდეთ საშობაო მარხვის შესახებ

წმინდა მართლდმადიდებელი ეკლესიის მიერ წლის განმავლობაში დაწესებულია 4 დიდი მარხვა, რომელთაგან ერთ-ერთია საშობაო მარხვა, რომელიც ყოველწლიურად, 28 ნოემბერს იწყება და 7 იანვრამდე, შობის ბრწყინვალე დღესასწაულამდე გრძელდება.

საშობაო მარხვა, ისევე, როგორც სხვა დიდი მარხვები, ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეებში დაუწესებიათ. ცნობები მის შესახებ V საუკუნიდან მოიპოვება. საშობაო მარხვას თავიანთ თხზულებებში იხსენიებენ იმდროინდელი საეკლესიო მოღვაწეები: წმინდა ამბროსი, მედიოლანელი, ნეტარი ავგუსტინე და ფილასტრი (ფილასტრი წერს, რომ შობის წინ აუცილებლად უნდა ვიმარხულოთ და საუბრობს იმის შესახებ, თუ რაოდენ ღრმა ფესვები აქვს მარხვის საეკლესიო ტრადიციას).

შობის მარხვის ხანგრძლივობა თავდაპირველად, მკაცრად განსაზღვრული არ ყოფილა, ამიტომ ქრისტიანები მას სხვადასხვა ხანგრძლივობით იცავდნენ: ნაწილი — 7 დღის მანძილზე ინახავდა ქრისტესშობის მარხვას, ნაწილი კი — გაცილებით დიდხანს. გალიაში დაცული ერთ-ერთი ჩანაწერის თანახმად, ქრისტესშობამდე, მორწმუნენი ერთი კვირა მარხულობდნენ ამასვე მოწმობს ანასტასი სინელიც: „ზოგიერთგან, აღმოსავლეთში ამ მარხვის ხანგრძლივობა შემცირებული იყო, ზოგჯერ ორ კვირამდე ან თორმეტ დღემდე“.

1166 წელს, კონსტანტინოპოლის პატრიარქ ლუკას მოსაყდრეობის პერიოდში, მოწვეული იქნა საეკლესიო კრება, სადაც დადგინდა, რომ შობის მარხვა 40 დღის მანძილზე უნდა გაგრძელებულიყო.

საშობაო მარხვის დაცვით, მართლმორწმუნე ქრისტიანები ემზადებიან ქრისტესშობის დღესასწაულისთვის, რათა ხორციელად და სულიერად განწმენდილნი მიეგებონ ბრწყინვალე დღესასწაულს. როგორც ლეონ დიდი ბრძანებს: „საშობაო მარხვა არის უფლისადმი გაღებული მსხვერპლი წლის განმავლობაში მოწეული ნაყოფისათვის“. სვიმონ თესალონიკელი კი, საშობაო მარხვასთან დაკავშირებით წერს: „შობის მარხვა მოსეს მარხვას განასახიერებს, რომელმაც ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ, უფლისგან ქვის ორი ფირფიტა მიიღო, რაზეც ამოტვიფრული იყო უფლის სიტყვები. ჩვენ კი ორმოცდღიანი მარხვის შედეგად, ვიხილავთ და ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისაგან ვღებულობთ ცოცხალ სიტყვას, რომელიც ამჯერად ქვებზე კი არ არის ამოტვიფრული, არამედ ხორცშესხმული და ხორციელად შობილია, რომლის ღვთაებრივ სისხლსა და ხორცს ვეზიარებით“.

შობის მარხვა დიდმარხვასთან შედარებით მსუბუქია. ამ მარხვის დროს, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, მონაზვნებისთვისაც დაშვებულია თევზის, ზეთისა და მცირეოდენი ღვინის ხმევა. რაც შეეხება სულიერ მარხვას, იგი გაძლიერებულ სულიერ ღვაწლს მოითხოვს, რაც მომეტებული ლოცვით, ცოდვათა გამო სინანულით, მოწყალების საქმეების აღსრულებითა და ღვთისთვის სათნო სხვა საქმეების აღსრულებით უნდა გამოიხატოს. ■

მოამზადა მორენა მერკვილაძემ

იმერეთის ხამეფოს უკანასკნელი ბაგრატიონი

იმერეთის უკანასკნელ მეფეს — ალექსანდრეს სოფელ ღვანკითში სამი დიდი სასახლე ჰქონდა. რა თქმა უნდა, რევოლუციის შემდეგ ყველა განადგურდა, ყველაზე დიდი სასახლე — დაწვეს. ბაგრატოვანთა საგვარეულო ეკლესიაში, სადაც დასაფლავებული იყო მეფე ალექსანდრე, მისი მამა და ოჯახის სხვა წევრები, ჯერ საწყობი გახსნეს, მერე კლუბად გადააკეთეს. სცენა სწორედ პატარა თამარ ბაგრატიონის საფლავის ქვაზე იდგა... თამარი, ალექსანდრეს ასული 5 წლის ასაკში გაურკვეველი სენისაგან გარდაიცვალა. მაშინ ბევრს გაუჩნდა ეჭვი, რომ მეფის ასული, რომელიც კარგა ხნის მოლოდინის შემდეგ გაჩნდა სამეფო ოჯახში, მოწამლეს. ეს ვარაუდი არ ასვენებდა ალექსანდრეს მეუღლეს, იმერეთის უკანასკნელ დედოფალს — ნიდიტორას. მან მწარედ დაიტირა შვილი, საგანგებო წიგნში ჩაწერა მისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები; წიგნის ყდას, ეს ფოტო ამშვენებდა, რომელზეც ბედნიერი დედა თავის სრულიად ჯანმრთელ შვილთან ერთად არის აღბეჭდილი.

თამარ ბაგრატიონის ქვა შელახული და გაფუჭებულია. კომუნისტური მმართველობის წლებში არაერთხელ გათხარეს და გაძარცვეს ეს და კიდევ სხვა საფლავები. ეკლესიაში მარმარილოს სვეტები იდგა. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს სვეტები გადახერხა, რადგან მაყურებლებს ფილმის ყურებაში უშლიდა ხელს. ის კი ვეღარ იფიქრეს, რომ სვეტების გარეშე ეკლესია ჩამოიქცეოდა. მართლაც, გუმბათიც ჩამოწვა...

ლელა ჯიყაშვილი

1862 წლის 9 ნოემბერს, თბილისის „მდაბიო“ მოქალაქეს, თამარ ივანეს ასულ ნარეკლიძეს დაებადა უკანონო შვილი, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ, საიდუმლოდ მონათლეს. დაბადების წიგნში ჩაიწერა მხოლოდ სახელი — გიორგი. 1868 წელს კი, მას მიეკუთვნა გვარიც — გაბაშვილი, ხოლო თბილისის სახელმწიფო პალატამ იგი ქალაქის ე.წ. „მოხარკე მოსახლეთა“ შორის ჩარიცხა...

„ავტოპორტრეტი“

რა ეწერა გიგო გაბაშვილის ანდერძში

თამუნა კვინიკაძე

დაახლოებით 3 წლის იყო მომავალი მხატვარი, როდესაც ქოლერით გარდაეცვალა მამა, თბილისის დეპუტატთა პალატის თანამშრომელი ივანე გაბაშვილი. ამის შემდეგ, ის მხოლოდ დედის მზრუნველობით იზრდებოდა. თამარმა, რომლის შემოსავლის წყაროს ქარგვით აღებული თანხა შეადგენდა, განსაკუთრებული ამაგი დასდო თავის პირველ შვილს, მიუხედავად იმ მძიმე მორალური მდგომარეობისა, რომელშიც იმყოფებოდა, როგორც უკანონო შვილის დედა. იგი გარდაიცვალა ტუბერკულოზით 1887 წელს.

ზოგადი განათლება გიგო გაბაშვილს თბილისის რეალურ სასწავლებელში მიუღია. ბიჭი მხოლოდ ხატვის, ტანვარჯიშისა და გეოგრაფიის მიმართ იჩენდა ინტერესს. სხვა საგნებს იმდენად ცუდად სწავლობდა, რომ ხშირად, მეორე წელსაც რჩებოდა ერთსა და იმავე კლასში. მეტისმეტად ცოცხალი და მოუსვენარი ბავშვი ყოფილა. ან ხატავდა, ან, მთელ დროს ბანაობაში, თევზაობასა და თამაშში ატარებდა. მტკვრის ნაპირზე ყოფნის სიყვარულით, ხშირად ტოვებდა გაკვეთილებს. ერთხელ ბანაობისას მისთვის ტანსაცმელი მოუპარავთ და სახლში შიშველი დაბრუნებულა. ერთხელ კი ძლივს გადაურჩენიათ დახრჩობას.

საოცრად კეთილი და სათნო დედა ვერ იმორჩილებდა შვილს. ამიტომ იძულებული გამხდარა, გიგო მიებარებინა თბილისში მცხოვრები ერთ-ერთი უცხოელის ოჯახში, სადაც მის თანატოლ ორ ბავშვთან ერთად იზრდებოდა და ფრანგულ და გერმანულ ენებს სწავლობდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, მომავალი მხატვრის დედა ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკ რეჩკოვს. ქალს კარგი დამხმარე გაუჩნდა შვილის შესაფერისად აღსაზრდელად და გიგო დაუყოვნებლივ შინ დააბრუნა.

ბიჭი თანდათან, სულ უფრო დიდ ინტერესს ავლენდა მხატვრობისადმი და დიდ წარმატებებსაც აღწევდა. აქვე უნდა აღინიშნოს გიგო გაბაშვილის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა. მხატვარი ძალზე ბევრს მუშაობდა. „მე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება მუშაობის გარეშე“, — აღნიშნავს იგი თავის ერთ-ერთ ჩანაწერში. თურმე მხატვარი არა ერთ, არამედ ერთდროულად ორ და სამ სურათზე მუშაობდა. მისი თქმით, ეს უფრო ნაკლებად ღლიდა მას. დღისით უმეტესად, ფერწერით იყო დაკავებული, საღამოს კი, მხოლოდ ხატავდა: ნახატების შესაქმნელად დღის სინათლე ენანებოდა...

აქტიურ შემოქმედებით ძიებასა და შრომასთან ერთად, გიგო გაბაშვილი არასოდეს ივიწყებდა წიგნებს. მის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ხელოვნება და განათლებულობა განუყოფელი მეგობრებია“. 1936 წლის კალენდარზე მიუწერია: „მხოლოდ ცოდნა ქმნის დიდ ადამიანს“.

განსაკუთრებით უყვარდა მუსიკა. მხატვარი თვითონაც კარგად ფლობდა ვიოლინოს და თითქმის ყოველდღე, მუშაობის შემდეგ, უკრავდა. „მას შეეძლო — აღნიშნავს გერამენლი მხატვარი ო. მიულბაუმი, — ორი საათის განმავლობაში სულ ახალ-ახალი რამ დაეკრა. შებინდებისას, როცა იგი მუშაობით დაიღლებოდა, თავის ვიოლინოს აიღებდა და მე „კონცერტზე“ მიმიხმობდა ხოლმე. ეს „კონცერტი“ იწყებოდა ბავარიული მუსიკით, რომელსაც თვითონვე თხზავდა და „გაბაშვილის მარშს“ ეძახდა. წარმოდგენას ყოველთვის ილია ჭავჭავაძის „გაზაფხულით“ ასრულებდა. ამის შემდეგ, იგი ვიოლინოს შეინახავდა. თავის ძაღლებს დაუძახებდა და მათთან თამაშს იწყებდა“. როცა გიგო ახალგაზრდა იყო, ხშირად დადიოდა თეატრში, კინოში, სხვადასხვა სანახაობაზე, მაგრამ მოხუცებულობის ჟამს, უკვე „თავისი კონცერტებით“ კმაყოფილდებოდა.

„იარაღით მოვაჭრე“

მხატვარს უყვარდა ფრინველები და ცხოველები. ზოგჯერ იყიდდა სკვინჩებს და ჟივჟავებს, უშვებდა სახელოსნოში და ხარობდა მათი ფრენის ცქერისას. ცოტა ხნის შემდეგ კი, გააღებდა ფანჯრებს და ათავისუფლებდა ტყვეობიდან...

ერთხელ გიგომ სადილზე მიიპატიჟა თავისი ძველი მეგობრები. სადილის შემდეგ, ერთ-ერთ მათგანს გადასცა ნახატი, რომელსაც ძალზე ესათუთებოდა და ნაღვლიანი ხმით უთხრა: შენ ამას უკეთესად შეინახავო. გამომშვიდობების წინ კი, დიდხანს იდგა ფანჯარასთან და მთაწმინდას გაჰყურებდა. ბოლოს, მხცოვან მხატვარს წამოსცდენია: „ო, რა კარგი იქნებოდა იქ განსვენება!..“

მეგობრების გამამხნევებელ სიტყვებს ხელის ჩაქნევით უპასუხებდა ხოლმე. როგორც ჩანს, სიკვდილზე ფიქრი ასაკის მატებასთან ერთად ხშირად აწუხებდა. ალბათ, ამ დიდი ტრაგიკული გრძნობისა და ფიქრის გამო ჩაწერა მან თავის რვეულში: „ახალგაზდობა იმითაც არის კარგი, რომ მაშინ სიკვდილზე არასოდეს არ ფიქრობენ“.

სამი დღის შემდეგ — 12 ოქტომბერს, უსიამოვნო წინათგრძნობით შეპყრობილი მხატვარი ბათუმში გაემგზავრა. სადგურზე მას მეგობრები აცილებდნენ და ურჩევდნენ, გამგზავრება რამდენიმე დღით გადაედო, რადგან თავს შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ მხატვარს ბათუმში წასვლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და ვერავინ გადააფიქრებინა.

გიგომ პირველი დღეები ბათუმში გაატარა, შემდეგ, ციხისძირს მიაშურა, სადაც მუშაობას მიჰყო ხელი. მხატვარი მოხიბლული იყო ბუნების სილამაზით, ძალზე მხიარული და კმაყოფილი ჩანდა.

27 ოქტომბერსაც განსაკუთრებული ხალისით მუშაობდა, დაუმთავრებელი დარჩა ეტიუდი, რომელსაც შემდეგ, „პეიზაჟი“ ეწოდა. სწორედ ეს ნამუშევარი აღმოჩნდა დიდი ქართველი მხატვრის, გიგო გაბაშვილის „გედის სიმღერა“.

28 ოქტომბერს ღამით, გულის ავადმყოფობის გამო შეწყდა ფერთა დიდმპყრობლის მოუსვენარი სიცოცხლე. სიკვდილის წინ, მხატვარს მხოლოდ ხალათისა და ცალი ფეხსაცმლის ჩაცმა მოესწრო...

30 ოქტომბერს, გიგო გაბაშვილის ნეშტი თბილისში გადამოასვენეს და პირველ ნოემბერს, ვაკის ახალი სასაფლაოს პანთეონში დაკრძალეს.

5 დღის შემდეგ, მხატვრის საწერ მაგიდაზე იპოვეს „ანდერძი“ — მშობლიური ხალხის დიდი სიყვარულით გამსჭვალული დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „უსაზღვრო ერთგულებითა და სიყვარულით ვუძღვნი საჩუქრად ჩემს ხალხს ჩემს მრავალწლოვან შრომას. ვთხოვ არსებულ მთავრობას კეთილინებოს მიღება ამ საჩუქრისა და თუ შესაძლებელი იქნება, ერთი დარბაზი ან ოთახი გამოყოს ჩემი სურათებისათვის“. ■

მაკა მეუღლესთან და ბრიუსის დისშვილთან ერთად

ბოლო ხანს, სამწუხაროდ, აღარავის უკვირს ქართველის უცხოელზე დაქორწინების ამბავი. როდესაც გავიგე, რომ ჩემმა მეგობარმაც, რომელიც უკვე ორი წელია, რაც ამერიკაშია, ცხოვრების თანამგზავრად უცხოელი, 38 წლის ბრიუს ნეგალი აირჩია, არ გამკვირვებია, მაგრამ ცოტა არ იყოს, გული დამწყდა... კიდევ ერთი ნიჭიერი განათლებული, მომხიბვლელი ქართველი ქალი ქართული ოჯახის გარეშე...

Sinagani xma

anu qali da mamakaci amerikis wvimian RameSi

ნინო ჯავახიშვილი

მაკა მეტრეველი *31 წლისაა, წარმოშობით რაჭველი, პროფესიით ფილოლოგი და დრამატურგი გახლავთ — თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა. წერს ლექსებს, პიესებს, მაგრამ აქ ვერ შეძლო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და იძულებულმა ამერიკაში სამუშაოდ წასვლა გადაწყვიტა. ამერიკაში მისი უფროსი და და სიძე ცხოვრობდნენ და მათთან ჩავიდა. ახლა საკუთარი ოჯახი და საკუთარი სახლიც აქვს, მუშაობით კი, რა თქმა უნდა, აღარ მუშაობს.*

— როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება ამერიკაზე?

— ხუთი წლის განმავლობაში უშედეგოდ ვცდილობდი ამერიკაში ჩამოსვლას. ამიტომ, როდესაც ეს ოცნება ამისრულდა, იმდენად ვიყავი გახარებული, რომ ცხადად არც კი მახსოვს ამერიკაზე შექმნილი პირველი შთაბეჭდილებები. იყო რაღაც გრანდიოზულის და ხმაურიანის შეგრძნება. ეს უფრო ნიუ-იორკს, ფილადელფიას და დიდ ქალაქებს ეხება, ჩვენ კი საკმაოდ მყუდრო, სუფთა და მწვანეში ჩაფლულ ქალაქში ვცხოვრობთ. ქალაქს იარდლი ჰქვია, პენსილვანიის შტატში მდებარეობს. ჩემი და და სიძე უკვე წლებია, აქ ცხოვრობენ. მათგან იმდენად ობიექტური წარმოდგენა მქონდა ყველაფერზე, სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებით არაფერს გავუოცებივარ. ისე კი, ოკეანის უსაზღვროებამ, მუზეუმებში ნანახი შედევრების სიდიადემ და ამერიკაში სხვანაირად წაკითხულმა ვაჟა-ფშაველას სიღრმემ გამაოცა...

— როგორია ამერიკული ცხოვრების რიტმი და თუ გაგიჭირდა მისთვის ფეხის აწყობა?

— ცხოვრების რიტმი აქ ძალზე აჩქარებულია — სხვა საზოგადოება, სხვა კულტურა, სხვა ურთიერთობები. სანამ ეს ყველაფერი ახალია და აღმოსაჩენი, მონატრების და უკან დაბრუნების სურვილი არც ისე მძაფრია. მერე, თანდათანობით, მონატრება ჩემი ოჯახის, მეგობრების, ჩემი საქართველოსი ძალიან მძიმე გახდა. მაგრამ ყველაფერს უნდა გაუძლო!

„გაუძლო“ — ბავშვობიდან ძალიან კარგად ვიცი ამ სიტყვის მნიშვნელობა. ადამიანად დაბადება და შენ გვერდით მყოფების სიყვარული, ძალიან ბევრს გვავალებს. მარტო საკუთარ სურვილებსა და ინსტინქტებს არასდროს ავყოლივარ, ამერიკაში თავგადასავლების საძიებლად კი არა, სამუშაოდ ჩამოვედი და ამიტომ სიძნელეებისთვის მზად ვიყავი.

— სამუშაო ჩასვლისთანავე დაიწყე?

— სამუშაო თავიდანვე გარანტირებული მქონდა. მუშაობა დავიწყე ბავშვის აღმზრდელად ოჯახში, სადაც ჩემი და და სიძე 5 წლის მანძილზე ცხოვრობდნენ. ფაქტობრივად, მათ ოჯახის წევრებად თვლიდნენ. მე მალე შინაურად და თავისუფლად ვგრძნობდი თავს. ერიელი, გოგონა, რომელსაც ვუვლიდი, ძალიან შემიყვარდა. ამჟამად კი ეკას (ჩემს დას) ნიკუშას მოვლაში ვეხმარები. ნიკუშა 12-წლიანი მოლოდინის შემდეგ დაიბადა და ყველას დიდი სიხარული მოგვანიჭა. ეკა რობერტ ვუდ ჯონსონის სახელობის ჰოსპიტალში მუშაობს და თან ექთანი-ანესთეზიოლოგის პროფესიას ეუფლება კოლეჯში. ჩემი სიძეც დილიდან საღამომდე დაკავებულია — აქ ერთი სამუშაო დღის გაცდენაც კი დიდი დანაკლისია ოჯახისთვის. მოკლედ, სანამ ნიკუშას ბაღში მიიყვანენ, მე მივეხმარები ბავშვის მოვლაში, ასე გადავწყვიტეთ.

— მაკა, შენს მეუღლეზე მოგვიყევი — სად შეხვდით ერთმანეთს, რითი მიიქცია მისი ყურადღება და საერთოდ, თუ წარმოიდგენდი, ამერიკელზე რომ გათხოვდებოდი?

— ჩემი მეუღლე — ბრიუს ნეგალი სამშენებლო და ბინების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესშია ჩართული. ბრიუსი საშუალო ფენას მიეკუთვნება. ჰყავს დედ-მამა და ორი ძმა. მშობლები პენსიონერები არიან და ფლორიდაში ცხოვრობენ. მამამისი პოლიციის ოფიცერი ყოფილა. თან ოკეანის პირას ნავების გაქირავების ოჯახური ბიზნესიც ჰქონია. მისი ოჯახის წევრები ძალიან თბილი და თავისუფალი ხალხია. არანაირი უცხოობის შეგრძნება არ მქონია მათთან ურთიერთობისას.

ბრიუსს პირველად ყავის სახლში შევხვდი, დაახლოებით ერთი წლის წინ. ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ, როდესაც 30 წლის ასაკში ოკეანის გაღმა, საქართველოდან ასე შორს შეხვდები შენი სულის მოზიარეს, შენს მეორე ნახევარს, ამ შეხვედრას შემთხვევითობას ვერ დაარქმევ...

წარმოვიდგენდი თუ არა ამერიკელზე გათხოვებას?

წარმოდგენით ალბათ ყველაფერს წარმოიდგენ ადამიანი... ჩემთვის სიყვარული საზღვრებს გარეშეა!

ერთმანეთის ყურადღება თავიდანვე მივიქციეთ. როგორც შემდეგ აღმოვაჩინეთ, შინაგანი ხმა ორივეს რაღაც განსაკუთრებულზე მიგვანიშნებდა. მე ამ შეხვედრის შემდეგ (იმ საღამოს მე და ბრიუსმა არტ-გალერეაც დავათვალიერეთ), არ ვიცი, ჩვენი შეხვედრით თუ სურათების ნახვით შთაგონებულმა, სურათი დავხატე — ქალი და მამაკაცი წვიმიან ღამეში. რა თქმა უნდა, ჩემს პირველ ცდას მხატვრობაში სერიოზულად არ ვუყურებ, მაგრამ დღეს იმ ქალსა და მამაკაცში ჩვენს თავს ვაიგივებ. თვითონაც თავის ერთ-ერთ ლექსში სწორედ ამ იდუმალ, შინაგან ხმაზე მიანიშნებს. ლექსებს ბრიუსიც წერს. ბრიუსმა თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თავისი თვალებით, საიდანაც საოცარი უშუალობა და დიდი შინაგანი ენერგია მოდიოდა. ბრიუსი თბილი, მგრძნობიარე და ამავე დროს ძალიან ძლიერი პიროვნებაა. მხიბლავს მისი ხედვა და მოვლენების ანალიზის უნარი. ქართველი მამაკაცების უმრავლესობისგან განსხვავებით, მას არ რცხვენია, გამოხატოს თავისი გრძნობები და ემოციები. ძალიან გულწრფელია და ცდილობს, ამოიკითხოს, ჩემი ყველაზე იდუმალი განცდებიც კი.

— ბრიუს, მაკამ რით მოგხიბლა, რატომ მოგეწონა?

— მაკამ თავიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება ჩაცმის განსაკუთრებული სტილით, ქალურობით, ინტელექტით და ნათელი სულით... ის სულისწამღებად მშვენიერი იყო და მალე, მთვრალი ვიყავი მისით...

— ქართველების გაცნობის შემდეგ, როგორი წარმოდგენა შეგექმნა ჩვენს ქვეყანაზე, ხალხზე?

— აღმოვაჩინე, რომ ქართველები ძალიან თბილი, ნიჭიერი და სიცოცხლით სავსე ხალხია. გასაოცარია მათი სტუმართმოყვარეობა, სიყვარულის უნარი. ძალიან ბევრი განსხვავებული ტრადიცია გაქვთ, რომელთა გაგება ზოგჯერ ძნელიც კია, მაგრამ საუბარი და მზაობა სხვათა კულტურის მიღებისა და გაგებისა, ყველაფერს აადვილებს, მით უფრო, რომ ყველანი ამ დედამიწის ზურგზე, პირველ რიგში, ადამიანები ვართ...

— მაკა, როგორები არიან შეყვარებული ამერიკელი მამაკაცები და კიდევ — თქვენს გადაწყვეტილებას დაქორწინების შესახებ, როგორ შეხვდნენ შენი მშობლები?

— შეყვარებული ამერიკელები ძალიან თბილები და ყურადღებიანები არიან, თვითონ ჩემი ქმარი, მიუხედავად პრაქტიკულობისა (სხვანაირად ამერიკაში თავს ვერ გადაირჩენ), ძალიან რომანტიკულია. ხშირად მჩუქნის ყვავილებს, მანებივრებს ჩემზე შექმნილი ლექსებით, რომანტიკული საღამოებით სანაპიროზე, მოგზაურობებით... დაქორწინების გადაწყვეტილება ერთმანეთის ღრმად გაცნობის და დაახლოების შემდეგ მივიღეთ. რაც შეეხება ჩემი მშობლების დამოკიდებულებას — რა თქმა უნდა, მათი სურვილი იყო, ქართული ოჯახი შემექმნა, მაგრამ მათთვის ამაზე მთავარი ჩემი პირადი ბედნიერებაა. რადგან ჩემი მეორე ნახევარი აქ ვიპოვე, გაგებით მოეკიდნენ ამ ამბავს. მით უფრო, რომ ჩემი დისგან და სიძისგან ბრიუსზე ბევრი კარგი რამ ესმით.

— მაკა, ბრუსი მართლმადიდებელია? თუ აპირებთ ჯვრის დაწერას?

— მართლმადიდებელი არ არის, მაგრამ რომ ხედავს, ეკლესია და მართლმადიდებლობა ჩემთვის რამდენად მნიშვნელოვანია, აპირებს მოინათლოს. ჯვარს ნიუ-იორკში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავიწერთ, სულ მალე.

— ქართული სამზარეულოთიც მოიხიბლა ბრიუსი?

— ვცდილობ, ვაზიარო ქართულ სამზარეულოს. მე თვითონ კარგი მზარეული არ ვარ, მაგრამ, მაინც მოსწონს ჩემი გაკეთებული სადილები — ლობიო, ხაჭაპური, ნიგვზიანი ბადრიჯანი.

ბრიუსი:

— ჩემი საყვარელი საჭმელებია — ტოლმა, ხაჭაპური და ლობიო. სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ მომეწონა ქართული საწებელი — ტყემალი. ხინკალი კი, რომელსაც ასე აქებენ, ჯერ არ გამისინჯავს.

— მაკა, ბოლოს ისიც მითხარი, საქართველოში ჩამოსვლას თუ გეგმავთ და კიდევ — როდესაც უფრო მდიდარი ქალბატონი გახდები, თუ გექნება სხვების დახმარების სურვილი?

— საქართველოში ჩამოსვლის უფლება ჩემი ოცნებაა. როგორც კი საბუთები მზად მექნება, ხელს ვეღარაფერი შეშიშლის. გადავწყვიტე, რომ წელიწადში ერთ თვეს საქართველოში გავატარებ ხოლმე.

ჩემი ამერიკაში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი იმ ადამიანების დახმარება იყო, ვინც ასეთ გაჭირვებაშიც კი ინარჩუნებდა ადამიანურ ღირსებებს, გულითადობას და სიმხნევეს. გული მიკვდება, ჯერჯერობით ოჯახის წევრების გარდა, რომ სხვას ვერავის სწვდება ჩემი შემოსავალი. თუკი ღმერთმა ინება და მდიდარი ქალი გავხდი, სხვისთვის დახმარების გაწევის გარეშე ცხოვრება ვერც წარმომიდგენია...

■

ყველა ასაკის მკითხველისათვის!

ამ წიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება!

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს რუბრიკას „ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან", რომლის ავტორიც გოჩა ფანჯიკიძე გახლავთ. ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ჟურნალის დაარსების პირველი დღეებიდან, რუბრიკამ მკითხველის ყურადღება და ინტერესი დაიმსახურა. მრავალფეროვანი სამეცნიერო, პოპულარული, იუმორისტული ინფორმაცია, რომელიც სისტემატურად მიეწოდება მკითხველს, ასახავს როგორც მიმდინარე, ჩვენი დროისთვის აქტუალურ პრობლემებსა თუ მსოფლმხედველობას, ასევე უცნობ თუ ნაცნობ მოვლენებს კაცობრიობის ისტორიის ოქროს ფონდიდან. ფაქტები შესაძლებლობის ფარგლებში საგულდაგულოდ არის შემოწმებული, დამუშავებული და ავტორისათვის სასურველი რაკურსით დანახული. წიგნში შესულია ჟურნალ „გზაში" ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საუკეთესო მინიატიურები და ასობით ახალი ჩანაწერი თუ საინტერესო ფაქტი.

ნონა–ნანა
დაუვიწყარი მატჩი

1975 წელი: ნონა-ნანა მატჩზე, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული-სათვის

30 წელი გავიდა ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას შორის გამართული საფინალო მატჩის დღიდან, მაგრამ მათი პაექრობა დღემდე დაუვიწყარია. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ორი ქართველი დიდოსტატი იბრძოდა. უფრო სწორად, ქალბატონი ნონა მეოთხედ იცავდა დედოფლის ტიტულს, ხოლო ქალბატონ ნანას პირველად გაუჩნდა გვირგვინის დაუფლების რეალური შანსი.

წმინდა სპორტული თვალსაზრისის გარდა, მატჩი ფსიქოლოგიურადაც ორივესთვის რთული იყო. ნონა გაფრინდაშვილს პირველად ეცილებოდა ტიტულს ქართველი მოჭადრაკე, ნანა ალექსანდრია კი ასევე პირველად თამაშობდა მატჩს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ქართველი გულშემატკივრებიც ცუდ დღეში იყვნენ ჩავარდნილნი: ვისთვის ექომაგათ — ნონასთვის თუ ნანასთვის? ორივე — საყოველთაო სიყვარულისა და ყურადღების ცენტრში გახლდათ მოქცეული. პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, ხალხი, დედოფალთა დარად, მათ მხოლოდ სახელებით მოიხსენიებდა — ნონა და ნანა... თავისებურად უხერხულობას გრძნობდნენ ქართველი ჟურნალისტებიც: ობიექტურობის შენარჩუნება მათი ვალი იყო. უნდა ითქვას, რომ პროფესიონალიზმისთვის არავის უღალატია.

ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას სპორტული ბიოგრაფია განსხვავებულია, თუმცა ცალკეულ ეპიზოდებში ჰგავს კიდეც ერთმანეთს. ჭადრაკის თამაში ორივემ ადრეულ ასაკში, ოჯახში ისწავლა, ბავშვობაში სპორტული ჟინი არც ერთს აკლდა და არც მეორეს. ორივემ გაიარა დიდებული მწვრთნელის — ვახტანგ ქარსელაძის სკოლა...

გოგი ფრანგიშვილი

ნონა:

— ბავშვობაში წყნარი და მოწესრიგებული ვიყავი. არც გაკვეთილების სწავლა მეზარებოდა, მაგრამ ძალიან მიყვარდა სპორტული თამაშები. დარწმუნებული ვარ, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, სათამაშო სახეობებში წარმატებებს მივაღწევდი. ზუგდიდში, სადაც დავიბადე და ვიზრდებოდი, ჩვენს ეზოს მერე ხუმრობით პატარა „ლუჟნიკუბსაც“ ვეძახდით. გვქონდა ბილიარდისა და ჩოგბურთის მაგიდები, ფრენბურთის ბადე, ფეხბურთის მოედანი, კალათბურთის ფარიც... ერთი სიტყვით, ჩემს უფროს ძმებთან ერთად, ყველაფერს ვთამაშობდი. ჭადრაკიც მათგან ვისწავლე 5 წლის ასაკში და ტურნირებსაც ვაწყობდით. 1953 წელს, ბათუმში მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა უნდა გამართულიყო. ზუგდიდის გუნდში კი გოგონა არ ჰყავდათ. ყველამ იცოდა, რომ გაფრინდაშვილების ოჯახში ჭადრაკს თამაშობდნენ და მეც ასე მოვხვდი ქალაქის ნაკრებში. აი, ამგვარად დაიწყო ჩემი საჭადრაკო კარიერა.

ნანა:

— ჭადრაკი ჩემს ცხოვრებაში თავისთავად შემოვიდა. მამას ძალიან უყვარდა ჭადრაკი. ჩვენთან ხშირად იკრიბებოდნენ მისი მეგობრები და თამაშობდნენ. მეც მათი ყურებით ვისწავლე, 4 წლისას კი — დაბადების დღეზე მამამ პირველი საჭადრაკო დაფა და ფიგურები მაჩუქა. რაც შეეხება უფრო სერიოზულ მეცადინეობას, ეს შემთხვევით მოხდა. ჩვენს სკოლაში ბავშვების შესარჩევად თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან მოვიდნენ და მეც ჩავეწერე ჭადრაკის სექციაში. იქ უკვე ვახტანგ ქარსელაძემ გაგვსინჯა, რაღაც პოზიციები დაგვილაგა. როგორც ჩანს, მოვეწონე და თავის ჯგუფში ჩამრიცხა, თუმცა პირველი წელი ბატონ გოგი ეგიაშვილთან დავდიოდი. სხვათა შორის, ჩემი მშობლები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ჭადრაკით ჩემს დაინტერესებას, რადგან საკმაოდ ცელქი ვიყავი. მახსოვს, ერთხელ, სანაძლეოზე სამი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვხტი: მიმაჩნდა — თუ ბიჭი გადმოხტებოდა, მეც უნდა შემძლებოდა იმავეს გაკეთება.

პირველ წარმატებებს ნონამაც და ნანამაც ადრეულ ასაკში მიაღწიეს. 15 წლის იყო ნონა გაფრინდაშვილი, ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ — საქართველოს ჩემპიონატში რომ გაიმარჯვა. ნანა ალექსანდრიამაც ასევე 15 წლისამ მოიპოვა პირველად, საქართველოს ჩემპიონის ტიტული. მოგვიანებით, ორივემ წარმატებით ითამაშა საკავშირო ჩემპიონატებში და დედოფლის გვირგვინისათვის ბრძოლაც დაიწყეს.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პირველად, ნონამ 1962 წელს მოიპოვა — მან ელიზავეტა ბიკოვაზე ანგარიშით 9:2 გაიმარჯვა, ამასთან, მთელი მატჩი დაუმარცხებლად ჩაატარა.

ნონა:

— ბიკოვასთან მატჩი, რა თქმა უნდა, სამახსოვროა, რადგან მაშინ, პირველად გავხდი მსოფლიო ჩემპიონი. გამარჯვება არ გამჭირვებია. სხვათა შორის, მოსკოვში ბევრი გულშემატკივარი მყავდა. ქართველების გარდა, ადგილობრივი ქომაგებიც მიჭერდნენ მხარს. მახსოვს, დასვენების დღეს, სტადიონზე წავედი ფეხბურთის საყურებლად. გულშემატკივრებმა მიცნეს და სკანდირება დაიწყეს: Нона, выиграй у Лизы!

ნანა:

— როცა ნონა მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მე 13 წლის ვიყავი და ვახტანგ ქარსელაძესთან ვმეცადინეობდი. ნონა თავისთავად ჩვენი კერპი იყო. კორიდორში რომ გამოჩნდებოდა, ეს მოვლენა იყო!.. ნონასადმი დამოკიდებულება ვახტანგ ქარსელაძისაგან გადმოგვედო: საოცრად უყვარდა. ამიტომ ნონას გამოჩენა ჩვენ გვერდით ყოველთვის დიდ აჟიოტაჟს იწვევდა. მახსოვს, ბიკოვას დამარცხების შემდეგ, რომ უნდა ჩამოსულიყო, ბატონმა ვახტანგმა მის დასახვედრად წაგვიყვანა სადგურში. იქ უამრავი გულშემატკივარი შეკრებილიყო და ხალხმა კინაღამ გაგვჭყლიტა. ამდენი თაყვანისმცემელი არასდროს მინახავს — თუ არ ჩავთვლით, ჩვენი ფეხბურთელებისა და კალათბურთელების დიდი გამარჯვებების დროს თავმოყრილ ქომაგებს.

— თქვენც უამრავი გულშემატკივარი დაგხვდათ 1966 წელს, კიევში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის პირველად მოპოვების შემდეგ...

— მართალია. მახსოვს, მატარებელი საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში ჩერდებოდა და ორკესტრებითა და თაიგულებით მხვდებოდნენ. ჩემი გამარჯვება მოვლენად ჩაითვალა, რადგან ჭადრაკი მაშინ, სპორტის ახალგაზრდულ სახეობად არ ითვლებოდა — ვთქვათ, ტანვარჯიშის ან ცურვის მსგავსად. ამდენად, 17 წლის ასაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მოგება, იმ დროს სარეკორდო მაჩვენებელი და განსაკუთრებული შემთხვევა გახლდათ...

ელიზავეტა ბიკოვასთან გამარჯვების შემდეგ, ნონა გაფრინდაშვილმა ზედიზედ სამჯერ

დაიცვა დედოფლის გვირგვინი. სამივე შემთხვევაში, მისი მეტოქე, ალა კუშნირი გახლდათ. კუშნირისათვის ნონა გადაულახავ ბარიერად იქცა. ერთ-ერთი მატჩის წინ, მათი ურთიერთობა მოსკოვის ჩარევის გამო დაიძაბა კიდეც..

ნონა:

— ეს ჩვენი მეორე მატჩის დროს მოხდა. იმ პერიოდში, მოსკოველი დიდოსტატები ინტრიგებს ხლართავდნენ ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელობის შესაცვლელად და მატჩის ჩაშლის მიზნით, ალას არასწორ რჩევებს აძლევდნენ. უნდოდათ, რომ ჩვენი მატჩი რუსეთში ჩატარებულიყო. თავად ალასთან და საერთოდ, ყველა მეტოქესთან ყოველთვის კარგი ურთიერთობები მქონდა. საერთოდ, კომუნიკაბელური ადამიანი ვარ. მაგალითად, სადმე სანატორიუმში რომ ვისვენებდი, ორ-სამ დღეში, ყველასთან ვამყარებდი კონტაქტს. ხან ბილიარდს ვთამაშობდი, ხან — მაგიდის ჩოგბურთს. ხალხთან შეხვედრებსაც არ გავურბოდი. ქუჩაშიც ხშირად მაჩერებდნენ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმესთვის ბოლომდე არ მომესმინოს, მიუხედავად იმისა, მჭირდებოდა თუ არა მათი რჩევები... კუშნირს ვეუბნებოდი — ალა, სადაც არ უნდა ვითამაშოთ, ყველგან შენზე მეტი გულშემატკივარი მეყოლება, გავყოთ მატჩი: ერთი ნაწილი თბილისში ვითამაშოთ, მეორე — რუსეთის ნებისმიერ ქალაქში-მეთქი. მართლაც, ასე მოხდა. მატჩი თბილისში დაიწყო და მოსკოვში დასრულდა. სხვათა შორის, თბილისში პირველივე პარტია წავაგე. შემდეგი, ყაიმით დამთავრდა. მესამე პარტიაში მოვიგე, მაგრამ მეოთხეში — ისევ კუშნირმა იმარჯვა. საქართველოს პარტიული და სპორტკომიტეტის ხელმძღვანელები ნერვიულობდნენ. მე მშვიდად ვიყავი. დასვენების დღეებში, ჯერ სტადიონზე წავედი, ფეხბურთის საყურებლად, შემდეგ — კინოთეატრში, „მოუხელთებელთა თავგადასავლის“ სანახავად. იქაც და იქაც ხალხი ჩურჩულებდა — კაცო, ნონა მატჩს აგებს და რა დროს გართობააო?!. მაგრამ ეს ჩემთვის განტვირთვა იყო. ამის შემდეგ, ზედიზედ ორი პარტია მოვუგე კუშნირს და საერთოდ, 8,5:4,5 ისე გავიმარჯვე მატჩში, რომ მეტი პარტია აღარც წამიგია.

1975 წელს, აღსრულდა ვახტანგ ქარსელაძის ოცნება — მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის მატჩში ორი ქართველი მოჭადრაკე, მისი ორი რჩეული შეგირდი — ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია შეხვდნენ ერთმანეთს.

ვახტანგ ქარსელაძე საამაყო შეგირდებთან ერთად

ნანა:

— ზუსტად ვერ გეტყვით, როდის გაახმიანა ეს ოცნება ვახტანგ ქარსელაძემ, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მისი ოცნების განხორციელება შევძელი. ბატონი ვახტანგი საოცარი პიროვნება იყო, ძალიან ერუდირებული. იგი ნიჭიერი მათემატიკოსი იყო, კარგად იცოდა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, შესანიშნავდ უკრავდა კლასიკურ მუსიკას და ომის პერიოდში, ორკესტრში მუშაობით ინახავდა ოჯახს. რა თქმა უნდა, უზომოდ უყვარდა ბავშვები. ის ადვილად იზიდავდა მოწაფეებს და ყველასთვის დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა. მაგალითად, რომან ჯინჯიხაშვილი აბსოლუტურად უკონტროლო იყო და მას მშობლებიც ვერ ერეოდნენ. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც უჯერებდა, ვახტანგ ქარსელაძე გახლდათ. დიდ წარმატებებსაც მიაღწია ჭადრაკში... სწორედ ვახტანგ ქარსელაძემ დაასკვნა, რომ ქართველ ქალს, მთელი რიგი თვისების გამო შეუძლია, განსაკუთრებული შედეგების მიღწევა ჭადრაკში და სწორედ ბატონი ვახტანგის დამსახურებაა, რომ ნონა გადმოიყვანეს თბილისში. ბოლოს და ბოლოს, როგორც იცით, ნონა უნიკალურ მოვლენად იქცა ქართულ სპორტში, მსგავსი ალბათ, არც არსებობს — ერთადერთი, ვიქტორ სანეევი თუ შეედრება.

...1975 წლის შემოდგომაზე, ჭადრაკის ქართველი ქომაგები არჩევანის წინაშე დადგნენ —ნონა თუ ნანა? სიმპათიები განაწილდა. თავად მეტოქეებს თავდაპირველად, ერთი პრობლემა ჰქონდათ გადასაწყვეტი: სად ეთამაშათ მატჩი — თბილისში თუ ბიჭვინთაში?

ნონა:

— მე ბიჭვინთაში თამაში მინდოდა, ხოლო ნანას — თბილისში. ნანა კარგი მოჭადრაკე იყო, მასაც დიდ პატივს სცემდნენ. ბუნებრივია, ბევრი გულშემატკივარიც ჰყავდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი გულშემატკივრებიც კი, ზოგჯერ მეუბნებოდნენ — დაუთმე ნანას ჩემპიონობა და საქართველოს 2 მსოფლიო ჩემპიონი ეყოლებაო... მე ვპასუხობდი — ზუგდიდის ჩემპიონობას არ დათმობს კაცი და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული როგორ დავთმო-მეთქი?! ბოლოს და ბოლოს, მატჩი ორად გავყავით: პირველი ნახევარი ბიჭვინთაში ჩატარდა, ხოლო მეორე — თბილისში.

ნანა:

— ვფიქრობ, რომ სიმპათიები ჩემს მხარეს იხრებოდა და ნონას ამის გამო არ უნდოდა თბილისში თამაში. ბიჭვინთა კი იმიტომ არ მინდოდა, რომ კარგი ჯანმრთელობით არასდროს გამოვირჩეოდი და ექიმები არ მირჩევდნენ ზღვაზე თამაშს. მახსოვს, სანამ მატჩის გაყოფაზე შეთანხმდებოდით, მამაჩემმა მითხრა — სულაც რომ წააგო მატჩი, მეტოქეს მაინც უნდა დათანხმდე — არ დაგავიწყდეს, ნონა მსოფლიო ჩემპიონიაო... ეს იყო ერთადერთი მომენტი ჩვენს მატჩში, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია — ყველა სხვა შემთხვევაში, უთანხმოება არ გვქონია. აბსოლუტურად კორექტულად იქცეოდა ორივე მხარე.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩამდე, ნონა და ნანა სხვადასხვა ტურნირში 6-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 5 პარტია ყაიმით დასრულდა: ერთი კი ნონამ მოიგო. ბუნებრივია, ერთმანეთის შემოქმედება კარგად იცოდნენ და მატჩისათვის საგანგებოდ მოემზადნენ. მსოფლიო ჩემპიონობის მატჩიც პირდაპირ ბრძოლით დაიწყო.

ბიჭვინთაში პირველი პარტია ნონამ მოიგო, მეორეში ნანამ იმარჯვა. მესამეში წარმატებას კვლავ გვირგვინოსანმა მიაღწია.

ნანა:

— მესამე პარტიაში შავებით ვთამაშობდი და ყაიმი არ მინდოდა, მაგრამ აბსოლუტურად შემთხვევით, ერთსვლიან კომბინაციაზე წამოვედე და წავაგე. არადა, პარტია ჩემი უპირატესობით მიმდინარეობდა... არც მეოთხე პარტიაში მქონდა ცუდი პოზიცია. ნონა პაიკის შეწირვით თამაშობდა, მაგრამ მიუხედავად ჩემი პოზიციური უპირატესობისა და ზედმეტი პაიკისა, მაინც წავაგე... მაგრამ ასე რომ მივყვეთ — რომ არა ის და რომ არა ეს, — არ იქნება სწორი. მთლიანობაში, მე საჭადრაკო ძალით ნონასთვის სერიოზული წინააღმდეგობა არ უნდა გამეწია... ნონამ სოლიდური უპირატესობით — 8,5:3,5 გაიმარჯვა. თუმცა, მატჩში იყო ცალკეული მომენტები, როდესაც სიტუაციები სხვაგვარად შეიძლებოდა განვითარებულიყო.... თბილისში რომ გავაგრძელეთ მატჩი, აქ საოცარი აჟიოტაჟი იყო. ჭადრაკის სასახლეში თავისუფალ ადგილებს ვერ იპოვიდით. გახსოვთ ალბათ, ჩვენს დარბაზს კედლები ზევით ეწეოდა და აქაც უამრავი ხალხი იყო... აი, ამდენი გულშემატკივრის თვალწინ, დახლოებით მეათე სვლაზე, მე „დავსვი ხარისხი“! ამის გამო იმდენად გავმწარდი, რომ სირცხვილით კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი. დამწყები მოჭადრაკის შეცდომა მომივიდა. გამწარებულმა, ძალები მოვიკრიბე, პარტია გამოვასწორე და ის ჩემთვის მოსაგებ პოზიციაში გადაიდო. მეორე დღეს, კიდევ ერთი გადადებული — მეათე პარტია უნდა გვეთამაშა და იქაც აბსოლუტურად მოსაგები პოზიცია მქონდა. თანაც, გაგახსენებთ — ბიჭვინთაში ბოლო პარტია მე მოვიგე. ასე რომ, გამოდიოდა — ზედიზედ 3 პარტიაში ვიმარჯვებდი და მატჩი ჩემი მორალური უპირატესობით გაგრძელდებოდა. მაგრამ ამ მომენტში ავყევი ემოციებს, საჭადრაკო გათვლების ნაცვლად, არითმეტიკულად ქულების თვლა დავიწყე და მოულოდნელად, ქიშით დავსვი ფიგურა... ფაქტობრივად, ამით დამთავრდა მატჩი. მეცხრე პარტია ნონამ მოიგო, მეათე — მე, მაგრამ მე უკვე ნერვები აღარ მეყო. ასეთი მომენტები, რა თქმა უნდა, იყო, თუმცა მთლიანობაში, მე ის ნანა ალექსანდრია არ ვიყავი, რომელიც შემდგომში გავხდი, როდესაც პრეტენდენტთა ფინალში ნანა იოსელიანს მოვუგე, მერე კი მაია ჩიბურდანიძესთან ფინალური მატჩი ფრედ — 8:8 დავამთავრე... ასე რომ, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მე არ ვიყავი მზად ნონასთან მატჩისათვის — როგორც მოჭადრაკე და როგორც პიროვნე-

ასე ხვდებოდნენ ბიკოვაზე გამარჯვებულ ნონა გაფრინდაშვილს 1962 წელს, თბილისის სადგურში

ბა. ორივე ასპექტში ნონა უფრო ძლიერი იყო. სხვათა შორის, ახლა რომ გადავათვალიერე იმ პერიოდის პუბლიკაციები, ცნობილი დიდოსტატების ერთ საინტერესო აზრს წავაწყდი: ერთ-ერთ სტატიაში წერია — ნანას არ გაუმართლა, რადგან ნონასაც და მაიასაც მათი პიკში ყოფნის დროს შეხვდაო...

ნონა:

— მიმაჩნია, რომ ნანა ალექსანდრია ნიჭიერი და კარგი მოჭადრაკე იყო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდა იმიტომ, რომ ნერვული სისტემა არ ჰქონდა ძლიერი. სწორედ ემოციების გამო ვერ მოუგო მან მაია ჩიბურდანიძეს 1981 წელს. მიუხედავად იმისა, რომ მას უპირატესობა ჰქონდა, მატჩი ფრედ დამთავრდა. რაც შეეხება ჩემთან მატჩს, საბოლოო ანგარიში — 8,5:3,5 თავისთავად მეტყველებს ძალთა თანაფარდობაზე. რა თქმა უნდა, ჩვენს მატჩში უხეში შეცდომებიც იყო და მათ შორის, ორმხრივიც, ამის გარეშე არ ჩატარებულა არც ერთი მატჩი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ნანას გარდა, არასწორად შეფასა ძალები მისმა მწვრთნელმა — ბუხუტი გურგენიძემაც. კარგი მწვრთნელი და ერთგული ადამიანი იყო, მაგრამ ვფიქრობ, არასწორი ტაქტიკა აირჩიეს. ალბათ, მათთვის უმჯობესი იქნებოდა, სხვა დიდოსტატებიც მოეწვიათ ნანასთან კონსულტაციებისთვის...

— ასეთი მძიმე მატჩების დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის წევრების თანადგომას. თქვენი მეუღლე და შვილი როგორ იქცეოდნენ მატჩის დროს?

ნონა:

— ჩემი მეუღლე — ანზორ ჭიჭინაძე მოჭადრაკეთა მეუღლეებისაგან გამორჩეული პიროვნება იყო. ამას სხვებიც აღნიშნავდნენ. ის ყოველთვის და ყველანაირად მეხმარებოდა, სადაც კი ამის საშუალება იყო, ყველგან დამყვებოდა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მეხმარებოდა. მატჩების დროს, ოჯახში ყველამ იცოდა, რომ მოთმინება უნდა გამოეჩინა. სამაგიეროდ, მატჩების შემდეგ, როცა თბილისში ჩამოვიდოდი, ოჯახის წევრებს მერე მე ვუთმობდი, არაფერზე ვეკამათებოდი, მათ სურვილებს მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული... რაც შეეხება ჩემს შვილს — დათოს, ნანასთან მატჩის დროს ის პატარა იყო და დედაჩემს დაჰყავდა ჩვენი თამაშის სანახავად. ისინი ძალიან წყნარად ისხდნენ დარბაზში და ხელს არ მიშლიდნენ.

ნანა:

— ჩემმა მეუღლემ, ლელო (ასე ეძახიან მეგობრები) ბოკერიამ თავიდანვე იცოდა, რომ მოჭადრაკე უნდა მოეყვანა ცოლად და ამიტომ, თავიდანვე შეგუებული იყო იმას, რომ ხშირად არ ვიქნებოდი შინ. ერთადერთი პრობლემა შეუღლებამდე ცოტა ხნით ადრე ის გვქონდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები უნდა მეთამაშა, მაგრამ ლელომ მითხრა — შენი მატჩები არ დამთავრდება და დაქორწინებასაც ვერასდროს მოვახერხებთო... საკუთარი ლოგიკური იყო. შემდეგ ოჯახში ყოველმხრივ მიწყობდნენ ხელს. მხოლოდ ჩემს შვილს — გიგას (ვფიქრობ, ქვეცნობიერად), შეიძლება ითქვას, ალერგიაც კი ჰქონდა ჭადრაკისადმი, რადგან ხშირად არ ვიყავი სახლში და ბუნებრივია, ბავშვს დედა ენატრებოდა. მახსოვს, დედაჩემმა მომიყვა, როცა ნანა იოსელიანთან მატჩში ერთ-ერთი პარტია წავაგე და ეს რადიოთი გამოაცხადეს, ტაში შემოუკრავს: იმ პერიოდში, გამარჯვებების ტალღა მქონდა და სახლში ჩემი არყოფნა მისთვის გამარჯვებასთან ასოცირდებოდა, ამიტომ ბავშვმა იფიქრა — დედამ თუ წააგო, ე.ი. მალე ჩამოვაო... და კიდევ ერთ მომენტს გავიხსენებ: როდესაც ნონასთან მატჩის საზეიმო დახურვის ცერემონიის შემდეგ შინ დავბრუნდით, გიგამ მითხრა — დედა, მე შენ ბევრ წითელ ყვავილს გიყიდიო... ამ დროს, ზღაპარს ვუყვებოდი და ეს ყვავილი არაფრით იყო დაკავშირებული ზღაპართან. რომ გავანალიზე, მივხვდი — დახურვაზე ნონამ მეტი ყვავილი მიიღო საჩუქრად და გიგა ჩემთვის ამის კომპენსირებას აპირებდა.

1965 წელი: კუშნირის დამარცხების შემდეგ, ნონა გაფრინდაშვილი მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი (უკანა პლანზე — 17 წლის ნანა ალექსანდრია)

— ნანა, ეს იყო თქვენთვის ყველაზე ტკივილიანი მარცხი, თუ სხვა დროს უფრო დაგწყვეტიათ გული?

— რა თქმა უნდა, ეს ტკივილიანი მარცხი იყო, მით უმეტეს, რომ საზონათაშორისო ტურნირი წარმატებით გავიარე. შემდეგ პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკესთან — ირინა ლევიტინასთან 12-ის ნაცვლად, 17 პარტია ვითამაშე, რომ მომეგო. მაგრამ უფრო გულდასაწყვეტი მაინც, მაია ჩიბურდანიძესთან მატჩის მე-15 პარტიაში დამარცხება გახლდათ: ასე ახლოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულთან არასდროს ვყოფილვარ. სულ პრეტენდენტთა 8 ციკლში მითამაშია, ეს ნიშნავს, რომ 20 წელზე მეტხანს ვიბრძოდი დედოფლის გვირგვინისთვის და მაიასთან იმ პარტიის შემდეგ მივხვდი, რომ ვემშვიდობებოდი ჩემს ოცნებას. მართალია, მაიას ბოლო პარტია მოვუგე და მატჩიც ფრედ დასრულდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ვერ გავხდი.

— საინტერესოა, ქართველებს ნონა გაფრინდაშვილი რომ არ გვყოლდა, თუ გვეყოლებოდნენ: ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, მაია ჩიბურდანიძე?

— ძნელი სათქმელია. თუმცა, საჭადრაკო ბუმი აუცილებელია იმისათვის, რომ ახალგაზრდების მასები დაინტერესდნენ ჭადრაკით. ეს ბუმი, ვახტანგ ქარსელაძისა და ნონა გაფრინდაშვილის ტანდემის დამსახურებაა. დიდმა პედაგოგმა მოძებნა დიდი ტალანტი, ხოლო ამ დიდი ტალანტის რეალიზებას მოჰყვა საჭადარკო ბუმი. ჩვენ გაგვიმართლა, რომ მოვყევით ამ ტალღაში და ეს მოხდა ნონას წყალობით. თუმცა ცალსახად იმის თქმა, რომ მხოლოდ ნონას გამო მოხდა ეს ყველაფერი, ცოტა ძნელია. მაგრამ ვიმეორებ — ნონას წყალობით საქართველო მოიწამლა (კარგი გაგებით) ჭადრაკით.

— და ბოლოს, ყველას აინტერესებს, გამეორდება თუ არა ოდესმე ნონა-ნანას მატჩის მსგავსი მოვლენა?

ნონა:

— ამ კითხვაზე პასუხი ძალიან ძნელია. ერთი შემიძლია გითხრათ, ამ თაობაში ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ მე ჯერჯერობით, იმ თაობის შემცვლელს ვერ ვხედავ. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე. ახლა სხვა დროა. იმ სოციალურ სისტემაში ყველაფერი ცუდი როდი იყო. საბჭოთა კავშირში სპორტში დიდი ფული იხარჯებოდა, რათა ამ ქვეყნის სპორტსმენებს უპირატესობა მოეპოვებინათ. დღევანდელ თაობას მატერიალურად უჭირს. გარდა ამისა, დღეს ღრმა ცოდნა არ აქვთ მოჭადრაკეებს. მართალია, კომპიუტერს ბევრი დადებითი თვისება აქვს, მაგრამ თავად რომ არ ფიქრობენ და საფუძვლიანად ვერ ერკვევიან პოზიციებში, — ცუდია... თუ ჩვენი ქვეყანა ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, მაშინ ძლიერი დიდოსტატებიც გვყოლება.

ნანა:

— გამეორდება თუ არა ასეთი მატჩი — ძნელი სათქმელია. ჩემი და ნონას მატჩის შემდეგ, საქართველოს წარმომადგენლებმა კიდევ ოთხჯერ ითამაშეს დედოფლის გვირგვინისათვის. ასე რომ, იმ პერიოდში, ქართველების ჰეგემონია იყო მსოფლიოს საჭადრაკო არენაზე... მაშინ ჭადრაკს დიდ ყურადღებას აქცევდნენ. დღეს სხვა სიტუაციაა. მართალია, ნიჭიერი თაობა მოდის, მაგრამ მას სათანადო ხელშეწყობა სჭირდება. ასე რომ, დღეს დანამდვილებით ვერ გეტყვით, გამეორდება თუ არა „ქართული“ მსოფლიო ფინალი. ■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-47)

ახალგაზრდა ქირურგ ლანა მესხს, რომელსაც მთავარი ექიმი სამსახურიდან დაითხოვს, კოლეგა — გიზო ვაშაკიძე ახალგახსნილ ფარმაცევტულ ფირმაში სამუშაოდ წაიყვანს, რომელიც მას და მის მეგობარს ეკუთვნის. ჯერჯერობით, ლანას დიდად არც პირად ცხოვრებაში უმართლებს, რის გამოც დედამისი — თამარი განსაკუთრებით ნერვიულობს. ჯერ კიდევ საავადმყოფოში მუშაობისას, ავადმყოფის სანახავად მიმავალ ლანას თავს დაესხმება ნარკომანი, რომლისგანაც ახალგაზრდა მამაკაცი დაიხსნის. ლანას მხსნელი — ლევანი კერძო სამშენებლო ფირმის მეპატრონეა. მას მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს და 6 წლის ქალიშვილს მარტო ზრდის. ახალგაზრდებს ერთმანეთი თავიდანვე მოეწონებათ. თუმცა ლანა თავს მაინც შორს დაიჭერს. ამასობაში, ლევანს რამდენიმე თვით გერმანიაში, სტაჟირებაზე მოუწევს წასვლა. მანამდე ის ლანას ხვდება და თავის ყველაზე დიდ საიდუმლოს უმხელს. ლევანის ახალგაზრდა მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ, თავად ლევანი კი ამ დროს თურმე, ყოფილ საყვარელთან პაემანზე ყოფილა. ამის გამო ის ძალზე იტანჯება. ლევანის გამგზავრების შემდეგ, ლანა გიზოს ფირმაში იწყებს მუშაობას. ფირმის შეფი — გივი გიგაური ქალს მაშინვე არშიყობას დაუწყებს, რაც ლანას დიდად არ აშფოთებს. სამაგიეროდ, ის შეფის მდივანს — თინიკო ელიავას დაუმეგობრდება, რომელიც მას ფირმის მთელ „შიდასამზარეულოს“ გადმოულაგებს...

მოულოდნელად, ლანას კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდება: დედა მის ტანზე უცნაურ ლაქებს შენიშნავს და თავის მეგობარ ექიმთან გააქანებს, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დიაგნოზს დაუსვამს. მაგრამ ექიმის მიერ დანიშნულ წამალს ლანა არ სვამს, რითიც დედის გულისწყრომას გამოიწვევს. შემდეგ, თამარი შემთხვევით აღმოაჩენს ათას დოლარს, რომელიც ლანას, ლევანმა დაუტოვა. ქალიშვილი მოკლედ მოუყვება დედას ამ კაცის შესახებ, მაგრამ თამარი უეცრად ეტყვის — შენ ის კაცი უკვე გიყვარსო... ამ საუბრის დროს, თამარი შვილს სთხოვს, წავიდეს სოფელში ბებიასთან, რომელსაც სურს, წამლების საგვარეულო რეცეპტები გადასცეს.

სოფელში მიმავალი ლანა გზაში შემთხვევით გაიცნობს ლევანის დედასა და პატარა ქალიშვილს თამუნას... სოფელში, ბიძის ოჯახში ლანას ძალზე გულთბილად მიიღებენ. ბებია ქეთო კი შვილიშვილს მალევე გამოუტყდება — ჩემი საქმის გამგრძელებლად მეგულებიო.

ლანა ლოგინიდან წამოხტა, სკივრთან წამში გაჩნდა, ხმაურით ახადა თავი, ყუთი ამოიღო და ბებიას მიურბენინა, თავად კი ისევ მოხერხებულად მოეწყო საწოლში. ქეთომ ყუთი ხელის კანკალით გახსნა და იქიდან ძველებურ ლამაზ ყდაში ჩასმული მოზრდილი წიგნი ამოიღო.

— მოდი აქ, ჩემთან წამოწექი! — შვილიშვილი თავისთან იხმო მან.

— ნამდვილი მწვალებელი ხარ, — ლოგინიდან უხალისოდ წამოდგა ლანა. — ძლივს გემრიელად მოვეწყვე და ახლა მეძახი?! — შემდეგ ქეთოს ლოგინში ისკუპა და საბანი ნიკაპამდე აიწია.

— ეს ჩვენი საგვარეულო ჩანაწერებია... — ფრთხილად გადაშალა ქეთომ წიგნი, პირველივე სტრიქონებს დაკოჟრილი საჩვენებელი თითი გააყოლა და აჩურჩულდა.

— დავიჯერო, უსათვალოდ რამეს ხედავ? — გაუკვირდა ლანას.

— დანახვა რად მინდა? ყველა სტრიქონი ზეპირად ვიცი. — წიგნი სასწრაფოდ დახურა ქეთომ. — ამას შენ გიტოვებ.

— მართლა? — გახალისდა ლანა.

— ოღონდ, დამპირდი, რომ რაც აქ წერია, ყველაფერს გულდასმით წაიკითხავ და პრაქტიკაშიც გამოიყენებ.

— გააჩნია, რა წერია...

— რაც კი რაჭაში სამკურნალო ბალახი თუ ყვავილი ხარობს, ყველას ქართული და ლათინური დასახელებაა... ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილი: რომელი სად იზრდება, რომელი როდის უნდა მოიკრიფოს, როგორ უნდა გაახმო ან ნედლად რისთვის გამოიყენო...

— როგორც ვატყობ, მართლა ჩემთვის აპირებ შენი ცოდნის გადმოცემას.

— ვაპირებ კი არა, ეს უკვე გადაწყვეტილი საქმეა, — წიგნი ყუთში ჩააბრუნა ქეთომ.

— მერე მე არაფერს მეკითხები?..

— არა!.. კი არ გეკითხები — გეხვეწები, გემუდარები, რომ უარი არ მითხრა! — აკანკალებული ხელი შვილიშვილს თავზე გადაუსვა ქეთომ.

— ჰო, მაგრამ... — გული მოულბა ლანას. — მე რომ ბალახებისა არაფერი გამეგება?

— ხომ გითხარი, ამ წიგნში ყველაფერი წერია-მეთქი.

— დაწერილი ერთია, მაგრამ ბალახს ხომ ცნობაც უნდა!

— მაგაზეც ვიზრუნე.

— როგორ?

— ჩვენს მეზობლად ერთი ბიჭი ცხოვრობს... ნებისმიერ ყვავილს თუ ბალახს თვალდახუჭულიც კი სულ თავისუფლად ამოიცნობს...

— ოჰო! — მოეწონა ლანას. — როდის გამაცნობ?

— ხვალვე. ოღონდ, თავიდანვე უნდა გაგაფრთხილო, რომ ცოტა ჭკუასუსტია...

— გიჟებიღა მაკლდა... — უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა ლანამ.

— ექიმი ქალი ასე უნდა ლაპარაკობდე?!

— მე ქირურგი ვარ და არა ფსიქიატრი! ასე რომ, ვერაფრით დავეხმარები.

— იონას შენი დახმარება არაფერში სჭირდება. შეიძლება, აქეთ დაგეხმაროს და გიმკურნალოს კიდეც...

— სახელიც რა უცნაური რქმევია. მშობლები თუ ჰყავს?

— არა, შარშან ავარიაში დაიღუპნენ.

— შემთხვევით, იმის მერე ხომ არ აურია?

— არა, ხუთი წლისამ უმძიმესი ტვინის ანთება გადაიტანა...

— რა გაეწყობა, — ამოიოხრა ლანამ. — გამოდის, რომ დღე-დღეზე მე და ბატონმა იონამ თანამშრომლობის ხელშეკრულება უნდა გავაფორმოთ...

— იონამ სიტყვა „ხელშეკრულებაც“ კი არ იცის, რა არის. უბრალოდ, ვეტყვი, ჩემს საქმეს ლანა გააგრძელებს-მეთქი და ყველაფერში დაგეხმარება.

— რა არის, იცი, ქეთო ბებია?.. — ჩაფიქრდა ლანა. — შენი წყენინება ნამდვილად არ მინდა, მაგრამ შენ როგორ ფიქრობ — ვგავარ იმ ქალს, ქალაქში რომ ყველაფერს მიატოვებს და ვიღაც ჭკუასუსტ იონასთან ერთად ბალახებისა და ყვავილების კრეფას დაიწყებს?..

— ნამდვილად არ ჰგავხარ, — მშვიდად უპასუხა ქეთომ.

— აბა, რა ვქნათ?

— არც არაფერი... იონამ უკვე ჩემზე უკეთ იცის ყველა ბალახის ცნობა. ისიც ზუსტად იცის, რომელი როდის უნდა მოკრიფოს და გაახმოს... მარტო ამათი შეზავება და წამლის დამზადება არ მისწავლებია...

— მოკლედ, საწყალ ბიჭს ყველაფერი ასწავლე, „ხეზე ასვლის“ გარდა, ხომ?

— მაგასაც ისე ვასწავლიდი, არც დავფიქრდებოდი, მაგრამ რა ვიცი... რამე რომ შეეშალოს, ხომ სხვასაც დაღუპავს და საკუთარ თავსაც. თანაც, ეს ყველაფერი მაინც მხოლოდ ჩვენი გვარის საიდუმლოა და მასვე უნდა დარჩეს. ასე რომ, იფიქრე, შვილო, დრო გაქვს...



— კარგი, — გვერდზე გადაბრუნდა ლანა, — ვიფიქრებ და წასვლამდე პასუხს გეტყვი.

— წასვლას როდის აპირებ?

— ალბათ, ერთ კვირაში.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. იონა გუშინწინ მეზობელ სოფელში, მამიდამისთან წავიდა, შეშა უნდა დააჩეხინოს. ხვალ დილით დაბრუნდება და აუცილებლად გაგაცნობ.

— აბა, აბა, აუცილებლად... — გემრიელად დაამთქნარა ლანამ. — სული მელევა, ისე მეჩქარება ჩემი მომავალი საქმიანი პარტნიორის გაცნობა. მართლა, რამდენი წლისაა?

— ოცის.

— არც ისე პატარა ყოფილა... თუმცა, მაგის ტვინისთვის ასაკს რა მნიშვნელობა აქვს... — თვალები ნელ-ნელა მილულა ლანამ.

მეორე დილით, ჯერ ისევ ძილბურანში მყოფ ლანას ქეთო ბებიას ხმა ჩაესმა და ნელ-ნელა გამოფხიზლდა. ქეთო ვიღაც, სასიამოვნო ხმის მქონე მამაკაცს ელაპარაკებოდა. „ეტყობა, პარტნიორი ჩამობრძანდა....“ — გაიფიქრა ლანამ, ლოგინიდან უხალისოდ წამოდგა, ჯინსი და თბილი სვიტერი ჩაიცვა, თმა ხელით გაისწორა და შუა ოთახში გავიდა. მრგვალ მაგიდას, მისგან ზურგით, ახალგაზრდა კაცი უჯდა. კარის ჭრიალზე მან ერთი კი მოიხედა და მაშინვე ფეხზე წამოხტა. ლანამ თვალებს არ დაუჯერა: მის წინ ნამდვილი მზეჭაბუკი იდგა...

— დილა მშვიდობისა! — ახალგაზრდა კაცს თვალი ვეღარაფრით მოსწყვიტა ლანამ.

— ა-ა, მზეთუნახავო, გაიღვიძე? — გაოცებული შვილიშვილის დანახვაზე გაეღიმა ქეთოს. — მადლობა ღმერთს!.. თორემ, ცოტაც და მე და იონას ლოდინით გულები დაგველეოდა. ხომ ასეა, ჩემო იონა? — მიუბრუნდა ის ახალგაზრდას.

— ასეა, — მშვიდად დაუდასტურა იონამ.

— მერე რას იტანჯებოდით? — მოწყალედ გაეღიმა ლანასაც. — ვერ გამაღვიძეთ?

— თავად თუ არ ინება, ისე, მძინარე მზეთუნახავის გაღვიძება იქნება? — ისევ გაკენწლა ქეთომ.

— მართალი ხარ. მაგრამ რომ გეთქვა, სტუმრად ნამდვილი მზეჭაბუკი გვყავსო, იქნებ მაშინ მაინც მენება გამოგამგზავნება?

— არც გამხიარულებული ლანა დარჩა ვალში ბებიას.

— კარგი, კარგი... — უკან დაიხია ქეთომ. — შენ ლაპარაკში ვინ მოგიგებს?! ამიტომ ჯობს, იონა გაიცნო.

— ლანა, — ახალგაზრდა კაცს სასწრაფოდ გაუწოდა ხელი ლანამ.

— იონა, — ჭაბუკს საკუთარი სახელის წარმოთქმა დაასწრო ქეთომ.

— იონა, — თუთიყუშივით გაიმეორა ქეთოს ნათქვამი იონამ და, როგორც იქნა, ხელი ჩამოართვა ლანას.

ქალიშვილმა ხელის ჩამორთმევისას, რაღაც არაბუნებრივი მხურვალება იგრძნო და ინსტინქტურად უკან დაიხია. იონამ კი, მაშინვე უშვა ხელი და დამნაშავესავით დახარა თვალები.

— რა იყო? — ლანას რეაქცია არ გამოჰპარვია ქეთოს. — შენც დენმა ხომ არ დაგარტყა?

— ჰო. რაღაც ამის მსგავსი თითქოს, მართლაც იყო... — ხელისგული მოისრისა ლანამ.

— ეს იმიტომ, რომ მგონი იონას ბიოდენები უნდა ჰქონდეს...

— უნდა ჰქონდეს თუ ნამდვილად აქვს?

— ვერ გეტყვი. არავის შეუმოწმებია. ისე, ერთი-ორჯერ ბიძაშენს თავის ტკივილი ნამდვილად მოურჩინა. ერთხელ კი, კრუნჩხვაში ჩავარდნილ მეზობლის ბავშვსაც უშველა.

— ეგ როგორ?

— როგორ და უბრალოდ, ხელის შეხებით... იონამ ხომ ბიოდენებით მკურნალობის არანაირი წესი არ იცის...

— მაშინ აღარც მკურნალობა უნდა გაბედოს, თორემ, მორჩენის ნაცვლად, ადამიანს შეიძლება, რაღაც ავნოს კიდეც. აი, მაგალითად, თბილისში...

— რას გეტყვი, იცი? — გააწყვეტინა შვილიშვილს ქეთომ. — თბილისში არ ვიცი, მაგრამ ამ მიყრუებულ სოფელში, სადაც ცოცხალი ექიმი ბოლოს, 3 წლის წინ იყო ამოსული, ნებისმიერი მკურნალი მისწრებაა.

— თუ ასეა, საქმე ნამდვილად მოსალოცად გქონიათ, — ეშმაკურად გაეღიმა ლანას.

— რას გულისხმობ? — ვერ მიხვდა ქეთო.

— რას და 3 წლისთავზე კიდევ ერთი ცოცხალი ექიმის ნახვას რომ ეღირსეთ, იმას... — სიცილი ვეღარ შეიკავა ლანამ.

— ჰო-ო... — გაეღიმა ქეთოსაც. — სულ დამავიწყდა, რომ ექიმი ხარ.

— ვიყავი... — ამოიოხრა ლანამ. — ქირურგი პრაქტიკის გარეშე რაღა ქირურგია?!.

— არა უშავს, შვილო, — დამშვიდება დაუწყო შვილიშვილს ქეთომ, — ხომ იცი, რომ ერთი ცხოვრება დიდხანს არავის შერჩება... ჰოდა, ერთხელაც იქნება, შენს ყოფილ უფროსსაც გადაუბრუნდება ფეხი და...

— მერე მე — რა?

— რა და — სიკეთე და გახარება!.. — კიდევ უფრო დატკბა ქეთო. — ახლა კი წადი, ხელ-პირი დაიბანე და ვისაუზმოთ, თორემ, იონა აქ ღამისთევით კი არ არის მოსული. ხომ ასეა, ჩემო იონა?

— ასეა, — მოხუცის ნათქვამმა ისევ ბეჯითად გაიმეორა იონამ...

ხელპირდაბანილი ლანა ოთახში მალევე შემობრუნდა და როგორც კი სუფრას მიუჯდა, კიბეზე ვიღაცამ ბრაგაბრუგით ამოირბინა.

— ეს ვინღა ეშმაკია? — პირთან მიტანილი, ჩაით სავსე ფინჯანი მაგიდაზე უკმაყოფილოდ დადგა ქეთომ. — ლუკმა აღარ უნდა გადაგვაყლაპონ?!

ოთახის კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე მოღიმარი გოგა გამოჩნდა.

— მაინც უჩემოდ დეინყეთ, ხომ? — საყვედურნარევი ხმით ჰკითხა მან ქეთოს.

— უშენოდ, თორემ, დაპატიჟებული მყავდი! — აღარც ქეთო დარჩა ვალში.

— ა, ეცი ახლა ამისთანას პატივი! — ქათქათა ტილოგადაფარებული კალათა მაგიდის კიდეზე დადგა გოგამ და თავად, შინაურულად მიუჯდა სუფრას.

— ეს რაღაა? — კალათს ალმაცერად გახედა ქეთომ.

— რა უნდა იყოს — მოსაკითხია... — საერთო თეფშიდან ლორის ბარაქიანი ნაჭერი დაითრია გოგამ და ორ ლუკმაში გადაყლაპა: — დედაჩემმა გამომატანა.

— ნეტავ, რა მოელანდა?

— არც არაფერი... — ახლა თითქმის ნახევარი ლობიანი გადაუძახა ხახაში გოგამ. — უბრალოდ, ლანას ჩემი გამომცხვარი ხაჭაპური მოენატრებოდაო... — მამიდაშვილს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა მან.

— ხაჭაპურზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი! — კალათა თავისკენ მიიჩოჩა ლანამ და თავი გადახადა: — ოჰო!.. აქ მგონი, დაბრაწული წიწილაც უნდა იყოს... ახლა კი მართლა გახურდა ქეიფი და ეს არის! — გოგას თავადაც თვალი ეშმაკურად ჩაუკრა მან.

— ეგ წიწილა კი არა, დოუპეპლავი ვარიაა, ბოშო! — სიცილით პირი კინაღამ ყურებამდე გაეხა გოგას. — ისე, თუ ქეთო იმ „ხვანჭკარასაც“ გამოგვიჩენს, ამ ორი კვირის წინ ხვანჭკარელმა დათიკუნამ დამწვრობის კრემის საფასურში რომ ამოუტანა...

— იმ კრემს მალამო ჰქვია, შე ბრიყვო! — შეუსწორა ქეთომ შვილიშვილს.

— ჰო, მართლა... — მომენტით უმალ ისარგებლა გოგამ. — დედაჩემმა შემოგითვალა — ეგ მალამოა თუ რაღაც, მეც მელევა და იქნებ, ბიჭს გამოატანოო...

— ასეც ვიცოდი!. — გააწყვეტინა შვილიშვილს ქეთომ. — ჩემს რძალს, ყვავისა არ იყოს, ტყუილად კაკალს ვერ გააგდებინებს კაცი და ამხელა მოსაკითხს გამოგვიგზავნიდა?!.

— რას გეტყვი, იცი?.. ყვავებს თავი დაანებე და „ხვანჭკარა“ მოგვიტანე! — კიდევ ერთხელ შეახსენა ქეთოს შვილიშვილმა...

გოგას თავგამოდების წყალობით, ჩვეუ-

ლებრივი საუზმე მალე ქეიფში გადაიზარდა. გამხიარულებული გოგა „ხვანჭკარით“ სავსე ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და თან, იონასაც აქეზებდა — ე, ბიჭო, დალიე!.. ღვინო კი არა, ნამდვილი დევის სისხლიაო... მაგრამ იონამ სასმელი სულ ერთი-ორჯერ თუ მოსვა და შემდეგ, წასასვლელადაც მოემზადა.

— რას შვრები, ბიჭო?.. მღუპავ?!. — თვალები გადაუბრიალა მას გოგამ. — შენი წასვლა და ამ დოქის სუფრიდან გაქრობა ერთი იქნება!.. არ ვიცი ქეთოს ამბავი თუ რა?..

— დაანებე ამ ბიჭს თავი! — გამოექომაგა იონას ქეთო. — შენსავით ლოთი კი არ არის.

— და არც ჩემსავით უსაქმური, ხომ?.. — დაუმატა გოგამ.

— სწორედაც! — იონა კარამდე მიაცილა ქეთომ. შემდეგ ისევ სუფრასთან მიბრუნდა და შეზარხოშებულ შვილიშვილს უსაყვედურა: — რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, იონას სასმელი არ დააძალო-მეთქი?

— დავაძალო, თორემ... დიდი-დიდი, ცოტა გააფრინოს და ამ გაგანია ზამთარში, მთაში ყვავილების საკრეფად წევიდეს... — იხუმრა გოგამ.

— სხვათა შორის, მთაში ამ დროსაც იზრდება ყვავილი და მას ედელვაისი ჰქვია, — საკუთარი ცოდნით თავი მოიწონა ლანამ.

— ედელვაისია თუ აბდალვაისი — არ ვიცი, მაგრამ იონასთან ეგ ამბავი არ წამოგცდეს, თორემ, მართლა წეეხეტება მთაში მაგ ყვავილის მოსაძებნად, სადმე გედეიჩეხება და მერე, ქეთოს რაღა ეშველება?!. გაზაფხულზე კაწარკუწურებს ვინღა დოუკრეფს?!

— რას დაუკრეფს? — ჩაეკითხა ლანა.

— იაიებს, — განუმარტა მას გოგამ. — ჩვენი იონა ძაან მეოცნებე ბიჭუნაა. უყვარს ყვავილების კრეფა და რა ქნას?!

— აბა, ახლავე აიკარი გუდა-ნაბადი და აქედან გაქრი! — გაუჯავრდა შვილიშვილს ქეთო.

— შენ რომ არ გეთქვა, მაინც წევიდოდი, — კიდევ ერთხელ შეივსო ჭიქა გოგამ და ლანას მიუჭახუნა: — შენ გაგიმარჯოს, ჩემო ლანაუკა და ბებიაჩემის ხელში გაძლება მოგცეს ღმერთმა!

— მე აქ გასაძლებს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ... — ბიძაშვილს მხარი არ აუბა ლანამ. — პირიქით, სულიერად ვისვენებ.

— ორი-სამი დღე გევიდეს და ზოგიც მერე ვნახოთ! — დაექადნა გოგა და თან, ღვინო მოსვა.

— სამი დღის შემდეგ, აქ საერთოდ აღარ ვიქნები და რა უნდა ვნახოთ?

— როგორ? — ჭიქა პირიდან სწრაფად მოიცილა გოგამ. — მერე ქეთო?

— ქეთო აქ დარჩება და თუ ჭკუით არ იქნები, ყურებსაც ხშირ-ხშირად აგახევს.

— ეგ კი ვიცი, მაგრამ ამას რომ შენთვის თავისი ხელობის გადმობარება უნდოდა?..

— ხელობა რა?.. დურგალი ვარ თუ ხურო?!. — იწყინა ქეთომ.

— შენ დურგლებს ეგრე უბრალოდ ნუ წამოუსვამ ხელს!.. დურგლობით არაა, მე და მამაჩემი ოჯახს რომ ვარჩენთ?

— მამაშენი — ჰო, მაგრამ შენ ნეტავ, ვიღას დაეკარგე?! — თავში ალერსით წაუთაქა შვილიშვილს ქეთომ. — ჯერ პირზე რძე არ შეგშრობია...

— რძე თუ ღვინო? — ჭიქაში დარჩენილ „ხვანჭკარას“ სინათლეზე კმაყოფილებით გახედა გოგამ, შემდეგ ბოლომდე გამოცალა და ლანას მიუბრუნდა: — საღამოს ჩვენთან ჩამეიარე, ტელევიზორს მაინც შეხედავ, თორემ, აქანა მართლა გამოყრუვდები...

— რაც აქ ვარ, დენი წამითაც კი არ მოსულა და ნეტავ, ტელევიზორს რაზე აერთებ?! — გაუკვირდა ლანას.

— რაზე და „დვიჟოკზე“, — ამაყად გამოუცხადა გოგამ. — აპა, ქეთოსავით ჭრაქის შუქზე ხომ არ გამევიღამებ თვალებს!

— მაშინ იქნებ, იმ შენი „დვიჟოკით“ ჩემი მობილურიც დამატენინო, თორემ, უკვე ბოლომდე დამიჯდა და ვეღარსად ვრეკავ... — დაფაცურდა ლანა.

— გამომიტანე და დაგიტენი. ისე, თუ ახლავე გინდა დარეკვა, მობილური ჩვენც ქე გვაქვს, შე ქალო!

— არა, ასე ნამდვილად არ მეჩქარება, — მობილურის გამოსატანად საძინებელ ოთახში გავიდა ლანა...

გოგას გასტუმრების შემდეგ, ბებია-შვილიშვილმა სუფრა სწრაფად აალაგა. ქეთომ ჭურჭელი დარეცხა, ლანამ ოთახი გამოგავა და შემდეგ, ორივე იმ პატარა ოთახში განმარტოვდა, სადაც ქეთო სამკურნალო მალამოებსა და ნაყენებს ამზადებდა.

ოთახში შესვლისას ლანამ ჯერ ჭერსა და კედლებზე ჩამოკიდებული ათასნაირი გამხმარი ყვავილი და ბალახი შეათვალიერა, შემდეგ — გრძელ მაგიდაზე ჩამწკრივებულ სხვადასხვა ზომის კოლბას, სინჯარას, ჯამსა და ქილას მოავლო თვალი და გაოცებულმა წამოიძახა:

— ნამდვილი ალქიმიკოსის ლაბორატორიაა!

— ალქიმიკოსის თუ ალქაჯის?.. — მაგიდას საქმიანად მიუჯდა ქეთო და პატარა კერამიკულ ჯამში ჩაყრილი რაღაც მარცვლების ნაყვა დაიწყო.

— შენ ხუმრობ და ისე, აქაურობა რაღაცით მართლაც ჰგავს კუდიანი დედაბრის სამფლობელოს... — გაეღიმა ლანას. — ესე იგი, აქ იქმნება ქეთო კერესელიძის განთქმული მალამოები, ხომ?

— ჰო, — დაეთანხმა ქეთო. — ეს მართლაც, ჩემი სამფლობელოა, სადაც ყველა მოკვდავს როდი ვუშვებ.

— გამოდის, რომ მე დიდი პატივი მერგო...

— აბა, რა!.. იცი, რომ აქ ჯერ იონასაც კი არ ღირსებია ფეხის დადგმა?

— ჰო, მართლა, — ქეთოს გვერდით მდგარი სკამის საზურგეს ხელებით დაეყრდნო ლანა. — მეხუმრე თუ მართალი მითხარი, იონა ჭკუასუსტიაო? მე რომ ვერაფერი შევატყვე?

— როგორ უნდა შეგეტყო?.. მართლა ქვებს კი არ ისვრის. ისე, ერთი შეხედვით, ჭკუასუსტს შენი ბიძაშვილი გოგა უფრო ჰგავს...

— მართალი გითხრა, ხანდახან მეც ასე მეჩვენება, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმას როგორ გაგიბედავდი?! გოგა ხომ შენი გვარის გამგრძელებელია... თანაც, დედაჩემისგანაც რომ ვიცი, ამას თქვენთვის რამხელა მნიშვნელობა აქვს...

— მე არ ვიცი, დედაშენისთვის რას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ პირადად მე, ახლა, ჩემი გვარის გამგრძელებელზე მეტად, ჩემი საქმის გამგრძელებლის ბედი მაღელვებს.

— ანუ ჩემი?

— რა თქმა უნდა! შენ კი ჯერაც არაფერი გითქვამს... თუ გამოსაცდელი ვადა უნდა დამიწესო?

— პირიქით რომ გეთქვა, კიდევ მესმის: საქვეყნოდ ცნობილ მკურნალს მე რა გამოსაცდელი ვადა უნდა დაგიწესო?.. თუმცა, თუ ძალიან გინდა, ერთ პატარა გამოცდას მართლა მოგიწყობ...

— ჰმ... ამასაც მოვესწარი... — ხელი ჩაიქნია ქეთომ.

— ნუ ბრაზობ! — ქეთოს მოხრილ ბებრულ მხრებზე ხელი ნაზად მოხვია ლანამ, შემდეგ, გვერდით მიუჯდა და სვიტერის სახელოები იდაყვებამდე აიწია.

— რას აკეთებ?.. — ქვეშ-ქვეშ გამოხედა ქეთომ შვილიშვილს — შეგრცხვა თუ დაგცხა?

— არც ერთი და არც მეორე... აბა, ერთი, ჩემს მკლავებს კარგად დააკვირდი.

— მკლავებზე რაღა გჭირს? — სანაყს თავი ანება ქეთომ, შვილიშვილს მიუბრუნდა და მკლავები გულმოდგინედ დაუთვალიერა.

— სათვალე ხომ არ მოგიტანო? — ჰკითხა ლანამ.

— რომელი სათვალე? — თვალები გადაუბრიალა ქეთომ შვილიშვილს. — მხედველობა და სმენა ისეთი მაქვს, ბევრ ახალგაზრდას შეშურდება!.. აბა, ცოტა ახლოს მოსწიე ხელები, რომ უკეთ დაგაკვირდე! — დაუმატა მან და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

— რა იყო? — სევდიანად გაეღიმა ლანას. — ჩემი ექიმივით, შენც ვიტილიგოს დიაგნოზის დასმას ხომ არ მიპირებ?

— ვიტილიგო რა არის, საერთოდ არ ვიცი, მაგრამ ეს ამბავი მაინც არ მომწონს, — სვიტერის სახელოები მზრუნველად ჩამოუწია ქეთომ შვილიშვილს.

— არ მოგწონს თუ არაფერი მეშველება?

— უსაშველო შენს მტერს გაუჩნდეს!.. როგორ არ გეშველება, მაგრამ კარგი წამლის დამზადებას ორი კვირა მაინც დასჭირდება, შენ კი ხვალ-ზეგ უკვე წასვლას აპირებ.

— მერე რა პრობლემაა? ორ კვირაში ისევ ჩამოვალ... ან იქით გამოატანე ვინმეს...

— რას გეტყვი, იცი?.. — ჩაფიქრდა ქეთო. — რაც მალე დავიწყებთ მკურნალობას, მით უკეთესი შედეგი გვექნება. ამიტომ, მოდი, ერთ პატარა „შუშას“ დღესვე გაგიმზადებ...

— „შუშაში“ ნაყენი იქნება თუ მალამო?

— რაც შენ გჭირს, იმას მალამო ვერ უშველის... როდის იყო, ნერვებს მალამოს „უსვამდნენ“?! ისე, შენ ჩიყვიც არ გექნება წესრიგში...

— ყოჩაღ! — კინაღამ ტაში შემოჰკრა ლანამ. — ჩემმა ექიმმაც პრაქტიკულად იგივე დიაგნოზი დამისვა. ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია გაქვსო...

— დიაგნოზი-მიაგნოზი არ ვიცი მე! — გააწყვეტინა შვილიშვილს ქეთომ. — დიაგნოზი შედეგია და თქვენც, დიპლომიანი ექიმები, ძირითადად, შედეგს ებრძვით ხოლმე. მე კი, სანამ მიზეზს არ დავადგენ, ავადმყოფის მკურნალობას საერთოდ არ ვკიდებ ხელს.

— ისე, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, — მაინც არ დაიხია უკან ლანამ. — თანაც, ექიმსაც გააჩნია: თუ მაგალითად, ქირურგმა ავადმყოფი გაჭრა და დაინახა, რომ ბრმა ნაწლავი აქვს გახეთქილი, რა უნდა ქნას? მიზეზის დადგენას დაელოდოს თუ სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთოს?

— ძალიან ენაგატლეკილი ხარ... — ისევ საქმეს მიუბრუნდა ქეთო. — თანაც, საითაც გინდა, ქოთანს იქით გამოაბამ ყურს...

— ქოთანსაც გააჩნია... — ისევ დაიწყო ლანამ, მაგრამ ქეთომ გააწყვეტინა:

— მაცალე ახლა, ცოტა ხანს! კარგად უნდა დავფიქრდე, ამ ჯერზე შენთვის რომელი ბალახების ნაყენის მომზადება აჯობებს.

— იქნებ, კონსილიუმზე იონაც მოგეწვია?.. რაც არ უნდა იყოს, ასისტენტია... — თავისას მაინც არ იშლიდა ლანა.

— იონას რაღაც ძალიან ხშირ-ხშირად ახსენებ, გულში ხომ არ ჩაგივარდა? — შვილიშვილს ქვეშ-ქვეშ გახედა ქეთომ.

— ჩამივარდა არა, კიდევ ის... — თქვა ლანამ და საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა: — ესე იგი, გარანტიას მაძლევ, რომ შენი წამლის დალევის შემდეგ, სიჭრელე გამიქრება?

— გარანტიას — რა, რადიოს ხელოსანი ვარ თუ ტელევიზორის?!. გეუბნები, რომ ჩემი წამალი...

— ...თუ არ მარგებს, არც არაფერს მავნებს, ხომ?..

— რას გეტყვი, იცი?.. — საქმეს თავი საბოლოოდ დაანება ქეთომ და მთელი ტანით შვილიშვილისკენ შებრუნდა. — ჩემი წამლის მიღებიდან ერთი თვის თავზე, კანზე ერთი ლაქაც კი აღარ დაგრჩება. ოღონდ, ერთი პირობით!

— რა პირობაა ასეთი?

— თუ მართლა მოგარჩენ, ჩემს საქმეს უსიტყვოდ გადაიბარებ!

— ეს უკვე ულტიმატუმია!

— ულტიმატუმი... დიაგნოზი... გარანტია..

— მაგ სიტყვებით ბრიყვებს დაახვიე თავბრუ!.. მე კი გასაგებად უნდა მითხრა: ან — ჰო, ან — არა! — მართლა ულტიმატუმის ენით ალაპარაკდა ქეთო.

— ეი, ქალებო, სად დეიკარქეთ? — მოისმა უეცრად შუა ოთახიდან გოგას ხმა.

— ეს ბიჭი ხომ დღეს ვეღარაფრით მოვიშორე! — ფეხზე წამოდგა გაღიზიანებული ქეთო და ოთახიდან გავიდა. ლანაც მაშინვე მას მიჰყვა და ოთახის კარი მჭიდროდ გამოკეტა.

შუა ოთახში, მაგიდასთან მჯდარ გოგას ხელში ლანას მობილური ტელეფონი ეჭირა:

— რა იყო?.. ხომ არ გაფუჭდა? — ჰკითხა ლანამ.

— არა, მარა, ვიღაც კაცი გირეკავს და გირეკავს, წეიღო ტვინი!..

— ვინ კაცი? — დაინტერესდა ლანა. — სახელი არ უთვქამს?

— სახელი არ ვიცი, მარა, ლანა მესხის უფროსი ვარო — ქე გეიძახის გოუთავებლად... 5 წუთში კიდევ დარეკავს და თვითონ ჰკითხე ყველაფერი, — აპარატი მაგიდაზე დადო და წასასვლელად მოემზადა გოგა.

— მოიცა! — შეაჩერა ის ლანამ. — დაველაპარაკები და ტელეფონს ისევ გაგატან. ჯერ ბოლომდე არ დაიტენებოდა.

— კარგი! — ისევ დაჯდა გოგა. — მარა, ამ „სტოლის“ ალაგება რა გეჩქარებოდათ?..

— „სტოლი“ და ლორი — ხვალ საღამოს! — საუბარში ჩაერია ქეთო — ლანას პატარა გაცილება მოვუწყოთ.

— რავა?.. მაინც არ იშლი წასვლას თუ?.. — მიუბრუნდა გოგა ლანას და იმწუთას ტელეფონმაც დარეკა.

ლანა მაშინვე აპარატს დასწვდა. მაგრამ მასზე დაფიქსირებული ნომერი ვერ იცნო:

— უცნობი ნომერია, — ღილაკს თითი დააჭირა მან და აპარატი ყურზე მიიდო: — გისმენთ!.. ვინ?.. ა-ა... დიახ, ბატონო გივი, გისმენთ!.. დიახ, ყველაფერი რიგზეა... ორ დღეში მანდ ვიქნები... დიახ, ბრძანეთ...

ამის შემდეგ, ლანას კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია, მოსაუბრეს უსმენდა და შიგადაშიგ, ტუჩებს ნერვიულად იკვნეტდა.

— დიახ, ბატონო გივი, ყველაფერი გასაგებია... — როგორც იქნა, ამოღერღა მან ბოლოს. — მაგრამ ეს ჩემზე ნაკლებადაა დამოკიდებული... მთავარია, თავად ბებიაჩემი რას იტყვის... არ ვიცი, ბატონო გივი, შეიძლება, თქვენი წინადადება ისე მოეწონოს, რომ მაშინვე დაგთანხმდეთ, მაგრამ...

— ეი, ქეთო! — ხმამაღლა გადასძახა ლანას ბოლო სიტყვების გამგონე გოგამ ბებიას და შემდეგ ჩურჩულით დაუმატა: — მგონი, ბედი გეხსნება!.. გესმის, რას ეუბნება შენი შვილიშვილი იმ ვიღაც გივის?.. თუ ბებიაჩემს მეეწონე, შეიძლება, სასწრაფოდ დაგთანხმდესო...

— მორჩი სისულელეებს! — გააწყვეტინა შვილიშვილს ქეთომ.

— კარგი, ბატონო გივი, — განაგრძობდა ლანა, — დღესვე დაველაპარაკები... დიახ, ხვალ დამირეკეთ... ნახვამდის, — აპარატი გამორთო მან და მაგიდაზე უხეშად მოისროლა: — ყველა გიჟი მე როგორ უნდა ამეკიდოს!..

— რა იყო? — ჰკითხა შვილიშვილს შეშფოთებულმა ქეთომ. — სამსახურში ხომ არაფერი გაგიფუჭდა?

— რა იყო და მგონი, ჩემმა უფროსმა საბოლოოდ გაუბერა, — უპასუხა ლანამ, — ბებიაშენის ნახვა და მასთან დალაპარაკება მინდაო...

— ა, ხომ გეუბნებოდი! — ისევ შეთქმულივით გადაულაპარაკა გოგამ ქეთოს, თან, ეშმაკურად აუკიაფდა თვალები. — ნამდვილად ბედი გეხსნება!.. რამდენი წლისაა, ბოშო, ის შენი უფროსი? — მიუბრუნდა ის შემდეგ ლანას.

— გოგა, შენ მაინც მორჩი მაიმუნობას! — კიდევ უფრო გაღიზიადა ლანა. — იცი, რა უნდა იმ იდიოტს?.. ბებიაშენის მალამოები ჩვენი ფირმის სახელით გამოვუშვათ და თქვენც იხეირებთ და მეცო.

— რაო? — თითქმის ერთხმად აღმოხდათ გაოცებულ ქეთოსა და გოგას.

— ჰო... ეს ისეთი ოხერი კაცია, რომ ყველგან მხოლოდ გამორჩენასა და სარგებელს ეძებს... არ გამიკვირდა, რომ ვუთხარი, მკურნალი ბებია მყავს, რატომ დაიშაქრა-მეთქი?.. რას ამბობ?.. ავადმყოფი ბებიის სანახავად როგორ არ გაგიშვებ, რამდენიც დაგჭირდება, იმდენი ხნით წადიო...

— მე თუ მკითხავ, ეს საქმე ნამდვილად არა ხელიდან გასაშვები! — წამოიძახა გოგამ. — ეგ გივია თუ ვიღაც ეშმაკი, მგონი, კაი ფულს გაგვაკეთებინებს...

— სწორედაც რომ ეშმაკია და ჯიბიდან გავარდნილი! — გააწყვეტინა ლანამ. — ესღა მაკლდა!.. არ გინდა ახლა, უარი ისე უთხრა, რომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური?!

— კარგი, შვილო, წინასწარ ნუ ნერვიულობ! — დამშვიდება დაუწყო მას ქეთომ. — გოგასი არ იყოს, იქნებ, ეს კაცი მართლა რამე სახეიროს გვთავაზობს და ასე ციმციმ უარი რატომ უნდა ვუთხრათ?!

— ეჰ, ბებო, — ამოიოხრა ლანამ, — შენ გივი გიგაურს არ იცნობ...

— არა უშავს, გავიცნობ, — მშვიდად უპასუხა ქეთომ, — და თუ საჭირო გახდა, კისერსაც მოვუგრეხ!..

— იზამს! — გადაულაპარაკა გოგამ ლანას. — შენ ქეთევანს კარგად არ იცნობ... ბოლოს და ბოლოს, დათვი ჰყავს საკუთარი ხელით მოკლული და ვიღაც გივის ვერ მოერევა?

— რა დათვი? — გაუკვირდა ლანას.

— ო-ო, აი, ამას კი ქეთო თვითონ მოგიყვება, — საათზე დაიხედა გოგამ. — ათ წუთში ტელევიზორში ფეხბურთი იწყება და უნდა ჩოვუსწრო... მობილურს მატან თუ?..

— მომაშორე! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ლანამ. — და თუ კიდევ დარეკა, უთხარი, ლანა რაიონში წავიდა და არ ვიცი, როდის დაბრუნდება-თქო!..

— რავარც მიბრძანებ! — ფეხზე სწრაფად წამოხტა გოგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სანდრა ბალოკი

— ნაბიჯი, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრება უარვყოფდი...

თავდავჯერებულმა მარტოხელა ქალბატონმა, სანდრა ბალოკმა, გათხოვებიდან 4 თვის შემდეგ, თავის საიდუმლოს ფარდა ახადა და გაამხილა, რატომ დაარღვია დაუქორწინებლობის აღთქმა

ის, რომ გათხოვებაში ვერანაირ აზრს ვერ ხედავდა, სანდრა ბალოკმა („სიჩქარე", „მის კონგენიალურობა") ქორწილამდე სამი თვით ადრე განაცხადა. „უკვე 40 წლის ვარ, სექსსიმბოლოს სტატუსს კვლავაც ვინარჩუნებ და ეს, აბსოლუტურად მაკმაყოფილებს, — ირწმუნებოდა ჰოლივუდის ვარსკვლავი 2005 წლის მარტში. — ნუთუ, იმისათვის, რომ ბედნიერი იყო, აუცილებელია, ვინმეს ცოლი ან დედა გერქვას?!"

იმავე წლის აპრილში სანდრა დაბეჯითებით აცხადებდა: „ვერავინ და ვერაფერი მაიძულებს იმას, რომ გავთხოვდე — ჩემ მიერ თითზე საქორწინო ბეჭედწამოცმული ერთი მეუღლის ყოლას, ექვსი საყვარლის ყოლა მირჩევნია... არც შვილების გაჩენას ვაპირებ, ვიდრე იმ ერთადერთსა და განუმეორებელს არ ვიპოვი..." სავარაუდოა, რომ ბალოკის ამ სიტყვებს, იმხანად მსახიობის ბოიფრენდი, „დისქავერის" არხზე პროგრამა „მონსტრების გარაჟის" წამყვანი, 35 წლის ავტომექანიკოსი ჯეესი ჯეიმსი უნდა გაენაწყენებინა, მაგრამ გელფრენდის სიტყვებზე განაწყენების ნაცვლად, მან ქედუხრელ სანდრაზე დაქორწინება გადაწყვიტა. საბოლოოდ, წყვილმა 2005 წლის 16 ივლისს, კალიფორნიაში, მსახიობის მამულში იქორწინა.

ამ კარს მიღმა ჩემი საყვარელი ადამიანი იღუპება...

ჯეიმსმა კარგად უწყოდა, რომ მათი ქორწინების საკითხი ზეცაში, ჯერ კიდევ 2003 წელს გადაწყდა. ქორწილიდან 4 თვის შემდეგ, სწორედ ამის შესახებ განუცხადა ჰოლივუდის ვარსკვლავმა პრესას. „იმხანად, ირვინდეილში (კალიფორნია) გამართულ სამოყვარულო რბოლაში მონაწილეობისას, ჯესი სასტიკად დაშავდა, — ჰყვება მსახიობი. მართალია, დიდი ხანი არ იყო, რაც ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, მაგრამ უკვე საკმაოდ ახლო ურთიერთობა გვაკავშირებდა, როგორც კი მისი დაშავების ამბავი შეიტყვე, მაშინვე საავადმყოფოში გავქანდი. სარეანიმაციო პალატას რაღაც ორიოდე ნაბიჯიღა მაშორებდა, როცა გავაცნობიერე, რომ ექიმების კითხვაზე — ვინ ვიყავი მე მისთვის? — პასუხი არ მქონდა. კანონის მიხედვით, ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ, მხოლოდ ოჯახის წევრებს აწვდიან ცნობას. მე კი, მისთვის არავინ ვიყავი! მახსოვს, ექიმებმა თქვეს, რომ მღვდელი უკვე ადგილზე იყო... სწორედ მაშინ გავიფიქრე: „ამ კარს მიღმა ჩემი სიყვარული იღუპება, მე კი, ამ დროს, მისი პალატის დირეზე გადაბიჯების მორალური უფლებაც არ მაქვს. ღმერთო, მისი დახმარების და მის გვერედზე ყოფნის უფლება მომეცი..." იმ მომენტში მივხვდი, რომ ჯესის ჩვეულებრივი, პატრიარქალური წესით უნდა გავყოლოდი ცოლად; უნდა გადამედგა ის ნაბიჯი, რომელსაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უარვყოფდი და ვწინააღმდეგებოდი, რადგან მიმაჩნდა, რომ სანდრა ბალოკს პასპორტში ჩარტყმული შტამპის გარეშეც მშვენივრად შეუძლია ცხოვრება".

ერთი პატარა ნიუანსი: 2003 წელს, ჯესი ოფიციალურად ჯერ კიდევ სხვა ქალზე გახლდათ დაქორწინებული. მისი, რიგით მეორე ქორწინება პორნოვარსკვლავ ჟანინ ლინდემიულდთან საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა (2002-2004). თუმცა, ამ მოკლე ხნის მანძილზე ჟანინმა ჯესისათვის ქალიშვილის გაჩენა მოასწრო. პატარა სანი ამჟამად წლინახევრის გახლავთ. ჯეიმსს პირველი ქორწინებიდან კიდევ ორი შვილი ჰყავს: 8 წლის ქალიშვილი (ჩენდლერი) და 16 წლის ვაჟიშვილი

(ჯესი-უმცროსი). ახლა ჯესი სანდრაზეა დაქორწინებული და ალბათ სულ მალე ჯესი ჯეიმსი მრავალშვილიანი მამა გახდება.

გათხოვებიდან ორი კვირის შემდეგ, სანდრამ საქვეყნოდ განაცხადა: „ჯესისგან შვილის გაჩენა მსურს და ჩემს კარიერაში მცირე პაუზისთვის სრულიად მზად გახლავართ!" შესაძლოა, მსახიობის მონაწილეობით 2005 წლეს, რეჟისორ პოლ ჰიგისის მიერ გადაღებული ფილმი — „შეჯახება" კარგა ხნის მანძილზე მსახიობის ბოლო ნამუშევარი აღმოჩნდეს ანუ მანამ, სანამ ის შვილს გაჩენს და კვლავ დაუბრუნდება კინოს. ■

ანჯელინა ჯოლი კამბოჯის მოქალაქე გახდა

ჰოლივუდის ვარსკვლავს ანჯელინა ჯოლის კამბოჯის პასპორტი მისცეს და ამ გზით ის ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდა. მსახიობი ამ პასპორტით ისარგებლებს, როდესაც საკუთარი შვილობილის, მედოკსის სამშობლოში ჩავა. კამბოჯის მოქალაქეობა ანჯელინას ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, მეფის — ნოროდომ სიამონის სპეციალური ბრძანებულებით მიანიჭეს. მსახიობის წარმომადგენლის თქმით, მეფის დეკრეტის ოფიციალური ასლისა და პასპორტის გადაცემის დროს, ჯოლი საოცრად ღელავდა. ამ ცერემონიას მერდოკიც ესწრებოდა. ფილმის — „ლარა კროფტი: სამარხების მძარცველი" — ვარსკვლავმა ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქველმოქმედო მიზნით, კამბოჯას 1,5 მლნ დოლარი შესწირა. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ქვეყანაში ნაკრძალის შესაქმნელად მსახიობი კიდევ 5 მლნ დოლარის გაღებას აპირებს. ამ თანხას ჯოლი 15 წლის განმავლობაში გადაიხდის. ანჯელინას ასეთი თბილი დამოკიდებულება კამბოჯის მიმართ, ამ ფილმის — გადაღებების დროს ჩამოუყალიბდა. მან შეიყვარა ეს ქვეყანა: 2002 წელს კამბოჯელი ბავშვი (მედოკსი) იშვილა, მოგვიანებით, სახლიც იყიდა და უკვე ხილული ძაფებით დაუკავშირდა კამბოჯას. ჯოლი იმ საერთაშორისო კამპანიის მონაწილეა, რომელიც ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვისათვის იღვწის. საომარი კონფლიქტების შედეგად კი, უამრავი ასეთი ნაღმია დარჩენილი კამბოჯაში. ანჯელინა დიდ დროს უთმობს კამბოჯის ველური ბუნების დაცვასაც. მსახიობი კამბოჯაში გაეროს კეთილი ნების ელჩად მუშაობას დათანხმდა და ლტოლვილთა საქმეებში გაწეული ღვაწლისათვის, მას 2003 წელს გაეროს კორესპონდენტთა ასოციაციის ჯილდო გადაეცა. ■

ᲙᲐᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲝᲣᲒᲘ ᲨᲘᲜ ᲛᲝᲣᲜᲓᲔᲛᲐ

როგორც ჩანს, კაილი მინოუგმა საოცარი სულის სიმტკიცე გამოავლინა და თავისი სენის დამარცხება შეძლო. შეგახსენებთ, რომ 37 წლის მომღერალს რამდენიმე თვის წინ, მკერდის სიმსივნე ამოჰკვეთეს. ამჟამად, ის სპეციალური სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად პარიზში იმყოფება. მას გვერდიდან არ შორდება მისი ბოიფრენდი ოლივერ მარტინესი, რომელმაც, როგორც ამბობენ, როცა სატრფოს ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, პირდაპირ საავადმყოფოს პალატაში სთხოვა მას ხელი და იმ დღიდან მოყოლებული, გამუდმებით მის გამხნევებას ცდილობს. მოკლე ხანში, მომღერალი შინ დაბრუნებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის გაგრძელებას აპირებს. ცოტა ხნის წინ, ის პარიზის ქუჩაში სეირნობისას შენიშნეს. თვითმხილველთა თქმით, კაილი გარეგნულად სულაც არ შეცვლილა. ავადმყოფობის ერთადერთი შესამჩნევი გამოვლინება გახლავთ ის, რომ ქიმიოთერაპიის კურსის ჩატარების შემდეგ, მომღერალს თმა გასცვივდა, მაგრამ ამ დროებით პრობლემას ის იოლად გაუმკლავდა: კაილი ყველგან თავსაფრით დაიარება. ექიმები ამბობენ, რომ ის სარეაბილიტაციო თერაპიის ბოლო პროცედურებს იტარებს და საშობაო დღესასწაულს უკვე შინ, ავსტრალიაში, თავის ახლობლებთან ერთად შეხვდება. სამშობლოში მომღერალი უყვართ და მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ამბებსაც ძალზე განიცდიან. თავის მხრივ, კაილიც ზრუნავს თავის თაყვანისმცემლებზე. ცოტა ხნის წინ, მან ავსტრალიის ერთ-ერთ ცენტრალურ ტელეარხს მიმართა თხოვნით, რათა მისი საკონცერტო გამოსვლები მსოფლიო ტურნეს დროს (რომელიც მან ავადმყოფობის გამო შეწყვიტა), ეჩვენებინათ იმ მაყურებლებისთვის, რომლებმაც მის კონცერტებზე დასწრება ვერ მოახერხეს. ამჟამად, კაილი საათნახევრიანი ტელეშოუსთვის, თავისი საკონცერტო გამოსვლების საუკეთესო მომენტების შერჩევითაა დაკავებული.

უკანასკნელ ხანებში, ექიმები და ჟურნალისტები ბევრს მსჯელობდნენ იმაზე, რამდენად სერიოზულად იყო დაავადებული მინოუგი და შეძლებდა თუ არა ის თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაგრძელებას. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ მკურნალობის პერიოდშიც კი მომღერალს ძალზე საინტერესო წინადადებებს სთავაზობდნენ, უნდა ვივარაუდოთ: მის კარიერას არაფერი ემუქრება და მის შემოქმედებით აღმასვლას ვერაფერი შეაჩერებს. კაილი მინოუგს სთავაზობენ, სათავეში ჩაუდგეს ფესტივალ „გლასტონბერის“, რომელიც 2007 წელს გაიმართება. ფესტივალის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ კაილი საუკეთესო ჰედლაინერია, ამიტომ ოფიციალურ წერილში, რომელიც მომღერალს გაეგზავნა, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყველა მოუთმელად ელის მის დაბრუნებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ კაილის სულიერი სიმტკიცე უამრავ ქალს დაეხმარა, უფრო სერიოზულად მისდგომოდა საკუთარი ჯანმრთელობის საკითხს. „კაილის ეფექტი“, ასე უწოდეს მედიკოსებმა მოვლენას, რომელმაც ათასობით ქალს აღუძრა გამოკვლევის სრული კურსის ჩატარების სურვილი. რის შედეგადაც, პაციენტების ნახევარზე მეტს, დაავადება იმდენად ნაადრევ სტადიაზე აღმოუჩინეს, რომ ექიმებს შესაძლებლობა მიეცათ, მათ ორგანიზმში კიბოს უჯრედების განვითარება დროულად აღეკვეთათ. პოპვარსკვლავის ავადმყოფობამ, მართალია, ყველა ასაკის სუსტი სქესის წარმომადგენელზე მოახდინა ზეგავლენა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი 35-44 წლის ქალბატონებზე ზეგავლენა გახლდათ, რადგან სწორედ ამ ასაკის ქალები იმყოფებიან დიდი რისკის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მომღერალი თავს მშვენივრად გრძნობს, ავადმყოფობამ მის ორგანიზმს მაინც დიდი დარტყმა მიაყენა: ამ ეტაპზე შეუძლებელია კაილის უმთავრესი ოცნების განხორციელება. მას ძალიან უნდოდა ბავშვის გაჩენა, მაგრამ ამჟამად დაორსულება სულ ცოტა 5 წლით მაინც უნდა გადადოს, ვიდრე სრულ ნორმაში არ ჩადგება მისი ორგანიზმი. ■

ᲙᲘᲠᲐ ᲜᲐᲘᲢᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲐᲚᲐ

ფილმის — „კარიბის ზღვის მეკობრეების“ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, მსახიობმა კირა ნაიტლიმ დიდი აღიარება მოიპოვა. იქიდან მოყოლებული, მან უამრავი შეთავაზება მიიღო და არაერთ საინტერესო პროექტშიც მონაწილეობდა. ამ ცოტა ხნის წინ, კირა ნაიტლიმ განაცხადა, რომ მეტისმეტად გადაღლილად და გამოფიტულად გრძნობს თავს და ამიტომ დროებით კინოგადაღებებში მონაწილეობას აღარ აპირებს. უკანასკნელ ხანებში, მას მართლაც დატვირთულ რეჟიმში მოუწია მუშაობამ: ზემოხსენებული სურათის ერთდროულად ორი სიქველის გადაღება ინტენსიურად მიმდინარეობს და სავარაუდოა, რომ სულ მალე, დამთავრდება. „გასულ უიკ-ენდზე „მეკობრეების“ გადაღებებზე გადაბმულად 32 საათი მომიწია მუშაობამ, ერთი კვირით ადრეც იგივე მდგომარეობა იყო, — ჩივის მსახიობი. — ცოტა ხნით დასვენება ნამდვილად მჭირდება“. ■



ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲒᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲣᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲔᲪᲜᲝᲛᲐ

რიჩარდ გირს ახალ ფილმში — „ხროვა“ — იღებენ, სადაც მისი გმირი ფედერალური ბიუროს აგენტია, რომელიც პატარა გოგონას გატაცებაში ეჭვმიტანილის დაკავებას ცდილობს. ფილმის გადაღების დაწყებამდე, მსახიობმა გადაწყვიტა უფრო ახლოს გასცნობოდა დამნაშავეთა სამყაროს: ის შინ ესტუმრა იმ ადამიანებს, რომლებსაც ოდესღაც სექსუალური ხასიათის დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი; ნიუ-მექსიკოს მთელი კვარტალის შემოვლას აწარმოებდა რიგით პოლიციელთან ერთად; არაერთგზის ესაუბრა შერიფ დერენ უაიტს, რომლის სპეციალობაც ადრე სექსუალური ხასიათის დანაშაულების გამოძიება იყო. „წინასწარ არავინ იცოდა, როგორ მოიქცეოდა ჰოლივუდის ისეთი ვარსკვლავი, როგორიც რიჩარდ გირია, არც ის ვიცოდით, რა რეაქცია ექნებოდა მოსახლეობას მასთან პირისპირ შეხვედრისას, — ამბობს შერიფი უაიტი. — ქალები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ მსახიობი ასე შესანიშნავად გამოიყურებოდა, ბევრს კი, რიჩარდის ქცევა აკვირვებდა, ის ხომ ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანივით იქცეოდა“. ფილმის გადაღება ნიუ-მექსიკოში 21 ნოემბრიდან დაიწყო. ■

ნოდარ ქორქია – ეროვნული საკლუბო და სანაკრებო კალათბურთის სულისჩამდგმელი

როგორ აგზავნიდა ვასილი სტალინი ოთარ ქორქიას ციმბირში



ნოდარ ქორქია კალათბურთელი რომ არ გამოსულიყო, ალბათ პარადოქსი იქნებოდა: მამამისი ხომ წლების მანძილზე, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა, ხოლო ალექსანდრ გომელსკიმ საკუთარ წიგნში მას მთელი თავი მიუძღვნა. რაც შეეხება ბატონი ნოდარის ბიძაშვილს — მიხეილ ქორქიას, მისი მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია: მან ხომ ზურა საკანდელიძესთან ერთად, 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა. სამწუხაროდ, როგორც ოთარი, ასევე მიშა ქორქია ცოცხლები აღარ არიან, ნოდარ ქორქია კი კალათბურთს ჩამოშორებია და ერთ-ერთი სააქციო საზოგადოების დირექტორია. არადა, ის პირველთაგანი გახლდათ, მათ შორის, ვინც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისას, გზა გაუკვლია ჩვენს საკლუბო და სანაკრებო კალათბურთს საერთაშორისო ასპარეზზე...

გიორგი ლანჩავა

საქართველო – მინიკალათბურთის ერა

— 1958 წელს, მამაჩემმა ოთარ ქორქიამ „დინამოს“ სტადიონზე საკალათბურთო სკოლა გახსნა. მან საკალათბურთო დარბაზში საკუთარი კონსტრუქციით შექმნილი, ათამდე ფარი დაამონტაჟებინა, რომელთა აწევ-დაწევა სურვილისამებრ, ნებისმიერ სიმაღლეზე შეიძლებოდა. გარდა ამისა, მამის თაოსნობით სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე 3 საკალათბურთო მოედანი გაკეთდა, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანს კალათში ტყორცნის საშუალება ჰქონდა. მისი წამოწყების სანახავად, ლიტვიდან კინოოპერატორები იყვნენ ჩამოსული, რომელთაც ყოველივე ფირზე აღბეჭდეს. შემდგომში ერთი-ორჯერ პრესაში გაიელვერა, რომ მინიკალათბურთს სათავე ლიტვაში დაედო, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: მინიკალათბურთის თამაში ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში დაიწყეს. სამწუხაროდ, ის დარბაზი დღესდღეობით გაპარტახებულია, ხოლო ღია მოედნების ადგილას ავეჯის მაღაზიები და ავტოსადგომია განთავსებული. რაც შეეხება საკალათბურთო ფარების რკინის კონსტრუქციებს, ისინი ალბათ, მოჭრეს და ჯართში ჩააბარეს... კალათბურთის თამაში 6 წლის ასაკში სწორედ მამაჩემთან დავიწყე, თუმცა იმ პერიოდში პარალელურად ცურვაზეც დავდიოდი. ნახევარი წელი ელენე გოკიელთან მძლეოსნობაშიც ვვარჯიშობდი, მაგრამ კალათბურთის სიყვარულმა გადასძლია. არადა, მამაჩემს არ სურდა, რომ კალათბურთელი გამოვსულიყავი და ვინაიდან სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მას უნდოდა მოსკოვის რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა. ხშირად მქონდა გაგონილი, რომ გამოჩენილ სპორტსმენთა შვილები დიდ წარმატებებს ვერ აღწევდნენ. ამის გამო, ბოლმა მკლავდა და დღეში 6-7 საათი ვვარჯიშობდი, რომ მაღალ დონეზე მეთამაშა კალათბურთი. დღევანდელისგან განსხვავებით, არც უცხოური სპორტული ფეხსაცმელი გვქონდა და არც ბურთები. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მაშინ კალათბურთს ვთამაშობდით ტყავის ბურთებით, რომელიც თასმით იკვრებოდა, ფეხზე კი, უბრალო კედები გვეცვა. მახსოვს, მამამ ჩინეთიდან, 39-დან დაწყებული 46-ით დამთავრებული, ყველა ზომის კედი ჩამომიტანა ორ-ორი წყვილი: ვინაიდან ჩვენთან ხარისხიანი კედები არ იშოვებოდა, მან სპორტული ფეხსაცმელი ჩემთვის წინასწარ მოიმარაგა. 1960 წელს მამა „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. სანამ „დინამოში“ მოვხვდებოდი, სიმართლე გითხრათ, მამა არც ერთ ჩემს ვარჯიშს არ დასწრებია და საერთოდ არ დაინტერესებულა, თუ რომელ პოზიციაზე ვთამაშობდი.

„დინამოს“ გულშემატკივარი ამერიკელები და გამწარებული შევარდნაძე

— „დინამოში“ 1969 წელს მიმიწვიეს, მაგრამ იმ პერიოდში გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რადგან კლუბში თითქმის ყველა ის კალათბურთელი ასპარეზობდა, ვინც ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. ერთი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდებს დუბლშემადგენლობის ყოლის უფლება დართეს და მათ შორის, ჩემპიონატიც გაიმართა. 1970-1971 და 1971-1972 წლების სეზონებში „დინამოსთან“ ერთად დუბლების ჩემპიონატი ორჯერ მოვიგე. თან, მეორე სეზონში, ჩემპიონები ისე გავხდით, რომ არც ერთი თამაში არ წაგვიგია.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში სუსტი მოწინააღმდეგე ფაქტობრივად, არ გვყავდა. მით უმეტეს, რომ ჩვენი გუნდი მოთამაშეთა საშუალო სიმაღლით დანარჩენებს დაახლოებით 10 სანტიმეტრით ჩამორჩებოდა. „დინამოში“ ნიკოლოზ დერიუგინის მოსვლამდე, ყველაზე მაღალი — 202 სმ — იური ძიძიგური გახლდათ და ისიც ლინზებით თამაშობდა. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ მეტოქესთან მოსაგებად გავდიოდით და არ ყოფილა სეზონი, ქვეყნის უძლიერესი გუნდი — ცე-ეს-კა ერთ შეხვედრაში, მაინც რომ არ დაგვემარცხებინა. იური

გაგარინის პრიზზე ტურნირი ლენინგრადში ჩატარდა, სადაც სასტუმრო „სოვეტსკაიაში“ ვცხოვრობდით. იქ ამერიკელი ტურისტებიც იყვნენ დაბინავებული. ერთხელ, ამერიკელები სასტუმროს ფოიეში შემხვდნენ და ერთმანეთს რომ გამოველაპარაკეთ, მკითხეს — იცი, ამერიკაში რა მოხდაო? მე ვუპასუხე — პრეზიდენტი აირჩიეს-მეთქი. ცოტა გაკვირვებულებმა ისიც მკითხეს, პრეზიდენტის ვინაობა თუ ვიცოდი და როდესაც ვუპასუხე — არჩევნები ჯიმი კარტერმა მოიგო-მეთქი, — ამაზე სულ გაოცდნენ, რადგან ამერიკაში შეიძლება, შეგვხვდეს ბევრი ადამიანი, რომელმაც არც კი იცის, ვინაა მისი ქვეყნის პრეზიდენტი... ამერიკელები დაინტერესდნენ, თუ რას ვაკეთებდით ლენინგრადში და როდესაც გაიგეს, კალათბურთელები ვიყავით, სურვილი გამოთქვეს, „დინამოს“ მატჩს დასწრებოდნენ. იმ საღამოს კაუნასის „ჟალგირისს“ ვხვდებოდით და თამაშის დამთავრებამდე, 17 წუთით ადრე, 27 ქულას ვაგებდით, ხოლო მე სირცხვილით არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. ამერიკელებს რომ გავხედე, ისინი ტრიბუნაზე დაღვრემილები ისხდნენ და მგონი, საერთოდ აღარ უყურებდნენ მოედანს. მაგრამ შემდეგ, მატჩში გარდატეხა შევიტანეთ და საბოლოოდ, შეხვედრა მოვიგეთ. ამის შემხედვარე, ოკეანისაღმელები ლამის გაგიჟდნენ და მთელი მონდომებით გვქომაგობდნენ... მახსოვს, ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისში ცე-ეს-კას თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში 7 ქულას ვუგებდით, მაგრამ მსაჯების აშკარა მიკერძოების გამო, ბოლოს, მატჩი დავთმეთ. იმ შეხვედრის დროს მოედანზე შეცვლაზე გამოვედი და დღეს რომ სამქულიანის ნიშნულია, იმაზე შორი მანძილიდან ჩავაგდე ბურთი კალათში. ამ მატჩს ედუარდ შევარდნაძეც ესწრებოდა, რომელიც მსაჯის ქმედებით ისე იყო აღშფოთებული, რომ სიმწრისაგან ტრიბუნის მოაჯირზე ჩაჭიდებული თითები გაუთეთრდა. თამაშის დასრულების შემდეგ, არბიტრები სპორტის სასახლიდან გააპარეს და გულშემატკივრებს ისინი რომ არ დაეხოცათ, სამოქალაქო აეროპორტის ნაცვლად, ვაზიანის სამხედრო აეროდრომიდან გაამგზავრეს. მართალია, ამ მსაჯებს, თბილისში ჩადენილი საქციელის გამო, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ეს ჩვენთვის შეღავათი ნამდვილად არ იყო.

ნოდარ, ოთარ და მიხეილ ქორქიები

ოთარ ქორქია – გაციმბირებას გადარჩენილი, ჟამბოჯაში „გადახვეწილი“ და „დინამოში“ დაბრუნებული

— მამაჩემის თამაში მოედანზე საკუთარი თვალით არ მინახავს და მისი ასპარეზობის შესახებ მხოლოდ გადმოცემით ვიცი. სხვათა შორის, იგი ახალგაზრდობაში მძლეოსნობასაც მისდევდა და გარკვეული მიღწევებიც ჰქონდა. ქუთაისში, სადაც მამა დაიბადა, კალათბურთის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მძლეოსნებიც ვარჯიშობდნენ. ერთ-ერთი მათგანის მიერ ნატყორცნი ბადრო მოედანთან ახლოს დავარდნილა და როცა მამას ის პატრონისთვის დასაბრუნებლად გაუტყორცნია, ბადრო იმხელაზე გადაუგდია, მძლეოსნები გაკვირვებული დარჩენილან. ამის შემდეგ, მას მძლეოსნობაში ვარჯიშის დაწყება შესთავაზეს და 10 დღეში საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ბირთვის კვრაში მე-2 ადგილი დაიკავა. ცოტა ხანში კი, ბადროს ტყორცნაში მოსწავლეებს შორის საკავშირო რეკორდი დაამყარა... მამა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ორჯერ მოიგო ქვეყნის თასი. 1947-1955 წლებში, საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი გახდა და 3-ჯერ ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლებს დაეუფლა. 1952 წელს კი — ჰელსინკის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემის სიმაღლე 190 სანტიმეტრი გახლდათ, იგი გაცილებით მაღალ კალათბურთელებსაც სჯაბნიდა მოედანზე. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ფინალში ამერიკელებთან, ვიდრე ის მე-4 პერსონალურს მიიღებდა, ანგარიში თანაბარი იყო. არადა, მეტოქის ცენტრალურ თავდამსხმელთა სიმაღლე 206, 208 და 210 სმ გახლდათ!.. თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა თასი მისი მწვრთნელობისას აიღო, ხოლო გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ გამოკითხვის შედეგად, რუსებმა იგი საბჭოთა კავშირის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. თავის დროზე, ვიდრე ქუთაისიდან თბილისის „დინამოში“ გადმოვიდოდა, რუსმა გენერალმა მას მოსკოვის ცე-ეს-კაში თამაში შესთავაზა და სანაცვლოდ, მოსკოვში ოთხოთახიან ბინას და ავტომანქანას შეპირდა. მაგრამ მამამ წასვლაზე უარი თქვა და „დინამოს“ სტადიონის ტაბლოს ქვეშ განთავსებულ საერთო საცხოვრებელში დედაჩემთან და ჩემს ძმასთან ერთად საკმაო ხანს იცხოვრა... საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ჩემპიონატში სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდს პირველი ადგილი რომ დაეკავებინა, თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრა უნდა მოეგო. სამხედროებმა საკუთარი წარმომადგენელი მამასთან მიაგზავნეს და თამაშის დათმობა სთხოვეს. ცხადია, ის ამ საკითხს მარტო ვერ გადაწყვეტდა და თანაგუნდელებს აუწყა ეს ამბავი. „დინამოელებმა“ სასტიკი უარი განაცხადეს. მეორე დღეს, მატჩი რომ დაიწყო, მამამ ზედიზედ ორჯერ დაკარგა ბურთი, რის გამოც ერთ-ერთ პარტნიორს დაუძახია: რა არის, მიხაილოვიჩ, გვყიდიო?! ამას მამა ისე გაუბრაზებია, რომ თამაში პრაქტიკულად, მარტოს მოუგია... საღამოს, იგი დედაჩემთან ერთად ოპერაში წასულა, სადაც სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდის მთვრალი კალათბურთელებიც იმყოფებდნენ. მათ მამაჩემისთვის უცენზუროდ მიუმართავთ, რასაც ოთარ ქორქიას მხრიდან 12-ჯერ მუშტის გაქნევა და 12 კალათბურთელის ნოკაუტში ჩაგდება მოჰყვა... ამ შემთხვევის შემდეგ, ვასილ სტალინს, რომელიც საჰაერო ძალების გუნდს კურირებდა, მამა დაუბარებია და უთქვამს: ან ჩვენს გუნდში გადმოხვალ, ან ციმბირში წახვალო. ისიც ამდგარა და ჩანთის ჩალაგება დაუწყია. როდესაც ვასილ სტალინს უკითხავს

— რას შვრებიო? — ოთარს უპასუხია — ციმბირში მივდივარო... ბოლოს და ბოლოს, იგი ციმბირში გადასახლებას გადაურჩა და „დინამოშიც“ დარჩა. 1965 წელს, მამა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელობიდან რომ მოხსნეს, მის მიერვე ჩამოყალიბებულ საკალათბურთო სკოლაში დაბრუნდა, მაგრამ მაშინ, ერთი სამარცხვინო ფაქტი მოხდა: „დინამოს“ საბჭომ, მამისთვის მუშაობის საშუალება რომ არ მიეცა, სკოლაში შტატი შეამცირა და მასთან ერთად, დამლაგებელიც გაუშვა. ამის შემდეგ, ის ცოტა ხანს, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა. სხვათა შორის, მანამდე, ქვეყნის მეორე ნაკრებს წვრთნიდა. იმ პერიოდში, მან კამბოჯიდან მიიღო შეთავაზება, რათა ამ ქვეყნის, როგორც ვაჟ, აგრეთვე, ქალ კალათბურთელთა ნაკრებს ჩასდგომოდა სათავეში. მამამ კამბოჯელებს ფეხსაცმელი შეუკვეთა და მათ პირველი წყვილი ვიტრინაში გამოფინეს, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ენახათ, ასეთი ზომის ფეხსაცმელი საერთოდ თუ არსებობდა. მამა ხუმრობით ამბობდა ხოლმე: კამბოჯის ქალ კალათბურთელთა მთელი ნაკრები „ხოჭოს“ მოდელის „ფოლკსვაგენში“ ეტეოდაო... სანამ ის კამბოჯაში ჩავიდოდა, ფილიპინელები კამბოჯელებს 30 ქულით ამარცხებდნენ. შემდეგ კი, როდესაც მამა ჩაუდგა კამბოჯის ნაკრებს სათავეში, პირიქით ხდებოდა. ქვეყანაში ომის დაწყების გამო, იგი იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც კვლავ „დინამოს“ გაწვრთნა შესთავაზეს. 1972 წელს, საკუთარ მოედანზე „დინამოელები“ მინსკის ერ-ტე-ისთან დამარცხდნენ, რასაც გულშემატკივართა მხრიდან კალათბურთელთა სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. მყურებლებსა და მოთამაშეებს შორის ჩხუბი ატდა, ხოლო რამდენიმე დღეში, მამა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნეს იმ მოტივით — გუნდში აღმზრდელობითი მუშაობა ვერ ჩაატარეო. იქიდან წამოსულმა, სპორტული სკოლა ჩამოაყალიბა ნაძალადევში და მაშინდელ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე სანდრო გლურიჯიძესთან მივიდა, რათა საკალათბურთო სკოლის ასაშენებლად ადგილი გამოეყოთ. ტერიტორია მისცეს და დღეს, მიხეილ კეკელიძის სახელობის ოთხდარბაზიანი საკალათბურთო სკოლა რომ არსებობს, მამაჩემის დამსახურებაა. თუმცა, საკუთარი სკოლის დირექტორად მუშაობა არ დაეცადეს — რადგან სამსახურიდან იმ მოტივით გაათავისუფლეს, რომ თურმე, ოლიმპიური რეზერვის აღზრდას ვერ გაართვა თავი. არადა, მისი სკოლის აღსაზრდელები სპორტის სხვადასხვა სახეობაში მინიმუმ, ორ ასაკობრივ ჯგუფში საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ხდებოდნენ ყოველ წელს. ამ სკოლამ, ნაჩვენები შედეგის მიხედვით, ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი ყოფილ საბჭოთა კავშირში. მეორედ ეს მაშინ მოხდა, როდესაც მამა უკვე გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან. ასეთი მოპყრობით იმდენად შეურაცხყოფილი გახლდათ, რომ სამსახურიდან დათხოვნის ამბავი რომ გაიგო, ნერვიულობისაგან ერთი თვე ლოგინად ჩავარდა და სკოლაში განცხადების დასაწერად ფიზიკურად ვერ მივიდა. განათლების სამინისტროში კი უთქვამთ — არ მოდის, არა? მაშინ თავად გავათავისუფლებთო...

მადაგასკარელთა ხუთივე კალათბურთელი უკან ისე გამომყვა, ეჭვიც არ გასჩენიათ, რომ უბურთოდ მივრბოდი

საცირკო ილეთი მადაგასკარელებისთვის

— როცა თბილისის „დინამო“ ტურნირებზე საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, ყველას ეგონა, რომ ჩვენ ამაში ბევრ ფულს ვიღებდით და თან იქ დროს ვატარებდით. სინამდვილეში, უცხოეთში ქალაქის დათვალიერებას ვერც ვასწრებდით შემჭიდროებული საშეჯიბრო გრაფიკის გამო და ისიც დიდი შეღავათი იყო, ცენტრალურ ქუჩას მაინც თუ ვნახავდით. სიმართლე გითხრათ, საზღვარგარეთ ღირშესანიშნაობათა სანახავად მაშინ უფრო დავდიოდი, როდესაც აღარ ვთამაშობდი და რამდენჯერმე, ცოლთან ერთად მომიწია მოგზაურობამ. რაც შეეხება ფულს, ჩვენ მხოლოდ კვების თანხას ვიღებდით, რომელიც კაპიკები გახლდათ. 1977 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მე-3 ადგილი რომ დავიკავეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, „თავის ჭკუაში“, დაგვაჯილდოვა და აფრიკაში გაგვიშვა ტურნეში. არადა, ეს ნაბიჯი მაშინ უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, რადგან აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ხელისუფლებაში კომუნისტები იმყოფებოდნენ. მადაგასკარში სასტუმროს ფანჯრებიდან რომ ვიხედებოდი, ხეებზე მძრომ მაიმუნებს ვხედავდი... ამხანაგურ მატჩებს ადგილობრივ გუნდებთან დილის 10 საათზე, ღია მოედანზე გვათამაშებდნენ და ისე ცხელოდა, რომ ხელის აწევაც კი საკმარისი იყო, ოფლი რომ წურწურით წამოგვსვლოდა. ჩემს პარტნიორ ლევან გულდედავას ერთი საყვარელი ილეთი ჰქონდა დამუშავებული — ზურგს უკან იდაყვებით ბურთის დაჭერა. მადაგასკარში ერთ-ერთი მატჩისას, ლევანს რომ მივუახლოვდი, მან ბურთი გამომართვა და ეს ილეთი ჩაატარა. ამ დროს, მე მოედანზე მოძრაობა გავაგრძელე და ხელით იმიტაციას ვაკეთებდი, ვითომ ბურთს ვატარებდი. თქვენ წარმოიდგინეთ, მადაგასკარელთა ხუთივე კალათბურთელი უკან ისე გამომყვა, ეჭვიც არ გასჩენიათ, რომ უბურთოდ მივრბოდი. მეტოქის ნახევარზე პატარა წრე რომ დავარტყი, გულდედავასთან მისულმა მას ბურთი გამოვართვი და კალათში ჩავაგდე. ამის შემხედვარე, ჩვენი თანაგუნდელები გულიანად იცინოდნენ.

გალახული ჩეხოსლოვაკიელები

— საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჩვენთან მოედანზე გაწევ-გამოწევას ყველა ერიდებოდა, რადგან არავის წინაშე უკან არ ვიხევდით და ერთ დარტყმაზე ათით ვპასუხობდით. საზღვარგარეთ ჩატარებულ ტურნირზე, სადაც მენისკის გამო, ფაქტობრივად, ტურისტად ვიყავი წასული, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს ვეთამაშებოდით. მატჩის მსვლელობისას ნუგზარ ჭეიშვილმა მეტოქეს ბურთი რომ აართვა, მოწინააღმდეგე კალათბურთელი მას გამოეკიდა და თავში მუშტის ჩარტყმა დაუპირა. ეს რომ დავინახე, სათადარიგოთა სკამიდან წამოვხტი და კოჭლობით მასთან მისულმა, მუშტი ისე დავარტყი სახეში, რომ დაახლოებით 5 მეტრი იფრინა, ვიდრე სკამებს შორის ჩავარდებოდა. საკუთარი დარტყმის სიძლიერემ თავადვე გამაოცა, მაგრამ ამ დროს გავიგონე სოსო ჯანაშიას ხმა: „ვაი, ხელი!..“ თურმე, ჩემთან ერთად ჩეხისთვის სოსოსაც დაურტყამს და ამან გამოიწვია მეტოქის ფრენის სიშორე. მაგრამ ამის შედეგად, ჯანაშიამ თითი მოიტეხა... კუბაში გამართულ ტურნირზე, რომელშიც კუბის პირველი და მეორე, ასევე — ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, კვლავ ჩეხოსლოვაკიელებთან მოგვვიდა ჩხუბი. მათ რიგებში ცენტრალური თავდამსხმელი თამაშობდა, რომლის სიმაღლე 210 სმ, ხოლო წონა 130 კგ გახლდათ. ერთ-ერთ ეპიზოდში მოედანზე ჩეხებთან მცირე შელაპარაკება მოგვიხდა და ამ „ცენტრმა“ დასარტყმელად გაიწია. მაშინვე მთელი გუნდით მოედანზე გამოვვარდით და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები კარგად ვცემეთ. ამის შემდეგ, კუბელები გვეხვეწებოდნენ: ოღონდ თქვენ არ იჩხუბოთ და რაც გინდათ, ის ქენითო. სხვათა შორის, აღნიშნულ ტურნირზე თავდაპირველად, სერიოზულად არავინ აღგვიქვამდა. მაგრამ ორ წრედ ჩატარებულ ასპარეზობაში მეორე ადგილი დავიკავეთ და კუბის პირველ ნაკრებს მოვუგეთ, რომელსაც მცირე ხნით ადრე, საბჭოთა კავშირის ნაკრები ჰყავდა დამარცხებული 16 ქულით. აქვე გეტყვით, რომ ჩვენ, თავის დროზე, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებსაც მო-

ვუგეთ, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახლდათ. 1979 წელს კი, ევროპის ბრინჯაოს მედლების მფლობელ პოლონეთის ნაკრებსაც ვძლიეთ, რომლის რიგებში პოლონეთის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი გენეკ კიევსკი თამაშოდა.

ექვსგზის გამარჯვებული „სინათლე“ და უცხო ქვეყნის პირველი ჩემპიონი

— თბილისის „დინამო“ 1982 წელს დავტოვე. მაშინ მოსკოვის „დინამოდან“ მქონდა შემოთავაზება, რომლის 4 წარმომადგენელი მოვიდა ჩემთან და მათ გუნდში თამაშის სანაცვლოდ, მოსკოვში ბინასთან ერთად, ავტომანქანასაც დამპირდნენ. მიწვევდნენ აგრეთვე, კიევის ა-სე-კაში, რომელიც მოსკოველთა მსგავს პირობას მთავაზობდა. ამ პერიოდშივე, ჩემთან სახლში პულავსკი და ჯგერენაია მოვიდნენ, რომელთაც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე თბილისის „სინათლეში“ თამაში შემომთავაზეს. მართლაც, ვარჯიში დავიწყე და მალე ფორმაში შევედი. „სინათლესთან“ ერთად, 6-ჯერ მოვიგე საქართველოს ჩემპიონატი.

„სინათლეში“ ასპარეზობისას ჩემმა მეგობარმა რეზო თათარაშვილმა ერთ-ერთი პოლონური ფირმის წარმომადგენლები გამაცნო, რომლებიც პოზნანის საკალათბურთო გუნდ „ლეხს“ აფინანსებდნენ. მათ მითხრეს, რომ ახალგაზრდა კალათბურთელის შეძენა სურდათ და მე თანაგუნდელ პაატა გურასპაულის კანდიდატურა შევთავაზე. პოლონელებმა ჩვენი გუნდი პოზნანში დაპატიჟეს, სადაც ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში, გურასპაულთან ერთად, ჩემი თამაშიც მოეწონათ. როცა „ლეხში“ პაატას ჩარიცხვის ამბავი საბოლოოდ გადაწყდა, მას პოლონეთში გავყევი, რათა კონტრაქტის გაფორმების პროცესს დავსწრებოდი. მატარებლიდან ჩამოსულები, ორივე, სავარჯიშოდ დარბაზში წაგვიყვანეს და წვრთნის დასრულების შემდეგ, „ლეხმა“ მეც შემომთავაზა ხელშეკრულების დადება. მაშინ 37 წლის ვიყავი, მაგრამ შემოთავაზებას დავთანხმდი და პოზნანელებთან ერთად, პოლონეთის ჩემპიონი გავხდი. სამწუხაროდ, გურასპაულმა გუნდში მხოლოდ ნახევარი სეზონი ითამაშა, რადგან ჰეპატიტი დაემართა და იძულებული გახდა, საქართველოში დაბრუნებულიყო. მე პირველი სპორტმენი ვიყავი საქართველოდან, რომელმაც უცხო ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ამასთანავე, გუნდთან ერთად, ევროპის ჩემპიონთა თასზე ვითამაშე... „ლეხში“ ხელფასი 100 დოლარი მქონდა პრემიასთან ერთად, საერთო ჯამში, თვეში 300-400 დოლარს ვიღებდი. ასეთი დაბალი ანაზღაურების გამო, გუნდი ერთი წლის შემდეგ დავტოვე. თბილისში დაბრუნებული, გენეკ კიევსკიმ თავის გამოსათხოვარ მატჩზე დამპატიჟა. აღნიშნულ შეხვედრას ჩემი მეგობარი დაესწრო და გულშემატკივარი ისე თბილად შემხვდა, რომ თვალზე ცრემლი მოადგა, თამაშის შემდეგ მითხრა კიდეც: შენ გაცილებდნენ კალათბურთიდან თუ კიევსკის, ვერ მივხვდიო.

აფხაზთა პროტესტი სტამბოლში და საქართველოს სუპერფინალი „ევრონიუსში“

— 1993 წელს, საქართველო კალათბურთის საერთაშორისო ასოციაციაში რომ მიიღეს, მაშინვე გადავწყვიტე გუნდის ჩამოყალიბება. ზაზა ღონღაძე ამომიდგა მხარში და ვინაიდან აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა, ზოგიერთი კალათბურთელი კლუბში პირდაპირ სანგრებიდან მოვიყვანეთ. დერიუგინი პოლიციაში მუშაობდა და ჩვენ შევთავაზეთ, კალათბურთს დაჰბრუნებოდა. მაშინ ფიბაში წერილი გავგზავნეთ, რომ კორაჩის თასის გათამაშებაში გვსურდა მონაწილეობა. კენჭისყრის შედეგად, მეტოქედ თურქეთის „ფენერბახჩე“ შეგვხვდა, მაგრამ თურქებმა, ომის გამო, საქართველოში ჩამოსვლაზე უარი თქვეს და ფიბამ მოგვწერა, რომ თუ ორივე თამაშს სტამბოლში არ ჩავატარებდით, გათამაშებიდან მოგვხსნიდნენ. „ფენერბახჩესთან“ პირველი თამაში 21 ქულით წავაგეთ, მეორე კი — 25-ით. ორივე მატჩს თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორის 1500 წარმომადგენელი დაესწრო, რომლებსაც ანტიქართული პლაკატები ეჭირათ და თამაშის განმავლობაში, ლანძღვაგინებას არ გვაკლებდნენ. ფიბას წარმომადგენელს ამის გამო საკმაოდ მკაცრად ველაპარაკე. ასე რომ, პირველი ქართული გუნდი, რომელმაც ევროტურნირებზე დამოუკიდებლად იასპარეზა, სწორედ ჩემი თაოსნობით ჩამოყალიბებული, თბილისის „მერანი“ გახლდათ. მომდევნო წელს, გუნდს „თბილისი“ დავარქვით და საქართველოს სუპერფინალში „ვითასთან“ ჩვენს დაპირისპირებას სპორტის სასახლეში 14000 მაყურებელი დაესწრო. მახსოვს, „ევრონიუსმა“ ამ მატჩის კადრები უჩვენა და ასეთი კომენტარი დაურთო: ქართველები ომობენ და თან კალათბურთს თამაშობენო...

ეროვნული ნაკრების ფუძემდებელი

— კალათბურთში საქართველოს ნაკრების ფორმირებაში დიდი წვლილი მიმიძღვის. ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელი თავიდან, სწორედ მე და ბესიკ ლიპარტელიანი ვიყავთ. 1993 წელს, სპორტის დეპარტამენტმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ნაკრები არ გაუშვა, რადგან ჩათვალა, რომ მის რიგებში კალათბურთელი არავინ იყო; გვითხრეს: ჯობს, ახალგაზრდებს მივხედოთო. მომდევნო წელს, უკვე კატეგორიულად მოვითხოვეთ დეპარტამენტისგან თანხმობა ევროპის შესარჩევში მონაწილეობაზე. კი დაგვრთეს ნება, მაგრამ გვითხრეს — თვითდაფინანსებაზე უნდა იყოთო. იმ პერიოდში „მხედრიონში“ ჯაბა იოსელიანის მოადგილე, ლონგი ჭელიძე გვპატრონობდა. ნაკრები რომ ჩამოვაყალიბეთ, მოსკოვში მცხოვრებმა ქართულმა სათვისტომომ რუსეთის დედაქალაქში ტურნე დაგვიფინანსა. იქ ჩატარებული 4-ვე თამაში მოვიგეთ. სრულიად ახალი გუნდით რუსეთიის 23 წლამდე ასაკის ნაკრები დავამარცხეთ და ალექსანდრ გომელსკი, რომელიც თამაშს ესწრებოდა, გაგიჟდა — ეს რა ბიჭები გყავთო!.. შესარჩევი ტურნირი ინგლისში ტარდებოდა და იქ გასამგზავრებლად 33.000 დოლარი გვჭირდებოდა. სპორტის დეპარტამენტმა 17.000 გამოგვიყო, ხოლო დანარჩენი ფული „მხედრიონის“ დახმარებით ვიშოვეთ. ინგლისში პირველი თამაში პოლონეთთან წავაგეთ; შემდეგ, დანიას მოვუგეთ. არაფრის მომცემი შეხვედრა ინგლისთან დავთმეთ, ხოლო ბოლო ორი მატჩი, კვიპროსსა და ლუქსემბურგს მოვუგეთ. სხვათა შორის, მაშინ დანიელებს პოლონელებთან მოგება სჭირდებოდათ და გენეკ კიევსკისთან, რომელიც პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი იყო, ნაცნობობა გამომადგა: მას ვთხოვე, რომ თამაში არ დაეთმო და ასეც მოიქცა. რამდენიმე პოლონელმა კალათბურთელმა მატჩის „ჩაშვებას“ მიჰყო ხელი, მაგრამ ისინი კიევსკიმ დროზე შეცვალა. სხვათა შორის, ლუქსემბურგთან მატჩზე დანიელი მსაჯი დაგვინიშნეს, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებს შევაცვლევინე. მათ ასეთი რამ ვუთხარი: საქართველოში ომი კი ახალი დამთავრებულია, მაგრამ ამ ბიჭებს იარაღი სახლში უდევთ და ეს თამაში რომ წააგონ, უკან დაბრუნებულები, ისევ ომს დაიწყებენ-მეთქი... წარმოიდგინეთ, ამან გაჭრა... შესარჩევიდან გასვლის შემდეგ, სამწუხაროდ, ნახევარფინალური ექვსეული ვერ გადავლახეთ. სპორტის დეპარტამენტმა 300 დოლარი ვერ გამომიყო, რომ მოსკოვში ისრაელის „მაკაბისა“ და სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრების თამაშის სანახავად წავსულიყავი. არადა, ორივე გუნდში მოასპარეზე კალათბურთელები ისრაელისა და სლოვაკეთის პირველი ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენდნენ. სლოვაკეთთან თამაშამდე, სპორტის სასახლის უშუქოდ დარჩენილ დარბაზში ვვარჯიშობდი. ჩემი და ლიპარტელიანის თავკაცობით საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ტურნირზე მეორედაც კარგად იასპარეზა, მაგრამ ნახევარფინალისტთა ექვსეულში ჩატარებული 3 თამაშის შემდეგ, რომლებიც საერთო ჯამში, 9 ქულით დავთმეთ, გათამაშებას გამოვეთიშეთ. ■

Volkswagen Crosspolo

ეს ავტომანქანა სულ ცოტა ხნის წინ, გერმანიის ქალაქ ესენში გამართულ მოტორ-შოუზე იყო წარმოდგენილი. მალე ის აქტიური დასვენების მოყვარულთა შორის პოპულარულ მოდელს — Polo Fun-ს შეცვლის. ახალი ჰეჩბეკი გამოირჩევა ბამპერში ინტეგრირებული, ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქებით, სარკეების ქრომირებული ბუდეებით, ხალისიან ორფერში გადაწყვეტილი სალონით, ტყავგადაკრული საჭითა და სპორტული ფორმის, გადაცემათა გადასართავი სახელურით. რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებს — ჩვეულებრივი „პოლოს“ ძრავებითაა აღჭურვილი: 64, 75 და 100 ცხ.ძ. სიმძლავრის — ბენზინის და 70 და 100 ცხ.ძ. სიმძლავრის — დიზელის აგრეგატებით.

ინფორმაცია ახალი ჰეჩბეკის ფასების შესახებ ჯერჯერობით, არ გამოუცხადებიათ. ჩვეულებრივი Polo, რომლის კომპლექტაციას Comfortline ჰქვია და ყველაზე სუსტი — 1,2 ლ მოცულობის (64 ცხ.ძ.) ძრავა აქვს, 12.375 ევრო ღირს; 1,4 ლ-იანი (84 ცხ.ძ.) აგრეგატით აღჭურვილი — 14.400 ევრო; დიზელისძრავიანი მოდიფიკაციები

მომხმარებელს უფრო ძვირი დაუჯდება: 14.650 და 17.875 ევრო. ვინაიდან სატიუნინგო ნაწილები ძალზე ძვირია, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ Crosspolo-ს ფასების დასადგენად, პროტოტიპის საბაზო მოდელს 5-6 ათასი ევრო უნდა დავუმატოთ. ■

Audi Le Mans სერიული გახდება

ბოლოს და ბოლოს, გადაწყდა, კონცეპტუალური მოდელის — Audi Le Mans quattro — ბაზაზე აგებული ავტომობილის სერიულ წარმოებაში ჩაშვება: რამდენიმე დღის წინ, კომპანიამ გამოაცხადა, რომ ახალი მანქანა Audi R8-ს სახელით გამოვა და მისი წარმოების გეგმაც გამოამზეურა. სუპერსპორტკუპეს პირველი ნიმუშების გაყიდვა 2007 წლის მეორე კვარტალში დაიწყება, მისი გამოშვება კი ქალაქ ნეკარზულმში მდებარე ქარხანაში განხორციელდება.

ამ პროექტის ინვესტირების მიზნით, კომპანიამ 28 მლნ ევრო გამოყო. საინტერესოა, რომ მის აწყობაზე სულ 250 მუშა-მოსამსახურე იმუშავებს. Audi Le Mans quattro არ იქნება მასობრივი მანქანა, მას ძალზე შეზღუდული ტირაჟით გამოუშვებენ. R8-ის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ცნობებს ბავარიული კონცერნი ჯერჯერობით არ ამჟღავნებს, ამდენად, ექსპერტებს მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეუძლიათ ამ საკითხზე მსჯელობა. მათი პროგნოზით, ახალი „აუდი“ 4,2 ლ მოცულობის V8 FSI ტიპის ძრავათი (მოდელი Audi RS4) და 5-ლიტრიანი V10 ტიპის აგრეგატით (მოდელი Lamborghini Gallardo) იქნება აღჭურვილი. ■

BMW ახალ სიმაღლეს იპყრობს

კომპანია BMW უარს ამბობს თავის მოწინავე მოდელებში მექანიკურ, ე.წ. სეკვენტურ ტრანსმისიაზე და ორდისკიანი მოჭიდვის მქონე გადაცემათა კოლოფის — DSG (Direct Shift Gearbox) გამოყენებაზე გადადის. განახლებული როდსტერები — Z4 და Z4M ე.წ. ორმაგი მექანიკით იქნება აღჭურვილი. DSG-ში გაერთიანებულია მექანიკურ გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფი და თანამედროვე ავტომატი: მოჭიდვის ერთი მოწყობილობა კენტ გადაცემებს უზრუნველყოფს, ხოლო მეორე — ლუწისას. გადართვის მომენტში (რომელიც ავტომატურად, ელექტროამძრავების მეშვეობით ხდება), პირველი მოჭიდვის მექანიზმი თიშავს ერთ ლილვს, მეორე კი — მეორეს რთავს; ამის წყალობით, ე.წ. მბრუნავი მომენტი უწყვეტად მოქმედებს და მანქანაც რბილად უმატებს სიჩქარეს.

და მაინც, ბავარიელები სხვა ტიპის ტრანსმისიაზე მთლიანად უარის თქმას არ აპირებენ. მაგალითად, Z4-ის ვერსიაში გამოყენებული იქნება ავტომატურ გადაცემათა კოლოფი — BMW Sport.

სერჟანტი პრინცისგან შვილს ელოდება!

პრინცი ლუის ფეხმძიმე მეგობარი გოგონა იძულებული გახდა არმიიდან წასულიყო...

...სამაგიეროდ, სულ მალე მის რჩეულს სამხედრო საქმის ანაბანის შესწავლა მოუწევს

ლუქსემბურგის სამთავროში დიდი სკანდალია ატეხილი. სახელმწიფოს მმართველის 19 წლის ვაჟი, რომელმაც სულ ახლახან დაამთავრა სკოლა, სულ მალე მამა გახდება. თანაც, როგორც ჩანს, ის სულაც არ აპირებს სატრფოზე დაქორწინებას!

ამ ახალმა ამბავმა არა მარტო ახალგაზრდა ლოველასი პრინცის მშობლები ჩაყარა შოკში, არამედ დასავლეთ ევროპაში მდებარე პაწაწინა სამთავროს 348 ათასი ქვეშევრდომიც მათ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დიდი ჰერცოგი ანრი და მისი მეუღლე ჰერცოგინია მარია ტერეზა ძალზედ ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი ყოველთვის ოცნებობდნენ შვილიშვილზე, მაგრამ როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ იმაზე, რომ მეფური სისხლის მქონე ბავშვი, რომელიც ქვეყნიერებას მომავალი წლის მარტში მოევლინება, ქორწინების გარეშე იქნება შობილი?

ანრის და მარია ტერეზას ხუთი შვილი ჰყავთ. უსიამოვნო „სიურპრიზი“ მშობლებს შუათანა ვაჟმა მოუწყო. 19 წლის ცუღლუტი ლუი, უკვე ნახევარი წელიწადია, რაც თავის მეგობარ გოგონასთან — ტესი ენტონისთან ერთად, სამოქალაქო ქორწინებაში ცხოვრობს. უკანასკნელ ხანებამდე, 20 წლის ტესი რეგულარული არმიის სერჟანტი გახლდათ. მაგრამ როცა სამხედრო ფორმაში გამოწყობილ სერჟანტს კარგა გვარიანად გამოებერა მუცელი, მისი დემობილიზება მოახდინეს. 5 თვის ორსული გოგონასთვის სამხედრო სამსახური ხომ მართლაც არ არის იოლი საქმე. საკუთარი ურთიერთობის ოფიციალურად დარეგისტრირებას წყვილი სულაც არ ჩქარობს. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი სერჟანტი ენტონი ირწმუნება, ვითომდა ის თავად არ ელტვის პრინცთან ქორწინებას, ყველასთვის ცხადია: ჰიმნევსის (ქორწინების ღმერთი ძვ. რომსა და საბერძნეთში) ბორკილების დადება ლუის არ სურს. თუმცაღა, პრინცი ბავშვის მამობაზე უარის თქმას რა აპირებს. მოკლედ, პატარა აყვავებულ ქვეყანაში დიდი სკანდალი მწიფდება, რომლის ცენტრშიც უავგუსტოესი ოჯახია მოქცეული.

ჩვეულებრივ, ცნობას იმის თაობაზე, რომ სამეფო ოჯახში მატებაა მოსალოდნელი, მონარქისტული სახელმწიფოს ქვეშევრდომები დიდი სიხარულით ხვდებიან. ეს მოვლენა, ისევე აღინიშნება, როგორც ეროვნული დღესასწაული. თუმცა, ამჯერად, ჰერცოგ ანრის დიდი ხნის ნანატრი შვილიშვილი მოკლებული იქნება როგორც ფეიერვერკს, ასევე საერთო-სახალხო ზეიმს... არსებობს კიდევ ერთი პიკანტური გარემოება: უფლისწული ლუი ქსავიე მარი გიიომი, რომელსაც 3 აგვისტოს 19 წელი შეუსრულდა, მოკლე ხანში, ევროპის სამეფო ოჯახების წარმომადგენლებს შორის, ყველაზე ახალგაზრდა მამა იქნება. ეს კი საკმაოდ საეჭვო რეკორდია! ამასთან ერთად, დიდი მთავრის ქვეშევრდომები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს იმის გამო, რომ მათი პრინცი თავისი შვილის დედაზე დაქორწინებას არ აპირებს.

საზოგადოების ვნებათაღელვის ჩასაცხრობად, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე ტესი ენტონის მშობლებთან ინტერვიუც კი გამოქვეყნდა პრესაში, სადაც მათ მხარი დაუჭირეს ახალგაზრდების გადაწყვეტილებას. ისინი მიიჩნევენ: ლუი და ტესი ძალზე ახალგაზრდები არიან იმისათვის, რომ ჯვარი დაიწერონ; მათ ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონონ და ისე იმოქმედონო... აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს, ტახტზე ასვლის არანაირი შანსი არ ექნება.

მივედი, ვნახე, შევიყვარე

ევროპულმა პრესამ უმალ აიტაცა სენსაცია. მისი ბრწყინვალების ოჯახის წევრებს ძველი ცოდვებიც გაუხსენეს. მაგალითად, ის ფაქტი, რომ დიდი მთავრის ღვიძლმა ძმამ, პრინცმა ჟანმა, თავისი პირველი ქალიშვილის გაჩენა, მხოლოდ მისი დაბადებიდან ორი წლის შემდეგ გაუმხილა ლუქსემბურგელებს. პატარას იმხანად უკვე ძამიკოც შეეძინა და მხოლოდ ორი შვილის გაჩენის შემდეგ ინება პრინცმა ჟანმა ელენ ვესტფალიურზე დაქორწინება. როგორც იტყვიან, კვიცი გვარზე ხტისო.

მშობლები პირველი შოკის გადატანის შემდეგ, საკუთარ მემკვიდრეს დიდად არ აჩქარებენ საქორწინო გვირგვინის დადგმას. დიახ, ისინი მოხარულნი არიან, რომ სულ მალე, პირველი შვილიშვილი შეეძინებათ, მაგრამ პატარძალი ხომ აშკარად არ არის პრინცის შესაფერისი. მართალია, უკანასკნელ ხანებში, მოდაში შემოვიდა სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა ქორწინება უბრალო წარმომავლობის ადამიანებზე, მაგრამ საზღვარი ხომ ყველაფერს აქვს.

ტესი ენტონი სახურავების ოსტა-

ლუქსემბურგის მმართველები – დიდი მთავარი ანრი და მისი მეუღლე მარია ტერეზა

ტის ოჯახში დაიბადა. ტექნიკური კოლეჯის დამთავრებისთანავე არმიაში სამსახური გადაწყვიტა. მან კოსოვოში ინტერნაციონალური ვალის მოხდაც კი მოასწრო, სადაც ნატოს მშვიდობისმყოფელთა ეგიდით მსახურობდა. ა.წ. მარტში, ლუქსემბურგელი მშვიდობისმყოფლების მოსანახულებლად, პრინცი ლუიც ჩავიდა კოსოვოში. სწორედ იქ გაიცნო მან მომხიბლავი სერჟანტი ტესი ენტონი. ამ ნაცნობობის შედეგი კი უკვე ყველასათვის სახეზეა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების ურთიერთობის პირველი ეტაპის გაკონტროლება გვირგვინოსანმა მშობლებმა ვერ შეძლეს, მოგვიანებით, ვაჟიშვილის მომავლის განსაზღვრას, მათ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. უახლოეს მომავალში, მის უმაღლესობას სასწავლებლად გზავნიან. სავარაუდოა, რომ საზღვარგარეთ — მან ხომ საშუალო განათლებაც შვეიცარიაში მიიღო. მამამისი, დიდი მთავარი ანრი, რომელმაც თავის დროზე უმაღლესი განათლება ბრიტანეთის საქვეყნოდ ცნობილ სენდჰერსტის სამხედრო აკადემიაში მიიღო და ამჟამად პოლკოვნიკის წოდება აქვს, ოცნებობს იმაზე, რომ მისმა ვაჟებმაც სამხედრო კარიერა აირჩიონ. მით უმეტეს, რომ ლუის უფროსმა ძმებმა, 24 წლის კრონპრინცმა ჟან ჟოზეფმა და 21 წლის ფელიქს ლეოპოლდმა სამხედრო სამსახური უკვე მოიხადეს. ასე რომ, სულ მალე შესაძლოა, ლუი ბრიტანეთის პრინც ჰარის (ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის უმცროსი შვილიშვილი, რომელიც ამჟამად სენდჰერსტის აკადემიის კურსანტი გახლავთ) შეუერთდეს და მასთან ერთად განაგრძოს სწავლა. ყოფილ სერჟანტ ენტონის კი, ალბათ, მარტოხელა დედის ხვედრი ელის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარის მშობლები წინასწარ ირწმუნებიან, რომ არაფერს გაუჭირვებენ მის ტესს და არც პატარას მოაკლებენ ყურადღებას, ყველასთვის ცხადია, ვერავითარი ბებიები და ბაბუები (თვით გვირგვინოსნებიც) ვერ შეუცვლიან პატარას მამას.

ზოგჯერ ბედი საოცრად უსამართლოა! ამ პატარას ხომ დიდი მთავრის მიერ პირველი შვილიშვილისთვის წინასწარაღთქმული ფრიად შთამბეჭდავი მემკვიდრეობის მიღება შეეძლო. უნდა აღინიშნოს, რომ მონარქი აურაცხელი სიმდიდრის პატრონია: დღესდღეობით დიდი მთავრის კაპიტალი 4,3 მლრდ დოლარადაა შეფასებული. თუმცა, მანამდე, ვიდრე ბავშვი ქვეყნიერებას მოევლინება, ჯერ კიდევ რამდენიმე თვეა დარჩენილი — შეყვარებულებს აქვთ იმის დრო, რომ დაფიქრდნენ და შესაძლოა, ყველაფერი შეიცვალოს. მილიარდები ხომ ქუჩაში არ ყრია!

■

სუბედინერო ფული

ვანდერბილტის ქონებრივი იმპერიის აღმოცენება და დაცემა

პარფიუმერიის მალაზიაში გამოფენილი Gloria Vanderbilt-ის მყიფე ფლაკონი გიგანტური იმპერიის ჩვენამდე რაღაც სასწაულებრივად შემონახული ნამსხვრევია მხოლოდ და მხოლოდ. იმპერია მთლიანად გაცამტვერდა და დღეს, ერთ დროს ცნობილი გვარის გაგონებაზე, ზოგს მხოლოდ „დაწყევლილი მილიარდერი ქალი“ აგონდება, ზოგს კი — სუნამო, ჯინსი და Miss Vanderbilt-ის მარკის იაფი ფაიფური.

ეს ამბავი სკოლის სახელმძღვანელოშია მოთხრობილი და ყოველი ამერიკელისთვის კარგადაა ცნობილი. დიდი ხნის წინ, როცა რესპუბლიკის მზე ის-ის იყო ამოდიოდა ველური დასავლეთის ველებზე და შტატი კი სულ 13 იყო, ხოლო „მაკდონალდსი“, „დისნეი“ და „აი-ბი-ემი“ — საერთოდ არ არსებობდა, პატარა ბიჭმა უბრალო ქოხის კარზე დააკაკუნა, სტეიტენ-აილენდის ბოლოს რომ იდგა. კარი დედამ გაუღო, გამხდარმა და თავისი ასაკისთვის საკმაოდ მოტეხილმა ქალმა.

— დედა, მასესხე, გეთაყვა, 100 დოლარი, — უთხრა ბიჭმა.

— დამცინი? სადა გვაქვს ღარიბ ჰოლანდიელ ემიგრანტებს ამდენი ფული?! — გაისმა მკაცრი პასუხი.

— დედა, მომეცი 100 დოლარი და ერთი წლის შემდეგ, 1.000-ს დაგიბრუნებ! — დაჰპირდა ბიჭი.

დედამ უსიტყვოდ გამოუტანა ფული და არც არაფერი დაუკარგავს: ზუსტად ერთი წლის შემდეგ, დამჯერმა შვილმა თავისი პირველი, პატიოსანი შრომით ნაშოვნი 1.000 დოლარი მიუტანა.

ბიჭს კორნელიუს ვანდერბილტი ერქვა. თანატოლებმა, რომლებიც მასთან ერთად შოულობდნენ ფულს სტეიტენ-აილენდის დოკებში, მას კომოდორმი შეარქვეს — საოცარი სისასტიკისა და მიზანსწრაფულობის გამო და კიდევ იმის გამო, რომ უნარი შესწევდა, სხვები თავის სასარგებლოდ ემუშავებინა. დინასტიის მომავალი დამაარსებელი განათლებით ვერ დაიკვეხნიდა, რადგან სწავლას 11 წლისამ დაანება თავი, მაგრამ სამაგიეროდ, მისი უშრეტი ენერგია და შეუპოვრობა ნებისმიერ ადამიანს შეშურდებოდა. პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი მილიონებისკენ მან 1812 წელს გადადგა, როცა სარფიანად „მონაწილეობდა“ ინგლისელებთან ომში. ის ღარიბებისგან იაფად ყიდულობდა იალქნიან ნავებს და მათი საშუალებით პროდუქტებს აწვდიდა ამერიკის არმიას, რომელიც ქალაქის ირგვლივ იყო განლაგებული.

1829 წელს ვანდერბილტმა თავისი პირველი ხომალდი იყიდა და ძალიან მალე მდინარე ჰუდსონის ჭეშმარიტ მეფედ იქცა. ის ყველაზე ნაკლებ საფასურს იღებდა სატრანსპორტო მომსახურებაში და უმოკლეს ხანში მრავალრიცხოვანი კონკურენტი გააკოტრა. კომოდორი ტყუილუბრალოდ არც ერთ დოლარს არ ხარჯავდა და კვლავ სიღარიბეში განაგრძობდა ცხოვრებას. მთელ გამომუშავებულ თანხას კი თავისი სამდინარო მონოპოლიის გაფართოებას ახმარდა. რამდენიმე წელი გავიდა და ვანდერბილტის კომპანიამ ურთიერთკავშირი დაამყარა ახალი ინგლისის, შემდეგ კი კალიფორნიის ყველა მსხვილ პორტთან — თანაც არა პანამის, არამედ ნიკარაგუის გავლით, რამაც 3 დღის ეკონომიის ანუ ფასების კიდევ უფრო შემცირების საშუალება მისცა. და კომოდორს კვლავ ძალზე გაუმართლა: სანფრანცისკოში რეისების დანიშვნა „ოქროს ციებ-ცხელების“ პიკს დაემთხვა — ათასობით მომავალი ოქროსმაძიებელი ყიდულობდა ბილეთს მის გემზე, რომ კლონდაიკამდე მიეღწია.

ბოლოს და ბოლოს, 1846 წლის ერთ მშვენიერ დღეს, კორნელიუს ვანდერბილტმა რამდენიმე ყლუპი ვისკი მოსვა და ამით აღნიშნა თავისი პირველი მილიონი. თუმცა მოსვენება მაინც არ ეწერა: მალე ორმა ცბიერმა კომპანიონმა კომოდორის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო და ხელიდან გამოჰგლიჯა მას კონტროლი ტრანზიტზე, რომელიც უზრუნველყოფდა რეისებს კალიფორნიაში. სწორედ მაშინ წარმოთქვა განრისხებულმა ვანდერბილტმა თავისი ერთადერთი ფრთიანი ფრაზა: „არა, მე სასამართლოს არ მოგიწყობთ — კანონი ძალზე ნელა მოქმედებს. მე უბრალოდ... მოგსპობთ“. და მოსპო კიდეც. საერთოდ, კომოდორს არ უყვარდა სიტყვების ტყუილუბრალოდ წამოსროლა. როცა მისმა პირველმა ცოლმა — სოფიმ განაცხადა, რომ არ სურდა, მანჰეტენის ახალ, მდიდრულ აპარტამენტებში გადასულიყო სტეიტენ-აილენდზე მდებარე თავისი სახლიდან, კორნელიუსმა მშვიდად მიუგო, რომ თუ არ დაემორჩილებოდა, სულით ავადმყოფთა კლინიკაში მოათავსებდა. თქვა და შეასრულა კიდეც...

ვანდერბილტების გვარის ფუძემდებელი უკვე 70 წლის იყო, როცა „მეორე ახალგაზრდობა“ დაეწყო, როგორც ბიზნესმენს. მხცოვანმა კორნელიუსმა უცებ აიღო ხელი გემების სარფიან ბიზნესზე, მთელი თავისი ფლოტი დაუნანებლად გაყიდა და ახალგაზრდა ავანტიურისტის ენთუზიაზმით, რკინიგზას მოჰკიდა ხელი. მან ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყო — ნიუ-იორკის პირველი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით. სულ რამდენიმე წელმა განვლო და ამერიკამ თითქმის სრულიად დაივიწყა ვანდერბილტის გემები — ამერიკა უკვე მისი მატარე-

ბლებით მგზავრობდა, ნიუ-იორკიდან — ჩიკაგომდე და კიდევ უფრო შორს, კანადაში.

კომოდორი უბრალოდ, ამერიკული ოცნების განსახიერებად როდი იქცა — მან ამას ორჯერ მიაღწია: 50 წლისამ და 70-სამ, ოღონდ, პირველ შემთხვევაში მან თავისი პირველი მილიონი იშოვა, მეორედ კი — მეასე. მისმა უფროსმა შვილმა, უილიამ ჰენრიმ მემკვიდრეობით ზუსტად 100 მილიონი დოლარი მიიღო. ერთი მილიონი ნეშვილის ცენტრალურ უნივერსიტეტს (ტენესის შტატში, ამჟამად ვანდერბილტის უნივერსიტეტი) ერგო, კომოდორის დანარჩენ შვილებს მამისგან ერთი ცენტიც კი არ მიუღიათ: განსვენებული პატრიარქი მტკიცე პრინციპების მომხრე იყო, რომლის მიხედვითაც, მთელი კაპიტალი, მისი მთლიანობის დაცვის მოსაზრებით, პირველ შვილს უნდა რგებოდა.

თუმცა, კომოდორი ერთხანს ძალზე უკმაყოფილო იყო თავისი მემკვიდრით. მას უილიამი სავსებით უნიჭოდ მიაჩნდა კომერციულ საქმიანობაში, დარწმუნებული იყო, რომ მის ვაჟიშვილს არასაკმარისად ჰქონდა განვითარებული დაგროვების ინსტინქტი და არც ბიზნესმენის გეშით გამოირჩეოდა. მაგრამ ბილმა მალე დაუმტკიცა მამას, რომ გვარისა და სანუკვარი მილიონების ღირსეული მემკვიდრე იქნებოდა. კომოდორმა 19 წლის ასაკში მას პატარა ფერმა გამოუყო სტეიტენ-აილენდზე და შესთავაზა, იქიდან რაიმე მოგება მაინც მიეღო. ბილი, ახალგაზრდა ცოლთან ერთად გაემგზავრა ფერმაში და მალე მამას პირველი ამონაგები გაუგზავნა. კომოდორს დიდხანს არ სურდა დაეჯერებინა „დოყლაპია ბილის“ წარმატება და მამასა და შვილს შორის თავისებური პაექრობა დაიწყო: მამამ შვილს ფერმა ჩამოართვა და სტეიტენ-აილენდის ყოველმხრივ წმგებიანი რკინიგზის მართვა დაავალა. მემკვიდრემ არა მარტო გაკოტრებისგან იხსნა კომპანია, არამედ მამას მისი გაფართოების ძალზე ჭკვიანური პროექტიც შესთავაზა. რამდენიმე დღის შემდეგ, კორნელიუს ვანდერბილტმა შვილი თავისი იმპერიის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა.

უილიამ ჰენრიმ მამაზე მხოლოდ 9 წლით მეტი იცოცხლა. ამ პერიოდში მან ზუსტად იმდენი ფული იშოვა, რამდენიც უფროსმა ვანდერბილტმა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე და კომოდორისგან მიღებული მემკვიდრეობა გაორმაგა. უილიამის უცაბედი გარდაცვალების შემდეგ, ვანდერბილტების საოჯახო კაპიტალი 200 მილიონ „ძველ“ დოლარს შეადგენდა ანუ 3,3 მილიარდ დოლარს, დღევანდელ კურსზე გადაანგარიშებით. ამ მომენტიდან, ვანდერბილტების ოჯახისთვის დასრულდა ფულის მიზანმიმართული დაგროვების ეპოქა — მომდევნო თაობები მხოლოდ პატრიარქების მიერ დაგროვილი ქონების ფლანგვით იყვნენ დაკავებულნი.

„ვანდერბილტების ოჯახის ბევრი მამაკაცი დათრგუნვილად გრძნობდა თავს საკუთარი გიგანტური ქონების გამო. ეს იყო ასეულობით მილიონის ხანა, რაც არანაირი

ვანდერბილტების გვარის ფუძემდებელი უკვე 70 წლის იყო, როცა „მეორე ახალგაზრდობა“ დაეწყო, როგორც ბიზნესმენს...

გადასახადით არ იბეგრებოდა. ეს იყო მეფეთა ცხოვრების სტილი“, — წერდა ალფრედ ვანდერბილტ-უმცროსი, კომოდორის შვილთაშვილი.

ისინი რვანი იყვნენ: ოთხი ბიჭი და ოთხი გოგო. ბავშვობაში დიდად მეგობრობდნენ, ხოლო როცა გაიზარდნენ — ბრძოლა გააჩაღეს. არა, ისინი მამისეული მილიონებისთვის როდი იბრძოდნენ, არც საგვარეულო რკინიგზის იმპერიის მართვის უფლებისთვის — ისინი ლამობდნენ, სახლების მდიდრულობით, ქორწილების ბრწყინვალებითა და ქალების თვალისმომჭრელი ჩაცმულობით დაეჩრდილათ ერთმანეთი.

ბრძოლა სასახლეებიდან დაიწყო. უილიამის უფროსმა ვაჟმა — კორნელიუს მეორემ ბრეიკერსის ცნობილ მამულში ისეთი სახლი წამოჭიმა, რომელიც ფართობით რამდენჯერმე აღემატებოდა თეთრ სახლს. მისმა უმცროსმა ძმამ — ჯორჯ ვაშინგტონ ვანდერბილტმა გამოწვევას იმით უპასუხა, რომ ამერიკა განაცვიფრა ბილტმორში აშენებული სასახლით. მასში 200 ოთახზე მეტი იყო. ბილტმორის სასახლის შემქმნელი, არქიტექტორი რიჩარდ მორის ჰანტი, რომელიც ჭკუას კარგავდა შუა საუკუნეების ფრანგულ არქიტექტურაზე, საგანგებოდ ეწვია რამდენიმე ციხესიმაგრეს ლუარის ველზე და თავისი ახალი ქმნილება ათეულობით პატარა კოშკით, ბასტიონით, შპილითა და ფლიუგერით დაამშვენა. ჰანტი თითქმის ვანდერბილტების კარის არქიტექტორად იქცა: ის უშენებდა მათ სახლებს მანჰეტენზე, მანვე აღმართა მათი საოჯახო მავზოლეუმი სტეიტენ-აილენდზე. იულიამ ვანდერბილტის მესამე შვილს — უილიამ კისამ ვანდერბილტს ძმებთან სტუმრობის შემდეგ, შეუძლებელი იყო, მონაწილეობა არ მიეღო ამ შეჯიბრებაში: ჰოდა, მალე აშენდა საუკუნის დასაწყისის ამერიკული არქიტექტურის კიდევ ერთი სასწაული — მარმარილოს სახლი ნიუ-პორტში.

ინფორმაცია ვანდერბილტების ოჯახის შესახებ თითქმის ყოველდღიურად იბეჭდებოდა პრესის პირველ გვერდებზე — ჯერ ბულვარულ პრესაში, რუბრიკით — „მდიდართა უცნაურობანი“, შემდეგ კი სოლიდურ ელიტურ ჟურნალებში. ვანდერბილტები უკვე არ იყვნენ მეტიჩრები, რომელთაც ამრეზით ექცეოდნენ ამერიკის მდიდართა უფრო „ძველი“ გვარების წარმომადგენლები — მორგანები, ასტორები და სხვები. ნიუ-იორკის მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში გარდამტეხ მომენტად იქცა „ორთქლმავლის ბარონის“ — ვანდერბილტის ნაშიერების კოსტიუმირებული მეჯლისი, რომელიც 1883 წელს გამართა უილიამ კისამის ახალგაზრდა ცოლმა ელვამ — ძალზე ამბიციურმა არსებამ, რომელმაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი ოჯახის სოციალური იმიჯის განმტკიცებას.

რა თქმა უნდა, ელვას თავის მეჯლისზე არავინ მიუწვევია პატივმოყვარე ასტორებიდან და ძლიერ გაოცდა, როცა თვითონ დედაბერმა ასტორმა გაუგზავნა შიკრიკი დაჟინებული თხოვნით, რომ ერთი მოსაწვევი მისი ქალიშვილისთვისაც შეენახა. მისის ვანდერბილტისთვის ეს გამარჯვება იყო!.. თვითმხილველთა ცნობით, ამ საღამოზე ის ვენეციელი პრინცესის კოსტიუმში იყო გამოწყობილი და ნამდვილ ტრიუმფატორს ჰგავდა.

ვანდერბილტები ფაქტობრივად, XX საუკუნის პირველ მულტიმილიონერებად იქცნენ მათ შორის, ვინც „კეთილშობილი წრიდან“ არ იყო გამოსული. საუკუნის დასაწყისში ისინი დიდი უპირატესობით ლიდერობდნენ ახალი სამყაროს ყველაზე ცნობილი გვარების სიაში. ჰენრი ჯეიმსი და ედიტ უორტონი — ნიუ-იორკელი მაღალი კლასის ყოფა-ცხოვრების უდიდესი აღმწერელნი მათ თავიანთი ლიტერატურული პერსონაჟების პროტოტიპებად ირჩევდნენ. მოდური ჟურნალების მიხედვით, მათი ცხოვრება ამერიკელ ღვთაებათა მითს ჰგავდა. მაგრამ დადგა საშინელი 1913 წელი და ზღაპარი დასრულდა... ამერიკაში საშემოსავლო გადასახადები შემოიღეს. სახელმწიფო აპირებდა ხაზინა თავის ყველაზე შეძლებული მოქალაქეების ხარჯზე შეევსო — ამიერიდან, მხოლოდ მამულ ბრეიკერსის შესანახად, წელიწადში თითქმის ნახევარი მილიონი დოლარის გადახდა უწევდათ. მერე რა მოხდა, ვანდერბილტებს ჯერ კიდევ შეეძლოთ, ასეთი ხარჯების გაღების უფლება მიეცეთ საკუთარი თავისთვის...

ისინი ერთმანეთის დაჯაბნას ცდილობდნენ არა მარტო სასახლეებისა და მასკარადების ბრწყინვალებითა და მდიდრულობით, არამედ... შვილების სიმრავლითაც. მარტო უილიამ კისამ ვანდერბილტს 7 შვილი ჰყავდა, მის ორივე ძმას — ცოტა ნაკლები. XX საუკუნის დასაწყისში მათ სასახლეებში ათეულობით პატარა განებივრებული „ვანდერბილტუკა“ იზრდებოდა. 20-იან წლებში ყველა მათგანი მშობლიური სახლებიდან ნიუ-იორკის მაღალ საზოგადოებაში გაფრინდა და ყველგან — სალონებში, თეატრებში, დოღზე — მათ თან სდევდათ ძვირფასეულობის ბრწყინვალება და გარშემო მყოფთა აღტაცებული ჩურჩული. მაგრამ საოცარია, მათ შორის არც ერთი არ იყო მზად, თავი რკინიგზებისა და ფინანსური სპეკულაციებისთვის მიეძღვნა, როგორც ამას დინასტიის ფუძემდებლები აკეთებდნენ. ჰაროლდ სტირლინგი (უილიამ კისამისა და ულამაზესი ელვას

შვილი) საიალქნო სპორტმა გაიტაცა და თითქმის ნახევარი ცხოვრება თავისი უამრავი იახტის გემბანებზე გაატარა; მისი ბიძაშვილის — რეჯინალდის ცხოვრების ინტერესები კი, სულაც „სკოჩი“ ბოთლის ვიწრო ყელში მოექცა, 20 წლის განმავლობაში 25 მილიონი დახარჯა და 44 წლისა, ალკოჰოლიზმისგან გარდაიცვალა, თანაც თავშეუკავებლობისა და გინების თავისებური რეკორდი დაამყარა.

წავიდა ის დრო, როცა ვანდერბილტების გვარის წარმომადგენელი ყმაწვილი სრულწლოვანების მიღწევისთანავე ავტომატურად ხდებოდა ნიუ-იორკის ცენტრალური რკინიგზის ვიცე-პრეზიდენტი. ახალი თაობა ყველაფრით იყო დაკავებული, ოღონდ არა ოჯახური ქონების მოვლა-პატრონობითა და კაპიტალის გაზრდით. მამამისისა და პაპამისის მსგავსად, ჰაროლდ სტირლინგიც ყველა ამერიკულ ენციკლოპედიაში მოხვდა. მაგრამ უკვე არა როგორც „ნაციონალური ეკონომიკის ბურჯი“, არამედ სულ რაღაც... პოპულარული თამაშის — „კონტრაქტ-ბრიჯის“ გამომგონებელი და ამერიკის თასის სამგზის მფლობელი საიალქნო სპორტში. მისი და — კონსუელოც ყოველი ამერიკელისთვის იყო ცნობილი — მაგრამ ისევ და ისევ საკმაოდ უჩვეულო კუთხით: მთელი ამერიკა თვალცრემლიანი ადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას და განიცდიდა ამ ქალის ტანჯვა-წამებას, რომელიც იძულებული იყო, მისთვის საძულველ ჰერცოგ მალბოროს გაჰყოლოდა ცოლად. ვანდერბილტების საგვარეულოს მომხიბვლელი პრინცესა მხოლოდ 17 წლის იყო, როცა უგონოდ შეუყვარდა ვიღაც იდუმალი ბატონი, რომელიც თავის წერილებს ინიციალებით M.R. აწერდა ხელს. მისი სახელი კონსუელომ ბოლომდე საიდუმლოდ შეინახა. თუმცა ბატონ M.R.-ის ყოველ სასიყვარულო წერილს ქალიშვილის დედა კითხულობდა და შემდეგ თვითონვე წვავდა ბუხრის ცხელ ალში. საქმე ისაა, რომ დედა — ამბიციური ლედი ელვა უკვე დაჰპირდა ქალიშვილის ხელს, 40 წლის ჰერცოგ მალბოროს. უბედურმა ქალიშვილმა სცდა, თვითონვე მოწყო თავისი პირადი ცხოვრება და საიდუმლოდ დაინიშნა კიდეც თავის შეყვარებულზე. მაგრამ დედამისმა კერძო დეტექტივის სამსახურის მეშვეობით შეიტყო ამის შესახებ. ნიშნობა გაუქმებულად გამოცხადდა. „მოვკლავ შენს საყვარელს და როცა სახრჩობელაზე ამიყვანენ, შენ იქნები ამაში დამნაშავე!“ — კბილებში გამოცრა დედამ და ერთი კვირის შემდეგ, საბრალო კონსუელო ლონდონში წაიყვანა. სწორედ იქ წარუდგინეს იგი მომავალ მეუღლეს. ჰერცოგი ჩარლზ მალბორო ვერ მიმხვდარიყო, რატომ გამოცხადდა პატარძალი ტაძარში ტირილისგან დასივებული თვალებით. ჯვრისწერიდან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ განუცხადა კონსუელომ ჰერცოგს, რომ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მისთხოვდა. „მე მიყვარს და მუდამ მეყვარება სხვა ადამიანი“, — უთხრა მან ჩარლზს.

ცოლ-ქმარი 1920 წელს განქორწინდა, მას შემდეგ, რაც 15 წელი იცხოვრა ცალცალკე. მიუხედავად იმისა, რომ ორი შვილი ჰყავდათ, მაინც ვერ შეძლეს ოჯახის შენარჩუნება. საბრალო კონსუელოს ბედნიერება დედის ამბიციებს ემსხვერპლა — ელვა ვანდერბილტი ყოველთვის ოცნებობდა თავადის ტიტულზე...

მსგავსი ბედი ხვდა წილად ვანდერბილტების თითქმის ყველა ქალიშვილს: 20-იან, 30-იან წლებში სწრაფად გაიზარდა ოჯახის ნათესაური კავშირები არა მხოლოდ ევროპის არისტოკრატიასთან, არამედ ახალი სამყაროს მილიონერთა კლანებთანაც. ჰერტრუდა ვანდერბილტი — კორნელიუს მეორის ქალიშვილი ცოლად გაჰყვა თამბაქოსა და ნავთობის მეფე უილიამ უიტნის; მისმა უმცროსმა დამ გლედისმაც თავისი წვლილი შეიტანა გვარის პრესტიჟის განმტკიცებაში — მან თავისი ბედი უნგრელ გრაფ ჟეჩენის დაუკავშირა.

30-იანი წლების შუახანებში ამერიკაში უკვე რამდენიმე ათეული მილიონერი იყო, რომლებიც ვანდერბილტის გვარს ატარებდა. თუმცა, ბიოგრაფების ერთსულოვანი აზრით, არც ერთი მათგანი არ ყოფილა ჭეშმარიტად ბედნიერი: რაღაც ავი ბედისწერა სდევდა თან მეოთხე თაობის ყველა წარმომადგენელს. კორნელიუს მესამემ (კორნელიუს მეორის უფროსი ვაჟი) მამის ნების საწინააღმდეგოდ, ცოლად მოიყვანა „ძალზე ენაჭარტალა“ გრეის უილსონი და უფლება დაკარგა უზარმაზარ მემკვიდრეობაზე. მისი ძმა უილიამი 21 წლისა გარდაიცვალა მუცლის ტიფით. მეორე ძმა — ალფრედი დაიღუპა გემზე — „ლუზიტანია“, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანელთა ტორპედომ ჩაძირა. მან უარი თქვა ნავში ჩაჯდომაზეც და მაშველ ჟილეტზეც. ეს 1915 წელს მოხდა, სულ რაღაც 3 წლის შემდეგ „ტიტანიკის“ დაღუპვიდან. მაშინ, 1912 წლის აპრილში, ალფრედ ვანდერბილტმა „ტიტანიკის“ წყალში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე თქვა უარი დასაღუპავად განწირული ხომალდით მგზავრობაზე... შესაძლოა, რაღაც ცუდი წინათგრძნობა აწუხებდა და ამ „მეექვსე გრძნობამ“ მას კიდევ 3 წლის სიცოცხლე აჩუქა. მაგრამ ბედისწერას ვერსად გაექცევი: სიკვდილი ალფრედ ვანდერბილტს მაინც გემბანზე ეწია. სხვა მრავალი ჯენტლმენის მსგავსად, რომლებიც „ლუზიტანიის“ ბორტზე იმყოფებოდნენ, ვანდერბილტმაც თავისი მაშველი ჟილეტი მეხუთე კლასის მგზავრ ქალს დაუთმო... ლაინერის დაღუპვიდან ერთი დღის შემდეგ, მეთევზეებს მგზავრთა გვამები გამოჰქონდათ წყლიდან. ყოველი დამხრჩვალისთვის თითო გირვანქა სტერლინგი იყო დანიშნული. მხოლოდ უბედური ალფრედ ვანდერბილტისათვის იყვნენ მზად ნათესავები, 10 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაეხადათ. მაგრამ მისი გვამი ვერ იპოვეს...

მისი ბიძაშვილი ფრედერიკი, რომელიც მთელი ცხოვრება მემკვიდრეზე ოცნებობდა, უშვილოდ გადაეგო და 77 მილიონი დოლარი თავისი ცოლის დისშვილს უანდერძა. ახლა უკვე გაკოტრება, ალკოჰოლიზმი, სქესობრივი გარყვნილება თუ ოჯახური სკანდალებიღა აქცევდა მათ საგაზეთო სტატიების გმირებად. ძალიან მალე ვანდერბილტებს უკვე აღარ უწოდებდნენ „ამერიკული ოჯახის ნიმუშს“.

ამ საქმეში უდიდესი როლის შესრულება ეწერა ქალს, რომელსაც სახელად გლორია მორგან-ვანდერბილტი ერქვა. მამამისი — ბანკირი მორგანი ბედნიერი იყო, შვილი რეჯინალდ ვანდერბილტს რომ გააყოლა ცოლად. მილიონინანი კაპიტალები ერთმანეთს იზიდავდა „დოლარების გრავიტაციის“ კანონით. რეჯინალდ ვანდერბილტი ქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა და მისი ახალგაზრდა ცოლი მარტო დარჩა 2 წლის ქალიშვილთან ერთად.

„პატარა გლორიას“ არც უფიქრია ვინმეს შებრალება — მას შურისძიება სწყუროდა

19 წლის გლორია მორგან-ვანდერბილტს ცოტა ხანს ემოსა ძაძები, თავისი პაწია პირმშო მან მალე ძიძების მზრუნველობას მიანდო და თავად ევროპაში გაემგზავრა, სადაც ე.წ. „მხიარულ ქვრივად“ იქცა — შესაძლოა, ყველაზე „მხიარულად“ შეერთებული შტატების ისტორიაში.

იმ ფულით, რომელიც სატრასტო ფონდიდან ერიცხებოდა (ფონდი ვანდერბილტის ნათესავებმა დააარსეს მისი მცირეწლოვანი ქალიშვილისთვის), გლორია ხელგაშლილად მოგზაურობდა ძველ სამყაროში და მრავალრიცხოვან წვეულებებს მართავდა საუკეთესო სასტუმროებში, ლონდონიდან — მონტე-კარლომდე. მის შესახებ განუწყვეტლივ იწერებოდა გაზეთებში, ქვეყნდებოდა ქვრივის ფოტოსურათები, რომლებზეც ქალბატონი ხან ძვირად ღირებულ ბეწვეულში იყო გამოწყობილი, ხან პილოტის კოსტიუმში. ბევრი ჟურნალისტი ამ ქალს აშკარად უწოდება ნიუ-იორკის გარყვნილი საზოგადოების სიმბოლოს. თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გლორია მორგან-ვანდერბილტმა სასამართლოს დარბაზებში გაატარა — ჯერ ბიწიერი სასიყვარულო ურთიერთობის ბრალდებით ინგლისელ მარკიზასთან, ნადეჟდა მილფორდ-

ჰეიკენთან, შემდეგ კი — მოპასუხის როლში, საქმეში, რომელიც მისმა უკვე წამოზრდილმა ქალიშვილმა აღძრა, სხვათა შორის, მის ქალიშვილსაც გლორია ერქვა.

1934 წლის შემოდგომის ერთ დღეს, ჰერტრუდა ვანდერბილტ-უიტნის ნაცრისფერი „როლს-როისი“ მანჰეტენის ერთ-ერთ ქუჩაზე სასამართლოს შენობის წინ გაჩერდა. ლიმუზინიდან 10 წლის ტანსრული გოგონა გადმოხტა. სახე ნამტირალევი ჰქონდა. უკვე რამდენიმე კვირა იყო, რაც ამ სახის ნახვა ყოველდღე შეიძლებოდა გაზეთების ფურცლებზე. „საბრალო მდიდარი ბავშვი“ — ასე შეარქვეს მას რეპორტიორებმა.

გოგონას ყურადღება არ მიუქცევია ფოტოაპარატთა ხშირი ჩხაკუნისთვის და მტკიცე ნაბიჯით გასწია კარისკენ. პოლიციელთა მრავალრიცხოვანი კორდონი ძლივს იმაგრებდა ჟურნალისტთა და უსაქმურთა ბრბოს, რომელიც უკვე რამდენიმე საათის განმავლობაში ელოდა ბავშვს და ახლა კი ყვირილით შეეგება: „პატარა გლორია, შეიბრალე დედაშენი!“ მაგრამ „პატარა გლორიას“ არც უფიქრია ვინმეს შებრალება — მას შურისძიება სწყუროდა. „მე უბრალოდ, ვერც კი გავიგე, რას ნიშნავს მშობლები“, — დაწერს ის 60 წლის შემდეგ თავის წიგნში — „ერთხელ“, რომელიც ამ გახმაურებულ პროცესს მიეძღვნა. „მამაჩემი მაშინ გარდაიცვალა, როცა ორი წლისაც არ ვიყავი. დედას თითქმის მთელი დღის განმავლობაში ეძინა, ხოლო როცა ფხიზლობდა, მაშინ საათობით იწვა აბაზანაში ან საღამოს, სტუმრების მისაღებად იმოსებოდა. თვეობით ვერ ვხვდებოდი მას.“ დედის ნაცვლად, გლორიას ურთიერთობა ძიძასთან და მამიდასთან, ჰერტრუდა ვანდერბილტ-უიტნისთან ჰქონდა. სწორედ მან დაითანხმა გოგონა, შინიდან გაქცეულიყო და მშობელი დედისთვის სასამართლოში ეჩივლა.

მამიდა ჰერტრუდამ მშვენივრად იცოდა, რომ როცა გოგონას 21 წელი შეუსრულდებოდა, ის იმ სოლიდური ქონების პატრონი გახდებოდა, რომელიც რეჯინალდ ვანდერბილტმა უანდერძა. — დედაშენი მთელ შენს ფულს დახარჯავს, პატარავ, — კეთილმოსურნედ ჩასჩურჩულებდა მამიდა. — ის გერმანელ პრინცს მისთხოვდება და გაიძულებს, მასთან ერთად გერმანიაში გაემგზავრო. იქ ის შუა საუკუნეების ციხეკოშკში ჩაგკეტავს, რომელიც მიწისქვეშა გასასვლელებითა და მოჩვენებებით იქნება სავსე“.

გლორიას კი სულაც არ უნდა მოჩვენებებთან ურთიერთობა. მას ფული სურდა. ამიტომაც მშვიდობიანად მოიგო პროცესი და საცხოვრებლად მამიდა ჰერტრუდასთან გადავიდა. თავის 21-ე დაბადების დღეზე „პატარა გლორიამ“ 4 მილიონი დოლარი მიიღო. მალე დედამ დაურეკა, შესჩივლა, რომ უჭირს და ფული სთხოვა. „შენს ადგილზე მუშაობას დავიწყებდი“, — მკაცრი, დამრიგებლური ტონით უპასუხა შვილმა.

რაც შეეხება „პატარას,“ მან სწორედაც რომ იცოდა ფულის კეთება და ის ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ახალგაზრდა ვანდერბილტთაგანი გახლდათ, ვინც ცხოვრების მანძილზე უფრო მეტი ფული იშოვა, ვიდრე დახარჯა. მარკა — Miss Vanderbilt — შეიძლება, დღემდე ნახოთ ჯინსებსა და ზეწრებზე, სუნამოებსა და ფაიფურზე. „მე უარს როდი ვამბობ მემკვიდრეობაზე, — ხშირად უყვარდა თქმა გლორია ვანდერბილტს. — უბრალოდ, იმის დახარჯვა უფრო მსიამოვნებს, რაც თვითონ ვიშოვე“.

75 წლის განმავლობაში, ვანდერბილტების გარეშე ვერ ძლებდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისა“ და ჟურნალ „ვოგის“ ვერც ერთი ნომერი: ვანდერბილტები კარნახობდნენ მოდას და ასწავლიდნენ მდიდარ ამერიკას ფულის ხარჯვას, აიძულებდნენ ბოსტონიდან ფილადელფიამდე მცხოვრებ ქალიშვილებს, დაეთვალათ დღეები რომელიმე უილიამის ან კორნელიუსის მორიგ „სანიმუშო-საჩვენებელ“ ქორწილამდე. მაგრამ ჩაცხრა სკანდალები ლესბოსელი გლორია ვანდერბილტ-მორგანის ირგვლივ, დავიწყებას მიეცა აგრეთვე ალფრედ ვანდერბილტის ტრაგიკული სიკვდილი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა, დაბერდა „პატარა გლორია“, ზღვაში აღარ გადიოდა თავისი „რეინჯერით“ ჰაროლდ სტირლინგი... და უცებ გაირკვა, რომ მილიონერები ვანდერბილტებს შორის თითქმის აღარ დარჩნენ. როგორც ალმასის მტვრად გადაქცეული უზარმაზარი ბრილიანტი, დაქუცმაცდა და გაქრა უდიდესი ქონება ამერიკაში.

ძველებურად მდიდრები მხოლოდ იმ ვანდერბილტთა შთამომავლები დარჩნენ, ვინც წინდახედულად მოასწრეს დინასტიური ქორწინებებით დაჰკავშირებოდნენ სხვა ცნობილ ოჯახებს — მორგანებს, უიტნებს, მილიკენებს, ჰეივმაიერებს... მაგრამ „უკანასკნელი მოჰიკანები“ სულ უფრო ცოტანი რჩებოდნენ. მათგან ყველაზე ცნობილი — კორნელიუს ვანდერბილტ-უიტნი (ნათესავები მას სანის ეძახდნენ), ნავთობის მაგნატის — უიტნისა და ჩვენთვის უკვე ცნობილი ჰერტრუდა ვანდერბილტის ვაჟი, 15 წლის წინ გარდაიცვალა თავის სახლში, ნიუ-იორკის შტატში. ორმაგი ხმაურიანი სახელი ამ ადამიანს თვითონ უკვალავდა გზას ცხოვრებაში. მან იმთავითვე ორმაგი კარიერა გაიკეთა: ბიზნესსა და პოლიტიკაში. მსოფლიომ კი იგი ისე დაიმახსოვრა, როგორც ავიაკომპანია „პან ამერიკანის“ დამაარსებელი. გარდა ამისა, ის წარმატებით მუშაობდა პრეზიდენტ ტრუმენის აპარატში, დოღის ცხენების მოშენებას მისდევდა და ფილმის — „ქარწაღებულნი“ — მთავარი სპონსორი გახლდათ. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ შვილები და შვილიშვილები ყოველთვის ვერ ახარებდნენ ბებერ სანის, მათ შორის ბევრი პლეიბოი და ნარკომანი, მუსიკოსი და „მიკ ჯაგერის საუკეთესო მეგობარი“ იყო. აი, სერიოზული ბიზნესმენი კი, რომელსაც იმის უნარი ექნებოდა, მემკვიდრეობით მიეღო ნავთობის, რკინიგზისა და საავიაციო კომპანიები, ვერ მოიძებნა...

დღეს ვანდერბილტებს აღარ ემეჯლისებათ — ისინი თავგამოდებით იბრძვიან ყოველი სახლისთვის, ყოველი „როლს-როისისათვის“, რენუარის თითოეული ნახატისთვის მათი დიდი წინაპრის კოლექციიდან. და სამწუხაროდ, თანდათან თმობენ პოზიციებს. ადგილ-მამული ბრეიკერსი — ოჯახის სიამაყე და „მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება“ — უკვე კარგა ხანია, იყიდა ნიუ-პორტის ძეგლის დაცვის საზოგადოებამ.

სიდიდით მეორე სასახლე ბილტმორი ჯერ კიდევ ოჯახს ეკუთვნის: მისთვის შეუპოვრად ებრძოდა სახელმწიფოს უილიამ ემჰერსტ ვანდერბილტ-სესილი. „განსვენებული ჯორჯ ვაშინგტონ ვანდერბილტი, რომელმაც XX საუკუნის ბოლოს ააშენა ეს სახლი, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საუკუნის შემდეგ, ყოველდღიურად 700 ათასზე მეტი ტურისტი ისარგებლებდა მისი მოოქრული უნიტაზებით“, — თქვა ერთხელ ბატონმა სესილმა, რომელმაც ბილტმორი ნამდვილ ტურისტულ ცენტრად აქცია — სუვენირების მაღაზიებით, ბარებით, კაფეებით, ექსკურსიებით. ამ ათიოდე წლის წინ, სესილმა ბოლოს და ბოლოს, მიიღო კიდეც თავისი პირველი შემოსავალი — 16 დოლარი. „ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე ყოველწლიურად 250 ათასის ხარჯვა მხოლოდ გადასახადებსა და 225 ოთახის გათბობაზე“, — კმაყოფილებით ამბობს ბილტმორის ახლანდელი მფლობელი. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც არ მოეწონა ადგილ-მამულის კომერციული მიზნებისთვის გამოყენება, უილიამ სესილის ღვიძლი ქალიშვილი დიანა პიკერინგია. ის ხომ ბავშვობდან ოცნებობდა, სასახლის ყველაზე დიდ დარბაზში საკუთარი ქორწილი მოეწყო, ხელმომჭირნე მამილომ კი, უარი თქვა თუნდაც ერთი დღით ტურისტებისთვის შენობის დაკეტვაზე...

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რომელიმე ვანდერბილტი უცვლელად ედგა სათავეში ამერიკის უმდიდრეს ადამიანთა სიას. მაგრამ ის დრო ისტორიას ჩაჰბარდა. დღეს ისინი ჟურნალ „ფორბსის“ მიერ დასახელებულ 400 უმდიდრეს ადამიანთა შორისაც კი ვერ ხვდებიან, ხოლო ელიტურ გამოცემებს თითქმის ისიც კი დაავიწყდათ, როგორია ოდესღაც სახელგანთქმული გვარის სწორი ორთოგრაფია. გვარი კი უკანასკნელი რამაა, რაც მამაპაპისეული დიდებული მემკვიდრეობიდან შემორჩა რამდენიმე ასეულ ჩვეულებრივ თანამედროვე ამერიკელს. რომლებიც ქვეყნის 50-ივე შტატში მიმოფანტულან. მათგან ცოტა თუ იცნობს თავის უამრავ ნათესავს სახით ან თუნდაც სახელით, მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს კომოდორის საერთო სისხლის მცირედი პროცენტი. თუმცა, ვინ იცის — იქნებ, ძლევამოსილი გენი კიდევ გამომჟღავნდეს — რომელიმე კორნელიუს X დროულად სთხოვს დედამისს ვალად 100 დოლარს და მსოფლიო კვლავ ალაპარაკდება შეშლილ ვანდერბილტებზე — დიდ შემგროვებლებსა და დიდ მფლანგველებზე.

■

ეკა მინდაძე

მომღერალმა დათო ფორჩხიძემ მომავალი მეუღლე ხატია ნარაკიძე მეგობრების წრეში გაიცნო. უკვე 5 წელია, რაც ერთად ცხოვრობენ. ჰყავთ ულამაზესი ქალიშვილი ნანუკა, რომელიც მამას ჰგავს. როგორი მამა და მეუღლეა ან რა პრეტენზია აქვს ხატიას მის მიმართ, — ყოველივე ამაზე და საერთოდ, მათი ოჯახური ცხოვრების შესახებ სასაუბროდ შინ ვესტუმრე.

ხუ წაეჩხუბებით მეუღლეებს მშობლების გულის მოსაგებად

— გაიხსენეთ თქვენი პირველი პაემანი?

ხატია:

— ჩვენ პაემანი არ გვქონია *(იცინის)*, ალბათ იმიტომ, რომ არარომანტიკულები ვართ.

— როგორი შეყვარებული იყო დათო?

დათო:

— აბა, ხატია თქვი, როგორი ვიყავი...

ხატია:

— ყველაზე ჩვეულებრივი.

დათო:

— ამით იმის თქმა სურს, რომ მე მისთვის ამწეკრანით აივნიდან ვარდები არ მიმირთმევია და არც არასოდეს ჩამიდენია საგმირო საქმეები...

— თუ დაგიწერია ოდესმე ხატიასთვის სიმღერა ან ლექსი?

— ეს კითხვა ჩემთვის იმავეს ნიშნავს, სტომატოლოგს რომ შეეკითხო — მეუღლისთვის პლომბი თუ გაუკეთებია. არ დაიჯერო, რომ რეალურ ცხოვრებაში დიდი რომანტიკოსები არიან ისინი, ვინც რომანტიზმით სავსე ნაწარმოებები შექმნეს, სიყვარულზე სიმღერას წერენ და შეყვარებულს უმღერიან. მე ვერ ვკადრებ ჩემს მეუღლეს, რომ ლექსი დავუწერო.

— მაგრამ ადრე ხომ ეს მამაკაცისთვის სიყვარულის ახსნის ერთ-ერთი საშუალება იყო!

— მესმის, მაგრამ დღეს სხვა დროა. მართლაც, ძალიან რეალური დროა, ამიტომაც ზღაპრების არავის სჯერა. ის, რომ მე ხატია მიყვარს და მისი გულისათვის ყველაფერს გავაკეთებ — ეს მისთვის მთელი პოემაა...

— გაიხსენე, შენმა მომავალმა მეუღლემ პირველად საჩუქრად რა მოგართვა?

— ვერ იხსენებს *(იცინის)*...

ხატია:

— აბა, რა გავიხსენო...

— ყვავილების მორთმევა თუ უყვარს?

— არა. ალბათ, იმიტომ, რომ მან იცის — მეც არ მიყვარს ყვავილი.

დათო:

— მე ცხოვრებას რეალურად ვუყურებ. მესმის, რომ ყველა ადამიანს უხარია საჩუქარი. ჩვენც ვუძღვნით ხოლმე ერთმანეთს საჩუქრებს, მაგრამ ვფიქრობ, ერთმანეთისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი მაინც სიყვარულია.

— ერთმანეთის რა თვისებებმა მოგხიბლათ?

ხატია:

— რა ვიცი, რა გითხრა.

დათო:

— არაფერი მოგეწონა, ხომ, ჩემში?..

ხატია:

— კარგი, ვიტყვი. მაგრამ ხომ იცი, არ მიყვარს შენი ქება. პირველად, გარეგნობით მომეწონა.

დათო:

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მომეწონა ხატიაში, მთავარია, რომ ჩვენ ერთმანეთში აღმოვაჩინეთ ის, რამაც ერთმანეთი შეგვაყვარა. სხვათა შორის, პირველი ნახვისას ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ცოლ-ქმარი გავხდებოდით.

— გაიპარეთ თუ ტრადიციის დაცვით დაქორწინდით?

— მართალია, ხატიას მშობლები დღემდე ფიქრობენ, რომ მათი ქალიშვილი გაიპარა, მაგრამ ასე არ იყო. ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ მაშინ, როცა დავრწმუნდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტეთ ერთად ყოფნა და წავედით ჩემს სახლში. ცოტა ხანში, ხატიას მშობლები და ნათესავები მოგვადგნენ.

ხატია:

— ჩემმა მშობლებმა განიცადეს იმიტომ, რომ მე ძალიან პატარა ვიყავი.

დათო:

— ძალიან პატარას, 18 წლის ასაკს ეძახის. ალბათ იმიტომ, რომ მე მაშინ 26-ის ვიყავი.

— ქორწილი გადაიხადეთ?

— კი, თბილისშიც დიდი ქორწილი გვქონდა და ბათუმშიც, ხატიასთან.

— თაფლობისთვე სად გაატარეთ?

— არსად. ჯერჯერობით, სამოგზაუროდ არ ვყოფილვართ. ვგულისხმობ, მოგზაურობას საქართველოს საზღვრებს გარეთ.

— ხატიას მზითევში რა მოჰყვა?

— მართალი გითხრა, თავიდან ვერაფერი შევამჩნიე. ერთ წელიწადში კი, შვილი მაჩუქა. ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი მზითვი, ჩემი ქალიშვილი ნანუკაა. ახლა ის 4 წლისაა, სულ მალე, 5-ის გახდება.

— თუ შეგიძლია, გულახდილად თქვათ, რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ ერთმანეთის?

ხატია:

— დათოს უარყოფითი თვისება არის ის, რომ უცებ ფეთქდება და ყვირის მანამ, ვიდრე გაიგებს, რა მოხდა. თუმცა, როგორც უცებ ფეთქდება, ასევე უცებ წყნარდება კიდეც. სხვა უარყოფითი თვისება არ მახსენდება. რაც შეეხება დადებითს — მან იცის ფანტასტიკურად ის, რაც მე არ მეხერხება — ეს არის ბოდიშის მოხდა. დათოს შეუძლია რამის დაშავების შემთხვევაში ძალიან მალე მოიხადოს ბოდიში. მე კი რაც არ უნდა დამნაშავე ვიყო, ბოდიშს არაფრით მოვიხდი. მართალი გითხრა, ჩვენ ერთმანეთს ასჯერ მაინც დავხოცავდით, ის რომ ბოდიშს არ იხდიდეს.

დათო:

— ვა, თურმე ბოდიშს ვიხდი!..



მთავარი მზითვი, ჩემი ქალიშვილი ნანუკაა

ხატია:

— რა, ასე არ არის? ჰო, კიდევ ის ძალიან თბილი ადამიანია.

დათო:

— მე მზად ვარ, ყოველ დილით, ხატია გაიღვიძებს თუ არა, პირველი სიტყვა — „ბოდიში“ ვუთხრა, თუკი მას ეს ახარებს...

— დათო, ხატიას რა უარყოფითი თვისება აქვს?

— ძალიან ჯიუტია, მაგრამ მაინც მიყვარს, ისევე, როგორც მას ვუყვარვარ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფეთქებადი და ნერვიული ვარ....

— ოჯახური საქმეები როგორ არის განაწილებული?

ხატია:

— ოჯახში ქალის საქმესაც მე ვაკეთებ და კაცისასაც. აბა, დათოს არ სცალია და რა ვქნა?!

დათო:

— ქალებს ვერ გაუგიათ, რომ ფულის შოვნა ძალიან ძნელია... ისე, გარეთ უფრო ყოჩაღი ვარ, ვიდრე — სახლში. ოჯახში ნათურასაც ვერ გამოვცვლი. არადა, მამაჩემი ყველაფერს თავისი ხელით აკეთებს, მე კი ამ საქმეში არაფერი გამომდის.

— ნანუკას აღზრდაში თუ მონაწილეობთ?

— კი, როგორ არა. აი, დღეს, მაგალითად, ბავშვი ბაღში წავიყვანე და იქიდან მოვიყვანე.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ოჯახში მამაკაცი უნდა წყვეტდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს?

ხატია:

— არა. ჩვენ ორივეს ერთნაირი უფლებები გვაქვს. ნებისმიერ საკითხს ოჯახში ერთმანეთთან შეთანხმებით ვწყვეტთ.

დათო:

— იცი, რა, რაც ჩემს მეუღლეს გაახარებს, მეც მიხარია. მაგალითად, თუ მას უნდა, რომ გარდერობი გადადგას ერთი ადგილიდან მეორეზე — გადადგას. რა თქმა უნდა, მარტო ამ დონემდე არ დამყავს ქალის გონება. ასევე, შემიძლია, ბავშვის აღზრდაშიც არ ჩავერიო, რადგან ვიცი, ხატია სერიოზულად ზრუნავს ამაზე. მაგრამ არსებობს რაღაც საკითხები, სადაც ჩემი პოზიცია გადამწყვეტია. ჩემი აზრით, მამაკაცი ბევრად უფრო ჭკვიანია, ვიდრე ქალი. თუნდაც ის ავიღოთ, რომ ხატიამ თქვა — ჩვენი ოჯახის შენარჩუნება იმის წყალობით მოხდა, რომ ბოდიშს ვიხდი ხოლმე. ესეც მონმობს იმას, რომ მე ჭკვიანი ვარ: თურმე, ის მზად იყო, ოჯახი დაენგრია, თუ მე ბოდიშს არ მოვუხდიდი *(იცინის)*... საერთოდ, ჩემთვის პრობლემა არ არის — თუ ხატიას აზრი ჭკვიანური იქნება, მაქვს იმის უნარი, რომ დავეთანხმო და ბევრჯერ გამიკეთებია კიდეც ეს.

— ეჭვიანობთ თუ არა ერთმანეთზე?

— ეჭვიანობა ნაღდად არ მახასიათებს, იმიტომ, რომ ხატია ძალიან ერთგულია. მგონი, არც ხატიამ უნდა იეჭვიანოს ჩემზე. მთელი დღე სტუდიაში ვარ და არც დრო მაქვს და არც სურვილი რესტორანში ან ქალებში წასვლის. ერთადერთი, ფეხბურთის თამაში მიყვარს მეგობრებთან ერთად და ისიც ანერვიულებს ხატიას — ანუ ისე ვუყვარვარ, რომ უჩემოდ ყოფნას ვეღარ იტანს *(იცინის)*...

ხატია:

— მე არანაირად არ მაქვს ეჭვიანობის მიზეზი. ერთადერთი, რაზეც შეიძლება ვიეჭვიანო, ეს ფეხბურთია. იმიტომ, რომ ვერ ვიტან ფეხბურთს. ჩვენ ქრონიკულად ვჩხუბობთ ამის გამო. სხვა საეჭვიანო არაფერი მაქვს.

— მშობლებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ნორმალური. ალბათ იმიტომ, რომ ცალკე ვცხოვრობთ. ჩვენი კამათისთვის რომ ეყურებინათ დათოს ან ჩემს მშობლებს, შეიძლება, ისინიც ჩარეულიყვნენ, რაც საბოლოოდ, ოჯახის დანგრევას გამოიწვევდა. მე და დათო ერთ წუთში თუ ვკამათობთ, მეორე წუთში ვრიგდებით. მესამე პირი კი სიტუაციას უფრო დაძაბავდა.

დათო:

— საქართველოში რატომღაც მოდაშია ის, რომ გოგოს მშობლები ვერ იტანდნენ ბიჭს და ბიჭის მშობლები — გოგოს. ჩვენ ორივეს ერთმანეთის მშობლებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ეს ალბათ, უფრო იმით არის განპირობებული, რომ ჩვენ ცალკე ვცხოვრობთ. ვცდილობ, ჩემი შრომით ვარჩინო ოჯახი და არავის კისერზე არ ვიყო ჩამოკიდებული. ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს ჩემს სიდედრთან და სიმამრთან, მაგრამ მათ „დედას“ და „მამას“ არ ვეძახი. სხვათა შორის, არც ხატია ეძახის ჩემს მშობლებს „დედას“ და „მამას“. ვფიქრობ, რომ ასე ჯობია.

— ხატიას მომზადებული კერძებიდან რომელს გამოყოფ?

— ვერ ვიტყვი, რომ ხატიამ ყველა კერძის გაკეთება იცის, მაგრამ ზოგიერთს მართლაც, გემრიელად აკეთებს. საოცარი ის არის, რომ შეიძლება, მან კვერცხი და კარტოფილი ვერ შეწვას ნორმალურად, მაგრამ ამზადებს გემრიელ ბაჟეს, ბეფსტროგანს, სალათას და ნამცხვარს. გასაკვირია, მაგრამ ეს მართლაც ასეა. ხატიას უფრო რთული კერძების მომზადება ეხერხება.

— გასულ ზაფხულს სად დაისვენეთ?

— ხატია და ბავშვი ჯერ სურამში იყვნენ, ხოლო შემდეგ — ბათუმში მის მშობლებთან. მე მხოლოდ ერთი კვირით მოვახერხე ჩასვლა ბათუმში, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დავისვენე. სხვათა შორის, ვიდრე ბათუმელების სიძე გავხდებოდი, დამსვენებლის რანგში უფრო კარგ დროს ვატარებდი ზღვაზე. 5 წელია, როგორც იქაური, ისე ჩავდივარ და ვერც ერთხელ ვერ დავისვენე იმიტომ, რომ ახლა ბათუმელის ცხოვრებით ვცხოვრობ: ისინი ზღვაზე იშვიათად გადიან და საერთოდ ვერ იტანენ საკურორტო სეზონს. ამიტომ ჩემთვის ერთადერთი გამოსავალი, საქართველოს ფარგლებს გარეთ დასვენებაა. წელს ძალიან გვინდოდა თურქეთში წასვლა, მაგრამ ვერ მოვიცალე. იმედია, მომავალში მოვახერხებთ.

— დაბოლოს, რას ურჩევდით ახალდაქორწინებულებს?

დათო:

— მე ყველას ვურჩევ, რომ არანაირი პრობლემა არ გაუმხილოთ დედას, მამას, დას ან მეზობელს, როგორც ამას ხატია აკეთებდა. ჯობია, ყველა დეტალი თქვენ ორს შორის გაირკვეს, ვიდრე სხვებს გაარჩევინოთ. ნუ წაეჩხუბებით თქვენი მშობლების გულის მოსაგებად მეუღლეებს. გახსოვდეთ, მეუღლე თქვენი ცხოვრების ერთადერთი თანამგზავრია...

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამერიკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები - მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

ბულაკეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. პარაფი; 2. მამული; 3. ბაგირი; 4. ჩირი; 5. აიდა; 6. დონი; 7. უტილიზაცია; 8. ბოდლერი; 9. ლინზა; 10. ლაიკა; 11. აუდი; 12. ბაზილიკა; 13. ლიანდაგი; 14. ასპირინი; 15. პლაფონი; 16. მიტენი; 17. ზეტა; 18. დაცანი; 19. აგონია; 20. ჰავაი; 21. ფიცარი; 22. მუდარა; 23. ლაფეტი; 24. რეზონი; 25. კაკაო; 26. კიმ; 27. კანონიკი; 28. აზიზი; 29. მუმია; 30. მარაბუ; 31. ამაგი.

სურათზე: მეგ რაიანი.

სიტყვათა მაკიანე

განტევების ვაცი

გადატანითი მნიშვნელობით განტევების ვაცს უწოდებენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სხვის ცოდვებს აკისრებენ და სხვების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებინებენ.

უძველეს დროში, ებრაელებს ასეთი წესი ჰქონდათ შემოღებული: წელიწადში ერთხელ, საშემოდგომო დღესასწაულზე „ცოდვებისგან განწმენდის“ დღეს, მთელი თემი შეიკრიბებოდა ველზე, უხუცესი ჯერ წირვას გადაიხდიდა, მერე გამოიყვანდა ვაცს, დააკისრებდა მას მთელი წლის განმავლობაში მრევლის მიერ ჩადენილ ცოდვებს და გაუშვებდა ტყეში მგლების დასაგლეჯად.

გედის სიმღერა

ადამიანის დიდებისა და სახელის უკანასკნელი გამოვლინება. მეტწილად იტყვიან მხატვრის, პოეტის, მწერლის უკანასკნელ, სიკვდილის წინ ან მოღვაწეობის დასასრულს შექმნილი ნაწარმოების შესახებ.

ჯერ კიდევ ძველბერძნულ მითებში ვხვდებით ხალხურ ლეგენდას იმის შესახებ, რომ გედი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ — სიკვდილის წინ მღერის.

გეთსიმანიის ბაღი

მშვენიერი, მყუდრო, წყნარი ადგილი. გადატანითი მნიშვნელობით კი ნიშნავს მძიმე განცდათა ადგილს.

სახარების თანახმად, იერუსალიმის მახლობლად მდებარე გეთსიმანიის ბაღში უყვარდა ქრისტეს განმარტოება და ლოცვებში დროის გატარება. აქვე გასცა იუდამ ქრისტე თავისი ამბორით.

გენერალური რეპეტიცია

ეს გამოთქმა პირველად ლენინს გამოუყენებია თავის ნაშრომში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, რომელიც 1920 წელს გამოვიდა.

გენია

სიტყვა „გენია“ არაბულად ნიშნავს ჯოჯოხეთს. ასე უწოდებდნენ უძველეს დროში იერუსალიმის მახლობლად მდებარე ველს, სადაც ღვთაებისათვის შეწირულ ბავშვებს წვავდნენ კოცონზე. იხმარება ჯოჯოხეთის, ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების მნიშვნელობით.

ანეკდოტები

***

სვანი ფეხბურთელი თამაშის შემდეგაც ირწმუნებოდა, რომ გოლი გაიტანა.

***

— შეგიძლია თქვა სამსიტყვიანი წინადადება, რომელიც მე სულ დამწვავს და დამფერფლავს? — ეკითხება სვანს შეყვარებული.

— როგორ არა?! ანთებული „სპიჩკა“ თივაში!

***

— თუ ერთხელაც მაკოცებ, სამუდამოდ შენი გავხდები... — ჩურჩულებს ქალიშვილი.

— მადლობა, რომ გამაფრთხილე — პასუხობს ვაჟი.

***

გურული მიდის ყბაახვული.

— რა გჭირს, ძამა?!. — ეკითხება მეორე.

— მარტო ვარ სახლში და რო მოვკვეტე, ყბას ვინ ამიხოვს?!

***

ნარკომანი ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს ეუბნება:

— ძმაკუშ, რუსთაველზე გამიყვანე.

— რუსთაველზე რომ ვართ?! — ეკითხება გაოცებული მძღოლი.

— მერე რა, ტო?!. შენ რა არ გასწავლეს, რო კლიენტის სურვილი „ზაკონია“?! — აღშფოთდა ნარკომანი.

***

იცით, რატომ უყურებენ ქალები პორნოფილმებს ბოლომდე?

იმიტომ, რომ ჰგონიათ, ყველაფერი ქორწინებით დამთავრდება!

***

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს, ერთი ეუბნება მეორეს:

— გოგო, ლამის თავი მევიკლა, გუშინ ქმარს ვუღალატე!

— უიმე!.. ვერ მოგსვლია კაი მბავი!.. ქე მაინც, სიყვარულით?!

— ხო... აპა, 100 ლარი რა ფულია?!

***

გურული ნარკომანი მეგობარს ხვდება და ეკითხება:

— რაფერ ხარ, შე ჩამპალო... რაია შენკენ ახალი?!

— რავი აბა, ძმაკუშ, მგონი მენძრევა... ოთხი ბიჭი მყავს და ოთხივეს კაცებისკენ გაურბის თვალი.

— მაი, ვერ მოგსვლია კაი ამბავი?!. მარა, დევიჯერო, შენ ოჯახში ქალი არავის აინტერესებს?!

— კი, ტო... ჩემ ცოლს.

***



მოსამართლე ფიცს ადებინებს თავის რჩეულს:

— დაიფიცე, რომ დაწვები ჩემთან! მხოლოდ ჩემთან და არავისთან ჩემ გარდა!

***

პანაშვიდზე მისული სვანი ჭირისუფალს ეკითხება:

— ღვინო ნაშოვნი გაქვს?

— კი... საკლავიც.

— სხვა პროდუქტები?

— ყველაფერი რიგზეა.

— აბა, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?!.

***

სამხედრო ნაწილში პოლკოვნიკი ანეკდოტს ჰყვება. ყველა ჯარისკაცი იცინის, ერთის გარდა.

— რიგითო, შენ რატომ არ იცინი?

— მე ამ ნაწილში არ ვმსახურობ.

***

მეგრელს ბუასილი აქვს. მივა ექიმთან. ექიმი ანგელოზივით ქალია.

— რა გაწუხებთ? — ეკითხება ქალი.

მეგრელი მორცხვად პასუხობს:

— ვავა ტაკოში.

***

ქუთაისელი აღებს კუპეს კარს, სადაც სამი ზანგი ზის:

— რაია, ბუჯო, დეიწვა რამე?!.

***

— მაყვალა, რაფერ მოგწონს ჩემი ახალი ქმარი?

— ნაზიკია, შენ ყველაფერი გიხდება!

***

ქმარი ცოლს:

— მართალია, მიცვალებულები დროთა განმავლობაში მტვრად იქცევიანო.

— მართალია.

— ჰოდა, ჩვენი ტახტის ქვეშ, მგონი, სამი მიცვალებულია უკვე.

***

განათხოვარი ფილოსოფოსი ქალის ჩანაწერებიდან:

— გათხოვება ღირს თუნდაც იმიტომ, რომ გაიგო, რატომ არ ღირდა გათხოვება;

იმავე ფილოსოფოსი ქალის ჩანაწერებიდან:

ქალმა ისე უნდა ჩაიცვას, რომ მამაკაცს მისი გახდა მოუნდეს.

***

განყოფილების გამგე კაბინეტში ყვირილით შედის:

— ხომ გითხარით, მუშაობის დროს სიგარეტის მოწევა აკრძალულია!

— კი, მაგრამ აქანე ვინ მუშაობს, ზახარიჩ?!

***

კახელს შვილი ეკითხება:

— მამი, მასწავლებელმა გვითხრა, სიყვარული სინათლეაო, მართალია?

— ჰო, ეგრეა.

— მაშინ, ცოლქმრობა რაღაა?

— სინათლის გადასახადი.

***

კანიბალი დიეტოლოგს:

— ექიმო, უმი კვერცხის ჭამა შეიძლება?

— რა თქმა უნდა... მოიცა, მოიცა!.. ნუ მეცი!.. რას შვრები?!

***

დედა რობოტი შვილს:

— შვილო, ქორწინებამდე პირადი სქემა არავის უჩვენო.

***

გურულს ეკითხებიან:

— გიტარაზე უკრავ?

— არ მიცდია, თვარა, დოვუკრავ აპა რას ვიზამ! — უპასუხა გურულმა.

***

ოსმა ნერწყვი გადაყლაპა და მოიწამლა.

***

კარგია, თუ თქვენი ქმარი ერკვევა მოდაში. ცუდია, თუ ის ზოგჯერ თქვენს ტანსაცმელს იცვამს, მაგრამ ძალიან ცუდია, თუ მას ის უხდება.

***

ცოლ-ქმარი ჩხუბობს:

— შენ ქალი არა ხარ, ამიტომაც გექცევი, როგორც ძაღლს, — ღრიალებს ქმარი.

— არა, უარესად მექცევი, ძაღლს ბეწვის ქურქი მაინც აქვს.

როგორია კარიერის შექმნის თქვენეული გზა?

1. თქვენი აზრით, რა გზით უფრო იოლია ფულის შოვნა?

ა) ბევრი უნდა იმუშაო, კარგად უნდა იყო ინფორმირებული, უნდა გარისკო და შენს ხელთ არსებული ფული საქმეში ჩადო — 6;

ბ) დაელოდო მემკვიდრეობის მიღებას, ლატარია უნდა ითამაშო — იქნებ, ბედმა გაგიღიმოს — 0;

გ) საკუთარი კარიერა ეტაპობრივად უნდა შექმნა, ხელმძღვანელის ჩათვლით, ყველა საფეხური უნდა გაიარო ან პოლიტიკას მოჰკიდო ხელი — 3.

2. თქვენი აზრით, მოგების რა რაოდენობამ შეიძლება მოხიბლოს მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები?

ა) ნახევარი მილიონიდან მილიონამდე — 0;

ბ) ათ მილიონამდე — 3;

გ) ათეულობით მილიონმა და უფრო მეტმა — 6.

3. რომელ გამონათქვამს ეთანხმებით?

ა) რაც უფრო მეტი ფული გაქვს, მით მეტ სიამოვნებას იღებ — 6;

ბ) ფული ნიშნავს ძალაუფლებას — 3;

გ) ფული უამრავ ადამიანში ბადებს შურს — 0.

4. თქვენთვის ალბათ ცნობილია თამაშის — „პირამიდა“ წესები, როდესაც შეგაქვთ მცირე თანხა, შემდეგ, პოულობთ რამდენიმე მსხვერპლს, მათაც ასევე შეაქვთ ფული და ა.შ... ამის შედეგად, თქვენი კაპიტალდაბანდება საგრძნობლად გაზრდილი გიბრუნდებათ უკან. რა როლს შეასრულებდით ამ თამაშში?

ა) საერთოდ არ ვითამაშებდი — 3;

ბ) ვითამაშებდი და ფულსაც ვიშოვიდი — 0;

გ) „პირამიდის“ ორგანიზატორი გავხდებოდი — 6.

5. აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა თქვენთვის, თუკი თქვენს სახელს სხვადასხვა გაზეთი „მაღალი საზოგადოების ქრონიკებში“ მოიხსენიებს?

ა) ეს ძალიან გამახარებს — 0;

ბ) ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის — 6;

გ) ჩემ შესახებ ისედაც წერენ — 3.

6. რა გზით არის შესაძლებელი მოგება დოლზე?

ა) არ უნდა გარიკსო და მაღალი ფსონი დადო — 0;

ბ) ფული უნდა დაზოგო და მხოლოდ დოლზე დასწრებით შემოიფარგლო — 3;

გ) დოლში გამარჯვებული, ჩემპიონი ცხენი უნდა შეიძინო — 6.

7. თქვენი აზრით, ვის აქვს სწრაფად და მყარად გამდიდრების შანსი?

ა) რეჟისორს, მსახიობს, მწერალს, მხატვარს, რეკორდსმენ სპორტსმენს — 0;

ბ) ადვოკატს, ექიმს, მაკლერს, პოლიტიკოსს — 3;

გ) ფირმის ხელმძღვანელს, გამომცემელს — 6.

8. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მეგობრებს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობისადმი?

ა) ყოველთვის მზად ვარ ხელი გავუმართო მეგობარს — ოდესმე, შესაძლოა, მეც ვისესხო მათგან ფული — 3;

ბ) ფული და მეგობრობა ერთმანეთთან შეუთავსებელია — 6;

გ) მზად ვარ ვესესხო მეგობარს ფული, მაგრამ თავად არ ვასესხებ — 0.

9. გამოტყდით: თუკი ოდესმე მილიონერი გახდებოდით, დატკბებოდით თუ არა იმის შეგრძნებით, რომ უამრავი ფული გაქვთ?

ა) ბუნებრივია, ეს ტკბობას განმაცდევინებდა — 0;

ბ) ამ შეგრძნებით ტკბობას განსაკუთრებით იმათი თანდასწრებით გამოვხატავდი, ვისაც არ სჯეროდა ჩემი წარმატების ან ზემოდან დამყურებდა — 3;

გ) არა — 6;

10. სად დააბანდებდით თქვენს მილიონებს?

ა) უძრავ ქონებაში, ძვირფასეულობაში, ხელოვნების ნიმუშების შეგროვებაში — 3;

ბ) აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში — 6;

გ) ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი ცოლი (ქმარი) გადაწყვეტს — 0.

11. თუკი ორიოდე მილიონის მფლობელი იქნებოდით, ეცდებოდით თუ არა, რომ კიდევ დამატებითი შემოსავლის წყარო გეპოვათ?

ა) მცირე თანხის რა მოგახსენოთ, მაგრამ დიდ თანხაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი — 3;

ბ) რა თქმა უნდა — 6;

გ) არა, რადგან ეს თანხაც მეყოფა — 0.

ტესტის შედეგები

0-დან 18 ქულამდე: გასამდიდრებლად, თქვენთვის ყველაზე კარგი გამოსავალი დიდძალი მემკვიდრეობის მიღება ან ლატარიაში მოგებაა.

18-დან 42 ქულამდე: თქვენთვის სიმდიდრე მუშაობას უკავშირდება. თავი აარიდეთ ფინანსურ სპეკულაციას. შეიქმენით კარიერა და დაიკავეთ შეფის ადგილი. თუკი ეს არ მოგიტანთ სასურველ მილიონებს, თქვენი ცხოვრება მატერიალურ ასპექტში მაინც უზრუნველყოფილი იქნება.

42-დან 66 ქულამდე: შესანიშნავი შანსები გაქვთ იმისა, რომ ოდესმე მილიონერი გახდეთ. თქვენ კომერსანტის აზროვნებით გამოირჩევით და საქმიანი და პირადი ურთიერთობების ერთმანეთისგან გამიჯვნა შესანიშნავად გამოგდით. სიმდიდრითა და ფუფუნებით თავმოწონებას არასოდეს მოჰყვებით, საკუთარი ქონების გაზრდას კი რუდუნებით მოეკიდებით.

რით გამოირჩევიან ქართველი მშვილდოსნები?!

ამჯერად ვისაუბრებთ არა მშვილდოსნის (23 ნოემბერი — 21 დეკემბერი) ზოდიაქოს ასტროფ-სიქოლოგიურ მხარეზე, მის დადებით თუ უარყოფით ტენდენციებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ აირეკლება ეს ყველაფერი ჩვენთვის კარგად ნაცნობ ადამიანებში (რომლებიც ამ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არიან დაბადებულნი). თქვენ უფრო ახლოს გაეცნობით თქვენთვის საყვარელ ადამიანებს (ასტროლოგიური კუთხით), გაიგებთ მათი ხასიათის ნიშან-თვისებებს — ანუ რას „მოგვითხრობენ“ მათზე პლანეტები.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲔᲑᲘ

მიხეილ სააკაშვილი *(საქართველოს პრეზიდენტი)*: მკვეთრად გამოხატული მშვილდოსანია, რომელსაც ახასიათებს აქტიურობა და მიზანსწრაფვა, სიცოცხლის ტრფიალი და სიმამაცე. ზოგჯერ გარკვეულ პრობლემებს იმპულსურობა უქმნის, რომელიც მშვილდოსნის „საფირმო“ თვისებაა. მასზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ლომსა და ქალწულს, განსაკუთრებით გადაწყვეტილებების მიღების დროს.

გოჩა კაპანაძე *(დრამის რეჟისორი)*: მის ფსიქოტიპში გვხვდება მშვილდოსანი-ტყუპის შეთავსება. ის კომუნიკაბელურობას, სწრაფ რეაქციებსა და ზედაპირულ ურთიერთობებს უწყობს ხელს. როგორც მშვილდოსანთა უმრავლესობას, მასაც ეყვარება მოგზაურობა, გამორიცხული არ არის, აზარტულიც იყოს. ენთუზიასტი და ოპტიმისტია. არ ეყვარება საკუთარი თავის აფიშირება. მის ჰოროსკოპში ვხვდებით ე.წ. „ტაუ-კვადრატს“, რაც როგორც საკუთარი, ისე სხვისი შეცდომებიდან სწორი დასკვნების გამოტანის უნარს უწყობს ხელს.

რეზო ჩხეიძე *(კინორეჟისორი)*: მის ჰოროსკოპში მთვარეს გარკვეულწილად ნეგატიური მდგომარეობა უკავია; მთვარის განლაგება ბავშვობასა და სუსტი სქესის წარმომადგენლებზე გვაწვდის ინფორმაციას. არ არის გამორიცხული, ბავშვობაში მასში დიდი ემოციური გარდატეხა მომხდარიყო. ამავე დროს, ბავშვები განსაკუთრებით ეყვარება; დიდ სიამოვნებას ანიჭებს ქალებთან ურთიერთობა. „კლასიკური“ მშვილდოსნებისგან განსხვავებით, საქმიანობაში აუჩქარებელი იქნება, თუმცა, კონფლიქტის დროს, საოცარ სიმტკიცეს გამოიჩენს.

ლაშა თაბუკაშვილი *(მწერალი)*: მის ჰოროსკოპში, მშვილდოსანთან ერთად, დიდ როლს თამაშობს კუროს ზოდიაქო, რაც მის „ცეცხლოვან“ შინაგან ბუნებას, მშვიდ და აუჩქარებელ ხასიათად გარდაქმნის. იქნება კონსერვატორი, ეყვარება ბუნება, ცხოველები, წყალი. მისთვის რაიმის დამალვას აზრი არ აქვს — ეს მის გაღიზიანებას გამოიწვევს. უფრო თავშეკავებული მშვილდოსანია, ვიდრე „ცეცხლოვანი“.

დათო ევგენიძე *(კომპოზიტორი)*: ძალზე საინტერესო ჰოროსკოპი აქვს — არის მშვილდოსან-ლომის „ნაზავი“, რაც მის ხასიათს მისტიკურობას მიანიჭებს. თუმცა, საქმიანობაში აუჩქარებელი იქნება, რაც მოსალოდნელ შეცდომებს ერთიორად შეამცირებს. იქნება მოწესრიგებული და აკურატული. თუმცა, მოსალოდნელია, ლომის ზოდიაქომ მას ამბიციურობა შემატოს.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ანა კალანდაძე *(პოეტი)*: მშვილდოსანი, ლომისა და თევზების გავლენით, პირველი, სიყვარულის უდიდესი ნიჭით აჯილდოებს, ხოლო მეორე — მისტიციზმსა და ქველმოქმედების სურვილს უძლიერებს. ასეთი ადამიანი პროფესიაში უფრო დიდ წარმატებას აღწევს, ვიდრე პირად ცხოვრებაში (სხვათა შორის, მსგავსი ჰოროსკოპი ჰქონდა ალექსანდრე პუშკინსაც). აქ ვხვდებით მზე-იუპიტერის შეერთებას, რომელიც ენთუზიაზმსა და ოპტიმიზმს მატებს ადამიანს და მისი სამოღვაწეო ასპარეზის მასშტაბს ზრდის.

ქეთი დოლიძე *(რეჟისორი)*: მშვილდოსანი, რომელსაც სურს ძალზე ბევრის მიღწევა და საამისოდ, ენერგიაც აქვს და შესაძლებლობებიც. მასზე ბრძანებლობა გამორიცხულია. თუ გსურთ, ასეთ ადამიანს რაიმე გააკეთებინოთ, არავითარ შემთხვევაში არ უბრძანოთ — უბრალოდ, სთხოვეთ. მისთვის წლის ყველაზე პოზიტიური პერიოდი შემოდგომა იქნება, ის ამ დროს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრას შეძლებს.

ირმა სოხაძე *(მომღერალი)*: აქ ე.წ. „რთულ“ ჰოროსკოპთან გვაქვს საქმე (თუმცა, ძლიერი ადამიანი წინაღობის გადალახვისას ბევრ რამეს სწავლობს). მზე-ვენერას შეერთება მას დიდ შინაგან შარმსა და გარეგნულ მომხიბვლელობას ანიჭებს, მერკური-სატურნის შეერთება კი, აკურატულობას, მოწესრიგებულობასა სძენს, თუმცა, მთვარის ნეგატიური ასპექტების გამო, მის ცხოვრებაში უარყოფითი ემოცია და გაღიზიანებაც არ გახლავთ იშვიათი. შესაძლოა, ის ხანდახან სკეპტიციზმმაც შეიპყროს.

ნინო გურიელი *(მოჭადრაკე)*: აქ პლანეტათა უმრავლესობა მშვილდოსანშია კონცენტრირებული, რაც მიზანსწრაფვას, ორგანიზებულობასა და ფილოსოფიურ აზროვნებას ნიშნავს. მასზე დიდ გავლენას ახდენს მერწყულის ზოდიაქო, რომელიც აძლიერებს თავისუფლებისკენ ლტოლვას, ინტერესს ეზოტერიკული ლიტერატურისადმი, ასევე მუსიკის დიდ სიყვარულს. მის ჰოროსკოპში სატურნის განლაგება მიუთითებს, რომ მისთვის გარკვეულწილად პრობლემატური იქნება კარიერაში წინსვლა. ■

ᲯᲘᲒᲐᲠᲗᲕᲘᲡᲘᲠᲘᲒᲘ

	7		12		30	28	8	4	6		6		5	
15	6	18	6	2	6		6		14	5	33	6	7	5
	25		16		27	6	18	24	1		16		19	
21	1	21	1	12	28		9		6	2	1	2	1	6
18		18		8		26	1	6		13		31		23
5	8	5	19	6	18	1		16	6	2	12	6	30	1
19		10		25		22	1	6		1		19		23
6	18	1	16	1	18	1		28	32	6	16	5	7	1
	6		1		6		20		1		1		6	
15	1	32	6	24	1		5		30	6	2	6	8	1
	8		18		24	5	8	3	1		4		31	
33	6	17	6	18	1		17		6	19	6	8	1	6
6		28		6		12	28	6		1		5		16
11	6	2	13	8	6		9		4	8	28	18	27	1
1		1		1		29	1	6		1		28		6

ა6	ბ	გ	დ	ე5	ვ	ზ	თ	ი1	კ	ლ	
მ	ნ	ო	პ	ჟ	რ8	ს	ტ	უ	ფ4	ქ	
ღ	ყ	შ7	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ	

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲨᲘᲤᲠᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ა-5; ბ-3; გ-23; დ-15; ე-20; ვ-7; ზ-28; თ-13; ი-26; კ-17; ლ-9; მ-11; ნ-25; ო-21; პ-1; ჟ-31; რ-10; ს-4; ტ-33; უ-24; ფ-14; ქ-30; ღ-8; ყ-16; შ-12; ჩ-32; ც-22; ძ-19; წ-27; ჭ-2; ხ-18; ჯ-29; ჰ-6.

რუბრიკა მოამზადა რამაზ გიგაურმა

ფოტოკუიიოზები

-55

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი